

1557
200 4



საენათმეცნიერო

ბიბლიო



Linguistic

Papers

F84643

ქართული
ენათმეცნიერება
საქართველოს მეცნიერებათა აკადემია

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი
Georgian Academy of Sciences
Arn. Chikobava Institute of Linguistics

ბესარიონ ჯორბენაძის საზოგადოება
Besarion Jorbenadze Society

საენათმეცნიერო
ძ ი ე ბ ა ნ ი

218

XVI

Linguistic
P a p e r s



გამომცემლობა „ქართული ენა“
"KARTULI ENA" Publications
თბილისი 2004 Tbilisi

4
81.2
800
ს 157

საქართველო
ბიბლიოთეკა

„საენათმეცნიერო ძიებანის“

XVI წიგნი თემატურად მრავალფეროვანია. იგი განკუთვნილია ენათმეცნიერთათვის და, საერთოდ, ენის საკითხებით დაინტერესებული პირებისათვის.

"Linguistic Papers" volume 16 contains thematically diverse works. It is meant for linguists and in general, all persons interested in language issues.

სარედაქციო კოლეგია:

EDITORIAL BOARD:

მ. ბერიძე, გ. ბურჭულაძე, კ. გაბუნია,
გ. გოგოლაშვილი (მთავარი რედაქტორი),
ლ. გოქსაძე (ინგლისური ნაწილის რედაქტორი),
ნ. დარასელია, ც. კვანტალიანი (სწავლული მდივანი),
მ. კიკონიშვილი, მ. კობიაშვილი, რ. ლანდია, ნ. ლოლაძე (მთ. რედაქტორის მოადგილე),
ჰ. ქირია, რ. კურდაძე, მ. კურდიანი, ნ. ჭუმბურიძე, ნ. ჯორბენაძე

M. Beridze, G. Burchuladze, K. Gabunia,
G. Gogolashvili (editor-in-chief),
L. Goksadze (editor of the English part), N. Daraselia, Ts. Kvantaliani (scientific secretary), M. Kikonishvili, M. Kobiasvili, R. Landia, N. Loladze (deputy editor-in-chief) Ch. Kiria, R. Kurdadze, M. Kurdiani, N. Chumburidze, N. Jorbenadze

კვანტალიანი

ISBN 99928-820-2-6

საქართველოს
გარემოსდაცვითი
მემკვიდრეობის
მინისტრის
გამგზავნი

გიორგი გოგოლაშვილი

სვანური ენის დიალექტური დაყოფისათვის

რამდენი დიალექტი არის სვანურ ენაში?

ტრადიციულად ოთხ დიალექტს გამოყოფენ: ბალსზემოურს, ბალსქვემოურს, ლენტეხურსა და ლაშხურს. ამ ბოლო პერიოდში საუბრობენ მეხუთე დიალექტის შესახებაც — ჩოლურული...

თუმცა უმჯობესია საკითხის ისტორიას გადავხედოთ და დასკვნის გაკეთებაც ამის შემდეგ გვადოთ.

სვანური ენის დიალექტური და კილოკატური დაყოფა პირველად ნიკო მარმა მოახდინა (ამის თაობაზე იხ. ვ. თოფურიძე, 2002). ოთხი დიალექტი გამოიყო: ზემო-ინგურის (верхне-ингу́рское), ქვემო-ინგურის (ни́жне-ингу́рское), ზემო-ლაშხური ანუ ლაშხური (верхне-лашхуи́рское или лашхуи́рское) და ქვემო-ლაშხური ანუ ლენტეხურ-ჩოლოური (ни́жне-лашхуи́რское или чо́лтурское).

ეს თვალსაზრისი იქნა გაზიარებული აკაკი შანიძის მიერ, ოღონდ დაზუსტდა ტერმინები: ბალსზემოური, ბალსქვემოური, ლენტეხური და ლაშხური (ა. შანიძე, 1981). არსებითი ის არის, რომ სვანური დიალექტების გამოყოფა ფონეტიკური პრინციპის საფუძველზე მოხდა. კლასიფიკაციას საფუძვლად დაედო სამი ძირითადი ფონეტიკური მოვლენა: ხმოვანთა სიგრძე, უმლაუტი და რედუქცია. სამივე ეს მოვლენა დამახასიათებელია ბალსზემოურისათვის. სხვა კილოებში განსხვავებული ვითარებაა. სქემაზე ეს შეიძლება ასე გამოიხატოს:

	სიგრძე	უმლაუტი	რედუქცია
ბალსზემოური	+	+	+
ბალსქვემოური		+	+
ლენტეხური		+	სუსტი
ლაშხური	+		+

ცხადია, დიალექტებს შორის ამის გარდა არსებობს სხვა სახის განსხვავებანიც — გრამატიკული თუ ლექსიკური, ანუ ზოგადად

ლინგვისტური სახისა, მაგრამ ძირითადი საკლასიფიკაციო ნიშანი ფონეტიკურია. დიალექტების შიდა დიფერენცია (კილოვარდის) სწორედ ლინგვისტურ პრინციპზეა დამყარებული.

როგორც ვხედავთ, ამ საკლასიფიკაციო ნიშნის მიხედვით მინიმალურია განსხვავება ბალსქვემოურსა და ლენტეხურს შორის — ერთს ახასიათებს რედუქცია, მეორეგან ეს პროცესი შესუსტებულია. ხმოვანთა სიგრძე განასხვავებს ბალსზემოურს ბალსქვემოურისაგან და ა. შ. თუმცა ეს არ ქმნის კლასიფიკაციისათვის დაბრკოლებას. ცნობილია, რომ ძირითადად ფონეტიკურ პრინციპზეა დამყარებული რუსული დიალექტების გამოყოფა. ჩვენს სინმადვილეში ლაშურის შემთხვევა შეიძლება გავიხსენოთ: ლაშურის კილოვარდებს „ხოფურს, ვიწურ-არქაბულსა და ათინურს შორის სადემარკაციო ხაზს წარმოადგენს ც-ბგერის ვითარება“, თუმცა მათ შორის არის არაერთი განსხვავებული ენობრივი ფაქტი (არხ. ჩიქობავა, 1936, 10-12).

სვანური ენის შემსწავლელთა საგანგებო ყურადღებას იქცევდა ყოველთვის ჩოლურული მეტყველება. ა. შანიძე წერს: „უნდა შევნიშნო, რომ ჩოლურული ცალკე კილოს არ წარმოადგენს, ენობრივად იგი ორ ნაწილად განიყოფა: ზემო ნაწილი ლაშხურის კილოვარდია, ქვემო ნაწილი კი (სოფ. საყდარი, ბულეში მუწუდი) — ლენტეხურისა. თუმცა უნდა აღვნიშნო ისიც, რომ ზემო ჩოლორულში უმლაუტებიც არის, რომლებიც მას ლენტეხურთან აახლოვებს, ხოლო ქვემო ჩოლორულში გრძელი ხმოვნებიც მოიპოვება, რაიცა მას ლაშხურთან აკავშირებს“ (ა. შანიძე, 1981, 322).

ამ თვალსაზრის ეთანხმება ვ. თოფურია (ვ. თოფურია, 2002).

ფაქტია: თუ ჩოლურულს გავიაზრებთ ერთ ენობრივ ნაირსახეობად, სვანური დიალექტების საკლასიფიკაციო ნიშანთა მიხედვით იგი ბალსზემოურს დაემთხვევა: „ხმოვანთა შედგენილობის მიხედვით ბალსზემოურ დიალექტს ემთხვევა ჩოლურული. ბალსზემოურის მსგავსად ხმოვნები აქაც უპირისპირდებიან ერთმანეთს როგორც სიგრძე-სიმოკლის, ისე პალატალურობა-არაპალატარულობის (რესრ. უმლაუტიანობა-უუმლაუტიანობის) ნიშნის მიხედვით და, ამდენად, თვრამეტევე ხმოვანი აქაც (ე.ი. ჩოლურულშიც) წარმოდგენილია (ონიანი, 1986, 204). ცხადია, ასეთ შემთხვევაში ლოგიკურად უნდა გავეთედეს ასეთი დასკვნა: „თუ სვანურის დიალექტებად დაყოფას მართლა ვოკალიზმში არსებული სხვაობა უდევს საფუძვლად, როგორც ეს ლიტერატურაშია აღნიშნული, მაშინ ჩოლურული ბალსზემოური დიალექტის შემადგენელ ნაწილად უნდა ჩაითვალოს“ (ონიანი, 1986, 204).

ასე რომ, ერთი თვალსაზრისის მიხედვით ჩოლურული არ არის ერთიანი ენობრივი ერთეული, იგი ორ ნაწილად მოაზრება და ერთეულ ლენტეხური დიალექტის კუთვნილებაა, მეორე — ლაშხურისა. სავარაუდო ვარიანტის მიხედვით ჩოლურული ერთიანი ენობრივი ნაირსახეობაა და იგი შეიძლება ბალსზეომურის ნაწილად მოვიაზროთ. ამ ვარაუდზე ჩვენ საგანგებოდ ვამახვილებთ ყურადღებას, თუმცა იგი ამჟამად არ არის მოიღებული (გაზიარებული). თვით ა. ონიანსაც მიაჩნია, რომ საკითხის ასე დასმა არ იქნებოდა მართებული. ჭერ ვთქვათ ის, რომ მკვლევარი ჩოლურულს ერთ ენობრივ ერთეულად მიიჩნევს: „ჩოლურულის ეს ნაწილები (ზემოჩოლურული, ქვემოჩოლურული)... ლინგვისტურად ბევრად უფრო ახლოს დგანან ერთმანეთთან, ვიდრე თითოეული მათგანი — ლაშხურთან, ან ლენტეხურთან“ (ონიანი, 1986, 204) არსებითია ის, რომ ალ. ონიანი თვლის, ჩოლურული არის სვანური ენის მეხუთე დიალექტი: „ფფიქრობთ, ჩოლურული ერთ დამოუკიდებელ დიალექტურ ერთეულად უნდა იქნეს მიჩნეული“ (იქვე). ამ თვალსაზრისს მკვლევარი შემდგომაც იმეორებს: „ჩოლურული დამოუკიდებელ დიალექტურ ერთეულად უნდა მივიჩნიოთ და მას სვანური ენის ჩოლურული დიალექტი ვუწოდოთ“ (ონიანი, 1998, 8), ხოლო განსხვავება „ზემო და ქვემო ჩოლურულს შორის არ სცილდება კილოკაურ სხვაობათა ფარგლებს“ (იქვე).

ბალსზეომურის, ბალსქვემოურის, ლენტეხურისა და ლაშხურის გვერდით ჩოლურული დამოუკიდებელ დიალექტურ ვარიანტად არის წარმოდგენილი სხვა ავტორებთანაც: თუმცა ამას მტკიცება არ ახლავს, ფფიქრობთ, რომ ემყარებიან ა. ონიანის თვალსაზრისს (ქაცავა, ვაშაქიძე, 2002, 12; ფუტყარაძე, 2003, 128).

ჩვენი აზრით, სადაგოა ჩოლურული მეტყველების დამოუკიდებელ დიალექტურ ერთეულად გამოყოფა. არსებითი არის ის, რას ემყარება მსჯელობა, როცა დამოუკიდებელ დიალექტურ ერთეულზე საუბრობენ. ალ. ონიანის აზრით, ჩოლურულის დამოუკიდებელ დიალექტად გამოცხადების საფუძველი არის ის, რომ მას „მოეპოვება საკმაო ფონეტიკური, გრამატიკული, ლექსიკური და ინტონაციური თავისებურებები“ (ონიანი, 1986, 204). ცხადია, ჩვენ არ შეგვიძლია შევიტანოთ ეჭვი მკვლევრის ამ დასკვნაში, მაგრამ ჩვენთვის არსებითი არის პრინციპული სხვაობა დიალექტთა გამოყოფის ტრადიციულ თვალსაზრისთან. როგორც აღვნიშნეთ, ტრადიციულად ოთხი დიალექტი გამოიყო **ფონეტიკური პრინციპის** მიხედვით, ხოლო მეხუთე დიალექტს გამოეყოფთ **ლინგვისტური პრინციპით**. ერთ

კლასიფიკაციაში საკლასიფიკაციო პრინციპის ცვლა არ შეიძლება ჩი-
თავალის გამართლებულად. თუ ჩვენ შემოვიტანთ საკლასიფიკაცი-
ოდ ლინგვისტურ პრინციპს, რომელიც გულისხმობს ფონეტიკა-ფო-
ნოლოგიურ, გრამატიკულ (მორფოლოგიურ-სინტაქსურ) და ლექსი-
კურ თავისებურებათა ერთობლიობას, მაშინ გადასასინჯი იქნება და-
ნარჩენი ოთხი დიალექტის გამოყოფის მიზანშეწონილობა. უფრო
სწორად, ახლებური კლასიფიკაცია იქნება საჭირო.

როგორც ითქვა, სვანურ დიალექტთა კილოკატორი დაყოფა სწო-
რედ ლინგვისტურ პრინციპზეა დამყარებული. ცხადია, თუ პრინციპს
შევცვლით, პრობლემური გახდება თუნდაც ისეთი ენობრივი ერთეუ-
ლის, როგორიც არის **ლახამულური**, სტატუსის გარკვევა. ჯერ კი-
დეც ნ. მარი მიუთითებდა, რომ ლახამულური ქვემო ენგურის ხეობა-
ში საგანგებო ყურადღებას იქცევსო (მარი, 1913). ამავე აზრისაა და
ვრცლად მსჯელობს ლახამულურის თავისებურების შესახებ ვ. თო-
ფურია (თოფურია, 2002). ლახამულური მეტყველება საგანგებოდ
იკვლია მ. ქალდანი. მისი აზრით, „ლახამულური კილოკატორი თავისა-
ჩინოდ განსხვავდება სვანური ენის სხვა დიალექტებისაგან გრამატი-
კის ყველა უბანზე“ (ქალდანი, 1956, 161). მიუაქციით ყურადღება:
ლახამულურ მეტყველებას მკვლევარი უპირისპირებს „სვანური ენის
სხვა დიალექტებსა“. არ უნდა იყოს ეს შემთხვევითი. მ. ქალდანი
ფონეტიკის საკითხების კვლევისას კიდევ უფრო საინტერესო და-
სკვნებს გვთავაზობს: „რღევანდელ ლახამულელთა წინაპრები ან სხვა
რომელიმე დიალექტის წარმომადგენელი სვანებია, ან, უფრო საფიქ-
რებელია, გასვანებული მეგრელები (მაგ.: ჭკადუა, ქობალია) და შე-
იძლება ამით აიხსნებოდეს ის სერიოზული სხვაობა, რომელიც ფო-
ნეტიკის ყველა უბანზე იგრძნობა ლახამულურში ეცერულ კილოს-
თან შედარებით“ (ქალდანი, 1955, 139). და მაინც, ლახამულური
თუ ბეჩოურთან და ეცერულთან ერთად ბალსქვემოური დიალექტის
კილოკატად განიხილება სვანური ენის ყველა მკვლევართან, მხოლოდ-
დამხოლოდ იმიტომ, რომ სვანურის დიალექტებად დაყოფის ფონე-
ტიკური პრინციპი იძლევა ამის უფლებას. ლინგვისტური პრინციპი
რომ შემოგვეტანა, ცხადია, ლახამულური ცალკე დადგებოდა და ბე-
ჩოურ-ეცერული — ცალკე. ამით იმის თქმა გვინდა, რომ, თუ ლინ-
გვისტურ პრინციპს შემოვიტანთ, როგორც ეს ჩოლურულისა გამოყ-
ოფის საფუძვლად იქნა მიჩნეული, მაშინ მთლიანად უნდა მოხდეს
სვანური ენის დიალექტური დაყოფის რევიზია. ჩვენ არ გვაქვს სა-
ფუძველი ეჭვი შევიტანოთ იმ დასკვნებში, რომლებიც გაკეთდა ჩო-

ლორული მეტყველების ლინგვისტური თავისებურებების შესახებ, მაგრამ ასევე საჭირო გახდებოდა სვანური ენის სხვა ნაირსახეობების კვლევა ამავე თვალსაზრისით. უფრო სწორედ, ასეთი კვლევა სვანურის კილოკავების მიმართ ჩატარებულია, თუმცა ამის გამო არ მომხდარა კილოური დაყოფის ტრადიციული სქემის შეცვლა.

საბოლოოდ იმის თქმა გვსურს, რომ სვანური ენის დიალექტებად დაყოფისას თუ ვემყარებით ფონეტიკურ პრინციპს, უნდა ვისაუბროთ ოთხ დიალექტზე. თუ შემოვიტანთ ლინგვისტურ პრინციპს, მაშინ შეიძლება მივიჩნიოთ ჩოლურული დამოუკიდებელ ერთეულად: თუმცა ამ შემთხვევაში ამავე პრინციპით უნდა მოხდეს სხვა კილოთა თუ კილოკავთა გამოყოფაც. წინააღმდეგ შემთხვევაში დაირღვევა თანმიმდევრულობა, რაც, ცხადია, არ იქნება გამართლებული:

ლიტერატურა

თოფურია 2002 — ვ. თოფურია, სვანური დიალექტები და მათი თავისებურებანი: შრომები, II, თბ., 2002.

მარი 1913 — Н. Я. Марр, Из поездок в сванию: Христианский Восток, т. II, вып. II, СПб, 1913 (ვიმოწმებ ვ. თოფურიას დასახელებული შრომის მიხედვით).

ონიანი 1986 — ა. ონიანი, სვანური ვოკალიზმის ზოგი საკითხი: იკე, XXV, თბ., 1986.

ონიანი 1998 — ა. ონიანი, სვანური ენა, თბ., 1998.

ფუტყარაძე 2003 — ტ. ფუტყარაძე, მონათესავე ენობრივ ერთეულთა კვალიფიკაციის პრობლემა და ქართველთა დიალექტების დაჯგუფების საკითხი: ენათმეცნიერების საკითხები, № 1, 2003.

ქალდანი 1955 — მ. ქალდანი, სვანური ენის ლაზამულური კილოკავის ფონეტიკური თავისებურებანი: იკე, VII, თბ., 1955.

ქალდანი 1956 — მ. ქალდანი, სვანური ენის ლაზამულური კილოკავის გრამატიკული თავისებურებანი: იკე, VIII, თბ., 1956.

ქაცარავა 2002 — მ. ქაცარავა, ი. ვაშაკიძე, ქართული ენის პრაქტიკული კურსი, ქუთაისი, 2002.

შანიძე 1981 — ა. შანიძე, უმლაუტი სვანურში: თხზულებანი, ტ. II, თბ., 1981.

ჩიქობავა 1936 — არნ. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, თბ., 1936.

On the Dialectal Division of Svan

Summary

As is known, the dialectal division of Svan is based on three phonetic phenomena the length of vowels, umlaut and reduction. All the three features are characteristic of only one dialect _ Upper Bal. The situation in the other three dialects _ Lower Bal, Lentekhian, and Lashkhian _ is different, Recently Cholurian has been singled out as the fifth dialect as it is characterized by all the three phonetic phenomena. The paper considers the fact controversial and unacceptable because it contradicts the phonetic principle of dialect division in Svan and makes Cholurian and Upper Bal identical. If Cholurian is considered a separate dialect in Svan some other principle of Svan dialect division should be looked for.

თავად ინჯია

სინტაქსური ელიფსის ერთი სახე გრ. რობაქიძის შემოქმედებაში

წინადადებათა ტიპების საგანგებო შერჩევა გრ. რობაქიძის ენა-ში ემსახურება ორიგინალური სტილის შექმნას. ხელოვანი ამბობს: „ქართული სინტაქსის საიდუმლო ელიფსია, ამით გამოირჩევა იგი სინტაქსისაგან სხვა ენისაო“ (რობაქიძე, 1996, 194) და, მართლაც, ეს „საიდუმლო“ ანუ ენობრივი ნიშნის გამოტოვება განსაკუთრებული ღირებულებისა და დანიშნულების მქონე მოვლენაა თავად მის შემოქმედებაში, სადაც სინტაქსური ელიფსის ერთ-ერთი ფაქტი შემასმენლისა და ქვედღებარის მიხედვით უსრული წინადადებებია.

„უსრულია წინადადება, თუ მასში გამოტოვებულია ერთი ან რამდენიმე წევრი (მთავარი თუ მეორეხარისხოვანი), რომლებიც ადვილად იგულისხმება კონტექსტის ან სხვა რაიმე გარკვეული პირობის მიხედვით. ასეთი წინადადება კონტექსტისა თუ სიტუაციის გაუთვალისწინებლად მოკლებულია თავისთავადობასა და სტრუქტურულ დამოუკიდებლობას. ამის გამო უსრული წინადადება, ცალკე აღებული, ხშირად შეიძლება იქცეს ისეთ სიტყვად და სიტყვათა შეკავშირებად, რომელიც არ გამოხატავს რაიმე გარკვეულ აზრს“ (კვაჭაძე, 1966, 206). ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მისი თვალსაჩინო ილუსტრირებისათვის საჭიროა არა ოდენ საანალიზო წინადადებები, არამედ შედარებით ვრცელი კონტექსტები.

გრ. რობაქიძე რთულ კონსტრუქციებს მარტივსა და შერწყმულ წინადადებებს ამჯობინებს. რაოდენობრივი უპირატესობით გამოირჩევა მარტივი წინადადებები, მათ შორის კი — უსრულნი. წინადადების ტიპების ამგვარი არჩევანი მწერლის მეტყველების ესთეტიკის შემადგენელი მომენტი.

უსრულ წინადადებათა სიმრავლეს ისიც განაპირობებს, რომ გრ. რობაქიძე საერთოდ არ იყენებს მძიმეს. უმეტეს შემთხვევაში მას ცვლის წერტილით. ის, რაც მძიმის გამოყენებისას ერთგვარ წევრად დაფიქსირდებოდა, წერტილით გამოყოფის გამო ცალკე წინადადებად აღიქმება. წერტილი უფრო მკვეთრსა და ღრმა ზღვარს ქმნის



და მტკიცებით ხასიათს აძლევს თხრობას. ტექსტი უფრო ნელა გვე
თხება, მკითხველი ეჭვგება წერილობით ფიქსირებულ ენობრივობაში
ნებს და ვიზუალურად წარმოადგენს აღსანიშნს. საქმე გვაქვს სიტ-
ყვით ხატვასთან, მხატვრულობის უმაღლეს ხარისხთან.

შემასმენლის მიხედვით უსრული წინადადება

ორ სსოვნაში ერთი ფიგურა იჭრება.

1980 წელი. პარიზი. მაისი. კათედრაზე დაბალი კაცი. ჩასკვნი-
ლი და დამორგვილი. მაგარი თავი. ტიტველი გრანიტი. მაღალი
შუბლი და უტეხი კორმები შუბლის. თავის ქალა ოდნავ ჩაწეული
ქოჩორთან — (ნიშანი სიფიცხის?!). მაგრამ კეფა მტკიცედ ამოკორძი-
ლი — (ნიშანი თავშეკალების?!). თვალები წვრილი. ერთი-მობზუტული
ოდნავ. უნდობი და გამხვრეტი. მეორე — განზე მოცქირალი თითქო.
თვალები თვალებში გეჭრებიან და თვალებს იქით იხედებიან. **მიე-
ლი ფიგურა — უვლიში.** თითქო ყველაფერს ხვდება წინასწარ რო-
გორც მორკინალი. ლაპარაკობს. ხმა ერთფეროვანი. არც პაუზა და
არც ინტონაცია. ფრაზა: დაგრაგნილი და დაგრეხილი. არავითარი
„მჭერნეტყველება“. **ფრაზა: უფრო მოქმედება. სიტყვა — უფრო
ნება.** 184, 34 185, 1-13;

მაგრამ გარშონი სტოვებს რაღაცას. **ველი. ველი. ველი. თაუ-
რი ყველგან და ბოლო არხად. არავითარი კიდური:** რომ თვალი
მიასვენო. შეხედები ვისმე—დასცილდები სამუდამოთ. **არავითარი
ზღუდე** რომ თავი დააკავო. არავითარი ჭებირი რომ მიეყვდლო. **მი-
წა გლუვი და ცის თაღი. სხვა არაფერი. სევდა თვითონ არეში.
ნადველი სივრცეში.** აქ მოყვასს კი არა—თავის თავს დაჰკარგავ.
ველარც ნახავ. ყოველი შეხვედრა სიკვდილი იმთავითვე. ყოვე-
ლი გაჩერება: უსვენარობის გამღეზებელი. **არხად კერა. ყველ-
გან თარეში-გავარდნა და გადალახვა.** 182,5;

მისი გამგე მოროზოვია. **კაცი სქელი. პირგაპარსული. აფუე-
ბული ლოყები და წვრილი ჭროდა თვალები.** პენსნე ვერ მალავს
ეშმაკურ ღიმილს. მაგრამ ეშმაკობას ვინ არ აპატიებს?! **ხალისიანი
მუდამ. მომცინარი მუდამ.** მისი ჩითხითი ხუთმეტ საჟენზე გა-
ისმის. **ანეკდოტისტი შეუდარებელი —** (თუმცა ურია არაა).
დარდიმანდი კაცი. 206, 2;

კლდეებში მიდის ქარავანი. აქლემები ასამდე. დიდი. მო-

ჯულისხმობით ორი საბელდებით, არამედ შემასმენელგაუჩინარებელს ანუ
წინადადებას, რომელშიც შემასმენელი გამოტოვებულია, მაგრამ იგულისხმება.

მცრო. ერთკუზიანი. ორკუზიანი. დატვირთულები — ყველა-
აქაიკ ვირებიც დატვირთულნი. 116, 22;

ნუგზარ იქიაქით დარბის ხმელი და მაღალი. წარბები: —
(ერთმანეთს ხომ არ კოცნიან!?) წამწამები — „სპარსული“: (ძნე-
ლია სხვა სიტყვა). თვალები — ორი ქვა: ნადველივით შავი
(რიყეზე რომ ნახულობენ). ხელები — სუფთა და ფერად პერგა-
მენტი. თითები: დაქნილი მასხრები — (ესეც „სპარსული“). 192, 28;

შემასმენლის მიხედვით უსრულ წინადადებათა სიმრავლეში აქა-
იკ გაიელვებს პრედიკატიანი წინადადება, რაც სავსებით საკმარისია
იმისათვის, რომ არ ვიგრძნოთ გრძელ კონტექსტში შემასმენლის არ
არსებობა და გონებამ აზროვნებითი ინერციით დააფიქსიროს, წაი-
კითხოს იგი. ასე რომ არ ხდებოდეს და გამოტოვებული შემასმენ-
ლის აღგილას „უპაერო სივრცე“ რჩებოდეს, საქმე ხელოვნებასთან
კი არა, ხელოსნობასთან გვექნებოდა.

უშემასმენლო წინადადებათა სემანტიკა და სტრუქტურა მიუთი-
თებს ე. წ. „შენაცვლების პრინციპზე“ (პეშკოვსკი, 1959, 41), როდეს-
საც გრამატიკულ ფორმებს ცვლის ინტონაციის დამაფიქსირებელი
ფორმები. მათში უშემასმენლო გამოხატულია არა ლექსიკური, არა-
მედ ინტონაციური საშუალებით, „ზმნა-შემასმენელი შეცვლილია მე-
ლოდიკური მიმოქცევით“, რაც ხელს უწყობს აზრის მკვეთრ გამო-
ხატვასა და ამავე დროს ჩამოთვლის მელოდიკის მოწესრიგებას, ე. ი.
რიტმულობას.

მაშასადამე, ამგვარ წინადადებათა გონიერულად გამოყენება
ზმნა-შემასმენლის შემცველი წინადადების გვერდით მნიშვნელოვან
სტილურ ეფექტებს იძლევა.

ქვემდებარის მიხედვით უსრული წინადადება

ქალი სამზარეულოსაკენ გადის. იქ შოფერი ხვდება. მაზუთიან
ხელით სპარსულ ლავაშს კეცავს და საშინლად ილუკმება. 33,
13; ფიქრები ტვინს წვავენ... საით წავიდა? სად გადაიკარგა?!
ხომ არ გადაჩეხილა?! ... იქ ხომ არ გადაუხვია?! არა... იქ რა
უნდოდა არჩიბალდ მეკესს?! მაგრამ იმედი შეუძლებელსაც ეპოტიანე-
ბა... ხოლო ფიქრი იჭენეულია მაინც: არა ... ქალი აბორგილია და
გამწარებული... წყევლის იმ დღეს ღოზანისას ... წყევლის ჩურ-
ჩულს ... წყევლის თავის თავს. რად უთხრა ტყუილი?! 48, 28;

მკვლელმა თვითონ უნდა განიცადოს თავის თავზე მკვლელობა.
მოსცილდეს თავის სხეულს. იხილოს მოკლული. სთხოვოს შენ-
დობა. 124, 14;

მაგრამ ყრმა დედის თუ დედობილის წინაშეა! **ფერხთქვედა-
ვარდება. კურთხევას თუ თხოვს — (თუ განშორებას?)** 25;

იოუბაქიძემ დააპირა ათენისაკენ წამოსვლა. მაგრამ უეცრად
ესპანიის ნახვა მოისურვა. გაემგზავრა. შემდეგ — ათენს მია-
შურა — საქართველოში აღარ დაბრუნებულა... 89, 14;

რადამე გახარებულია. გამართავს ღვინის შავი ზღვის პირას...
ბედისწერას გრძნობს. მოახტება თეთრ ტაიქს. გააჰყენებს. ცხენით
მომაგალ ცოლს ბეჭედს გადაუგდებს. 88, 24;

ღარდიმანდი კაცი. იცის ვენის ოპერეტები. მღერის კუ-
პლეტებს. — (ხმაზე მწყრაღადაა). იგონებს ვენის კოკოტებს.
მოგონებას ათავებს ნერწყვით და თითების ტკაცუნით. 310, 12;

არჩიბალდ მეკეში მუხის შრიალში უსმენს სიმღერას. ნეტავ
კიდევ სად მოისმინა?! ... სარკეში იხედება. ძროს ვერ ნახუ-
ლობს. 37, 25;

როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია შენიშნული, ამგვარ წი-
ნადაღებებში ქვემდებარე გამოტოვებულია, მაგრამ კონტექსტის მი-
ხედვით ნათლად ივარაუდება და მისი აღდგენა ადვილია. გამოტოვე-
ბული ქვემდებარე ზოგჯერ კონტექსტის თავშია დაფიქსირებული,
ზოგჯერ — ბოლოში.

ქვემდებარის მიხედვით უსრულ წინადადებაში მძიმის ნაცვლად
გამოყენებული წერტილი იმავე ეფექტს იძლევა, რასაც — უშემას-
მენლობაში.

აქაც, ისევე, როგორც შემასმენლის მიხედვით უსრულში, რო-
გორც მოტანილი მაგალითებიდანაც ჩანს, ერთმანეთს ენაცვლება
ქვემდებარისი და ქვემდებარედაუფიქსირებელი წინადადებები.

ქვემდებარის გამოტოვებით ყურადღება ეთმობა შესრულებულ
მოქმედებებს და არა მათ ჩამდენს. აქცენტირებული აზრის მკი-
თხველთან მიახლოების გარდა, ერთი და იმავე ენობრივი ნიშნის
ხშირად განმეორების თავიდან აცილებით იქმნება სტილის სისადავე,
თხრობის თავისუფლება და დინამიკურობა.

ასეთი კონსტრუქციების უფლებამოსილებას განაპირობებს ქარ-
თული ზმნის შინაგანი ბუნება, რადგან მის აგებულებაშივე ჩანს მო-
ქმედი თუ სამოქმედო პირები დასახელების გარეშე. ამიტომ თხრო-
ბისას ერთხელ თუ დაკონკრეტდა ზემოთ აღნიშნული რომელიმე პი-
რი, ახლო-მახლო მისი გამოტოვება არა თუ ქმნის უხერხულობასა
და გაუგებრობას, არამედ, როგორც ელიპსის კერძო შემთხვევა, სა-

სურველი საშუალებაა ლაკონურობისა და დინამიზმის მისაღწევად ერთფეროვნების თავიდან ასაცილებლად, აზრის გამოსაკვეთად.

ამრიგად, ორივე სახის უსრული წინადადების ანალიზის შედეგად შეიძლება დაეასკვნათ, რომ თავისი ფორმოზოლოგი არსით იგი სინტაქსური ელიპსის ერთ-ერთი სახეა, რომელსაც გრ. რობაქიძე სხვადასხვა სტილური დანიშნულებით იყენებს:

1. წინადადების რთული და შერწყმული კონსტრუქციების ჩასა-
ნაცვლებლად.

2. ფიქსირებული ფორმის გასამეორებლად თუ დასარღვევად.

3. ჩამოთვლის მელოდიკის გასაწონასწორებლად და, აქედან გა-
მომდინარე, რიტმის შესაქმნელად.

4. სათქმელისათვის ვიზუალურობის მისანიჭებლად ანუ სიტყვი-
ერი ნახატის შესაქმნელად.

5. მკითხველის გასააქტიურებლად, რადგან „აიძულებს“ მას გა-
მოტოვებული ენობრივი ნიშნის ამოცნობას.

6. ლოგიკურად მოსალოდნელი ენობრივი ნიშნის უგულებელყ-
ოვით მოულოდნელის მხატვრული ფენომენის განსაზოციელებლად.

ლიტერატურა

კვაჭაძე, 1966 — ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის
სინტაქსი, თბ., 1966.

რობაქიძე, 1996 — გრ. რობაქიძე, „სიმაართლე ჩემთვის ყველა-
ფერია“, თბ., 1996.

პეშკოვსკი, 1959 — А. М. Пешковский, Интонация и
грамматика: Избранные труды, М., 1959.

წყარო

გრ. რობაქიძე, გველის პერანგი, ფალესტრა, თბ., 1988.

One of the Types of Syntactic Ellipses in Gr. Robakidze's Works

Summary

A careful choice of sentence types makes Gr. Robakidze's style original. "The mystery of Georgian syntax lies in an ellipsis; it makes the Georgian syntax different from the syntax of other languages. In Gr. Robakidze's works the syntactic ellipsis is exemplified by the existence of incomplete sentences with the Subject and Predicate ellipses. They serve a number of purposes. The structure and semantics of the sentences in question are based on the "principle of substitution" i.e. the grammatical forms are substituted by the intonational ones. In them the subject and the predicate are expressed by means of a melodic line which in its turn creates the rhythm.

თამარ ინჯია

ჰემელბარე-შემასმენლის ინვარიანტი, ფიქსირებული ფორმის
დარღვევის საშუალება გრ. რობაქიძის შემოქმედებაში

გრძელ რობაქიძის შემოქმედების ენობრივ სტილს ზოგადად ფიქსირებული ფორმის გამეორებისა და დარღვევის ტენდენციითა უზუსტესი მონაცვლეობა ქმნის. ეს ტენდენციები მრავალფეროვან კონკრეტულ ენობრივ ფაქტებში ვლინდება. ერთ-ერთი ასეთი მომენტი — ქვემდებარე-შემასმენლის ინვარიანტი, როგორც ფიქსირებული ფორმის დარღვევის საშუალება.

ცნობილია, რომ ქართულ ენაში ნორმაა სინტაქსური წყვილის ასეთი რიგი: ქვემდებარე + შემასმენელი. შესაბამისად შემასმენელი + ქვემდებარე იქნება ინვერსიული წყობა. „სიტყვათა დალაგებისათვის წამყვანია შემასმენლის პოზიცია“ (კვაჭაძე, 1966, 225) და ქართულში მისთვის ნორმაა პოსტპოზიცია. სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია: „იმის გამო, რომ შემასმენელი წინადადების აზრობრივი და ფორმალური დერძია, როგორც გამონათქვამის მიზანი, წინადადების ბოლოში ამჯობინებს ყოფნას“ (აფრიდონიძე, 1988, 13).

გრძელ რობაქიძის ენაში კი, როცა „გამონათქვამის მიზანი“ არის არა მოქმედება (შემასმენელი), არამედ მოქმედი, ქვემდებარე ბოლოკიდურია. ამ შემთხვევაში მუშაობს მარტივი ფსიქოლოგიური მომენტი — ბოლო უფრო გვაძახსოვრდება, ყურადღება მასზე ჩერდება. მაშასადამე, ინვერსიული რიგი, შემასმენელი + ქვემდებარე, შესანიშნავი ენობრივი საშუალებაა ავტორის ჩანაფიქრის განსახორციელებლად.

ქართულ ენაში „შემასმენლის წინ გადმოწევის ერთ-ერთი ხელსაყრელი ფაქტორი ზმნის გარდღევადობაა, განსაკუთრებით კი ერთპირიანობა,“ (აფრიდონიძე, 1988, 88). ენის ამ შესაძლებლობას არცთუ იშვიათად იყენებს გრ. რობაქიძე. მაგრამ იგი ასევე წარმატებულად მიმართავს ქვემდებარე + შემასმენლის ინვერსიას ორპირიან გარდაუვალსა და გარდამავალ ზმნებში.

ყველაზე უფრო გავრცელებულია კონტაქტური ინფერსიული რი-
გი. ასეთი სინტაგმა ყველა სახის წინადადებაში გვხვდება: მაგ.
შერწყმულსა და რთულში, მაგრამ ხშირად ინფერსიული ქვემდებარე
+ შემასმენელი თავად წარმოადგენს წინადადებას:

მივარდება არჩიბალდ, 289, 23; **გაუძლებს გრანიტი?! 173**,
6; **გაივლის ხანი**, 88, 22; **შემოვარდება ალღან**, 295, 13; **რომ**
გავარდეს ცხენი?! 173, 1; **ყვირის ვაჟი**, 292, 15; **იგუდებიან ბი-**
ჭები, 168, 15; **ხტიან გოგოები**, 162, 31; **ილეწებიან ბიჭები**,
162, 33; **მოჭკრის ავტომობილი**, 53, 2; **დამარცხდა სააკაძე?!**,
222, 1; **შაირობს კიდევ ბოეტი**, 218, 2; **გახელდა მანგუ-ყაენ**,
90, 19; **აგონდება ქალს**, 52, 26; **მიდის ქალი**, 52, 14; **გადის ხა-**
ნი, 34, 22; **ხედავს ქალი**, 52, 17;

მწერალი ასეთივე სინტაგმას 2-ზე მეტ წევრიან წინადადებაებ-
შიც იყენებს:

ა) შემასმენელი ერთპირიანი გარდაუვალი ზმნითაა გამოხატუ-
ლი:

მის სამთავროში **ესვენა ჭვარი ვაზის**, 90, 14; ჰამადანიდან
მოჭკრის ავტომობილი, 29, 2; რამაზანიდან დაწყებული თანდათან
მატულობს აღმართი, 29, 12; ძვალსა და ძვალს შუა **გასულა**
ტყვია... 206, 25; **გავიდა უნგარ ქალაქის გარეთ**, 349, 30; სახეებ-
ში **სჩანდა გარჯა**, შრომის **მადლი**, 347, 25; დიდს ნამორზე **ზის**
არჩიბალდ, 166, 4; დილით რეშტის ბჭედან **მიდის ავტომობილი**,
110, 31; **მოკვდა მამა** ავი სენით, 95, 5;

ბ) შემასმენელი ორპირიანი გარდაუვალი ზმნითაა გამოხატული:

ამ ლეშს **უყმუიან მგლებიც**, 50, 27; ამ ლეშს **უყეფენ ძა-**
ღლები?! 50, 26; ერთ მაგიდას **უზის არჩიბალდ** ესტრადის ახლო,
247, 25; **აკვირდებოდა უნგარ** მომუშავეთ, 347, 22; **უტკერის არ-**
ჩიბალდ მეკეში მოცეკვავეთ და მამა აგონდება, 40, 17; მალალ ბჭეს
აწყდება ქალი, 48, 9;

გ) გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებიდან ჩანს, რომ არც ზმნის
გარდამავლობა უშლის ხელს ქვემდებარე + შემასმენლის ინფერსიას.
ასეთი სინტაქსური წყვილი ხშირია მის პროზაში.

ერთი წუთი-და ქალი ცხენიდან **მოხსნა მხედარმა**, 347, 27;
ფართქალს **აგრძელებს საცოდავი**, 49, 17; უდაბნოს მხილველთ
ხუთავს ჭიანჭველათა ლაბირინტი, 57, 4; მაგრამ რა **ქნას დარჩე-**
ნილმა? 131, 26; ეს საიდუმლო დინამიზმისა კარგად **იცის ადოლფ**
უნგარმა, 305, 14; თვითონ **გათხარა საწყალმა**, 293, 6; სმენა

წაიღეს ღმერთმანი ამ ბიჭებმა, 257, 31; სამი საათის შემდეგ მო-
აბრუნა უნგარმა ავტო და ისევ ქალაქისაკენ მოაშურა, 350, 31; წიგნი 1956 წლის
მარტის 10-ისათვის
ქართველი აიღეს მონღოლებმა, 90, 10; კარებს გიჩვენებთ მე
თქვენ, 218, 32; ამას გრძნობს ფალესტრა და ამორძალის თეძოებ-
ში ქალი იღვიძებს, 305, 32;

მომდევნო ქვემდებარეს პრეპოზიციულთან შედარებით ნაკლე-
ბად, მაგრამ თავისსავე წყობაში საკმაოდ ხშირად ახლავს მსაზღვრე-
ლი, რომელიც, იშვიათი გამონაკლისის გარდა, პრეპოზიციულია: შე-
მასმენელი + განსაზღვრება + ქვემდებარე. განსაზღვრების
გარდა, სინტაგმა შემასმენელი + ქვემდებარე შეიძლება სხვა წევ-
რითაც იყოს გათიშული.

შემასმენელი + განსაზღვრება + ქვემდებარე:

ამ დროს შემოდის მაღალი კაცი, 246, 9; არ დაემორჩილა
მხოლოდ დიდი კარდუ, 90, 12; აიხიზნა მთელი სამთავრო, 90,
21; ყვირის უცხო კაცი — (თამუნჩოა?!), 287, 26; ციხის საიდუმ-
ლო გასცეს ტფილელ სპარსებმა, 219, 29; ქალს დაეცა ცე-
ცხლის სუნთქვა, 345, 29; სისულელე მოროშა შემპარავმა ჟო-
ზეფმა, 345, 3-4; მყუდროებას მოარღვევს გაკაპახებული ფორდი,
43, 3; ტარო ნახევრად გაუქურჩავთ გაშოთილ ხელებს, 163, 1;
მყუდროებას ლეწავდა აშმაგებული ლითონი, 349, 32; იდგა წუ-
თზე სუნი, 347, 18; უკან ღგეფა გაადინა მეორე ცხენმაც, 345,
26; არ უნდათ გაიგონოს უცხო კაცმა, 281, 31;


მსაზღვრელიანი პოსტპოზიციური ქვემდებარე უფრო მკვეთრად
ფიქსირდება.


შემასმენელი + დამატება + ქვემდებარე:

მაგრამ რად ეტრფიან მას პოეტები?! 51, 18; ჟამიანობის ხანს
ეწვია ივერიას წმ. მამა იოვანნე: ბერი წმ. ათონიდან, 89, 6; —
მაგრამ დასწყევლოს სიბერე ღმერმა... 268, 21; ტანაყვანილი უც-
ქერის მოცეკვავეთ არჩიბაღდ მეკეში, 40, 8; გილიაზში უკვე და-
უწყვია გამოსვლა მირზა ქუჩუკ-ხანს, 188, 30; მის სახეზე ვერავინ
ამოიკითხა იამა ეს ახალგაზრდა ქალს თუ არა, 340, 34; რად
უმდერია მას პოეტები?! 51, 20;

კონტაქტურ და გათიშულ ინგერსიულ სინტაგმათა მონაცვლეო-
ბა ერთფეროვნების თავიდან აცილებას ემსახურება.

ახალ ქართულ ენაში სინტაქსურ წყვილში გავრცელებული, აქე-





დან გამომდინარე, ნორმად მიჩნეული, წყობის დარღვევა გრიგოლ რობაქიძის პროზაში გამოიყენება სხვადასხვა სტილური ფუნქციონირებით.

ა) ფისქირებულ ფორმის დარღვევით რეალიზდება ქართული ენის შესაძლებლობა წინადადებაში სიტყვათგანლაგების უმტკივნეულო ცვლისა. ყველაზე ნათლად ამას შინაარსობლივად ერთი და იმავე (ან თითქმის ერთი და იმავე) სინტაგმის როგორც პირდაპირი, ასევე ინვერსიული რიგით ერთმანეთის მახლობლად გამოყენება ცხადყოფს.

ნუ თუ გველის **პერანგმა მოაჯადოვა!**? 272, 2; (პირდაპირი რიგი);

არა: მართლაც **მოაჯადოვა** გველის **პერანგმა**, 272, 27 (ინვერსიული რიგი);

პირველ მაგალითში „გამონათქვამის მიზანი“ არის ბოლოკიდური შემასმენელი, მეორეში — ბოლოკიდური ქვემდებარე. ორსავე შემთხვევაში ლოგიკური მახვილი სინტაგმის მეორე წევრზე მოდის და გამოიკვეთება მისი მომენტური უპირატესობა. მსგავსი მაგალითებია:

- არჩიხალდ ხეზე ადის**, 277, 10
- აიხედავს** ზევით **არჩიხალდ**, 277, 5;
- თამუნჩო მიწვევა**, 284, 33;
- სძინავს** თავის ნამოსახლარზე **თამუნჩოს**, 285, 8;
- ვამებს გაგარდება**, 197, 13;
- ხალისობს ვამებს**, 196, 4;
- ვამებს** აქ შინა **კაცია**, 195, 30;
- ამშვიდებს ვამებს**, 94, 33;

ბ) სიტყვათა რიგის ენისათვის ჩვეული, ყოველდღიური და, ამდენად, გაცვეთილი ყალიბი, ბუნებრივია, ემოციურად ნეიტრალურია. მისი მუდმივი უცვლელი გამოყენება მომაბეზრებელია, მაგრამ გრიგოლ რობაქიძესთან ასე არაა. იყენებს რა მწერალი ჩვეულებრივის გვერდით საპირისპირო, ინვერსიულ ფორმებს, წინადადება ემფატიკურად იტვირთება, განცდის სტატიკა დინამიკით იცვლება.

გ) **ქვემდებარე + შემასმენელის** ინვერსიულ რიგში პრედიკატს გზა ეხსნება ცენტრისაკენ, რის შედეგადაც დადმაველ ტონს ცვლის აღმაველი ტონი. წინადადების წარმოსათქმელად საჭირო ერთიანი ინტონაციური ტალღა ნაწევრდება, ჰაერის ნაკადის მდინარეება რამდენადმე თანაბარი ხდება და აღიქმება გარკვეული რიტმი.

მაშასადამე, სტილური დანიშნულებით სინტაქსური ერთფეროვ-

ნების დარღვევა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ქმნის სიტყვის
როგორც ასეთის, ესთეტიკას.



ლიტერატურა

აფრიდონიძე, 1986 — შ. აფრიდონიძე, სიტყვათგანლაგება
ახალ ქართულში, თბ., 1986.

კვაჭაძე, 1966 — ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის
სინტაქსი, თბ., 1966.

წყარო

გრ. რობაქიძე, გველის პერანგი, ფალესტრა, 1988.

TAMAR INJIA

The Subject - Predicate Inversion as a Means of Violating the Fixed Order in Gr. Robakidze's works

Summary

Gr. Robakidze's style is generally characterized by the regular alternation of the fixed order and its violation. The tendency is realized in a number of ways. The Subject _ Predicate inversion is one of the means. The Subject _ Predicate inversion starts with the adverbial modifier of manner, which modifies the action carried out by the predicate. The order is of the following type; Adverbial modifier of manner + Predicate + Subject. In such cases the Subject is rarely preceded by a modifier, but if it is preceded by the one, the modifier is prepositive.

თავარ არაბული

ბილინგუა გავშვის მატყველების კარგმატული ასკეპტი

ბავშვის მატყველების კვლევისას მხედველობაშია მისაღები არა მარტო მისი წმინდა ლინგვისტური განვითარების საფეხურების კლასიფიკაცია, არამედ მისი პრაგმატული კომპეტენციის განვითარების თავისებურებების კვლევა.

ლენინსონის მიხედვით, პრაგმატიკა გამოიყენება კვლევის ისეთ სფეროში, სადაც ლინგვისტური თვისებები განიხილება ენის გამოყენებელთან კავშირში. გარკვეულ კონტექსტში გამონათქვამის ჩამოყალიბების დროს ადამიანი ახორციელებს **ინტერაქტიულ აქტებს** და **სამეტყველო აქტებს**. პირველი სტრუქტურის საშუალებით უზრუნველყოფს დისკურსის სრულყოფილებას, რაც თავის მხრივ საუბრის კოჰერენტულობის საწინდარია. ხოლო მეორის საშუალებით მოქმედი ახორციელებს გარკვეულ ქმედებებს, როგორცაა ქათინაური, თხოვნა, ბოდიში და ა. შ.

ოსტინი აღნიშნავს, რომ სამეტყველო აქტის თეორიის მიხედვით სამეტყველო აქტის შექმნა შემდეგი აქტების განხორციელებას მოითხოვს:

1. **ლოკუციური აქტი** (საგარაუდო მნიშვნელობის გადმოცემა);
2. **ილოკუციური აქტი** (კონკრეტული ენის ფუნქციის განხორციელება);
3. **პერლოკუციური აქტი** (ადრესატზე გარკვეული ეფექტის მოხდენა).

სერლი გამოყოფს **პირდაპირ** და **არაპირდაპირ** სამეტყველო აქტებს. პირველში ფორმასა და ფუნქციას შორის გამჭვირვალე დამოკიდებულებაა, ხოლო მეორეში აქტის ილოკუციური ძალა ზედაპირული სტრუქტურებიდან ვერ მიიღება.

ბრუნო ბარას მიხედვით, პირდაპირ სამეტყველო აქტში მოქმედი ამბობს იმას, რასაც უშუალოდ გულისხმობს. ხოლო არაპირდაპირ სამეტყველო აქტში მოქმედი გაცილებით მეტს გადასცემს მსმე-

ნელს, მაგრამ არა მარტო საკუთრივ თქმით, არამედ ურთიერთგაზიარებადი ფონისეული ცოდნითა და მსმენელზე გარკვეული დამსახურების გაკეთების უნარით.

ჩვენ მიერ განხილული ილოკაციური აქტები მოიცავს ბილინგვი ბავშვის თხოვნებს, ბოდიშებსა და უარის გამოთხატვას ფრაზებს როგორც ერთ, ისე მეორე ენაზე. შევეცადეთ, გაგვეჩვენოთ როგორ ახერხებს ბავშვი სავარაუდო მნიშვნელობის გადმოცემას (ლოკაციური აქტი), კონკრეტული ენის ფუნქციის განხორციელებას (ილოკაციური აქტი), როგორ ეფექტს ახდენს მისი ნათქვამი ადრესატზე (პერლოკუციური აქტი), როგორია მის მიერ კონკრეტულ ენაზე განხორციელებული ილოკაციური აქტი — პირდაპირი თუ არაპირდაპირი და შეინიშნება თუ არა ერთი ენიდან მეორეში, ან პირიქით, ლექსიკურ-გრამატიკულ ელემენტთა გადასვლის შემთხვევები.

საკვლევ მასალას წარმოადგენს ბილინგვი ბავშვის მიერ ბუნებრივ გარემოში შექმნილი მოდელები. სიტუაციური კითხვარებისა და ბავშვის უსაზღვრო წარმოსახვის უნარის ამოქმედების წყალობით საშუალება მოგვეცა გავცნობოდით ბილინგვი ბავშვის მიერ განხორციელებული ილოკაციური აქტების თავისებურებებს, იმ სემანტიკურ ფორმულებს, რომელთაც ბავშვი იყენებს მეტყველებაში; დაგვიჩვენებოდა იმ სოციალურ-კულტურულ ფაქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ილოკაციური აქტის რეალიზაციაზე, იმ საშუალებებს, რომელთაც ბილინგვი ბავშვი იყენებს ორივე ენის ნორმების დასაცავად. ამის წყალობით მოვახდინეთ ბავშვის მიერ შექმნილი ილოკაციური აქტების კლასიფიკაცია.

ელისის აზრით, პრაგმატული შეცდომების კვლევის დროს მხედველობაშია მისაღები ის ფაქტი, რომ მეტყველებისას დაცული უნდა იქნეს **მნიშვნელობისა** (როცა კონკრეტულ სოციალურ-ლინგვისტურ კონტექსტში აუცილებელია გარკვეული ილოკაციური აქტის შესრულება) და **ფორმის შესაბამისობა** (თუ რა ხარისხით რეალიზდება მოცემული აქტი კონკრეტული სიტუაციისთვის მისაღები ვერბალური თუ არავერბალური ფორმით).

შესაბამისად, თომასი განასხვავებს **სოციოპრაგმატულ წარუმატებლობას**, როდესაც ცდისპირი ვერ ახორციელებს სიტუაციისთვის შესაფერის ილოკაციურ აქტს, და **პრაგმალინგვისტურ წარუმატებლობას**, როდესაც ცდისპირი ცდილობს განახორციელოს სწორი სამეტყველო აქტი, მაგრამ იყენებს არასწორ ლინგვისტურ საშუალებას.

ბებს. ბავშვის მეტყველებაში შეინიშნება როგორც ერთი, ისე მეორე ტიპის შეცდომები, რომელთაც მოგვიანებით შევხებით.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩვენ მიერ განხილული ილოკაციური აქტები მოიცავს თხოვნებს, ბოდიშებსა და უარს. შევეხოთ თითოეულ მათგანს.

თხოვნა არის მთქმელის მცდელობა მსმენელს შეასრულებინოს ან შეაწყვეტინოს გარკვეული ტიპის ქმედება.

როდ ელისი გამოყოფს თხოვნის შემდეგ თვისებებს:

1. ინტერაქციული თვისებები:

- თხოვნა დისკურსში ინიციატორულ ფუნქციას ემსახურება. იგი ხშირად გვევლინება საუბრის წამომწყებად.
- თხოვნა შეიძლება რეალიზდეს ერთ სვლაში ან მოიცავდეს რამდენიმე სვლას, როგორცაა მოსამზადებელი, წინარე თხოვნა, საკუთრივ თხოვნა, თხოვნის მიზნის ახსნა.

2. ილოკუციური ასპექტები:

- მთქმელს სურს, მსმენელმა შეასრულოს თხოვნა; სჯერა, მსმენელს შეუძლია მოქმედების შესრულება და რომ, მოქმედება არ შესრულდება თხოვნის გარეშე.
- თხოვნა შეიძლება იყოს მეტ-ნაკლებად პირდაპირი. როდ ელისის მიხედვით, ბლუმ-კალკა და მისი თანაავტორები გამოყოფენ თხოვნის რვა სტრატეგიულ ტიპს, რომელთაც ისინი პირდაპირობის ხარისხის მიხედვით ალაგებენ.
- თხოვნა ექვემდებარება შინაგან და გარეგან მოდიფიკაციას. შინაგანი მოდიფიკაცია გლინდება „შემარბილებლებისა“ (რომელთა მიზანია ქმედების ძალის შერბილება და თავაზიანობის გამოხატვა) და „გამაძლიერებლების“ (რომელთა მიზანია ქმედების ინტენსივობის გაზრდა) ხმარებაში. გარეგანი მოდიფიკაცია შედგება სვლებისგან, რომლებიც გვხვდება მთავარი ქმედების წინ ან შემდგომ. ეს სვლებიც შეიძლება დაჯგუფდეს „შერბილების“ თუ „გამაძლიერების“ მიზნის მიხედვით.
- თხოვნა შეიძლება კოდირებულ იქნეს **მთქმელის პერსპექტივიდან, მსმენლის პერსპექტივიდან, გაერთიანებული პერსპექტივიდან და უპირო პერსპექტივიდან.**

3. სოციოლინგვისტური ასპექტები:

- კასპერის აზრით, თხოვნა თავისთავში მოიცავს გარკვეული

მოქმედების შესრულების თავს მოხვევას მსმენლისთვის. ილოკაციური აქტის რეალიზაციისთვის საჭირო ლინგვისტურ ერთეულთა არჩევანი დამოკიდებულია სოციალურ კონტექსტზე, რომელიც უკავშირდება მოქმელსა და ადრესატს შორის არსებულ ურთიერთობებს.

- თუმცა თხოვნის ძირითადი სოციალურ-პრაგმატული კატეგორიები ბევრ ენაში მოგვეპოვება, მათ შორის არსებობს პრაგმა-ლინგვისტური განსხვავებანი, რომლებიც უკავშირდება მოცემულ სიტუაციაში თხოვნის კონკრეტული ფორმის შერჩევას.

ჩვენ მიერ შეკრებილი მაგალითები მთლიანად ესადაგება როდელისის კლასიფიკაციას.

1. ინტერაქციული თვისებები:

Bring me a new book, please. These stories are boring.

- ეს თხოვნა წარმოადგენს პირდაპირ ილოკუციურ აქტს, რომელსაც მოსდევს თხოვნის მიზეზის ახსნაც. ასეთი გამონათქვამი შესაძლოა საუბრის დამწყებ საშუალებად მივიჩნიოთ.
- ბავშვი: Can you bring me a new book? (წინარე თხოვნა)
უფროსი: Why? მსმენლის მიერ განმარტების მოთხოვნა)
ბავშვი: These stories are boring. (თხოვნის მიზეზის ახსნა)
Read new ones, please! (საკუთრივ თხოვნა)

ეს თხოვნა შედგება სამი სვლისგან: პირველი წარმოადგენს არაპირდაპირ ილოკუციურ აქტს, მეორე — წინარე თხოვნას, მესამე — თხოვნის მიზეზის ახსნასა და მეოთხე — საკუთრივ თხოვნას, რომელიც, თავის მხრივ, პირდაპირი ილოკაციური აქტია.

2. ილოკუციური ასპექტები:

- When you come, can you take your son with you? I want to play with him. ბავშვმა მომმართა ასეთი თხოვნით, რადგან ჩათვალა, რომ მოქმედება არ შესრულებოდა თხოვნის გარეშე.
- Give me a book! (პირდაპირი თხოვნა)
Can you give me a book? (არაპირდაპირი თხოვნა)
- Let's play ball! Give me your pencil! (ბავშვი მეგობრად აღმიქვამს და, შესაბამისად, მისი მეტყველება ზოგჯერ არ შეიცავს „შემარბილებლებს“)
- Tell me the story (მოქმელის პერსპექტივიდან კოდირებული თხოვნა)

Can you take me to a zoo? (მსმენელის პერსპექტივიდან კოდირებული თხოვნა)

Let's eat a chocolate (გაერთიანებული პერსპექტივიდან კოდირებული თხოვნა)

It would be great to go to a dance (უპირო პერსპექტივიდან კოდირებული თხოვნა).

3. სოციოლინგვისტური ასპექტები:

- ბილინგვი ბავშვისთვის მნიშვნელოვანია სოციალური კონტექსტი, მთქმელსა და ადრესატს შორის არსებული ურთიერთობები. შესაბამისად, იგი სხვადასხვაგვარად მიმართავს მის გარშემო მყოფ ადამიანებს. მაგალითად:

— მოდი, ერთად ვითამაშოთ! (მეგობრის მიმართ)

— შენც მოდი, რა (ჩემ მიმართ)

ბილინგვი ბავშვი გრძნობს განსხვავებას მის თანატოლსა და ჩემ შორის. ამიტომ ჩემდამი მომართვისას იყენებს შემარბილებელს

— „რა“.

- ინგლისურსა და ქართულში ბილინგვი ბავშვი ხშირად იყენებს ეკვივალენტურ სტრუქტურებს. თუმცა მის მეტყველებაში დადასტურდა სოციო-პრაგმატული განსხვავებანიც, რომელთაც ქვემოთ შევვხებით.

როდესაც ელისის მიხედვით, თხოვნები სხვადასხვა ენაში გადმოიცემა ნათლად გამოკვეთილი ფორმულებით. ამა თუ იმ ენაში რომელიმე სტრუქტურის ზედმეტად განზოგადებით, ბილინგვა შესაძლოა მოცემულ ენაში ზედმეტად მგრძნობიარეც გახდეს. მაგალითად, ინგლისურ ენაში თხოვნის გამომხატველ ეფექტურ თავაზიანობის მარკერს წარმოადგენს სიტყვა „please“. ჩემი ცდისპირი, ანა, რომელიც ძირითადად ინგლისურ გარემოში იზრდება, ქართულ ენაზე საუბრისას ხშირად იყენებს ზემოაღნიშნული ლექსიკური ერთეულის ეკვივალენტურ ფრაზებს:

1. ის წიგნი ჩამომიღე, ძალიან გთხოვ!

2. გეხვეწები, სათამაშო მომიტანე!

აღსანიშნავია, რომ თავის მეტყველებაში ანა არ იყენებს სიტყვის „please“ ქართულში „გეთაყვა“. ამის მიზეზი ალბათ ის არის, რომ ეს სიტყვა ქართულში ხმარებდან თითქმის გამოსულია.

განსხვავებული სურათი გვაქვს დუქანისა და ლამას შემთხვევაში. რამდენადაც ბავშვები ქართულ გარემოში იზრდებიან, ისინი

ძირითადად ქართული თავაზიანობის ფორმულებით სარგებლობენ. შესაბამისად, მათთვის „please“ კარგავს ეფექტურ მნიშვნელობას როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენაში. ამგვარად, ინგლისურად საუბრისას მათი მეტყველება ზედმეტად კატეგორიული ხდება, ე. ი. ადგილი აქვს სოციო-პრაგმატულ წარუმატებლობას. მაგალითად:

- 1) Can you draw birdie?
- 2) Give me that pencil!
- 3) Take this car and play with me!

მაშასადამე, თხოვნის გამოხატვის საშუალებად ბავშვები იყენებენ ბრძანებით კილოს, რაც მათ თხოვნებს ნაკლებ თავაზიან იყრის აძლევს.

ჩემი აზრით, ზემოაღნიშნულ მაგალითებში ადგილი აქვს პრაგმატული ინტერფერენციის შეცდომებს. კერძოდ, ბავშვი ხელმძღვანელობს მასთან ყველაზე ახლო მდგომი ენის თავაზიანობის ნორმებით. ამდენად, პრაგმატული წარუმატებლობის თავიდან ასაცილებლად არსებითი მნიშვნელობა აქვს როგორც პირველი, ისე მეორე ენის ცოდნის დონეს, გამოცდილების ხარისხს, მოცემულ ენაზე მოსაუბრეთა სოციო-ლინგვისტურ ნორმებთან სიახლოვესა და ილოკუციური აქტის განხორციელების დროს სოციალურ-ლინგვისტური კონტექსტის გათვალისწინებას.

ამგვარად, ბავშვის მიერ თხოვნის გამოხატვის ძირითადი სტრატეგიებია: ბრძანებითი კილოს ხმარება თავაზიანობის აღმნიშვნელი სიტყვებით ან მათ გარეშე, პირდაპირი ილოკუციური აქტების შექმნა და ფორმულების გამოყენება (მაგალითად, let's..., shall we... და ა.შ.). უფროსის მეტყველებაში ნახარი სტერეოტიპული გამონათქვამების, ლექსიკური ერთეულებისა და გრამატიკული სტრუქტურების იმიტაცია ბავშვს საკუთარი მეტყველების მოდიფიკაციისა და საუბრის სტრატეგიების ჩამოყალიბების საშუალებას აძლევს. მაგალითად:

- 1) Let's draw a flower.
- 2) Let's to cook a meal.
- 3) Shall we listen the cassetta?
- 4) Shall we going to outside

ქვემოთ წარმოდგენილია ბლუმ-კალკასელი თხოვნის რეალიზაციისთვის საჭირო სტრატეგიების კლასიფიკაცია:

პირდაპირი	1. კილოს განმსაზღვრელი 2. პერფორმატივი 3. თაგაზიანი პერფორმატივი	You shut up! I'm telling you to shut up. I'd like to ask you to shut up.
პირობითად არაპირდაპირი	4. გამონათქვამის განმსაზღვრელი 5. შეთავაზების ფორმალა 6. კითხვის მოსამზადებელი	I want you to shut up. Let's play a game. Can you draw a horse for me?
არაპირობითად არაპირდაპირი	7. ძლიერი მინიშნება 8. სუსტი მინიშნება	This game is boring. We've been playing this game for over an hour now.

ზემოაღნიშნულ კლასიფიკაციაში მოცემული სტრატეგიებიდან ჩემს ცდისპირთა მეტყველებაში დადასტურდა შემდეგი:

პირდაპირობის

სტრატეგია

მაგალითი

დონე

პირდაპირი	1. კილოს განმსაზღვრელი	You write what I say. Give it to me
პირობითად არაპირდაპირი	2. გამონათქვამის განმსაზღვრელი 3. შეთავაზებითი ფორმალა 4. კითხვის მოსამზადებელი	I want you play with me. I want you sing with me. Let's play ball. Shall we see movie! Can you count a cards? can you draw a tree?
არაპირობითად არაპირდაპირი	5. ძლიერი მინიშნება	This story isn't interesting.

როგორც მაგალითებიდან ჩანს, ინგლისურად მეტყველებისას თხოვნის რეალიზაციისთვის ბავშვი იყენებს ხუთ ხერხს. აღსანიშნავია, რომ ქართულად მეტყველების დროსაც ბავშვი აქტიურად

სარგებლობს კილოსა და გამონათქვამის განმსაზღვრელი სტრატეგია-
გებით. მაგალითად:

კილოს განმსაზღვრელი:

1. ეგეთი ნიანგი არ მომწონს. სხვანაირი დავხატოთ, რა!
2. დიდი მანქანა მოიტანე, რა!

გამონათქვამის განმსაზღვრელი:

1. მე მინდა, რომ ვიმღერო.
2. მე მინდა, რომ მომიყვე.

ქართულად მეტყველებისას დადასტურდა შეთავაზებითი ფორ-
მულის გამოყენება:

1. მოდი, ვითამაშოთ, რა.
2. წავიდეთ სასეირნოდ, რა.

აღსანიშნავია, რომ ქართულად თხოვნა ხშირად გამოიხატება
ინტონაციითა და შემარბილებელი ნაწილაკით „რა“. მეოთხე სტრა-
ტეგია, რომელსაც ბავშვი იყენებს ქართულად მეტყველებისას, არის
კეთხვის მოსამზადებელი. მაგალითად:

1. შეგიძლია, ეს წამიკითხო?
2. შეგიძლია, დამიწერო?

ბავშვის ქართულად მეტყველებაში შემხვდა ძლიერი მინიშნების
შემთხვევები:

1. ეს მანქანა აღარ მუშაობს (იგულისხმება, ამით აღარ ვითა-
მაშოთ).
2. ეს ფილმი არ მომწონს (იგულისხმება, აღარ ვუყუროთ).
3. ეგ ზღაპარი სულელობაა (იგულისხმება, აღარ მომიყვე).

საინტერესოა, თუ როგორ დაეუფლა ბავშვი თხოვნის რეალიზა-
ციის ამდენ ხერხს როგორც ერთ, ისე მეორე ენაზე სულ რაღაც ორ
წელიწადში. თუ თვალს გადავავლებთ ბავშვის მეტყველების განვი-
თარების პროცესს, ნათელი გახდება ბავშვის მიერ კონკრეტული
სამეტყველო აქტების წარმოთქმის უნარის ჩამოყალიბების სპეცი-
ფიკა.

პოლოფრასტიკული მეტყველების საფეხურზე თხოვნის გამოსა-
ხატავად ბავშვი იყენებს უზმნო გამოთქმებს, რომელთაც მოგვიანე-
ბით ემატება „please“. მაგალითად, Doll! Candy! Play! Pencil, please!
Ball, please! ამ პერიოდში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, მხედვე-
ლობაში მივიღოთ კონტექსტი, ბავშვის მიმოკა და ინტონაცია იმი-
სათვის, რომ სწორად ჩავწვდეთ მის განზრახვას. ასაკის მატებასა და
გამოცდილების ზრდასთან ერთად ბავშვის მეტყველება მდიდრდება

ბევრი ახალი ლექსიკო-გრამატიკული ერთეულით. პირველ ყოვლისა, მის მეტყველებაში მკვიდრდება კილოს განმსაზღვრელი თხოვნები ზმნის ბრძანებითი კილოს ფორმით: Give me ball! Tell me story! მხოლოდ მოგვიანებით ჩნდება კითხვის მოსამზადებელი თხოვნის ტიპები: can I have this book? Can I have toybox? თავიდან Can I have... ფორმულის სახით გამოიყენება. მოგვიანებით ბავშვი მას სხვა კონტექსტშიც იყენებს: Can I get it? can I show the cassette?

აღსანიშნავია, რომ ბავშვის ადრეულ მეტყველებაში თხოვნა ჩვეულებრივ კოდირებულია მთქმელის პერსპექტივიდან. თხოვნის გამოხატვის სტრატეგიების ზრდასთან ერთად მთქმელის პერსპექტივას ემატება მსმენელის პერსპექტივაც. მაგალითად, Could you help me with this house? I can't make it..

აღსანიშნავია, რომ ბავშვის თხოვნების უმრავლესობა პირდაპირი ტიპისაა, ე. ი. ბავშვი თავის თხოვნას მკვეთრად გამოხატულ სახეს აძლევს და ხშირად გვერდს უვლის თხოვნის შემარბილებელი თავაზიანობის ფორმულების გამოყენებას. მაგალითად, Give this book to me! ნელ-ნელა ბავშვი იძენს თხოვნის მართებული ფორმით რეალიზაციისათვის საჭირო მრავალ სტრატეგიას, თავაზიანობის ნორმებს, ადრესატის მიხედვით თხოვნის არჩევის მოდიფიკაციის უნარს, რაც მის მეტყველებას გაცილებით დახვეწილ სახეს აძლევს და მის მიერ გამოხატულ თხოვნებს შესაფერის ლოკუციურ, ილოკუციურ და პერლოკუციურ დატვირთვას შესძენს.

ბოდიში. თუ თხოვნა მომავალ მოვლენებს უკავშირდება, ბოდიშის მოხდა წარსულ ქმედებაზე გარკვეული რეაქციის გამოხატვაა. ბოდიშს ჩვეულებრივ იხდის მთქმელი, რომელიც აღიარებს თავის პასუხისმგებლობას შესრულებულ ან შეუსრულებელ ქმედებაზე, რაც მნიშვნელოვანია მსმენელისთვის, ე. ი. ბოდიში ავალდებულებს მთქმელს და არა მსმენელს.

ოლშტეინის აზრით, ბოდიშის მოხდის სტრატეგიები უნივერსალურია, ე. ი. ერთი და იმავე სოციალური და კონტექსტუალური ფაქტორებისა და შეურაცყოფის ერთი და იმავე ხარისხის შემთხვევაში სხვადასხვა ენაში ბოდიში ერთი და იმავე გზით რეალიზდება. განსხვავება მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ მთქმელმა შეიძლება თავიდან აიცილოს ბოდიშის მოხდის პასუხისმგებლობა ან ნაკლები ინტენსივობით გამოხატოს სინანული.

როდ ელისის მიხედვით, ბოდიშის მოხდის სტრატეგია შეიძლება

იყოს პირდაპირი (საკუთრივ ბოდიშის მოხდა, რომელიც რეალიზდება ექსპლიციტური ილოკუციური ძალით და გამოიხატება სტერეოტიპული ბუნების მექანიზმით) ან არაპირდაპირი (ბოდიშის გამოხატვა იმპლიციტური ილოკუციური ძალით). ბოდიში რეალიზდება სხვადასხვა დონის ინტენსივობით. მაგალითად, I'm sorry / I'm really sorry.

ბოდიშის მოხდის დროს მნიშვნელოვანია ისეთი პარალინგვისტური თვისებები, როგორიცაა ხმის ტონალობა და ინტონაცია.

ოლშტეინმა და კოპენმა მოახდინეს ბოდიშის მოხდის შემდეგი კლასიფიკაცია:

სტრატეგია

მაგალითი

1. ბოდიშის გამოხატვა • სინანულის გამოხატვა • ბოდიშის შეთავაზება • პატიების თხოვნა	I'm sorry. I apologize. Excuse me.
2. სიტუაციის ახსნა	The bus was late.
3. პასუხისმგებლობის აღიარება • დანაშაულის საკუთარ თავზე აღება • საკუთარი უძღვრების გამოხატვა • მეორე პიროვნების ბოდიშის მოხდის ღირსად აღიარება • რაღაცის შემთხვევით გაკეთების აღიარება.	It's my fault. I wasn't thinking. You're right. I didn't mean to.
4. დანაკლისის ანაზღაურების შეთავაზება	I'll pay for the broken vase.
5. დანაშაულის აღარ ჩადენის პირობა	It won't happen again.

ზემოაღნიშნული კლასიფიკაციიდან ჩემი ცდისპირების მეტყველებაში დადასტურდა შემდეგი ოთხი სტრატეგია:

სტრატეგია

მაგალითი

1. სინანულის გამოხატვა	I'm sorry.
2. სიტუაციის ახსნა	I lost the book; I wasn't at home.
3. დანაკლისის ანაზღაურების შეთავაზება	Don't worry, I'll fix it.
4. დანაშაულის აღარ ჩადენის პირობა	I won't be late any more; I won't lie again.

თითქმის იგივე სურათი გვაქვს ქართულშიც. ბავშვი ძირითადად იყენებს ფორმულებს: ბოდიში, რომ... მაპატიე... და ა. შ., ემყარება მიმართავს სინანულის გამოხატვის სტრატეგიას:

1. ბოდიში, რომ ვერ მოვედი.
2. ბოდიში, რომ შენი მოცემული მანქანა გავტეხე.
3. მაპატიე იმისთვის, რომ დაგავიანე.

ბავშვი ხშირად ხსნის სიტუაციას ან თავის გასამართლებელ საბუთზე მიუთითებს:

1. ჩემი სახეიმო კოსტუმი ვერ ვიპოვე.
2. მამა სახლში არ იყო, ვერ დამეხმარა.

ბავშვი იყენებს დანაშაულის აღარ ჩადენის პირობის დამდებ სტრატეგიასაც:

1. ასე აღარ ვიზამ. 2. ეს აღარ მოხდება.

ჩემი ცდისპირების მეტყველებაში შემხვდა ლექსიკური ინტერფერენციის შემთხვევებიც:

1. Sorry, but შენი ბლოკნოტის გასაღები გამიტყდა.
2. Sorry, არ მინდოდა.

იმდენად, რამდენადაც ბავშვს ორივე ენის კულტურასთან უშუალო კავშირი აქვს, მას უნებურად უწევს ორივე ენის სოციალურ-კულტურული ნორმების ათვისება, რაც აადვილებს მოცემულ ენაზე კონკრეტული სამეტყველო აქტის რეალიზაციას.

მხედველობაშია მისაღები ის ფაქტი, რომ ბავშვის ცოდნის დიპაზონი ჯერ არ არის იმხელა, რომ მან ოლშტეინის კლასიფიკაციაში აღნიშნული ბოდიშის მოხდის ყველა სტრატეგია ზედმიწევნით გამოიყენოს. მას განვითარების ჯერ კიდევ დიდი გზა აქვს გასავლელი საბოდიშე სიტუაციაში სწორად ორიენტაციისა და ბოდიშის მოხდასთან დაკავშირებული უნივერსალურობისა და კონკრეტული ენის სპეციფიკის სრულფასოვნად აღქმამდე.

უარი

უარი მრავალი ილოკუციური აქტის პასუხია (როგორიცაა, მიწვევა, შეთავაზება, თხოვნა და ა. შ.). უარის წარმოება ხდება პირდაპირი და არაპირდაპირი „სემანტიკური ფორმულებით“, რომელთა არჩევანიც დამოკიდებულია მთქმელსა და მსმენელს შორის არსებულ უკრთიერთობებზე, სტატუსსა და ძალაუფლების ხარისხზე.

წარმოგიდგენთ ბიბისა დაუილს-უელტისს უარის თქმის დროს გამოყენებული სემანტიკური ფორმულების კლასიფიკაციას:



პირდაპირი	1. პერფორმატული	I refuse.
	2. არაპერფორმატული	I can't
არაპირდაპირი	3. სინანულის გამოხატვა	I'm sorry.
	4. სურვილის გამოხატვა	I wish I could help you.
	5. მიზეზი, ახსნა	I have a headache.
	6. ალტერნატივის გა- მოხატვა	I'd prefer to..
	7. მოქმედების შესრულებ- ის წარსული ან მომავალი პირობის წაყენება	If you'd asked me earlier, I'd have...
	8. მომავალში მოქმედების შესრულების პირობა	I'll do it next time.
	9. პრინციპის გამოხატვა	I never do business with friends.
	10. ფილოსოფიური მტკი- ვნება	One can't be too careful
	11. მოსაუბრის გადარწ- მუნების ცდა	I won't be any fun tonight
	12. დათანხმება, რომელიც უარის ტოლფასია	Well, maybe..
	13. თავიდან აცილება (სიჩუმე ან თავაზიანი პერფორმატივი)	I'm not sure

ზემოაღნიშნული კლასიფიკაციიდან ჩემს ცდისპირთა მეტყველე-
ბაში უარის წარმოების დროს დადასტურდა რვა ტიპის სემანტიკუ-
რი ფორმულა, კერძოდ:

ტიპი

სემანტიკური ფორმულა

მაგალითი

პირდაპირი	1. არაპერფორმატული	I can't
არაპირდაპირი	2. სინანულის გამოხატვა	I'm sorry.
	3. სურვილის გამოხატვა	I wish I could come with you.
	4. მიზეზი, ახსნა	I'm tired.

5. მომავალში მოქმედების შესრულების პირობა	I'll tell this story tomorrow.
6. პრინციპის გამოხატვა	I never go out alone in the night.
7. დათანხმება, რომელიც უარის ტოლფასია	Well, maybe..
8. თავიდან აცილება (სიჩუმე ან თავაზიანი პერფორმატივი)	I'm not sure; I don't know.

ქართულში უარის გამოხატველ არსებით ელემენტს წარმოადგენს სიტყვა „არა“. ქვემოთ წარმოგიდგენთ დიალოგს ჩემსა და დუნქანს შორის, რომელშიც უარის თქმის რამდენიმე სტრატეგიაა თავმოყრილი:

უფროსი: წავიკითხო ეს წიგნი?

ბავშვი: არა, რა. დღეს არა.

უფროსი: აბა, როდის წავიკითხოთ?

ბავშვი: ხვალ, რა.

უფროსი: რატომ?

ბავშვი: ძალიან დავიღალე.

უფროსი: ხვალ მომისმენ?

ბავშვი: არ ვიცი, ვნახოთ, თუ დადლილი არ ვიქნები...

უფროსი: რამ დაგღალა? კლუბში იყავი? (იქ მისი მშობლები მუშაობენ)

ბავშვი: მე არ დაგდივარ კლავში. ჯერ პატარ ვარ.

ამ პატარა დიალოგში თავს იჩენს ბიბიისეული ექვსი სემანტიკური ფორმულა. კერძოდ: არაპერფორმატული, მომავალი ქმედების პირობა, -თავის გამართლება, პასუხისმგებლობის თავიდან აცილება, დათანხმება, რომელიც უარის ტოლფასია და საკუთარი პრინციპის დაცვა.

ხშირად ბავშვი უარს სიჩუმითაც გამოხატავს:

უფროსი: Can you give me your car?

ბავშვი: (სიჩუმე)

როგორც ვხედავთ, ბავშვი გადის ლინგვისტური განვითარების გრძელ გზას — მარტივი სტრუქტურებიდან გადადის რთული

სტრუქტურების გამოყენებაზე როგორც ერთ, ისე მეორე ენაში. ამ პროცესს სხვა ტიპის შეცდომებთან ერთად თან ახლავს სოციოპრაგმატიკული და პრაგმალინგვისტური შეცდომები, რაც ბავშვის მეტყველების განვითარების თავისებურებებს კიდევ უფრო თვალსაჩინოდ წარმოგვიდგენს.

სოციოპრაგმატიკულ შეცდომას მაშინ აქვს ადგილი, როცა ბავშვი ვერ აცნობიერებს ლინგვისტურ კონტექსტს და, შესაბამისად, ვერ ახორციელებს სიტუაციისთვის შესაფერის ილოკუციურ აქტს. მაგალითად:

1. უფროსი: What a beautiful tie you're wearing!

ბავშვი: (სიჩუმე).

2. შემთხვევით ფეხი დამაბიჯა. შემომხედა, მაგრამ არაფერი თქვა.

პირველ მაგალითში ბავშვი ვერ აცნობიერებს, რომ ქათინაურის მიღების შემთხვევაში თავაზიანობის ნორმების თანახმად, მადლობა უნდა თქვას. ხოლო მეორე მაგალითში მორიდებულობის ან დაბნეულობის შედეგად ბავშვმა თავი შეიკავა ბოდიშის მოხდისგან.

აღსანიშნავია, რომ სოციოპრაგმატიკულ შეცდომათა ძირითადი მიზეზი სწორედ სიმორცხვე, მორიდებულობა ან დაბნეულობაა.

ბავშვის მეტყველებაში დადასტურდა პრაგმალინგვისტური შეცდომებიც. ეს ის შემთხვევაა, როცა ცდისპირი ცდილობს განახორციელოს სწორი სამეტყველო აქტი, მაგრამ იყენებს არასწორ ლინგვისტურ საშუალებებს. მაგალითად:

უფროსი: What a nice dress! has you mom bought it?

ბავშვი: I don't like it. I only wear it at home.

ამ შემთხვევაში ბავშვი ქათინაურის მიღების შედეგად მადლობის გადახდის ნაცვლად, კონკრეტული საგნის მიმართ თავის გულგრილ დამოკიდებულებას გამოხატავს.

მამასადამე, ბავშვი თავისებურად აწარმოებს სხვადასხვა ილოკუციურ აქტს. ბლუმ-კალკას თხოვნის რეალიზაციის სტრატეგიების, ოლშტეინის ბოდიშის მოხდის სტრატეგიებისა და ბიბის უარის გამოხატველი სემანტიკური ფორმულების განხილვის შედეგად საშუალება მოგვეცა გაგვეანალიზებინა ბავშვის მეტყველების პრაგმატიკული ასპექტი. როგორც ზემოაღნიშნულიდან ჩანს, განვითარების მოცემულ ეტაპზე (4-7 წლის ასაკში) ბავშვი ვერ ახერხებს სრულყოფილად გამოიყენოს ყველა სტრატეგია თუ თავაზიანობის ფორმულა, რომელთაც უფროსი იყენებს. ზემომოყვანილი კლასიფიკაციე-

ბიდან ბავშვი სარგებლობს თხოვნის რეალიზაციის შემდეგი სტრატეგიებით: კილოს განმსაზღვრელი, გამონათქვამის განმსაზღვრელი, შეთავაზებითი ფორმულა, კითხვის მოსამზადებელი და ძლიერი მინიშნება; ბოდიშის მოხდისას ბავშვი იყენებს შემდეგ სტრატეგიებს: სინანულის გამოხატვა, სიტუაციის ახსნა, დანაკლისის ანაზღაურების შეთავაზება და დანაშაულის აღარ ჩადენის პირობა; უარის თქმის შემთხვევაში გამოიყენება შემდეგი სტრატეგიები: არაპერფორმატული, სინანულის გამოხატვა, სურვილის გამოხატვა, მიზეზი, ახსნა, მომავალში მოქმედების შესრულების პირობა, პრინციპის გამოხატვა, დათანხმება, რომელიც უარის ტოლფასია და პასუხისმგებლობის თავიდან აცილება (სიჩუმე, თავაზიანი პერფორმატივი). აღსანიშნავია, რომ სასურველი პრაგმატული ეფექტის მოსაზღვრად, შესაფერისი სტრატეგიის თუ თავაზიანობის ფორმულის შესარჩევად საჭიროა არა მარტო სოციალური კონტექსტის, ადრესატის სტატუსისა და საუბრის თემის მხედველობაში მიღება, არამედ ასაკის მატება და საკმარისი გამოცდილების დაგროვებაც.

ლიტერატურა

ლარსენ-ფრიმენი, ლონგი, 1991 — D. Larsen-Freeman and M. H. Long. An Introduction to Second language Acquisition research. Longman, 1991.

ვოლას რობინეტი, 1983 — Betty Wallace Robinette and Jacquelyn Schachter. Second Language learning. The University of Michigan Press, 1983.

ლევინსონი, 1997 — S. C. Levinson. Pragmatics. Cambridge University press, 1997.

ელისი, 1994 — R. Ellis. The Study of Second Language Acquisition. Oxford University Press, 1994.

კრაშენი, 1988 — S. D. Krashen. Second language Acquisition and Second language learning. prentice Hall. New York, London, 1988.

Pragmatic Aspects of Bilingual Child language Acquisition

Summary

The paper deals with pragmatic aspects of a bilingual child language acquisition and comes to the conclusion that a bilingual child even at an early stage of development uses various speech strategies for successful communication; i. e. request strategies like mood-derivable, locution-derivable, suggestory formula, query-preparatory, strong hint; apologizing strategies like expression of regret, an explanation of the situation, an offer of repair, a promise for forbearance; and semantic formulas used in refusals like non-performative statement of regret, wish, excuse, reason, explanation, promise of future acceptance, statement of principle, acceptance that functions as refusal, avoidance (e. g. silence or hedging).

It has been proved that later, as a result of gaining more general knowledge and further linguistic experience, a bilingual child gradually begins using more strategies suggested by Blum-Kulka, Olshtain and Beebe in their classifications.

მარიკა შერაზადიშვილი

სუბიექტური მოდლობა და მისი გამოხატვის საშუალებანი

ტერმინი „მოდლობა“ ენათმეცნიერებაში არაერთმნიშვნელოვანია. ამ ტერმინით აღინიშნება ის მოვლენები, რომლებიც გრამატიკულად, ლექსიკურად, ინტონაციურად გამოხატავენ მთქმელის მიმართებას გამონათქვამისადმი, ან გამონათქვამისას — სინამდვილისადმი.

სუბიექტური მოდლობა, ე.ი. მთქმელის მიმართება გამონათქვამისადმი შეიძლება არ იყოს წარმოდგენილი: მთქმელი შეიძლება არანაირად არ გამოხატავდეს თავის დამოკიდებულებას ნათქვამისადმი. მაგრამ ძალიან ხშირად ასეთი მიმართება სახეზეა. იგი შეიძლება გამოხატული იყოს სხვადასხვა ენობრივი საშუალებებით — ინტონაციით, სპეციალური სინტაქსური კონსტრუქციებით, სიტყვათწყობით, სიტყვათა გამეორებით, სხვადასხვა მნიშვნელობის მქონე სიტყვებით, ნაწილაკებთან ერთად, შორისდებულებით, ჩართული სიტყვა-გამოთქმებით, ასევე ამ საშუალებათა მრავალფეროვანი კომბინაციით.

სუბიექტურ-მოდალურ მნიშვნელობათა წრე ძალიან ფართოა და თვით ეს მნიშვნელობები, თითქმის ყოველთვის ექსპრესიულად შეფერილები, ყოველთვის არ შეგვიძლია განვსაზღვროთ.

ერთი და იგივე სინამდვილე მთქმელის მიერ შეიძლება სხვადასხვა მხრიდან ექნეს წარმოდგენილი — იწვევდეს სხვადასხვა შეფასებას, სხვადასხვაგვარ ემოციურ დამოკიდებულებას. მაგალითად, წინადადებისადმი — **წვიმს** შეიძლება იყოს სულ სხვადასხვა დამოკიდებულება: მთქმელი შეიძლება იყოს, ან არ იყოს დარწმუნებული ნათქვამის ჭეშმარიტებაში; შეიძლება ეძებდეს ამ ინფორმაციის წყაროს; აზრობრივად უდარებდეს ამ ცნობას სხვა მოვლენას. მაგ., **წვიმს!** განა **წვიმს** (მხოლოდ ყინულს), ან **წვიმს** განა? **წვიმსო?** **წვიმაცაა** და **წვიმაც** (ეს რა **წვიმაცა**!). წინადადებაში **აი წვიმა!** სუბიექტური შეფასება შეერთებულია ინტენსიურობის დახასიათებასთან. წინადადებაში **წვიმს, რას წვიმს!** მოვლენის, როგორც უსასრულოდ გაგრძელებულის დახასიათება შეერთებულია მთქმელის სუბიექტურ

შეფასებასთან — უკმაყოფილებასთან. წინადადებაში **წვიმს არა!** (წავიდეთ!) მთქმელის აზრით, მოვლენა გავლენას არ ახდენს სხვა ფაქტზე, სიტუაციაზე და ერთდროულად უპირისპირდება ამ სხვა სიტუაციას.

სუბიექტურ-მოდალური მნიშვნელობების გამომხატველ **სპეციალურ სინტაქსურ კონსტრუქციათა რიცხვს** ეკუთვნის ფრაზეოლოგიზმები, ანუ ისეთი სიტყვათშენაერთები, რომლებიც არ ემორჩილებიან ენაში არსებულ ცოცხალ გრამატიკულ წესებს.

1. პლატონს ერთმა ისეთმა სურვილმა წამოუარა — უფრო დაწვრილებით გამოეკითხა ყოველივე გარემოება ნახსენები უშვილო ქვრივისა, — რომ **კინაღამ ის იყო** კიდევაც გააბა ლაპარაკი (კლდ., 108);

2. — **ჰოდა ეგ არის!**.. მერე მე მასპინძელს ვეტყვი, მიზეზს გაგაგებინებ.. **ნახავ აგერ**, როგორი მადლობელი დაგიბრჩეს!.. (კლდ., 123);

3. გლენკაცისათვის თოთხმეტი წლის ბიჭი ოჯახობაში განძი არის, **თუნდ ეგ არ იყოს**, მამაჩემს პირველ ცოლიდამ მარტო მე დაგრი, და, მგონი, ვეძნელებოდი, არ ვემეტებოდი შორს გასაგზავნად (ილია, 36).

სუბიექტურ-მოდალური მნიშვნელობები შეიძლება გადმოიცეს **სიტყვათა შენაერთებით** — კავშირით ან უკავშიროდ. აქ ძირითადად გამოიყენება პარონომაზიული გამოთქმები, რომლებშიც მასდარი მოქმედებითი ბრუნვის ფორმით სინტაგმას ქმნის იმავე ფუძის ზმნის პირიან ფორმასთან. „სიტყვათშეხამებებში ისინი შეიძლება გამოხატავდნენ მოქმედების ინტენსიობის გაძლიერებას, მოქმედების გამორიცხვას, აგრეთვე მოქმედების აუცილებლობისა და განმეორება-ხანგრძლიობის შინაარსსაც“ (დავითიანი, 1973, გვ.).

1. **დაპირებით ვერ დაგპირდები, ცდით კი შევეცდები.**

2. **სწავლით არ სწავლობს, მუშაობით არ მუშაობს.**

გარდა პარონომაზიული გამოთქმებისა, სუბიექტურ-მოდალური მნიშვნელობის გამომხატველია:

1. **გინდა — არ გინდა, უნდა წახვიდე!**

2. **ავდგები და წავალ, დავიკარგები და დავიკარგო.**

3. **თუ ჩხუბია, ჩხუბი იყოს!**

სუბიექტურ-მოდალურ მნიშვნელობათა გადმოსაცემად შეიძლება გამოყენებულ იქნეს წინადადებაში **ერთი და იმავე სიტყვის გამეორება**. „ქართულში გამეორებისას ერთი და იგივე სიტყვა წარმო-

დგენილია უცვლელად ორჯერ ან მეტჯერ. შეიძლება მას შეენაცვლოს ნაცვალსახელიც, ახლავს დამხმარე სიტყვებიც (ნაწილაკები, ნაწილაკები, შირი), მყარი გამოთქმები, ენობრივი ფორმულები“ (კვანტალიანი, 1990, გვ.).

1. წვიმა კი სტრის... სტრის... და სტრის... (ლეონ. 1420);

2. სიკეთე მინდოდა, სიკეთე... მაგ შეჩვენებულებისათვის... (კლდ., 22);

3. შენი რჩევა ჩემთვის უსარგებლოა, თავს ნუ იწუხებ, ნუ, ნუ, იწუხებ! (კლდ., 26);

4. უნდა მოგეთმინა, უნდა მოგეთმინა!.. ვის ებრძვი, ვის?... რატომ არ ერიდები... რატომ არ ერიდები? ვინ გიშველის, ვინ დაგიფარავს?... (კლდ., 28).

ქართულ ენაში არსებობს ნაწილაკთა გარკვეული რაოდენობა, რომელიც განკუთვნილია იმისათვის, რომ წინადადებაში გამოხატოს სხვადასხვა სუბიექტურ-მოდალური ელფერი. ეს მოდალური ნაწილაკებია. მოდალური ნაწილაკები გამოხატავენ მთქმელის ნება-სურვილს ან მის დამოკიდებულებას ნათქვამის შინაარსისადმი. ამ ჯგუფს განეკუთვნება: კითხვითი, უკუთქმითი, მიგებითი, სიტყვა-სიტყვითი, ნება-სურვილის, შესაძლებლობა-ვარაუდის, უნახაობის, მრავალგზისობის გამომხატველი ნაწილაკები.

ძირითადად მოდალური ნაწილაკები ერთიანდებიან შემდეგ ჯგუფებად:

1. ნაწილაკები, რომლებიც გამოხატავენ მთქმელის უშუალო რეაქციას;

2. ნება-სურვილის გამომხატველი ნაწილაკები;

3. ნაწილაკები, რომლებიც ადგენენ კავშირ-ურთიერთობას გამონათქვამსა და მის წყაროს შორის, გამონათქვამის სხვადასხვა ნაწილებს შორის.

პირველ ჯგუფს ეკუთვნის ნაწილაკები, რომლებიც ხაზს უსვამენ (აძლიერებენ) გამონათქვამს ან მის რომელიმე ნაწილს; იძლევიან ამა თუ იმ შეფასებას, დახასიათებას. ასეთია ნაწილაკები და ნაწილაკური გამოთქმები: აი, ხომ, და, კი არ, სწორედ, ოღონდ, აბა, მარტო, თორემ, კარგი, ნახე, ვინძლო, მინდი, განა, თითქოს, კინაღამ, ვაითუ, რა ჯნა.

1. აი და ბეკინა! აი და შენი ჭირიმე! (კლდ., 114)

გამოხატავს მოწონებას, აღტაცებას, წაქეზებას;

2. ოთხმოცს მიღწეული ბებოჩემის მხნეობა **ხოშ** საუკეთესოა (ლევონი, 18)

გამოხატავს მოწონებას, მიღებას, იძლევა დადებით შეფასებას;

3. **ბიჭო და...** არა გრცხვენია, შე ოტროველავ! მართლა გგონია, რომ შენს ბადეში ნინუცა ებმევა? (ლევონი, 154)

გამოხატავს შერცხვენას, საქციელის დაწუნებას;

4. **შე და** ასეთი წინდაუხედაობა! (სასაუბრო)

გამოხატულია კატეგორიული დაუშვებლობა.

მეორე ჯგუფს ეკუთვნის ნაწილაკები, რომლებიც გამოხატავენ ნება-სურვილს: მოწოდებას თანხმობისაკენ; თხოვნას, მისცეს რაღაცის გაკეთების საშუალება; გადაწყვეტილებას. ასეთია ნაწილაკები: მოდი, მოდიო, მიდი (სასაუბრო).

1. **მოდი** ვნახოთ ვენახი;

2. **აბა მოდი** და წარმოიდგინე... (დოჩი, 97).

მესამე ჯგუფს განეკუთვნება ნაწილაკები, რომლებიც გამოხატავენ წინმსწრები მდგომარეობის დასრულებას: მოსალოდნელისადმი შესაბამისობა-შეუსაბამობას; რაღაცის უპირატესობას სხვის წინაშე; განპირობებულობას; გამონათქვამის დამოკიდებულებას მის წყაროსთან. ასეთია ნაწილაკები: ესეც შენ, იცოდე, თუშცა, თითქოს, ნუთუ, და აი.

1. **აჰა, ეგეც შენ(ი)** მიწა — სამი ადლი მიწა! (ლევონი, 37)

გამოხატულია მოსალოდნელთან შეუსაბამობა, იმედგაცრუება;

2. **ნუთუ** მაინც ვერ გაიხსენე?

გამოხატულია წინმსწრები მდგომარეობის შენარჩუნება;

3. **დროზე** ადრე მოვრჩი **და აი** მოვედი

გამოხატულია განპირობებულობა.

მოდალურია აგრეთვე ნაწილაკები, რომლებიც დიალოგში დამადასტურებელი ან უარყოფელი რეპლიკის ფუნქციას ასრულებენ. ესენია: ჰო, კი, დიახ, არა, ვერა. აგრეთვე — არის, სწორედ, ასე, ამგვარად, ნამდვილად, ზუსტად, რა გქნა, კარგი.

ზოგიერთ ნაწილაკს, კომუნიკაციური მიზანდასახულობის გათვალისწინებით, შეუძლია როგორც დადასტურება, ისე უარყოფა.

— ვენახს უვლის? — **როგორ არა!**

პასუხი შეიძლება მოვიპოვოთ, როგორც დადასტურება — „რა თქმა უნდა, უვლის“ ან უარყოფა — „სულაც არ უვლის“. აქ მნიშ-



გნელობა ენიჭება ინტონაციას, კონკრეტულ სიტუაციას.

ენაში მოღალური ნაწილაკების ფუნქციით შეიძლება გამოიყენებული იქნეს **ზმნური ფორმები, ზმნიზედები, ზმნური და ზმნი-ზედური ფრაზეოლოგიური შენაერთები**, რომლებიც, უკავშირდებიან რა წინადადების ამა თუ იმ წევრს ან მთელ წინადადებას, აძლევენ მას სუბიექტურ-მოღალურ ელფერს. ასეთ ფორმებსა და სიტყვათშენაერთებში მცირედ, მაგრამ მაინც შემონახულია შესაბამის სიტყვათა ლექსიკური მნიშვნელობა.

ზმნური ფორმები **იცოდე, იცი, ნახავ** წინადადებას გაფრთხილების, ზოგჯერ მუქარის ელფერს ანიჭებს: იცოდე არ დააგვიანო; შენ იცი, არ დაგვივიწყო; გააკეთე, თორემ ნახავ, რაც მოგივა!

ზმნური ფორმები **შეხეთ, დამიხედეთ** გამოხატავს ირონიულ დამოკიდებულებას არსებულსა და გადმოცემულს შორის შეუსაბამობის გამო: დამიხედეთ, ამასაც კი სდომებია იუბკა!

ზმნური ფორმა **ჩათვალე** მნიშვნელობით უახლოვდება ფორმას **თითქმის** და ჭეშმარიტებასთან მიახლოებას გვიჩვენებს: ჩათვალე, საქმე მოგვარებულია.

სასაუბრო მეტყველებაში **კარგი** ან **ზმნიზედური წარმონაქმნი კიდევ კარგი** გამოხატავს კმაყოფილებას იმის გამო, რაც მოხდა ან შეიძლება მომხდარიყო: კარგი რომ გადარჩა, რომ მომკვდარიყო? კიდევ კარგი იქ დაგხვდათ, თორემ რა უნდა გექნა?

არის ნაწილაკები, რომლებიც გამოხატავენ ექსპრესიულ შეფასებას, ემოციურ დამოკიდებულებას და ამით ახლოს დგანან **შორისდებულთან**. სხვა შემთხვევაში შეიძლება შორისდებულმა მოიპოვის მოღალური ნაწილაკის მნიშვნელობა.

1. **აბა**, მაშინ კაი ბიჭები ვიყავით, როცა დიდ ომებში ჩვენი გვარის მებრძოლი ძახილი ისმოდა (ლენონ., 46);

2. **აბა**, ასეთ მოუცლელ კაცს სად ეცალა გორგასლის ქვაზე საოცნებოდ? (ლენონ., 198).

აქ **აბა** შორისდებულია, მაგრამ ნაწილაკია წინადადებაში:

აბა რაი დაგიმალო, ვინ იცის, რამდენს მთას იქით მივდივარ (ყაზბ., 93).

აქ კი **აბა** დადებითი რეპლიკის ფუნქციითაა:

— თოკი მოცურდა კლდეზე, — ოღნავ ღიმლით თქვა ჯემალმა.

— **აბა**, კაცო... — ვაჟამ ხელები დაანახვა (რჩ., 53).

გამონათქვამის სუბიექტურ-მოღალური მნიშვნელობის გამოსახატავად შეიძლება გამოიყენებოდეს **ჩართული სიტყვა-გამოთქმები**.

ჩართულ სიტყვა-გამოთქმებს ეკუთვნის ლექსიკურ-სინტაქსურ ერთეულთა საკმაოდ დიდი ჯგუფი. ესაა ძირითადად მყარი სიტყვათშენა-ერთები, რომლითაც გადმოცემულია, „თუ როგორ უყურებს მტკმე-ლი წინადადებაში გამოხატულ აზრს ან თვით გამოთქმის ფორმას, ან კიდევ მიუთითებს წყაროს და სხვ.“ (კვაჭაძე, 1977, გვ.).

გრამატიკული თვალსაზრისით ეს ჯგუფი საკმაოდ მრავალფერო-ვანია. აქ გვხვდება ზმნები, საწყისები, სახელები, ზმნიზედები. ძალი-ან ხშირად ჩართულ სიტყვა-გამოთქმებს შენარჩუნებული აქვთ ცო-ცხალი კავშირი შესაბამის კლასთან, რითაც ისინი განსხვავდებიან ფრაზეოლოგიზმებისაგან.

1. **ერთი სიტყვით**, შენზედაა დამოკიდებული ახლა ყველაფე-რი: თუ უარს არა ხარ, ის ყმაწვილი ჩამომივა აქ და განახებთ (კლდ., 222)

გამოხატულია აზრის გამოთქმის ფორმასთან მიმართება;

2. **ანდერძის მიხედვით**, ჩორეხმა კოტმანის წმიდა გიორგის სა-მრეკლოს ქვეშ დაიმკვიდრა საფლავი (ლეონ., 201)

მოცემულია მითითება მოქმედების განმაპირობებელ წყაროზე;

3. **არა მგონია**, იმ წუთს კეთილი გულით ყოფილიყო ჩემზედ მშვენიერი დიასახლისი (ბარნ., 139)

გამოხატულია ეჭვი, დაურწმუნებლობა;

4. მართლაც კმაყოფილი იყო იგი ამ შემთხვევით. **ჯერ ერთი**, რომ შიმშილი მოიკლა ამ საუზმით და იმავე დროს დაიიმედა ბინა (კლდ., 211)

გამოხატულია აზრთა თანამიმდევრობა და ურთიერთმიმართება;

5. **თქმა აღარ უნდა**, რომ მეორე დღით, რაკი ჩემი საქმე გა-ვთაფე, გულმა მღვდლისაკენ გამიწია (ილია, 53)

გამოხატულია სხვა შესაძლებლობის დაუშვებლობა;

ჩართულ-სიტყვა გამოთქმებს განეკუთვნება აგრეთვე საალერსო სიტყვები, ფიცილის ფორმულები:

6. — თან რა წაიღო, არაფერი!...

— **ბურის მადლმა**, არაფერი!

— ან ჩვენ რა უნდა წავიღოთ წუთისოფლიდან?

— არაფერი! **თქვენმა დღეგრძელობამ!** (ლეონ., 200);

7. **ჯერ ღვთის მადლით**, არაფერში არ წამიგია და არც წავა-გებ (კლდ., 209).

სუბიექტურ-მოდალურ მნიშვნელობათა გამოსახატავად გამოყე-ნებული ენობრივი საშუალებები. — სპეციალური სინტაქსური კონ-

სტრუქციები, სიტყვაწარმოება, გამეორება, ნაწილაკები, შორისდებუ-
ლი, ჩართული სიტყვები, ინტონაცია — შეიძლება ერთი წინადად-
ბის ფარგლებში ერთად შეგვხვდეს. ამ შემთხვევისათვის არ არსე-
ბობს მკაცრი გრამატიკული წესები — შესაძლებელია ენობრივ სა-
შუალებათა მრავალგვარი კომბინაცია.

ლიტერატურა

დავითიანი, 1973 — ა. დავითიანი, ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1973.

კვანტალიანი, 1990 — ლ. კვანტალიანი, ქართული ზეპირი მეტყველების სინტაქსის საკითხები, თბ., 1990.

კვაჭაძე, 1977 — ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1977.

სახოკია, 1979 — თ. სახოკია, ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, თბ., 1979.

წყარო

ბარნ. — ვ. ბარნოვი, „ქართული პროზა“, XVIII, თბ., 1990.

დოჩ. — გ. დოჩანაშვილი, ორი მოთხრობა, თბ., 1984.

ილია — ი. ჭავჭავაძე, რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად, II, თბ., 1985.

კლდ. — დ. კლდიაშვილი, „ქართული პროზა“ XVI, თბ., 1988.

ლეონ. — გ. ლეონიძე, „ნატურის ხე“, თბ., 1993.

რჩ. — გ. რჩეულიშვილი, მოთხრობები, პიესა, თბ., 1965.

ყაზბ. — ალ. ყაზბეგი, თხზულებანი ორ ტომად, I, თბ., 1962.

Subjective Modality and the Ways of Expressing it

Summary

As is known, the term modality can be interpreted in different ways. Generally it embraces grammatical, lexical, intonational means that express either the speaker's attitude towards the utterance or the reference of the utterance towards the reality.

Subjective modality, i.e. the speaker's attitude towards the utterance can be expressed by various linguistic means _ intonation, syntactic constructions, word order, repetition, parentheticals, particles, interjections and by their multiple combinations.

იკატერინე ბაბარაძე

კომპიუტერული (ინტერნეტის) შემოკლებები; Chat-ისა და E-Mail-ის მნა

შემოკლება, როგორც ვიცით, სიტყვაწარმოების ყველაზე პროდუქტიული საშუალებაა და მეტად საინტერესოა ენის ლექსიკური მარაგის განვითარების თვალსაზრისით. აბრევიატურულ წარმონაქმნებს დიდი როლი აკისრიათ შესიტყვების ან მთელი წინადადების კომპაქტურად წარმოდგენის საქმეში დროისა და ადგილის დაზოგვის მიზნით. შემოკლებით დაწერის სისტემა აადვილებს კომუნიკაციის პროცესს.

ჩვენი კვლევის საგანს წარმოადგენს ინტერნეტის მომხმარებელთა შორის არსებული სიტყვათა მარაგი, როგორც ძირითადი საკომუნიკაციო საშუალება. გვინდა ასევე გავარკვიოთ შემოკლებული ერთეულების ფუნქცია თანამედროვე ინგლისური ენის კომპიუტერული სფეროს ახალი სიტყვებით გამდიდრებაში, გამოვყოთ შემოკლების ტიპები და შეძლებისდაგვარად შევადგასოთ თითოეული მათგანის მნიშვნელობა ვირტუალური სამყაროს სიტყვაწარმოებაში.

სიტყვა „ინტერნეტი“ შესაძლოა 1990-იანი წლების ყველაზე პოპულარულ ტერმინად ჩაითვალოს, რადგან თანამედროვე პირობებში კომუნიკაციის, ინფორმაციის მოპოვების, დამუშავებისა და გადაცემის ყველაზე ეფექტური საშუალება არის საერთაშორისო ქსელი.

ამ ახალმა სისტემამ ახალი რეალიზები, დასახელებები შემოიტანა სალიტერატურო ენაში, წერიტსა თუ ზეპირ მეტყველებაში.

კომპიუტერული მეცნიერებების განვითარებასთან ერთად საერთაშორისო ბაზარზე შემოიჭრა ისეთი ვირტუალური გასართობები, როგორებიცაა სასაუბრო-სალაყბო პროგრამები, კომპიუტერული თამაშები, ასევე, ელექტრონული ფოსტა და ა. შ. საზოგადოებაში კომპიუტერომანია იმდენად ტენდენციურია, რომ, ალბათ, შეუძლებელია ტექნიკის განვითარების პირობებში სხვა რომელიმე გამოგონებამ დაიკავოს მისი ადგილი. ამ ტექნოლოგიების გამოყენება

მოითხოვს სხვადასხვა სპეციალური ტერმინოლოგიისა და წესის ცოდნას. ინტერნეტის ძირითადი საკომუნიკაციო საშუალებები ტექსტურია და გვიჩვენებს უფრო სამეტყველო ენის სპონტანურობასა და არაფორმალურობას, ვიდრე წერითი მეტყველებისას. წარმოიშვა და აღმოცენდა ბევრი ახალი ტექსტური ფორმა, რომელმაც დაიპყრო პოტენციური ელექტრონული მედია და ასახა ახალი სოციალური ურთიერთობები, რომლებსაც ხშირად იყენებენ ინტერნეტის „საზოგადოების წევრები“. აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ახალი სიტყვების წარმოების რაოდენობრივი თვალსაზრისით, ყველაზე პროდუქტიული სწორედ კომპიუტერული სფეროა. ისევე, როგორც ნებისმიერ პროფესიულ ენაში, კომპიუტერულ ტექნოლოგიებშიც არსებობს ამა თუ იმ ცნების არაოფიციალური დასახელება, მაგ.: boot ნიშნავს to start, blue-speak არის person, who works for IBM (Italian Businessman), და ა. შ. ასევე პროგრამისტა და კომპიუტერული ტექნიკის მუშაკების ვიწრო ლექსიკა, საიდანაც ახალმა ტერმინებმა საყოველთაოდ ხმარებულ ლექსიკაში გადაინაცვლა. ეს განაპირობა კომპიუტერის მომხმარებელთა რაოდენობის მუდმივმა ზრდამ.

კომპიუტერით სარგებლობის დროს, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კომუნიკაციის სისწრაფეს, დროის, სივრცის, ენერგიისა და მატერიალური სახსრების ეკონომიას. სხვადასხვა პროგრამის გამოგონებლებმა ყველა ამ პრობლემაზე იზრუნეს. ინტერნეტის მომხმარებელთათვის შემუშავდა სიტყვებისა და ტერმინების, სიტყვათშეთანხმებებისა და წინადადებების შემოკლებები. ეს არის სპეციფიკური კომპიუტერული სლენგები, აბრევიატურები და აკრონიმები, მოკვეცილი და შენაზარდი სიტყვები, რომელთა წარმოება მეტად აქტიური თემაა თანამედროვე ლინგვისტიკაში. შემოკლებული სიტყვის ყველა ეს ტიპი გამოირჩევა თავისი სალაპარაკო და არაოფიციალური თვისებებით, თუმცა ბევრი ასეთი სიტყვა შევიდა ოფიციალურ სალიტერატურო ენაში და ამიტომ, მსგავსი დასკვნის გამოტანა ცოტა ნაადრევია. გამოვიკვლიოთ, რომელ ტიპს მიეკუთვნება შემოკლებული სიტყვები. ამის გასარკვევად, საჭიროა დაზუსტდეს, ვინ იყენებს მათ, რომელი პროფესიის, ასაკის, სოციალური ფენის ადამიანის ლექსიკურ მარაგშია მსგავსი შემოკლებები. ეს სიტყვები, პირველ რიგში, აერთიანებს ერთი პროფესიის ადამიანებს, ამ შემთხვევაში, პროგრამისტებს, ან სულაც მათ, ვინც სხვადასხვა მიზნ-

ბისათვის სარგებლობს კომპიუტერით, მაგ: Chat-ის (IRC - Internet Related Chat) ვირტუალური პროგრამა განკუთვნილია სასაუბროდ, სალაყოდ, საჭოროოდ და აქ შეგვიძლია რეალური დროის რეჟიმში ვესაუბროთ ნაცნობებსა და უცნობებს. აქ იმართება დიალოგები, ძირითადად, ბლიც კითხვა-პასუხები ერთმანეთის უკეთ ან საერთოდ, გაცნობის მიზნით, ამიტომ, უფრო მოსახერხებელია გრძელი ტერმინების შემოკლებული ან სულაც, აბრევიატურული (ინიციალური) დაწერა. მაგ.: როდესაც ხაზზე მყოფთაგან რომელიმე მომხმარებელს, ე.წ. user-ს ვუკავშირდებით, პირველი შეკითხვა თითქმის ყოველთვის ერთნაირია: A/S/L, რაც ნიშნავს Age, Sex, Location (ასაკი, სქესი, ადგილმდებარეობა); ან ასევე აბრევიატურა AFB იშიფრება, როგორც Away From Brain (ტვინისგან შორს), (აქ კომპიუტერი იგულისხმება); AYCOOYM გულისხმობს Are You Completely Out of Your Mind? (მთლად შეიშალე?). ეს უკანასკნელი მთლიანად წინადადების ინიციალური შემოკლებაა. სალაყო და სათამაშო პროგრამების ძირითადი მომხმარებლები თინეიჯერები არიან, რასაც ვერ ვიტყვით ელექტრონულ ფოსტაზე (ამ საშუალებით მზა წერილი რამდენიმე წამში აღრესატის ელ. მისამართზე). ამ კომპონენტით ყველა პროფესიის ადამიანი სარგებლობს და არანაირი ასაკობრივი შეზღუდვა არ არსებობს.

კომპიუტერული შემოკლებული დასახელებები მხოლოდ ამ სფეროს მიეკუთვნება, რაც მას სხვა სფეროში არსებული სიტყვებისგან განასხვავებს. კომპიუტერით, კერძოდ, ინტერნეტით მომხმარებელთა საუბარი თუ წერის სტილი გარეშეთათვის გაუგებარია, ერთმანეთისა კი ისე ადვილად ესმით, რომ ხშირ შემთხვევაში კომუნიკაციის აბრო-აკრონიმული საშუალებაც საკმარისია. შეუძლებელია, გაუთვითცნობიერებელმა ადამიანმა გაიგოს შემდეგი აბრევიატურები. მაგალითად, როდესაც ისინი კომპიუტერთან არ სხედან, ამბობენ: AFC (Away From Computer) ან AIS (As I Said); AMIGA (A Merely Insignificant Game Addiction); BFFL (Best Friends for Life); BKAM (Between Keyboard and Monitor) და ა. შ. ასეთი სპეციალური ენის ფლობით პროგრამისტები, „მოჩეთავე-ჭორიკნები“ და მომხმარებლები თავს ე. წ. ჩაკეტილი საზოგადოების წევრებად თვლიან.

კომპიუტერულ ტერმინოლოგიაში ხშირად ვხვდებით დიდ ან რთულად გამოსათქმელ ტერმინთა ტრანსფორმაციას. ესაა აკრონომია, აბრევიაცია, უნიფერბალიზაცია. მაგ.: SATAN (Secutety Adminis-

trator Tool for Analyzing Network); CML (Computer Meaning of Life); Gig (Gigabyte); MAZ (Multiply Answer by Zero); WUSIWAG (What You See Is What You Almost Get).

აღსანიშნავია, რომ ოპერაციული სისტემა MS-DOS, რომელიც მრავალი წელი მუშაობდა სწავლასა და კვლევის პერსონალური კომპიუტერების უმრავლესობაში, ფაილებსა და კატალოგებზე მხოლოდ რეკონსტრუქციის საფუძრის დარქმევის შესაძლებლობას იძლევა. ამან განაპირობა სხვა პროგრამებისა თუ თამაშების დასახელებების შემოკლებული და აბრევიატურული გამოყენება. მაგ.: NU (Norton Untitles); KPT (Kai's Power Tools); Exe (Execution file); 3DS (Three-Dimensional Studio). ასევე MODEM (Modulator+Demodulator), მოწყობილობა, რომელიც კომპიუტერებს შორის მონაცემების გადაცემის საშუალებას იძლევა სატელეფონო ქსელებით. BASIC (Beginners' All Purpose Symbolic Instruction Code), არის ყველაზე პოპულარული პროგრამული ენა მიკროკომპიუტერებისათვის.

ხშირად სიტყვებს, გარკვეული ემოციური ელფერისა და დატვირთვის მისაცემად, მინიმუმამდეც ამოკლებენ, ხან ასოთშეთანხმებების ნაცვლად, ერთ სიმბოლოს წერენ. ეს სიმბოლო ხშირ შემთხვევაში ციფრები ან სასვენი ნიშნებია. მაგ.: B4=Before; /C=Because; C4N= Chao For Now; F2F=Face to face; L8r=Later; :*=Kiss; 0:t=Angel; :E=Vampire; >:->=Devil; :-))=Very happy; :-Q=I am a Smoker; 143 იმიტება, როგორც I Love You (I=one letter, Love=four letters, You=Three letters); U2=You Too; O5=опять; 7я=семья. მსგავსი ციფრული აბრევიატურა ათასობითაა ე. წ. Netizen-ების (Network Citizen) დამწერლობაში. როგორც ვხედავთ, ეს სიმბოლოები გაცილებით ნაკლებ ენერგიასა და ძალისხმევას მოითხოვს მომხმარებლისაგან, ადრესატიც სწრაფად შიფრავს მას. ამ ტიპის სიტყვაწარმოებას შეიძლება პირობითად DC (Digital Chaos) ვუწოდოთ.

ვირტუალური დიალოგების დროს სტილისტური მიზნებისათვის შემოკლებები ფართოდ გამოიყენება. ერთ-ერთი გაგრცელებული ხერხია აბრევიატურების სახუმარო გაშიფვრა, როდესაც ესა თუ ის შემოკლება სტილისტური მიზნით იძენს ახალ აზრს და აქვს მკვეთრად გამოხატული ექსპრესიული ელფერი. ხშირად, ეს მცდელობა წარმატებულად ხორციელდება და ვიღებთ ე. წ. კალამბურებს. მაგ.: IBM შეიძლება გამოვიყენოთ, როგორც Italian Businessman; CK,

რომელიც Calvin Klein-ის ცნობილი პროდუქციის აბრევიატურული დასახელებაა, შეიძლება გაიშვიროს, როგორც Cocaine.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ისეთი აბრევიატურები და აკრონიმები, რომელთა ომონიმური სიტყვებიც არსებობენ ენაში. მაგ.: IT (Information Technology — საინფორმაციო ტექნოლოგია) შეგვიძლია აღვიქვათ, როგორც პირის ნაცვალსახელიც. STING (Star trek: The Next Generation — ვარსკვლავთა ლაშქრობა შემდეგი თაობა); SATAN (Security Administration Tool for Analyzing Networks); VERONICA (Very Easy Rodent-Oriental Net Wide Index to Computerized Archives); Doc (Drive Operator Crasy); SOS (Sign Off, Stupid), რომელიც ასევე სასწრაფოდ დახმარების აღმოჩენის აღსანიშნავად გამოიყენება, CRASH (Continue Ruunning After Stop or Halt), რომელიც მუშაობას განუწყვეტლად განაგრძობს, მიუხედავად მისი, თითქმის საპირისპირო დასახელებისა. ამ მაგალითებში ჩანს მცდელობა, ახალ ტერმინებს მიუხადავონ სალიტერატურო ენაში არსებული სიტყვები, რათა ადვილი გახდეს მათი დამახსოვრება. მსგავსი აკრო-აბრევიატურები იმიტაც არის საინტერესო, რომ ისინი არა მარტო დროისა და სივრცის ეკონომიას აკეთებენ, არამედ შესიტყვებაში ჩადებულ მთელ ემოციასაც გამოხატავენ.

თინეიჯერთა მეტყველებაში არის აკრონიმების მთელი რიგი, რომელთა გაშიფვრა, რა თქმა უნდა, მხოლოდ სკოლის მოსწავლეებს, კოლეჯისა და უნივერსიტეტის სტუდენტებს ძალუძთ, რადგან მათთვის შემოკლების ეს ხერხი მეტად ხელსაყრელი და მარტივია, ხოლო თუ ერთი ბგერა მაინც შეიცვლება, მთელი აზრიც იცვლება მასთან ერთად და შემოკლებული ერთეულიც სხვა სტილისტურ და ემოციურ დატვირთვას იძენს. მაგ.: WUSIWUG (What U See Is What U Get); WUSIWUAG (What U See Is What U Almost get); FIFO (First In, First Out); FILO (First In, Last Out); LIFO (Last In, First Out); LILO (Last In, Last Out).

ჭორაობის დროს ხშირია აბრევიატურებსა და აკრონიმებზე სუფიქსების დართვა, რაც ისევ და ისევ ახალგაზრდობის მეტყველებაში აღინიშნება. Grampies (Growing, Retired, Active, Monied Persons in Excellent State); Phonies (People Hooked on Talking on the Phone); Hookies (Who Cares?).

მოკვეცილი სიტყვების მაგალითებია: 'sapping? (What's happening?); 'za (pizzza); 'zup? (What's up an s'up/ 'sup/ What's up?). რო-

გორც ჩანს, შემოკლების ეს ტიპი მეტად მოსახერხებელია ვირტუალური საუბრის სწრაფი ტემპისათვის, რადგან ამ დროს შეგვიძლია შესიტყვებების მინიმუმამდე შემოკლება, (ისევე, როგორც ინციალური აბრევიაციის დროს). ამავე დროს, ის ნაწილი ან სიტყვა, რომელიც სრულ ფორმას მოეკვეცა, ნებისმიერ დროს შეიძლება აღდგინოთ და თავის ადგილს დაუბრუნოთ. ასე რომ, კავშირის აღდგენა სრულ ფორმასა და მის მიერ ნაწარმოებ სიტყვას შორის არ გაგვიჭირდება, რადგან ამ ტიპის შემოკლების დროს ხშირად ვიყენებთ შემდეგ საყოველთაოდ ცნობილ მოკვეცილ სიტყვებს: Net, VB; E-Mail, E-Mailbox; E-zine (Electronic Magazine); P-mail (Phizical mail); I-way (Information Highway). ცოტამ თუ იცის, რომ კომპიუტერის ე. წ. თაგუნა — mouse, არის ბავშვების ერთ-ერთი უსაყვარლესი ვირტუალური გმირის — Mickey Mouse-ის სახელის შემოკლება.

საინტერესოა, რომ ე. წ. მეტსახელის (nickname), (ესაა სახელები, რომლითაც ვსარგებლობთ ვირტუალურ სამყაროში, დარჩმების დროს გამოკლებთ ჩვენსავე სახელებს ან სახელებსა და გვარებს, (ხშირად, მას სხვაგვარადაც აწარმოებენ). მაგ.: Catherina-Cathy, ამ სახელი შესატყვისებია: Keke, katka, Kuzja, kato და ა. შ.

პოპულარულია ასევე შენაზარდი სიტყვების გამოყენება ჭორაობისა თუ ელექტრონული წერილის წერის დროს, რასაც მინიმალური ძალისხმევის პრინციპსაც ვუწოდებთ. შენაზარდ სიტყვებს ადვილად ვიმახსოვრებთ, რადგან შემქმნელები ხშირად ცდილობენ ისინი ნაცნობ სიტყვებს დაამსგავსონ. ყველას, ვინც მუშაობს ინტერნეტში, მოეთხოვება netiquette-ის ცოდნა. ეს არის on-line etiquette, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის აღმოჩნდება blem-ის (Blemish Problem — სახელის გატეხვის) წინ, რაც შეიძლება დასრულდეს Abend-ით (Abnormal End — არასასურველი დასასრული). საინტერესოა Informercial, ანუ კომერციული ინფორმაციისა და რეკლამის თანადროული გადაცემა ჭორაობის, თამაშისა თუ ელექტრონული წერილის წერის დროს. ეკრანზე მუდმივად არის გამოსახული რაიმე პროდუქციის რეკლამის ფანჯარა, რასაც Fanac-ს (Fan Activity) გასართობ საქმიანობას უწოდებენ.

თუ მონაცემები დაძველდა ან წერილის წაშლა გვინდა, ვიყენებთ Gubbish-ს (Garbage+Rubbish) ან თუ წერილი დაძალულია - Hymns (Hidden Message). ასეთი წარმონაქმნები დიდი პოპულარობით სარგებლობენ.

გინაიდან კომპიუტერის ენა ინგლისურია, არც არის გასაკვირი, რომ მსოფლიოს სხვადასხვა ენის ლექსიკა მდიდარია ინგლისურენოვანი სიტყვებით. სხვადასხვა ენაში, უპირველეს ყოვლისა, ხდება მათი პროტოტიპისა თუ სინონიმის მოძიება, რაც ხშირ შემთხვევაში არ ხერხდება. ორიგინალური ტერმინებისა თუ ცნებების შემუშავების მაგივრად, ინგლისურენოვანი სიტყვები პირდაპირ შედის სხვადასხვა ენის ლექსიკაში და რა თქმა უნდა, ხანგრძლივი დროით მკვიდრდება. მაგალითად, რუსულ ენაშიც ანალოგიური პროცესები მიმდინარეობს, მაგრამ მაინც შეიმჩნევა ახალი რეალიების, დასახელებების შექმნის მცდელობა. საინტერესოა, რომ რუსულში ინგლისურიდან თარგმნის დროს ბევრი ტერმინი მოკლდება. მაგ.: **Bulletin Board System** ითარგმნა, როგორც **бюльенэска Norton Utilities** - нушка; ამას უფრო ახალგაზრდბის მეტყველებაში ვხვდებით. ასევეа компы бывают двух видов бимы и маки, რაც გულისხმობს IBM-სა და Macintosh-ს. მაგ.: ინგლისური აბრევიატურა **XP (Expensive Expensive, Extra Perfect)** რუსულ ენაში ითარგმნება, როგორც **XP-хакер**. აქ დამწერლობა იგივე დარჩა, შეიცვალა აბრევიატურის აზრი. რუსულში ხშირია ასევე კნინობით-საალერსო სუფიქსებით თარგმნა. მაგ.: **Rom** ითარგმნა, როგორც **ромка**, **User's manual** - мануалка, **CD=сидюк**, **PC=писюк** და ა.შ. რაც შეეხება ქართულ ტერმინოლოგიას, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მსგავსი პრაქტიკულად არ არსებობს. ქართულ ენაში დამკვიდრებულია ინგლისურენოვანი სიტყვები და შემოკლებები.

როგორც ვხედავთ, ეს არის აქტიურად განვითარებადი დინამიური სისტემა. ბევრი სიტყვა თუ შემოკლება ოფიციალურ ტერმინოლოგიაშიც კი შედის. ისინი არა მხოლოდ ზეპირმეტყველებაში არსებობენ, არამედ მრავალრიცხოვან ელექტრონულ დოკუმენტებში, წერილებსა თუ ვებ გვერდებზე, მათ შეიძლება შევხვდეთ დამწერლობაშიც. ასეთი სიტყვები არც თუ ისე იშვიათად ხვდება სოლიდურ კომპიუტერულ გამოცემებში. უხვად არის ასევე ჟურნალებშიც. თანამედროვე სიტყვების ლექსიკური შემადგენლობა, ექსპრესიულობა, სასაუბრო-სალაპარაკო ელფერი ადასტურებს, რომ კომპიუტერით მომხმარებელთა შორის ჭარბობენ არის ახალგაზრდები. ბავშვები ძირითადად ისეთი კომპიუტერული თამაშების მოყვარულნი არიან, როგორებიცაა, მაგ.: **Q2 (Quake 2)**; **HOMM2 (Horoes of Might and Magic 2)**; **CC2 (Close Combat 2)** და ა. შ.

ინტერნეტთან მომუშავე ადამიანთა ასაკი, როგორც აღვნიშნეთ, ძირითადად ორმოც წლამდეა. ახალგაზრდული ასაკი მათ უფლებას აძლევს შემოკლებულ ტერმინებს იუმორისტული იერი მისცენ. მაგალითად: AYT=Are You There?; BASIC=Bill's Attempt to Seize Industry Control. აქ საუბარია ბილ გეისზე. CATCH=Come Again? That Can't help! ან MUDS=Multi-User Dimensions () და ა. შ.

ამ ენობრივი მოვლენის განვითარება და გავრცელება უდავოდ მეტყველებს თანამედროვე საზოგადოების ცხოვრებაში კომპიუტერული ტექნიკის ღრმა დანერგვაზე. დროთა განმავლობაში ისევე, ამ ტერმინოლოგიამ როგორც ზოგიერთი სფეროს სპეციფიკურმა ლექსიკამ, შეადწია სალიტერატურო ენაში და მალე იქაც დაიმკვიდრებს ადგილს.

კომპიუტერული ენის ლექსიკის ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ მეცნიერების ეს სფერო მოიცავს აბრევიატურების ყველაზე დიდ რაოდენობას. უმეტესწილად, შემოკლებულ ერთეულებს ვხვდებით ისეთ კომპიუტერულ ენებში, როგორებიცაა: Hardware, Operating System, Editors and Shells და Programming Languages. ეს აიხსნება ამ ენების ლექსიკის სპეციფიკურობით.

ჩატარებულმა კვლევამ ცხადყო, რომ ახალი სიტყვების წარმოებისათვის შემოკლების ოთხივე ტიპი — აბრევიაცია, აკრონომია, შეზრდა და მოკვეცა მეტად პროდუქტიული, მისაღები და ხელსაყრელი საშუალებებია. რაც შეეხება კომპიუტერულ შემოკლებებს, როგორც ვხედავთ, მათ ბოლომდე ვერ მივაკუთვნებთ ვერც სალიტერატუროს, ვერც არასალიტერატურო ლექსიკას. შეგვიძლია უბრალოდ განვიხილოთ როგორც მოვლენა, რომელსაც თითოეულისთვის დამახასიათებელი ნიშნები აქვს. ეს კი უფლებას გვაძლევს, კომპიუტერული შემოკლება-ტერმინები ჩავთვალოთ სიტყვებად, რომელსაც იყენებს საზოგადოების ის ჯგუფი, ვისაც მუდმივი შეხება აქვს ინტერნეტთან. ამ სიტყვების უმეტესობა, როგორც ვიცით, გამოირჩევა სასაუბრო-სალაპარაკო, ხშირად უხეში ფამილარული ელფერით, მაგრამ არც იმის დავიწყება შეიძლება, რომ კომპიუტერული და ინტერნეტის შემოკლებები ძირითადად პროფესიული ტერმინებიდან ნაწარმოები სიტყვებია.

**ვებსტერის კომპიუტერული ტერმინოლოგიის ახალი მხატ-
ლო ლექსიკონი** — Webster's New Wordld Dictionary of Computer
Terms.

დიქსონი, 1999 — P. Dickson, The Authoritative Topic-By-Topic
Dictionary of American Lingoes from all Walks of Life, 1999.

სპირსი, 1991 — Richard A. Spears, Dictionary of American
Slangs and Colloquial Expressions, 1991.

ნესვიკი, 1992 — Nesweek, March 9, 1992.

ჰაკერი, 2003 — Журнал Хакер №5, 6, 7-2003.

EKATERINE BAKARADZE

Shortenings in Computer Usage

Summary

The paper deals with various types of shortening (abbreviations, acronyms, blends, clippings) that are typical of computer usage and considers them one of the effective, productive and economic means of wordformation. The phenomenon in question is conditioned by the limitations in time and space and the principle to spare energy and money.

The paper focuses on the importance and meaning of each type of shortening in detail.

ივანე მინაძე

დისკუსია როგორც სოციალური აპტივობა კომუნიკაციური დიალექტის კონტაქტში

უცხოური ენის სწავლების თანამედროვე კონცეფცია მიზნად ისახავს საკომუნიკაციო კომპეტენციის გამომუშავებას, რაც გულისხმობს განსხვავებულ სოციო-კულტურულ კონტექსტებში ენობრივი სისტემის ცოდნის ადეკვატურად გამოყენების უნარის ჩამოყალიბებას. ამ უნარის რეალიზაცია გამოიხატება ისეთი ტექსტის აგებაში, რომელიც სრულყოფილად ასახავს ამა თუ იმ კონკრეტულ სამეტყველო სიტუაციას. ვინაიდან ნებისმიერი კონკრეტული ტექსტი ამა თუ იმ კლასის, ჟანრის, სახეობის წარმომადგენელია, საკომუნიკაციო კომპეტენცია არის ტექსტის სხვადასხვა ტიპების პროდუცირება-რეცეფციის უნარი. კომუნიკაციური კომპეტენციის ცნების ამგვარი გაგება უშუალოდ უკავშირდება მის პედაგოგიკურ ინტერპრეტაციას: ესაა საბაზისო საკომუნიკაციო უნარი, რომელიც ექვემდებარება დიდაქტიზირებას და, რაც მთავარია, დაუფლებას. საკომუნიკაციო კომპეტენციის ჩამოყალიბება ნიშნავს, ენის შემსწავლელს ვასწავლოთ ტექსტის ტიპებით — გარკვეულ სიტუაციებთან დაკავშირებულ სამეტყველო ჟანრებით — ოპერირება. ასე მაგალითად, თუ გვსურს, ენის შემსწავლელმა შესძლოს უცხოელ პარტნიორთან ტელეფონით ლაპარაკი, ის უნდა დაეუფლოს იმ წესებს, რომელთა მიხედვით ხორციელდება ასეთი ტიპის კომუნიკაცია შესაბამის სოციო-კულტურულ სივრცეში: როგორ დაიწყოს საუბარი, როგორ აგოს რეპლიკები, როგორ დაემშვიდობოს ადრესატს, თავაზიანობის რა ფორმებს მიმართოს და ა.შ.

საკომუნიკაციო კომპეტენციის ამგვარი გააზრების შედეგია ის, რომ გერმანული ენის ახალი სახელმძღვანელოები (მათ შორის გრამატიკებიც კი!) უპირატესად ტექსტის ტიპებზე / სამეტყველო ჟანრებზე (თექსტორტენ) მუშაობას გვთავაზობენ. მეთოდის თვალსაზრისით დისკუსიაც ერთ-ერთი ამგვარი დიდაქტიკური ოდენობაა. მისი სპეციფიკა ისაა, რომ ამ სამეტყველო ჟანრის რეალიზაციაში მო-

ნაწილად საკომუნიკაციო ქმედებები ერთობ რთული და მრავალფეროვანია. სწორედ ამიტომ უქმნის დისკუსია — ზეპირი კომუნიკაციის ეს ფორმა — ენის შემსწავლელთ დიდ სიძნელებებს და ამდენად მას, როგორც წესი, ენის სწავლების მხოლოდ უმაღლეს საფეხურზე მიმართავენ — კერძოდ მაშინ, როდესაც ენის შემსწავლელთ ზეპირ-მეტყველების ძირითადი უნარ-ჩვევები უკვე გამოქმუშავებული აქვთ.

სამეტყველო ჟანრებზე მუშაობა რამდენიმე ეტაპს გულისხმობს. მათგან პირველი და ძალიან მნიშვნელოვანია თვითონ სამეტყველო ჟანრის ტრანზონირება სწავლების კონტექსტში, ანუ მისი დიდაქტიზირება. ეს პროცესი კი მით უფრო წარმატებულია, რაც უფრო გარკვეულია ჟანრის ტიპოლოგიური მახასიათებლები, ანუ ის ლინგვისტური თუ ექსტრალინგვისტური კონსტანტები, რომლებიც ჟანრს ჟანრად აქცევენ და რომელთა უგულებელყოფაც კომუნიკაციურ უზუსტობებს იწვევს.

წინამდებარე სტატიაში ჩვენც სწორედ დიდაქტიზირების პირველ ეტაპზე შევჩერდებით. შევეცდებით განვიხილოთ ზეპირი დისკუსიის პრაგმატული და სემანტიკური ასპექტები და ამ ასპექტებთან კავშირში შეგვხვთ მის ფორმალურ მხარესაც.

1. სიტუაციურ-პრაგმატული ასპექტი

სამეტყველო ჟანრის პრაგმატული (კომუნიკაციურ-პრაგმატული ანუ ფუნქციურ-პრაგმატული) ასპექტი უშუალოდ უკავშირდება სიტუაციას, რომელშიც მიმდინარეობს კომუნიკაცია. ამ სიტუაციის მოდელი შეიცავს კომუნიკანტებს, მათ ინტენციას (სამეტყველო მიზანდასახულობას), მათ სოციალურ, კულტურულ, ფსიქოლოგიურ ურთიერთმიმართებებს, კომუნიკაციის დროს, ადგილს, არხს და სხვ. თითოეული ეს ფაქტორი გავლენას ახდენს ჟანრის ენობრივ (ფორმალურ) ორგანიზაციაზე, მაგრამ მათგან ყველაზე მნიშვნელოვნად ითვლება სამეტყველო ჟანრის მიზანდასახულობა (ინტენცია), რომელიც ტექსტის საკომუნიკაციო ფუნქციას განაპირობებს.

დისკუსია ძალიან ზოგადად აღნიშნავს რაიმე პრობლემური საკითხის საჯარო განხილვას, რომლის მიზანია დისკუსიის მონაწილეთა პოზიციების დაახლოება, ერთობლივი გადაწყვეტილებების მიღება და შესაბამისად ქმედება ან სადავო სიტუაციის გამოკვეთა მაინც (შდრ.: ენობრივი კომუნიკაცია. 142).

არსებობს დისკუსიის ორი ძირითადი ფორმა:

- განსჯა (Klarung/Klärungsgespäch) რომლის დროსაც ხდება

პრობლემის ყველა შესაძლო ასპექტის განხილვა, დისკუსიის მონაწილეთა განწყობისა და შეხედულებების გაცნობა და პრობლემის საერთო ხედვის შემუშავება, რის შემდეგაც ნათლად წარმოჩნდება საკუთრივ საკამათო საკითხები (სლემბეკი, 1993, 47).

- კამათა (Streit), რომელიც თავიდანვე გულისხმობს საკამათო საკითხის არსებობას, რომლის დროსაც კამათის მონაწილეები ერთმანეთის გადარწმუნებას ცდილობენ.

განსჯასა და კამათს შორის მკაფიო საზღვრის გავლება იოლი არ არის. ერთი რამ კი ცხადია: განსჯის მონაწილეები ერთმანეთის პარტნიორები არიან, კამათის კი — ერთმანეთის მოწინააღმდეგენი.

დისკუსიის რეალიზაციაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება აგრეთვე კომუნიკანტების სტატუსსა და როლს. სწორედ ეს ფაქტორები განსაზღვრავს დისკუსიის შემდეგ სახეობებს:

- „მრგვალი მაგიდა(Rundgespräch) არის დისკუსიის ფორმა, როდესაც ყველა მონაწილეს აქვს უფლება, შეკითხვები დაუსვას ყველა დანარჩენს.

- „ფორუმი-დისკუსია“ (Forumdiskussion). ამგვარი დისკუსიის დროს ამა თუ იმ დარგის სპეციალისტები აუდიტორიის თანდასწრებით ეკამათებიან ერთმანეთს. დისკუსიის ამ ფორმას განეკუთვნება ასევე სატელევიზიო თუ რადიო დისკუსიები. ამგვარი დისკუსიის მონაწილეთა მთავარ მიზანს წარმოადგენს არა ოპონენტების გადარწმუნება, არამედ მათთვის სასურველი აზრის შექმნა აუდიტორიაში.

- „ღია დისკუსია“ (offene Podiumsdiskussion). რომლის დროსაც აუდიტორიას სპეციალისტებისათვის შეკითხვების დასმის უფლება ეძლევა.

- „მონსენების შემდგომი დისკუსია“ (Vortragsdiskussion). ესაა დისკუსიის ფორმა, როდესაც აუდიტორია შეკითხვებით მიმართავს მომხსენებელს. (შდრ.: კოხი, 1984, 113).

დისკუსიის პრაგმატული განზომილება განაპირობებს აგრეთვე იმ კერძო სამეტყველო ქმედებებს (Teilhandlungen), რომელთა რეალიზაციაც დისკუსიის მსვლელობაში ხდება. ზოგიერთი პრაქტიკული სახელმძღვანელოს მიხედვით მათი რიცხვი სამოცდაათს აღემატება.

(იხ.: გიუნტერი, კიში, ლიოშმანი, 1982). ცხადია, თითოეული მათგანი თანაბრად მნიშვნელოვანი არ არის, მაგრამ დისკუსიის ხელშეწყობის სრულყოფილად ათვისებაში მაინც თავისი წვლილი შეაქვთ.

დისკუსიის მონაწილეთა ძირითად სამეტყველო ქმედებას წარმოადგენს არგუმენტირება (*Argumentieren*), რომელიც რამდენიმე კერძო ქმედებას აერთიანებს: *Begründen, Beurteilen, Beweisen, Einbeziehen, Klarstellen, Kommentieren, Konkretisieren, Korrigieren, Kritisieren, Polemisieren, Präzisieren, Übereinstimmen, Untrestreichen* და ა.შ. ცხადია, დისკუსიის მონაწილეებს უნდა შეეძლოთ ისეთი ენობრივი ქმედებების განხორციელებაც, როგორცაა *Widersprechen, Zustimmung, Zusammenfassen, Schlussfolgern, Entgegenen, Definieren, Einwenden, Behaupten, Urteilen, Entlarven* და სხვ. არანაკლებ მნიშვნელოვანია ისეთი ქმედებებიც, როგორიცაა *Fragen, Auffordern, Ablehnen, Entgegentreten, Korrigieren* და ა.შ. მნიშვნელოვანია ასევე ის ენობრივი საშუალებები, რომლებიც თავაზიანობისა და შეფასების (*Bewerten, Stellung nehmen, Höflichkeit*) გამოხატვას ემსახურება.

ფრიად მრავალფეროვანია ჩამოთვლილ საკომუნიკაციო ინტენციათა ენობრივი რეალიზაციის შესაძლებლობები. მაგალითად სამეტყველო ქმედება „დათანხმება“ გერმანულ ენაში შეიძლება გამოიხატოს შემდეგი საშუალებებით:

Ja!

Zweifellos!

Sicher!

Gewiss!

Bestimmt!

Durchaus!

Das ist richtig.

Das ist durchaus richtig.

Ich stimme Ihnen zu.

Das finde ich auch.

Sie haben Recht.

Das stimmt.

Dem kann ich nur zustimmen.

Dem ist nur zuzustimmen.

Dagegen bestehen meinerseits keine Einwände.

Dem ist nicht zu widersprechen. da svv.

ყველა ზემოთხსენებული გამოჩენილებაში თანხმობას გამოხატავს, მაგრამ მათ შორის საგრძნობი კომუნიკაციურ-კონოტაციური განსხვავებებია. ენის კომპეტენტური ცოდნა სწორედ ამგვარი ნიუანსების მართებულ ფლობას გულისხმობს. ასე მაგალითად, შეკითხვის დასმისას მნიშვნელოვანია არა მხოლოდ სასურველი ინფორმაციის მოძიება, არამედ მეორე მხარისათვის ჩვენი დაინტერესების ჩვენება და ასევე თავაზიანობის ნორმების დაცვა, რაც ხელს უწყობს დისკუსიის წარმართვას კეთილგანწყობილ გარემოში:

Ich hätte gernme gewusst, was Sie darunter meinen.

Mich würde interessieren, worauf sich Ihre Behauptung stützt.

Ich hätte eine Frage...

Dürfte ich Sie fragen?

Ich hätte gerne etwas über Ihre Argumente erfahren.

Würden sie uns bitte erläutern...

Könnten Sie bitte die Frage wiederholen?

თავაზიანობის ნორმების დაცვა აუცილებელია მაშინაც, როდესაც გამოთქმულ მოსაზრებებს არ ვეთანხმებით:

Erlauben Sie, dass ich Ihnen widerspreche.

Da muss ich Ihnen leider widersprechen.

დისკუსიისას უნდა გერიდოთ ისეთი გამოთქმებსა თუ მიმართვის ფორმებს, რომლებსაც პარტნიორობის უპატივისცემლობის ელფერი დაჰკრავს:

Da ist völlig absurd!

Das ist ja lächerlich!

Sie wollen doch nicht etwa sagen, dass...

Sie wollen doch nicht etwa behaupten, dass...

Das ist eine Binsenwahrheit!

Das ist eine willkürliche Behauptung!

Ihre Argumentation ist (vollkommen) abwegig.

Was Sie sagen, hat weder Hand noch Fuß!

Ihre Beweise sind (vollkommen) aus der Luft gegriffen!

Ihre Argumente sind unhaltbar.

განსაკუთრებული ტაქტი მართებს ასევე დისკუსიის წამყვანს, რომელსაც ზოგ შემთხვევაში მოუწევს შენიშვნა მისცეს მონაწილე-

გბს, წესრიგისკენ მოუწოდოს მათ და ა.შ.:

Herr Weber, können wir das tewas abkürzen.

Herr Weber, wenn Sie sich vielleicht kürzer fassen könnten.

Sie haben Ihre Redezeit schon weit überschritten.

Dürfte ich Sie bitten, Ihre Ausführungen auf etwas Wesentliche zu beschränken.

Die Teilnehmer werden gebeten nu zur Sache su sprechen.

Ich bitte Diskussionsredner bei der Thematik zu bleiben და ა.შ.

შეფასების გამოხატვისას (განსაკუთრებით უარყოფითი აზრის შემთხვევაში) მოსაუბრეს სამეტყველო საშუალებებით ლავირებაც მოეთხოვება:

Ich finde die Idee nicht schlecht, aber...

Sie dürfen sich geirrt haben...

Das ist schon richtig, aber...

Sie mögen vielleicht recht haben, aber...

Ich behaupte nicht, dass, was Sie sagen, falsch ist, aber...

აღნიშნული ასპექტის გათვალისწინება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უცხოური ენის სწავლებისას. როგორც ცნობილია, თავაზიანობის/პატივისცემის გამოხატვის ფორმები და ზერხები სხვადასხვაგვარია სხვადასხვა კულტურაში. წარმატებული დისკუსიის ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა კი ხომ ის არის, რომ მოპაექრეები კეთილგანწყობილად დასცილდნენ ერთმანეთს.

დიალოგის მონაწილეებს უხდებათ არა მარტო შეფასების გადმოცემა, არამედ ემოციური განწყობის დაბალანსებაც, კატეგორიულობის გამოხატვა, სიტუაციის შემსუბუქება, ფარული ზემოქმედების განხორციელება და ა.შ. აქ მათ დიდ დახმარებას უწევს სხვადასხვა ტიპის ნაწილაკები (ja, na ja, doch, mal, schon...), რომლებზედაც დიდად არის დამოკიდებული გამონათქვამის ნიუანსირება. ამ ნაწილაკების შესწავლა-გამოყენება ზეპირი მეტყველების შეთვისების ერთ-ერთი ურთულესი ბარიერია, განსაკუთრებით ქართული ენის შემსწავლელთათვის, რომლებსაც ამ სფეროში არაერთი სემანტიკური თუ კომუნიკაციურ-ფუნქციური სიძნელე ხვდებათ.

დიალოგში მონაწილეობისათვის აუცილებელია აგრეთვე ფატიკური (უშუალო კონტაქტის დამამყარებელი) ფორმების ცოდნა, რო-

გორიცაა, მაგალითად, მისალმების, მიმართვის, დამშვიდობების ფორმები. მათი შერჩევა ხდება ადრესატის სოციალური სტატუსის, სქესისა და მოსაუბრესთან ნაცნობობის ხარისხის შესაბამისად:

Herr Bundespräsident!

Herr Minister!

Frau Vorsitzende!

Veerehrte Kolleginnen und Kollegen!

Meine sehr verehrten Damen und Herren! და ა.შ. (ვაინრიხი, 823)

დიპლომის წარმართვაში რეპლიკების თანმიმდევრობის მარეგულირებელი სიგნალებიც მონაწილეობენ. ისინი მიუთითებენ, თუ ვის „უპყრია“ სიტყვა. ასე მაგალითად, სიგნალები *ich denk', ich mein', ich glaub'(e), dass...* გულისხმობენ, რომ მოსაუბრეს განზრახული აქვს სიტყვის გაგრძელება. ანალოგიურ როლს ასრულებენ ე.წ. პაუზების შემავსებლები, როგორცაა *äh, öh*, რომლებიც გვამცნობენ, რომ მოსაუბრე მხოლოდ დროებით შეფერხდა (ვთქვათ, ეძებს სასურველ ფორმულირებას) და არ აპირებს სიტყვის დათმობას. მაგრამ, ცხადია, თანამოსაუბრესაც შეუძლია გამოიყენოს მის განკარგულებაში მყოფი ენობრივი რეპერტუარი და რეპლიკათა თანამიმდევრობა შეცვალოს:

Entschuldigen Sie, dass ich Sie unterbreche, aber...

Darf ich vielleicht dazu bemerken, dass...

Wenn Sie erlauben, möchte ich doch...

Erlauben Sie bitte eine Zwischenfrage...

Ich hätt' dazu mal'ne Frage...

Warten Sie mal!

არსებობს ისეთი სიგნალებიც, რომლებიც მიანიშნებენ, რომ მოსაუბრე თვითონ გადასცემს სიტყვას პარტნიორს. ასეთ სიგნალებს განეკუთვნება მაგალითად:

Nicht wahr?,

Klar?

Oder? / Oder (etwa) nicht?

Verstanden?

Meinen Sie nicht auch?

სიტუაციურ-პრაგმატულ კონტექტს მიეკუთვნება პარალინგვისტური ელემენტებიც. როგორც ცნობილია, დისკუსიისას, ისევე რო-

გორც საერთოდ ზეპირი კომუნიკაციისას, დიდი მნიშვნელობა ენიჭება არა მხოლოდ იმას თუ რას ვამბობთ, არამედ იმასაც, თუ ვაზროვნებთ. არასწორმა ინტონაციამ, მახვილდებამ, გაწელილმა პაუზებმა შეიძლება მნიშვნელოვნად გაართულოს ნათქვამის ადეკვატური აღქმა. ეს პარალინგვისტური ელემენტები ოთხ ჯგუფად შეიძლება დაიყოს:

- მელოდიური ელემენტები (წინადადების მელოდია, ტონალობა);
- დინამიური ელემენტები (მახვილი, მახვილების ცვლა, ხმის აწეულობა, ხმის სიმაღლის ვარიირება);
- ტემპორალური ელემენტები (მეტყველების სიჩქარე, ტემპის ცვალებადობა, პაუზების ხანგრძლივობა);
- არტიკულაციური ელემენტები (მკაფიო მეტყველება, ბგერების სათანადო გადაბმა).

ამ ელემენტების ერთობლიობა მსმენელს გარკვეულ ინფორმაციას აწვდის, ნათქვამის აღქმაში ეხმარება. მელოდიური ელემენტები არა მარტო აცოცხლებენ მეტყველებას, არამედ იძლევიან ინფორმაციას, დასრულდა თუ არა გამონათქვამი, შეკითხვა ზომ არ არის დასმული და სხვ. ტონალობის ცვლა, მსმენელს ყურადღების მოდუნების საშუალებას არ აძლევს, ისევე როგორც, მაგალითად, ხმის სიძლიერის ვარიირება. სხვათა შორის, ხმამაღლა ლაპარაკი არ იძლევა მსმენელთა ყურადღების მიპყრობის გარანტიას: კარგმა ლექტორმა იცის, რომ ხანდახან საჭიროა ხმის დაწევა, რომ განზრახ გააძნელოს გაგება, ანუ მსმენელს უბიძგოს უფრო ყურადღებით მოისმინოს ნათქვამი. დისკუსიისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მახვილდებას. როგორც წესი, მახვილი საკვანძო სიტყვაზე, ძირითადი ინფორმაციის შემცველ ერთეულზე მოდის, რომელის მნიშვნელობას მოსაუბრე მახვილის საშუალებით უსვამს ხაზს. მახვილდება სიტუაციასა და მოლაპარაკის განზრახვაზეა დამოკიდებული. არასწორი მახვილდება აძნელებს რეცეფციას, მან აზრის მცდარი გაგებაც კი შეიძლება გამოიწვიოს. ნათქვამის გაგება დამოკიდებულია ასევე მეტყველების სიჩქარეზე (ობტიმალურია საშუალო სიჩქარე, ანუ გერმანული ენის შემთხვევაში დაახლოებით 250 მარცვალი წუთში). არგუმენტის წინ ან შემდეგ დასმულმა პაუზებმა, მათმა ხანგრძლივობამ შეიძლება მსმენელი ან მოამზადოს მნიშვნელოვანი ინფორმაციის მისაღებად ან დრო მისცეს ნათქვამის უკეთ გასაგებად და დასამახსოვრებლად.

და ბოლოს, დისკუსიისათვის, ისევე როგორც საერთოდ ზემოთ
მეტყველებისათვის, მნიშვნელოვანია არავერბალური საშუალებების
(მიმიკა, ქესტიკულაცია, სივრცობრივი დისტანციის დაცვა და ა.შ.)
ცოდნა და გამოყენება. საყოველთაოდ ცნობილია, რომ განსხვავე-
ბულ კულტურებში არავერბალურ ფორმათა განსხვავებული სისტე-
მები მოქმედებს. ამიტომ ენის შესწავლელს აქაც დიდი ყურადღება
მართებს. ასე, მაგალითად, თავის დაქნევა ყველა კულტურის წარმო-
მადგენლისთვის როდი ნიშნავს თანხმობას. ქესტიკულაციის ფორმე-
ბიც ყველასათვის ერთნაირი არ არის. ამიტომ ინტერკულტურული
კომუნიკაციის ამ სპეციფიკურ სფეროსაც საგანგებო შესწავლა ესა-
ჭიროება.

ყოველივე ზემოთქმული მიუთითებს იმაზე, რომ კორექტული სა-
მეტყველო ქმედებები მნიშვნელოვნად განსაზღვრავს დისკუსიის მი-
მდინარეობას: იქნება ის კონსტრუქციული, საკამათო საკითხის გან-
ხილვაზე მიმართული, თუ პირადულ დაპირისპირებაში გადაიზარდე-
ბა. ცხადია ფორმა არ განსაზღვრავს აზრის მართებულობას, მაგრამ
ყველა აზრი მართებულ ფორმას საჭიროებს, თუ გვინდა, რომ მსმე-
ნელმა ახალი / საპირისპირო აზრი გაიზიაროს ან მოისმინოს მაინც.

2. სემანტიკური ასპექტი

დისკუსიის სემანტიკური მხარე განსაზღვრავს მის შინაარსობ-
რივ ტიპებს. ესაა პოლიტიკური დისკუსია, სოციო-კულტურული
დისკუსია, დარგობრივი (პროფესიული) დისკუსია და სხვ.

სადისკუსიო თემის შერჩევისას ანგარიში უნდა გაეწიოს შემდეგ
ასპექტებს:

- კამათის საგანი/საკამათო თემა დისკუსიის ყველა მონაწილისა-
თვის საინტერესო უნდა იყოს.
 - დისკუსიის მონაწილეები კამათის თემატიკას უნდა იცნო-
ბდნენ, გარკვეულწილად მაინც უნდა იცვნიერ კომპეტენტური განსა-
ხილველ საკითხში.
 - კამათის თემა არ უნდა იყოს არც ძალიან ზოგადი და არც ძა-
ლიან სპეციფიკური. პირველ შემთხვევაში არსებობს საშიშროება, რომ
დისკუსია სასურველზე მეტად „გაიშლება“, ხოლო მეორე შემთხვევა-
ში, მხოლოდ რამდენიმე ადამიანი შეძლებს მასში მონაწილეობას.
- დისკუსიის თემის გაშლისთვის მნიშვნელოვანია უპირველესად

იმ ლექსიკური ერთეულების ცოდნა, რომლებიც აუცილებელია განსახილველ საკითხზე მსჯელობისას. ენის კომპეტენტური მცოდნე არ არის დაზღვეული იმისაგან, რომ დისკუსიის დროს არ დაავიწყდეს საჭირო (საკვანძო) სიტყვა. ასეთი სიტყვის დავიწყების შემთხვევაში მოსაუბრემ უნდა შეძლოს კომპენსატორული საშუალებების დახმარებით წარმოქმნილი სიძნელის დაძლევა. ასეთი სახის საშუალებებს განეკუთვნება:

- ნაგულისხმევის გადმოცემა სხვა სიტყვებით (მათ შორის სინონიმებით);
- ახალი შესიტყვების „შეთხზვა“, რომელიც ნაგულისხმევს გამოხატავს;
- ნაგულისხმევის გამოხატვა უესტ-მიმიკის საშუალებით;
- აუდიტორიისადმი დახმარების თხოვნით მიმართვა და სხვ.

სემანტიკური პრობლემების დაძლევის უცხოური ენის შემსწავლელს, ჩვენი აზრით, საგრძნობლად გაუადვილებს თემასთან დაკავშირებული ლექსიკური ველების წინასწარ გაცნობა. ასე, მაგალითად, თუ დისკუსიის საგანია „ოჯახის არასტაბილურობა, როგორც თანამედროვეობის სოციალური პრობლემა“, მონაწილეებმა წინასწარ უნდა აითვისონ ისეთი ლექსიკურ-სემანტიკური მიკროველების ძირითადი ერთეულები, როგორიცაა „ქორწინება“, „ოჯახური ტრადიციები“, „კონფლიქტური სიტუაციები“ და ა.შ.

დისკუსიის დროს სიტყვების შერჩევისას გასათვალისწინებელია მათი სიტუაციური ასპექტებიც: ერთნაირ მნიშვნელობას უკავშირებს თუ არა აუდიტორია რომელიმე ერთ ცნებას: რამდენად მართებული ან, პირიქით, უადგილოა უცხო სიტყვების გამოყენება და სხვ.

როგორც უკვე აღინიშნა, დისკუსია კომპლექსური სოციალური აქტივობაა, რომლის დროსაც მოსაუბრეს მრავალი პრაგმატული, სემანტიკური თუ ფორმალური ასპექტის გათვალისწინება უწევს. ზოგი მათგანი მოსაუბრისთვის მშობლიური ენიდანაა ცნობილი (არაგერბალური ელემენტები, დიალოგური როლების ცვლა), ნაწილს კი (მისალმება, დამშვიდობება, თავაზიანობის გარკვეული ფორმები) ის უცხოური ენის შესწავლის დაწყებით საფეხურზე ითვისებს. დისკუსიის დროს ამ ელემენტების მართებული გამოყენება დიდ მნიშვნელობას იძენს, რადგან მცირე უზუსტობამ შეიძლება კომუნიკაციის პროცესი მნიშვნელოვნად შეაფერხოს. დისკუსიის სწავლება კომუნი-



კაციური კომპეტენციის ჩამოყალიბებისათვის ისეთი მნიშვნელოვანი
უნარ-ჩვევების განვითარების საშუალებასაც იძლევა, როგორიცაა არ-
გუმენტირება, კონსტრუქციული კრიტიკა, სხვისი აზრისადმი ტოლერ-
ანტული მიდგომა, დასკვნის გამოტანა და ა.შ.

ამრიგად, წინამდებარე სტატიაში წარმოვადგენთ დისკუსიის გა-
რკვეულ სტანდარტულ (და ამდენად სტატიკურ) სახეობათა ზოგადი
დახასიათება, იმ ასპექტების გამოკვეთის მიზნით, რომლებიც გასათ-
ვალისწინებელია ინტერაქტიული ქმედების შესათვისებლად. ცხადია,
დისკუსიას აქვს მეორე — პროცესუალურ-დინამიური — განზომილე-
ბაც, რომელიც მის კონკრეტულ მიმდინარეობას ასახავს. ვგულის-
ხმობთ საკომუნიკაციო მიზნის ზუსტი გამოკვეთას, პაექრობის გეგმი-
სა და კერძო სტრატეგიების შემუშავებას, მოდერაციის ტექნიკის
არჩევას და ა.შ., მაგრამ ეს საკითხები უკვე ცალკე მსჯელობის საგანია.

ლიტერატურა

ენობრივი კომუნიკაცი, 1976 — Sprachkommunikation. Auto-
renkollektiv unter Leitung von Dr. Sigrid Auras. Berlin, 1976.

კოხი, კოხი, 1984 — Koch R., Koch U. Deutsch in integrierter
Form für berufliche Schulen. Mannheim, 1984.

სლემბეკი, 1993 — Slembek, E Klären — eine Methode in der
Pädagogik der interkulturellen Kommunikation. In: Dahmen et al.
(Hrsg): Rhetorik für Europa. Berlin, 1993.

გიუნტერო, კორში, ლიოშმანი, 1982 — Günter/Kirsch/
Löschmann. Wir diskutieren. Leipzig, 1982.

ვაინრიხი, 1993 — Weinreich H. Textgrammatik der deutschen
Sprache. Dudenverlag, Mannheim, 1993.

Discussion As a Social Activity within the Framework of Communicative Didactic Context

Summary

The paper deals with the typological peculiarities as well as extralinguistic and linguistic constants of one of the spoken discourse genres – discussion. The paper argues that for didactic purposes, when teaching a foreign language, the pragmatic and semantic aspects of a discussion and their formal realization should be taken into account. The paper focuses on general features of various types of discussion and singles out there aspects that will make it easier for a foreign learner to master the genre in question.

ნათო მარტაშვილი

მხატვრული ტექსტის სათაურის სამანტიკის საკვიფიკურობა

„დასათაურების ტექნიკა უკავშირდება არა იმდენად სიტყვიერ მასალას, რამდენადაც მხატვრულად გადამუშავებულ მასალას: აზრი, რომელიც ჩამოყალიბდა სოლიდური ტექსტის წაკითხვის შედეგად, უნდა გავიღეს სათაურშიც. ეს ხელოვნებაა, რომელიც მოითხოვს მხატვრული ტექსტის მხატვრულად აღქმას და მის განზოგადებას“

(კრეტიჟანოსკი)

ფრანგული მხატვრული ტექსტის სათაურთა კვლევისას, სათაურისა და მხატვრული ტექსტის ურთიერთკავშირების ხასიათის შესწავლის საფუძველზე, დავადგინეთ სათაურის ტექსტთან ორი ტიპის მიმართება: მარტივი და რთული. ნაწარმოებთან მარტივი ტიპის მიმართება აქვს სათაურს, რომელიც არ წარმოქმნის ქვეტექსტს: ესენია 1) მარტივი ტიპის სათაური-პროდრომი, რომელიც ნაწარმოების მთავარი პერსონაჟის ან მთავარი თემის უბრალო ნომინაციით იფარგლება: "Nana", "Mateo Falcone", "La Rempailleuse", "Le Colonel Chabert", "Le papa de Simon", "La Princesse de Clèves", "Une Aventure Parisienne", "Conte de Noël", "Histoire d'une Fille de ferme" etc. და 2) მარტივი ტიპის სათაური-პრაგმემა, რომელიც ასახელებს მთავარ პერსონაჟსა თუ მთავარ თემას და ექსპლიციტური, პირდაპირ შემფასებლური სიტყვებით გამოხატავს ავტორის დამოკიდებულებას დასახელებული პერსონაჟისადმი თუ მოვლენისადმი. ცხადია, ასეთი სათაური შეიცავს შეფასებით სემას, მაგრამ რამდენადაც წინასწარ აცხადებს ავტორის სუბიექტურ ხედვას, ქვეტექსტს აღარ წარმოშობს. მაგ.: „Les Misérables", "Une ténébreuse affaire", etc.

სათაურისა და მხატვრული ტექსტის რთული ურთიერთმიმართებისას შეინიშნება ქვეტექსტის წარმოქმნა და ასეთი მიმართების

სათაურებს ჩვენ რთული ტიპის სათაური-პროდრომი და რთული ტიპის სათაური-პრაგმემა ვუწოდეთ.

წინამდებარე სტატიიში ჩვენ გვსურს გავანალიზოთ მხატვრულ ტექსტთან რთული მიმართების სათაურის სემანტიკური სპეციფიკურობა. მხედველობაში გვაქვს ამგვარი სათაურის სემანტიკის უნარი, ერთდროულად განახორციელოს მნიშვნელობის კონკრეტიზაცია, რაც გულისხმობს სათაურით გამოხატული საგნის, მოვლენის ან სიტუაციის პირდაპირ მიმართებას ნაწარმოებისეულ გარკვეულ კონკრეტულ სიტუაციასთან და გენერალიზაცია ანუ განზოგადება, რომელიც ეტაპობრივად ხორციელდება სათაურის სიტყვისა თუ სიტყვების სემანტიკური პოტენციის ზრდის მეშვეობით მხატვრულ ტექსტთან მიმართებაში.

რთული ს/პროდრომი ასახელებს ნაწარმოების მთავარ თემას, მაგრამ მას აქვს ქვეტექსტის წარმოქმნის უნარიც. მაგალითად, ბეკეტის პიესის სათაური, „En Attendant Godot“ ასახელებს პიესაში მიმდინარე პროცესს, მაგრამ პიესის წაკითხვის შემდეგ გოდოს ლოდინი ერთგვარ ფილოსოფიურ ხასიათს იძენს. პიესაში მრავალჯერ და სხვადასხვა ვარიაციებით გამოვლენილი გამოთქმა, „Attendant Godot“, ლაიტმოტივად გასდევს მთელ ნაწარმოებს, რითაც „გოდოს ლოდინის“ ფუნქცია იზრდება და განსაკუთრებულ აზრსა და მნიშვნელობას იძენს: ის ერთადერთი მიზანი, ყოველგვარი ადამიანური ყოფის არსი ხდება. უმოქმედობა ქმედების ილუზიას ბადებს და „გოდოს ლოდინი“ უაზრობისათვის განწირულობის ქვეტექსტს ქმნის. სათაურის ექსპლიციტური მნიშვნელობისა და მხატვრულ ტექსტში არსებული მოვლენის (ფენომენის) შედარების გზით იქმნება იმპლიციტური მნიშვნელობა. სათაურის ნომინაციური შინაარსი, ასახავს რეფერენტულ სიტუაციას, მხატვრული ტექსტის გადააზრების შემდეგ რეფერენტულ სივრცეში გადის და მოიცავს მას (მთელ მხატვრულ ტექსტს).

ცნობილია, რომ სათაური ინფორმატულობას იძენს მხატვრულ ტექსტთან მიმართებაში და მისი სემანტიკის სიღრმე მთლიანად აღიქმება მხოლოდ მხატვრულ ტექსტთან ერთიანობაში. რთული მიმართების სათაურის სემანტიკის დინამიკა, შეიძლება ითქვას, არის გზა პრესუპოზიციიდან იმპლიკაციისკენ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ასეთი სათაურის სემანტიკა რეკიპიენტის გონებაში სამ საფეხურს გადის: ე. წ. ante-lectio _ in lectio _ post-lectio, ანუ ტექსტის



წაკითხვამდე, ტექსტის წაკითხვისას, ტექსტის წაკითხვის შემდეგ პირველი ეტაპი, **ante-lectio** შთაბეჭდილების პირველსაწყისი სტიმულს აძლევს წარმოსახვის სისტემის ამუშავებას. **in lectio** — მეორე ეტაპია. ამ დროს, მხატვრული ტექსტის წაკითხვისას, მკითხველის შემეცნებაში ხდება კონკრეტული ხატების აღმოცენება. **post-lectio** — საბოლოო ეტაპია, როცა მკითხველის გონებაში ხდება უკვე აღმოცენებული კონკრეტული ხატების გონებისმიერი გადამუშავება და მათი გარდაქმნა აბსტრაქტულ, განზოგადებულ სახედ, რაც ადამიანის ინტელექტუალური ოპერაციის პროდუქტია.

რთული ტიპის სათაური-პრაგმემას შეფასებითი სემა მეტაფორულადაა გადმოცემული. ასეთ სათაურში ავტორის აქსიოლოგიური დამოკიდებულება მხატვრული ტექსტით გადმოცემული ფენომენისადმი მხოლოდ მხატვრული ტექსტის აღქმის შემდეგ ვლინდება.

ემილ ზოლას რომანის სათაური „La Curée“ — ტექსტთან გაცნობამდე (**ante-lectio**) მკითხველისათვის არის ნადირობის ტერმინი და აღნიშნავს ნანადირევის სისხლსა და ნარჩენებს, რასაც ძაღლებს მიუყრიან ზოლმე საჯიფგნად. ამიტომ მხატვრული ტექსტის წაკითხვამდე და წაკითხვის პროცესში (**ante-lectio, in lectio**) მკითხველი ეყრდნობა რა პრესუპოზიციას, სიტყვა-სათაურს იღებს პირდაპირი მნიშვნელობით, ხოლო ტექსტის გაცნობის შემდეგ (**post-lectio**) კითხველი რეტროსპექტულად უბრუნდება მას, გადაიზრებს სიტყვა-სათაურს მხატვრულ ტექსტთან მიმართებაში და სწორედ მაშინ ხდება სათაურის სიტყვის სემანტიკის გენერალიზაცია. აღსანიშნავია, რომ ავტორმა, თავისი ხელნაწერის პირველ გვერდზე დღეს დავიწყებული პოეტის ლექსი წააწერა: „Du sang chaud de la chair, faisons ripaille et gorgeons-nous tout notre soul“, ეს ეპიგრაფი, როგორც წინატექსტური ექსპლიკაცია, რომელიც სათაურს ეხმარება გაამზილოს ავტორის მორალურ-ესთეტიკური პროგრამა, გამოქვეყნებულ ვარიანტში აღარ დარჩა, ანუ მკითხველს არა აქვს მიმნიშნებელი სიტყვა სათაურის ფიგურალური მნიშვნელობის თავიდანვე ამოსაცნობად. ამიტომ მხატვრული ნაწარმოების სათაურის სემანტიკა მკითხველში თანდათან მხატვრულ ტექსტთან მიმართებაში ტრანსფორმირდება: „Quand on ouvrit la porte de la salle à manger, transformée en buffet, avec des dressoirs contre les murs et une longue table au milieu, chargée de viandes froides, ce fut une poussée, un écrasement... On se ruait sur les pâtisseries et les volailles

truffées, en s'enfonçant les coudes dans les cotes, brutalement. C'était un pillage, les mains se rencontraient au milieu des viandes et les laquais ne savaient à qui répondre au milieu de cette bande d'hommes comme il faut, dont les bras tendus exprimaient la seule crainte d'arriver trop tard et de trouver les plats vides..." (Em. Zola, La Curée, p. 369). ამ ეპიზოდის წაკითხვისას (in lectio), რაც ალიმანტარული ორგანის სცენას წარმოადგენს მკითხველი მხედველობაში იღებს ნაწარმოებში არსებულ სინამდვილეს, რომელთანაც სათაურია დაკავშირებული და იწყებს სათაურის ექსპლიციტური მნიშვნელობიდან მისი იმპლიციტური მნიშვნელობისაკენ სვლას და მის ნელ-ნელა ჩამოყალიბებას. სათაურის სემანტიკაში არსებული ლატენტური „პოტენცია“ სასიგნალო ნიშანი ხდება ამოსაცნობად და უკვე შეიძლება მკითხველმა გადაიაზროს სათაური-სიტყვა მეტაფორულად: „La Curée“, სოციალურ ყოფას ასახავს და არის მასობრივი ჩოჩქოლი, დაუნდობელი ბრძოლა „ნანადირევთან“ ახლოს ადგილის დასამკვიდრებლად რაიმე სარგებლობის, გამორჩენის დასაკუთრების მიზნით.

სათაური-პრაგმემა მხატვრული ტექსტისათვის ავტორის კონცეპტუალურ ბირთვს წარმოადგენს. მისთვის არ არის საკმარისი ექსპლიციტური და იმპლიციტური მნიშვნელობები. სათაურ-პრაგმემაში არის სემანტიკის მესამე, ფუნქციური თვალსაზრისით ყველაზე მნიშვნელოვანი შრე — სათაურის აქტუალური მნიშვნელობა. იგი სუბიექტურ სფეროს ეკუთვნის, რადგან შექმნილია ავტორის სუბიექტური ინტენციით. სათაური-პრაგმემასა და მხატვრული ტექსტის თანარეალიზაციისას ხდება ფაქტის უბრალო დეკლარაციიდან ავტორის ინტენციისაკენ სვლა. მხატვრული ტექსტის გადააზრების შემდეგ (post lectio) სათაურის სემანტიკა ტრანსფორმაციას განიცდის და მკითხველისათვის ცხადი ხდება, რომ ეს სათაური-სიტყვა ავტორმა პოლიტიკის პლანში იხმარა, რომელშიც ჟღერს ავტორის განსჯა ფასეულობების შესახებ და მისი მკაფიო ბრალდება ქვეყანაში არსებული რეჟიმისადმი (მოგვიანებით ზოლა იტყვის: „Depuis une vingraine d'années nous assistons à la plus féroce curée qu'on puisse voir“). სათაურში, „La Curée“, იკვეთება ავტორის მორალური კრედო: იმდროინდელი საზოგადოების მისეული ხედვა, სადაც ადამიანის სახის ცხოველები ხარბად ინაწილებენ „დიდი იმპერიის“ ნადავლს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მხატვრულ ტექსტთან რთული მიმართების, სათაურის სემანტიკის მთავარი თვისებაა მოცემულ მხატვრულ ნაწარმოებში მისი ძირითადი მნიშვნელობისა და მისი მნიშვნელობის ფინალური ტრანსფორმის პარალელური ხმარება. სათაურის სემანტიკის გაშიფვრისას კი მის ფინალურ ტრანსფორმს ქვეტექსტის წარმოქმნა ძალუძს.

ლიბრატიშვილი

ფხაკაძე, 1991 — Пхакадзе И. Г. Недостижимые достижимые мыры. Семантика возможного и языковая относительность, Тб., 1991.

კუხარენკო, 1988 — Кухаренко В. А. Интерпретация текста, М., 1988.

ლებანიძე, 1998 — გ. ლებანიძე, ანთროპოცენტრიზმი და კომუნიკაციური ლინგვისტიკა (თეორიული სინთეზი), თბ., 1998.

ფირალიშვილი, 1982 — ო. ფირალიშვილი, ნონ-ფინიტოს პრობლემები ხელოვნებაში, თბ., 1982.

NATO MARTASHVILI

Some Semantic Peculiarities of Titles in Fiction

Summary

The paper deals with the semantic relationship between the title and the text in French fiction. Two types of semantic relationship should be differentiated: simple and complex. The title with a simple semantic relationship cannot create implications. The simple semantic titles are: 1) a title _ prodrôme which merely names the character or the event described in the text and 2) a title _ pragme which explicitly evaluates the character or the event. The title with a complex semantic relationship can arouse implications. The complex title-prodrôme names the event but its semantics is generalized with reference to the text. The complex title-pragme can be interpreted only with reference to the text.

ნათო ფიქაროზილი

არავიერბალური სომატური ფრაზეოლოგიზმები

(იტალიური, რუსული და ქართული ენების გასაღაზე)

ენა გახლავთ უმთავრესი, თუმცა არა ერთადერთი საშუალება ადამიანთა შორის ურთიერთობისათვის. კომუნიკაციის პროცესში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ურთიერთობის არავერბალური საშუალებები. მათ შორის გამოვყოფდი სომატიზმებს, რომლებიც აღნიშნავენ ჟესტებს, პოზებს, მიმიკასა და სახის გამომეტყველებას. ადამიანს შეუძლია გადმოსცეს თანხმობა სიტყვიერად, ანდა თანხმობის, მოწონების გამოსახატავად აწიოს ხელი (კრებაზე, სახალხეთაზე, თავშეყრის ადგილას), დაუკრას ტაში (მიტინგზე, კონცერტზე, სპორტულ ტაკლზე) ან დაუკრას თავი (ყოფით გარემოში). სომატიზმთა კომუნიკაციური ფუნქცია თვალნათელია, მათ თავისუფლად შეიძლება ვუწოდოთ ურთიერთობათა საკმაოდ მოხერხებული, ეკონომიური დამატება. საკმაოდ ეფექტური კომუნიკაციის საშუალებები, რომელთა უნდა, საუბრის, ზეპირი მეტყველების შემდეგ. შეგვიძლია მოვიყვანოთ ზოგიერთი სომატიზმის მაგალითები, რომლებიც ვერბალურ ენაზე აღინიშნებიან სპეციალური სიტყვებითა და სიტყვათა შეთხვევებით: "fare ceno col capo" - "Кивнуть головой" — „თავის დაკრება“.

"Piantare baracca e Burattini" — ყველაფერზე ხელი ჩაიქნის ყველაფერი მიატოვო (წყენით, გულისტკივლით); (შენიშვნა: იტალიურ ენაში აღნიშნულ ფრაზეოლოგიზმში არ მოიპოვება არცერთი სომატიზმი).

"Vuol dire che si piantano baracca e Burattini, e ciascuno fa a mo' do suo!"

(T. Lori, "Bufere sull'Arno")

"Махуть рукой на кого, на что" — ყველაფერზე ხელი ჩაიქნის ყველაფერი მიატოვო (წყენით, გულის ტკივილით).

"Впрочем Валентина Михайловна, кажется, махнула на меня рукой. Я в ее глазач — пропащая".

„ხელს ჩააქნევს, ჩაიქნევს (ყველაფერზე)“ — უყურადღებოდ დააყენებს ტოვებს, თავს დაანებებს რაიმე საქმეს (წყენით, გულის ტკივილით).

„ყველამ ხელი ჩაიქნია ვანკაზე და ბოლოს მშობლებაც“.

(დ. კლდიაშვილი „პროვინციული მთვარე“).

ასეთ სიტყვებსა და სიტყვათა შეთანხმებებს უწოდებენ სომატურ ფრაზეოლოგიზმებს. ისინი ხშირად არიან ორსიტყვიანები, სამსიტყვიანები, მრავალსიტყვიანები და ერთსიტყვიანები. სომატურ ფრაზეოლოგიზმთა განმასხვავებელი ნიშანია მათი სემანტიკის ორი ან უსიანი სტრუქტურა. ანალიზისათვის ავიღოთ სომატური ფრაზეოლოგიზმი — *"Dondolare la testa"* — *"Кочать головой"* — „თავის ქნევა“. იგი წარმოადგენს ფორმისა და მნიშვნელობის ერთიანობას. მის ფორმალურ მხარეს შეადგენს ლექსებათა გარკვეული რაოდენობა, ხოლო შინაარსი, რომელიც გამოხატულია აღნიშნული ლექსებით, არის მისი მნიშვნელობა, რაც ტიპურია ნებისმიერი თავისუფალი სიტყვათშეერთებისათვის. მოცემული სომატიზმის შინაარსი არ არის განუყოფელი. იგი თითქოსდა შედგება ორი იარუსისაგან. მისი პირველი იარუსი — კონკრეტული, თვალნათელი მოქმედების მნიშვნელობაა, მოცემულ შემთხვევაში თავის მიბრუნება მარჯვნივ და მარცხნივ, ერთხელ და რამდენიმეჯერ. ეს არის სომატური ერთიანობის „თავის ქნევის“ პირველადი მნიშვნელობა, მაგრამ აღნიშნული სომატური ფრაზეოლოგიზმის შინაარსი ამით არ ამოიწურება; თავად მოქმედება, თავის მხრივ, აღნიშნავს დაუთანხმებლობის, უარყოფის სიმბოლურ მნიშვნელობას. სიმბოლური (კომუნიკაციური, ინტენციონალური) მნიშვნელობა დაუთანხმებლობისა და უარყოფისა შეადგენს აღნიშნული სომატური ფრაზეოლოგიზმის მეორედ მნიშვნელობას.

მეორადი მნიშვნელობა უშუალოდ ფორმასთან არის დაკავშირებული. იგი თითქოსდა პირველადი მნიშვნელობის მეშვეობით ამყარებს კავშირს მოცემული ფრაზეოლოგიზმის ჟღერად ფორმასთან.

მაგალითად: *"dare (una ან la) mano a q.d."* — დაეხმარო, საშველად გაუწოდო ხელი.

"Era un ometto di cuore e la sua natura non era affatto quella di ladro ma di una persona candida, sempre desiderosa di dare una mano agli altri".

(G. Parise, Parise, "Il prete bello").

"Протянуть кому-н. руку (руки)" — დაეხმარება, უშველის. „ხელს



გაუწვდის, ხელს გაუმართავს“ — დაეხმარება, უშველის.

„და, აბა, ამგვარი მეზობლები რა ხელს გაუწვდიდნენ უწვილ შვილიანს, უვაჟკაცოდ დარჩენილ ოჯახს“.

(ე. გაბაშვილი, „მაგდანას ლურჯა“).

აღნიშნული ფრაზეოლოგიზმის პირველადი მნიშვნელობაა — „ხელების გაწვდა ადრესატის მიმართულებით“, მეორადი კი — „მეგობრობის ნიშანი, დახმარება, მისალმება, შერიგება“.

"Alzare le spalle" — დატოვო უყურადღებოდ რაიმე, უგულვებელყო რაიმე.

"Пожать плечами" — მხრების მოძრაობა ზიზღის ან გაკვირვების გამოსახატავად, ყოყმანი, გაოცება, მიუხვედრელობა.

"Вронский пожал чуть заметно плечами. Он решительно не понимал, что сделала Анна".

(Л. Толстой "Анна Каренина")

„მხრების აჩეჩვა“ — მხრების მოძრაობა ზიზღის ან გაკვირვების გამოსახატავად, ყოყმანი, გაოცება, მიუხვედრელობა.

„აბა რა გიცი“ — აიჩეჩა მხრები ზაალმა“.

(მ. ჯავახიშვილი).

არსებობენ არაერთმნიშვნელოვანი სომატური ფრაზეოლოგიზმები. ერთი და იგივე სომატური მყარი სიტყვათშეწყობა არც თუ იშვიათად აღნიშნავს რამდენიმე სომატიზმს. ზოგიერთი მკვლევარის აზრით სომატური ფრაზეოლოგიზმები "Piantare baracca e Burattini" — "Махнуть рукой" — „ხელის ჩაქნევა“ გამოხატავს სულ მცირე 5 სხვადასხვა ეესტს, სხვათა მტკიცებით კი — 8 ეესტს. გარდა ამისა თითოეულ აღნიშნულ სომატიზმს შეიძლება გააჩნდეს რამდენიმე დამოუკიდებელი მეორადი მნიშვნელობა.

პირველადი და მეორადი მნიშვნელობების გამოყოფასა და გამოვლენებას აქვს დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა მათი შედარებითი შესწავლის თვალსაზრისით და სხვადასხვა კულტურულ-ენობრივი ერთიანობის კონტექსტში. მათი ნაციონალური თვითმყოფადობა გამოიხატება, როგორც პირველად, ასევე მეორად მნიშვნელობებში. სამი ენის ფარდობითი სემანტიკური ფრაზეოლოგიზმები შესაძლებელია ემთხვეოდეს ან არ ემთხვეოდეს ერთმანეთს. ამის საფუძველზე ხდება სომატური ფრაზეოლოგიზმების შედარებითი შესწავლა სხვადასხვა ენებში (აღნიშნულ შემთხვევაში, იტალიურ, რუსულ და ქართულ ენებში).

მოვასწინებთ რა იტალიური, რუსული და ქართული სომატური ფრაზეოლოგიზმების თანაფარდობითი შედარება, ჩვენ ისინი დავყავით

შემდეგ ჯგუფებად.

1. იტალიური, რუსული და ქართული სომატური ფრაზეოლოგიზმები, რომელთა პირველადი და მეორადი მნიშვნელობები მთლიანად ემთხვევა ერთმანეთს. მაგალითად: რუსულ და ქართულ ენებში მყარი სიტყვათშეთანხმება „ასწიო მალლა ცერა თითი“, „Показать большой палец“, როგორც პირველადი მნიშვნელობა ჟესტი (ასწიო ცერა თითი მალლა დანარჩენი თითები კი მოკლე მუჭში), რომელიც თავის მხრივ გამოხატავს მეორად მნიშვნელობას: მაღალი შეფასებისა, შესანიშნავია, ყოჩაღ. ზემოაღნიშნული ჟესტი იტალიურ ენაში (ანტიკური, ძველი რომაული ჟესტია) აღნიშნავდა და იზმარებოდა მოწინააღმდეგისათვის სიცოცხლის ჩუქების ან წართმევის კონტექსტში, ცერა თითი მალლა ნიშნავდა სიცოცხლის ჩუქებას, ცერა თითი დაბლა — სიცოცხლის წართმევას.

იტალიური სომატური ფრაზეოლოგიზმში „Dondolare la testa“ — „Покачать головой“ — „თავის ქნევა“ აღნიშნავს ორ სომატიზმს: ა) თავის მობრუნება მარჯვნივ და მარცხნივ, ბ) თავის გადაქნევა მარჯვენა და მარცხენა მხარისაკენ. პირველადი სომატიზმში აღნიშნავს უარყოფას, ეჭვს, სიბრაღულს. მეორე სომატიზმისათვის კი დამახასიათებელია შემდეგი მნიშვნელობები: გაოცება, საყვედური.

ამავე ჯგუფს განეკუთვნებიან ისეთი გამოყენებადი ფრაზეოლოგიზმები როგორებიცაა: „Spalancare (an sbarrare, sgranare) gli occhi“ — დაქაჩო თვალები გაკვირვების, შეშფოთების, აღშფოთების გამო.

„Lei poveretta, a sentirmi parlare in quel modo, sgranano' gli occhi, sorpresa“.

(A. Moravia, „Racconti romani“).

„Ma i miei sforzi per rassicurarti erano assolutamente inutili, con gli occhi sbarrati continuavi a osservare il vuoto davanti a te ripetendo: „Tutto piu' esplodere“

(Susanna Tamaro „Va' dove ti porta il cuore“).

„Делать большие глаза“ — გამოზატო გაკვირვება, გაოცება, შეშფოთება.

„Подали шампанское. Когда пропка выскочила и вино брызнула вон, они сделали большие глаза“.

(Гончаров, Фрегат „Паллада“).

იტალიურ სომატიზმს „vieni qua!“ ვინმეს შენკენ მოხმობის მნიშვნელობა აქვს (ხელი ერთმუჭადაა შეკრული, მხოლოდ საჩვენებელი თითია გაწვდილი იმ პიროვნების მიმართულებით, რომელსაც

ეძახიან) რუსულ სომატიზმს "Манить рукой" აქვს ვინმეს შენვენ მო-
ხმობის მნიშვნელობა. ეს ჟესტი გამოიხატება ერთად დაწყობილი
თითების გაშლით და მოღუნვით. ეს ის შემთხვევაა, როდესაც სხვა
ალინიშნება სხვაობა იტალიურ, რუსულ და ქართულ ენებში, ანუ
ადამიანის შენკენ მოხმობა სამივე ენაში შესაძლებელია, როგორც
ერთად დაწყობილი თითების მოხრით და გაშლით, ასევე საჩვენებ-
ელი თითის მოხრით და გაშლით.

II. იტალიური, რუსული და ქართული სომატური ფრაზეოლო-
გიზმები პირველადი მნიშვნელობის მთლიანი თანხედრით და მეო-
რადი მნიშვნელობის მთლიანი ან ნაწილობრივი შეუთანხმებლობით.

ნაწილობრივ შეუთანხმებლობაში იგულისხმება ის ფრაზეოლო-
გიზმები, რომელთა მნიშვნელობები მთლიანად არ ემთხვევა, მაგრამ
ახლოს დგას ერთმანეთთან. ასეთი შემთხვევის ტიპურ მაგალითს
წარმოადგენს სომატური ფრაზეოლოგიზმი: "Alzare le spalle" —
"Пожфл пречами" „მხრების აჩეჩვა“ — მხრების მოძრაობა ზიზღის,
გაკვირვების, ყოყმანის, მიუხედავადობის გამოსახატავად. იტალიურ
ენაში კი — რაიმეს უყურადღებოდ დატოვების, აბუჩად აგდების,
უგულბელყოფის მნიშვნელობა აქვს.

ფრაზეოლოგიზმი "(Con) la mano sulla coscienza" — გულახდი-
ლობაში დაარწმუნო ვინმე. — "Piuttosto una mano al cuore, vecchio
Carluccio... una mano al cuore... Per chi avrei faticato tanto, io? (M.
Puccini, "Ebrei"); გარდა ამისა, იტალიურ ენაში არსებობს ჟესტი
'Parola d'onore' — გაშლილი ხელი მიბჯენილი (დადებული) გულ-
მკერდზე, რომელსაც პატიოსანი სიტყვის მიცემის მნიშვნელობა აქვს.

"Приложa (положив) руку сердцу" — „გულზე ხელის დადება“
რუსულ და ქართულ ენებში მისი საერთო მნიშვნელობაა — გულახ-
დილობაში დაარწმუნო ვინმე, აღუთქვა ერთგულება, მოუხადო ბო-
დიში, მაგრამ თხოვნის, სიყვარულში გამოტყდომის მნიშვნელობა,
რომელიც მიღებულია რუსებში, ქართველებისათვის და იტალიელები-
სათვის არატიპურია. (Любовь): "Скажите мне, положиa руку на
сердце. всю истинную правду, что это за девушка и как вы находите ее?"
(Л. Толстой, "Война и мир").

იტალიურ ენაში არსებობს ჟესტი — ხელი, მოკეცილი დიდი
თითით მიგვაქვს და ვატარებთ ცხვირის ქვემოთ (c'e' ne ho fin qua')
და შესაბამისი სომატური ფრაზეოლოგიზმი "Fin sopra i capelli" —
საკმარისზე უფრო მეტი, უმაღლესი ზომის, აღმატებითი ხარისხის
მნიშვნელობა.

"Signora Mobil. _ Siete pieni di problemi.

Ministro esteri _ Fin sopra i capelli".

(h. Terton, "Avevo piu' stima dell'idrogeno").

რუსული სომატიზმი "Провести рукой по горлу" და "Ударить ребром ладони по шее" აქვთ უმაღლესი ზომის, აღმატებითი ხარისხის მნიშვნელობა. მისი შესაბამისი სომატური ფრაზეოლოგიზმებია "Сыт по горло" — აქვთ უმაღლესი ზომის, აღმატებითი ხარისხის მნიშვნელობა. "Но тишина приелась Гуркоб осточертела. Он сердито говорил: — Я сыт по горло и красатой и тишиной". (Б. Галин, "Сосед справа"). ეს ტენდენცია გვხვდება, როგორც იტალიურ, ასევე რუსულ და ქართულ ენებში. აღსანიშნავია მხოლოდ ის ფაქტი, რომ იტალიურ ენაში ჟესტი — ხელის გატარება ყელზე სიკვდილს, რისკს ნიშნავს. „ყველაფრით სავსენი არიან, ყელამდის მოყრილნი, გამაძლარან და წვანან“ (რ. ერისთავი).

იტალიურში, რუსული და ქართული ენებისაგან განსხვავებით არსებობს ჟესტი — ხელის მოხრილ მტევანს რითმულად და ნელა ვირტუოზოზად გულმკერდზე, იქმნება შთაბეჭდილება თითქოს რაიმე დაგადა გულზე, აღნიშნული ჟესტი გამოხატავს მოწყენილობას, დაღლას რაიმეს გამო, რომლის ატანაც გაუსაძლისია.

ახლა განვიხილოთ სომატური ფრაზეოლოგიზმი "Dondolare la testa" — "Кивать головой", „თავის ქნევა“, რომელიც ორ სომატიზმს აღნიშნავს: 1) თავის დახრა ქვემოთ და ზემოთ; 2) თავის აწევა ქვემოთ და ზემოთ. ძალზედ საინტერესოა ის მომენტი, რომ იტალიურ ენაში აღნიშნულ სომატიზმს, თუკი იგი სრულდება მსუბუქად, რითმულად აღნიშნავს დასტურს (ისევე როგორც რუსულ და ქართულ ენებში), თუკი იგი არის მკაფიო, აქცენტირებული მას ეძლევა ირონიულობის ელფერი.

III. იტალიური, რუსული და ქართული სომატური ფრაზეოლოგიზმები პირველადი მნიშვნელობის შეუთანხმებლობით და მეორადი მნიშვნელობის თანხვედრით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ერთსა და იმავე მნიშვნელობას იტალიელები, რუსები და ქართველები გადმოსცემენ სხვადასხვა სომატიზმის მეშვეობით. ამაყი და ქედმაღალი ადამიანის გამოსახატავად რუსები ძალა ბზეკენ ცხვირს ან თითის დახმარებით ბზეკენ ცხვირს, იტალიელებსაც გააჩნიათ მსგავსი ჟესტი, ისინი ოდნავ მოხრილ მდგომარეობაში მყოფი საჩვენებელი თითის მეშვეობით იბზეკენ ცხვირს, რაც შეეხება ქართველებს, იდენტიფიკაცია არ შეიძლება ანუ სახეზეა ნაწილობრივი შეუთანხმებლობა. გა-

მადლარი მდგომარეობის გამოსახატავად რუსები ხელს იტარებენ ყელზე, ქართველები ხელს იტყაპუნებენ მუცელზე, იტალიურში კი ხელს სხვაგვარადაა მდგომარეობა. იტალიელი შიმშილის გრძნობის გამოსახატავად გაშლილ ხელს, ერთად შეტყუპებულ და პარალელურ მდგომარეობაში მყოფ თითებს რითმულად ირტყამს გვერდში, კუჭის სიმაღლეზე. სასოწარკვეთილების, ტირილის, დიდი გაჭირვების დროს რუსები და ქართველები იღვჯდნენ თმებს, იგივე რიტუალი აღინიშნებოდა მხოლოდ სამხრეთ იტალიის ზოგიერთ რეგიონში, სიცილიაში. უმრავლეს შემთხვევაში სასოწარკვეთილებაში მყოფი იტალიელი ორივე ხელს აღაპყრობს და მიაქვს სახისკენ ისე, რომ სახე იფარება.

აქვე გვინდა განვიხილოთ თუ როგორი ექსტიკულაცია გამოიყენება დათვლისას და ციფრების გამოსახვისას. ამ შემთხვევაში აისახება ძალზედ მრვალფეროვანი და საინტერესო სურათი.

ციფრებს 1, 2, 4, 5 რუსები და ქართველები აჩვენებენ ერთნაირად, ანუ ციფრი 1 გამოსახატად იხმარება საჩვენებელი თითი, 2 გამოსახატად საჩვენებელი და შუა თითი, 4 გამოსახატად ყველა თითი ცერის გარდა, 5 გამოსახატად ერთი ხელის ყველა თითი. როდესაც იტალიელები ითვლიან, ისინი ხმარობენ შედარებით სხვა ექსტებს. იტალიელი ერთის გამოსახატად ხმარობს ცერა თითს, 2-ის გამოსახატად ცერას და საჩვენებელს, 3-ის გამოსახატად ცერას, საჩვენებელს და შუა თითს, 4-ის გამოსახატად ცერას, საჩვენებელს, შუა და არათითს, 5-ის გამოსახატად ერთი ხელის ყველა თითს. ციფრი 3-ის ჩვენება ხდება სამი ხერხით: 1) საჩვენებელი, შუა, უსახელო; 2) ცერა, საჩვენებელი, შუა თითები; 3) შუა, უსახელო, ნეკა. რუსები, ძირითადად, იყენებენ პირველ ორ ხერხს, ქართველები მმართავენ მესამე ხერხს, ხოლო იტალიელები ციფრი 3-ის გამოსახატად იყენებენ ცერა, საჩვენებელ და შუა თითს. ციფრებს 6 — 10 რუსები აჩვენებენ ორივე ხელით, ანუ ერთი ხელის ხუთ თითს (ჩვეულებრივ მარცხენა ხელის) მიყოლებით უმატებენ მეორე ხელის თითებს. ჩვენების ეს ექსტი მიღებულია როგორც იტალიელებში, ასევე ქართველებში.

დათვლასაც სხვადასხვა მეთოდებით აწარმოებენ იტალიელები, რუსები და ქართველები. რუსები თვლას იწყებენ ნეკა თითიდან და თითები მიყოლებით იხრებიან ხელისგულის მიმართულებით. ციფრი 6-დან დათვლა შესაძლებელია იმავე ხელზე თითების გაშლის გზით ცერა თითიდან ხეკისაკენ, მაგრამ შესაძლებელია დათვლა მეორე

ხელზეც. იტალიელები კი დათვლისას ახდენენ თითების მოხრას. ცეროდან ნეკა თითსაქენ და გაშლას ცერა თითიდან ნეკის მიმართულებით. დათვლისას ასევე იტალიელებიც ხმარობენ ორივე ხელს.

შევაჩეროთ ყურადღება იტალიურ, რუსულ და ქართულ ფრაზეოლოგიზმებზე, რომლებიც დამახასიათებელია ამ ენებისათვის და აქვთ მკაფიოდ გამოხატული ნაციონალური ხასიათი. ეს ყველაფერი ძირითადად გადმოცემულია თქმულებებში, ცრურწმენის სახით.

მაგალითად, იტალიელებს მოეპოვებათ ცრურწმენასთან დაკავშირებული შემდეგი სომატიური ფრაზეოლოგიზმები: "Fare le corna" — შელოცვის, ასევე თვალის საწინააღმდეგო ჟესტია. ხელი მიმართულია ქვემოთ, საჩვენებელი და ნეკა თითები გაშლილია, ხოლო ცერა, შუა და არათითი არის მოკეცილ მდგომარეობაში. აღნიშნული ჟესტი იმის მაჩვენებელია, რომ ავი თვალის, ავი ძალების დაცლა, გადატვირთვა ხდება მიწაში. მისი შესატყვისი ფრაზეოლოგიზმია: "Toccare ferro!" — ფუი, თვალი არ ეცეს, მარცხენა ბეჭს იქით გადაფურთხება. ეს ფრაზეოლოგიზმი ცუდი თვალის საწინააღმდეგოა. ცუდი აურის მოსაშორებლად მეტალის საგანს ჰკიდებენ ხელს.

"...per la prima volta e nutrito, con un letto e un tetto e persino con qualche soldo in saccoccia, mi meravigliavo e quasi non ci credevo e mi ripetevo: facciamo corna... ma vuoi vedere che dura... Facciamo corna".

(A. Moravia, "Racconti romani").

"Ma faccio le corna, non voglio morire tisica e giovane".

(M. Prisco, "La dama di piazza").

რუსული "Постучать по дереву" დაკავშირებულია იმ ცრურწმენასთან, თითქოს საქმის დამთავრებამდე არ შეიძლება მასზე საუბარი. იმ შემთხვევაში, თუკი მასზე ხმამაღლა ითქმება, საჭიროა სამჯერ ხის საგანზე დაკაკუნება და ამის მეშვეობით წარუმატებლობის თავიდან აცილება. ასევე არის ქართველებშიც. მეორე სომატიზმი "Плевать через плечо три раза" ასევე დაკავშირებულია ცრურწმენასთან, თითქოსდა ამ მოქმედებით შესაძლებელია უბედურების თავიდან აცილება, მაგალითად, როდესაც შავი კატა გადაგირბენს გზაზე.

ქართველებს კი ცრურწმენასთან დაკავშირებით მოეპოვებათ შემდეგი ფრაზეოლოგიური სომატიზმები. თვალის კვრისა ანუ გათვალვისაგან, ძველი რწმენით, განსაკუთრებით ნორჩი ბავშვები ხდებიან ავად. ზოგიერთი მათგანი მეტად განწყობილია თვალის კვრისადმი, ავთვალისანის ძალა მათზე ადვილად მოქმედებს. ასეთ ბავშვებზე იტ-

ყვიან: „თვალი იცისო“. მისი სინონიმია სომატური ფრაზეოლოგიზმი „თვალის კვრა“ — დანავსვა, დაზარალება, ხელის შემლა, დატრიალება. თვალის კვრის ასაღდენ საშუალებად ითვლება: ბავშვის ყელზე ან აკვანზე სათვალე ღვრინჭილას შებმა, ამავე სათვალეს შებმა საქონლის კისერზე, გახვრეტილი ქვის დაკიდება სახლის შესასვლელ კარებთან, შელოცვა გათვალულისა, სხვადასხვა ბალახისაგან შეზავებული წამალი ნათვალევისა.

„თვალი არ გკრან, ხომ შეიბი სათვალღვრინჭალი?“

(გ. ბარნოვი)

„თვალი იცის“ — თვალის კვრის მსხვერპლი ხდება, გათვალვას ვერ უძლებს და ავად ხდება.

„თვალი იცოდა პატარამ. საღსალამათს გაიყვანდნენ სასეირნოდ, — დაავადებულს შემოიყვანდნენ“.

(გ. ბარნოვი)

„ავი თვალი“ — ცრუმორწმუნეობა, თვალი, რომელიც ადამიანს თუ საქონელს ვითომცდა ზიანს აყენებს.

„— შორს თქვენგან ავი თვალი, იცოცხლეთ მრავალჟამიერ!“

(ი. ჭავჭავაძე)

რუსებში, საზოგადო გარემოში, შეხვედრისას თუ დამშვიდობებისას ხელის მოხვევა და გადაკოცნა ითვლება აუცილებლად (კოცნა არა მარტო ერთხელ) "В бой провожая нас. Русская женщина по-русски три раза меня обняла" (К. Симонов) ანუ მხედველობაშია სამჯერ კოცნა. იტალიელებში კი, პირიქით არ არის მიღებული კოცნა შეხვედრისას, ისინი მხოლოდ ხელს ართმევენ ერთმანეთს (უფრო ოფიციალური შეხვედრებისას); ერთმანეთს შეხვედრისას მხოლოდ ქალები კოცნიან, ისიც ძალიან ვიწრო, მეგობრულ წრეში. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ იტალიელები ერთმანეთს ორჯერ კოცნიან, ხოლო ქართველები ერთხელ.

საერთაშორისო ურთიერთობების გაფართოებასთან დაკავშირებით, სომატური ფრაზეოლოგიზმების სფეროში შეიმჩნევა ეგრეთ წოდებული აკულტურირება, რაც გულისხმობს იმ შემთხვევას, როდესაც პიროვნება გაიზარდა ა) კულტურულ გარემოში და აითვისა ბ) კულტურული გარემოს ელემენტები. აკულტურირების მოვლენაა ხელის ჩამორთმევა, ჰაეროვანი კოცნის გაგზავნა, აპლოდირება. ხელის ჩამორთმევა იტალიაშიც, საქართველოშიც და რუსეთშიც შედარებით მოგვიანებით დამკვიდრდა, მანამდე მისაღებებისას, როგორც იტალიაში, ასევე რუსებში და ქართველებში მიღებული იყო ქულის



მოხდა, ოდნავ წინ გადახრა და გარკვეული დისტანციის დაცვა. მკვლევარი კოცნაც აღნიშნულ ერებში შემოსული ჟესტია.

ვადარებთ რა იტალიურ, რუსულ და ქართულ არავერბალურ საშუალებებს, კერძოდ კი, მათ შორის არსებულ სომატიზმებს, რომლებიც ჟესტების, მიმიკებისა და სახის გამომეტყველების საშუალებით გადმოიცემა, გვსურს გავაყვანოთ კიდევ რამდენიმე საერთო შენიშვნა: იტალიელები და ქართველები ექსტიკულირებას ახდენენ მეტად და უფრო აქტიურად, ვიდრე რუსები. ჟესტების ამპლიტუდა მათში მეტია, ვიდრე რუსებში. განსხვავება შეიმჩნევა ასევე სიხშირესა და გამოყენების სფეროებშიც.

ლიტერატურა

ნაზარიანი, 1987 — А. Г. Назарян, "Фразеология современного французского языка", Москва, "Высшая школа", 1987.

შანსკი, 1969 — Н. М. Шанский, "Фразеология современного русского языка", издательство "Высшая школа", Москва, 1987.

ჩერდანცევა, რეცკერი, ზორკო, 1982 — Т. З. Черданцева, Ф. И. Рецкер, Г. Ф. Зорько, "Итальянско-Русский фразеологический словарь", изд. Русский язык", Москва, 1982.

გოინოვა, ჟუკოვი, მოლოტნიკოვი, ფედოროვი, 1986 — Л. А. Войнова, В. П. Жуков, А. И. Молотков, А. И. Федоров, "Фразеологический словарь русского языка", "русский язык", Москва, 1986.

ჟუკოვი, სიდორენკო, შკლიაროვი, 1987 — В. П. Жуков, М. И. Сидоренко, В. Т. Шкляров, "Словарь фразеологических синонимов русского языка", "Русский язык", Москва, 1987.

სახოკია, 1979 — თ. სახოკია, „ქართული ხატოვანი სიტყვათქმანი“, გამომცემლობა „მერანი“, თბ., 1979.

გაბრეკელი, მგალობლიშვილი, 1966 — ნ. გაბრეკელი, ე. მგალობლიშვილი, „ქართულ-რუსული ფრაზეოლოგიური ლექსიკონი“, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1966.

პიტანო, 2001 — Pittano G. "Dizionario dei modi di dire, proverbi e locuzion", "Zanichelli Editore" SpA, Bologna, 2001.

კრაიჩი, 2001 — Craici L. "Dizionario dei modi di dire", "Antonio Vallardi Editore" SrL, Milano, 2001.

კუარტუ, 1993 — Quartu B.M. "Dizionario dei modi di dire della lingua italiana", "Biblioteca Universale Rizzoli" SpA, Milano, 1993.

Non-verbal Somatic Phraseological Units

(on the material of Italian, Russian and Georgian)

Summary

The paper considers non-verbal somatic phraseological units to be a convenient, economic and effective means of communication (Certainly not as effective as the verbal means). The paper argues that their semantic structure is two-layered. As a result of the contrastive study three groups of somatic phraseological units have been singled out:

1. The primary and secondary meanings of the units in the three languages completely cover one another.
2. The primary meanings of the units cover one another whereas the secondary ones cover each other either completely or partially.
3. The primary meanings of the units are not adequate whereas the secondary meanings coincide.

სოფი ჩხიშიანი

ფრაზეოლოგიზმების ტრანსკოზიციის პრობლემა მხატვრულ თარგმანში

მხატვრული თარგმანის პროცესი დიდად არ განსხვავდება დარჩენილი ფუნქციონალური სახის თარგმანების (მეცნიერულ-ტექნიკური, იურიდიული, ბიბლიური და ა.შ.) პროცესისაგან. პრობლემა მდგომარეობს თარგმანის ხარისხის კრიტერიუმის დადგენაში, კრიტერიუმისა, რომელიც საშუალებას მოგვცემს, ზუსტად და ობიექტურად შევადგასოთ მიღებული შედეგი. მხატვრული თარგმანის შესრულების პროცესი საკმაოდ ძნელია. დედანში გამოყენებული ფრაზა თარგმანში აუცილებლად განიცდის სხვადასხვა ხასიათის ცვლილებებს. თვით სერვანტესი თავის გენიალურ ნაწარმოებში გამოთქვამს საკუთარ აზრს თარგმანის მიმართ, რასაც, ალბათ, ამ სფეროში მოღვაწე სპეციალისტები ნამდვილად დაეთანხმებიან: „...მაინც, მე მგონია, ერთი ენიდან მეორეზე თარგმნა — ხოლო არა ბერძნულიდან და ლათინურიდან, იმ ყველა ენის მეფეთაგან, — იმას ჰგავს, კაცმა უცქიროს გადმობრუნებულ ფლამანდიურ ხალიხას, რომელზედაც, თუმცა სურათებიც და ფიგურებიც ჩანს, მაგრამ ისინი მაინც გაბუნდოვანებულები არიან დაბლანდული ძაფებით და დაქარგული აქვთ საპირის მთელი ფერადოვნება და სისალუქე; ამასთან ადვილი და მონათესავე ენებიდან თარგმნა დიდი ჭკუისა და მჭევრმეტყველების გამომხატველი ვერ იქნება, ხოლო ერთი ქალაქიდან მეორე ქალაქზე გადაწერას ემსგავსება... (სერვანტესი, 1615)“.

როგორც წესი, თარგმანში დედნის შინაარსი გადადის, თუმცა მისი უდანაკარგოდ გადატანა ყოველთვის არ ხერხდება. ეს განსაკუთრებით შეეხება, სწორედ, ფრაზეოლოგიზმების თარგმნას, რადგანაც ისინი წარმოადგენენ ამა თუ იმ ენაში მტკიცედ ჩამოყალიბებულ გამონათქვამებს, ამ ენისთვის დამახასიათებელ თავისებურ შესიტყვებებს, რომლებიც საუკუნეების მანძილზე მკვიდრდებოდნენ ენის მარაგში, ხოლო მათ წარმოშობას ამ ენის მატარებელი ხალხის

კულტურა, ისტორია, ფსიქოლოგია განაპირობებს და ამიტომაც, რომ ფრაზეოლოგიზმების გადატანისას მთარგმნელი არა მხოლოდ ორიგინალისა და თარგმანის ენების სრულყოფილად მცოდნე, არამედ ამ ენათა კულტურის უბადლო თანაზიარიც უნდა იყოს. თარგმანის დროს მეორე ენაზე უბრალოდ ლინგვისტური სტრუქტურები კი არ გადაგვაქვს, არამედ ამ სტრუქტურების დანშარებით ვცდილობთ თარგმანის მკითხველთათვის ადვილად აღქმადი გავხადოთ ორიგინალის ენის კულტურის საძეარო.

ჩვეულებრივ, ფრაზეოლოგიზმები ხალხში იბადება, რომელიც თავის მეტყველებაში ამკვიდრებს მახვილგონივრულ, ხატოვან გამონათქვამებს. მათი პირველწყარო ძირითადად მწერლები არიან, მწერლის მიერ გამოყენებული რომელიმე ფრაზა თუ გამოთქმა პოპულარული ხდება ამ ენის მატარებელ ხალხში, რომელიც მეტყველებისას ხშირად იმეორებს მას და ასე თანდათანობით იქცევა ჩვეულებრივ ფრაზეოლოგიურ ერთეულად. ფრაზეოლოგიურ ერთეულად ქცევის პროცესი კი მაშინ მთავრდება, როცა მწერლის ესა თუ ის გამოთქმა ისე კი არ მოიხსენიება, როგორც ციტატა ან გამონათქვამი, არამედ როგორც ენის ფრაზეოლოგიური სისტემის საყოველთაოდ მიღებული ელემენტი. მხატვრული ლიტერატურიდან დამკვიდრებული ფრაზეოლოგიური ერთეულები უდავოდ ენის სიმდიდრის ერთ-ერთი წყაროა. თუმცა შეიძლება, სულაც უცნობი იყოს, კონკრეტულად საიდან გაჩნდა ან დამკვიდრდა ესა თუ ის გამონათქვამი. თარგმანის თეორიისთვის ფრაზეოლოგიზმების ეტიმოლოგიას, რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა არა აქვს, მთავარი ფრაზეოლოგიზმის აზრის გადმოცემა და მისი ხატოვანების შენარჩუნებაა, რასაც, შესაბამისად, მთარგმნელის პროფესიონალიზმი და ნიჭიერება განაპირობებს. ფრაზეოლოგიზმების თარგმანის სიძნელე რამდენიმე მიზეზითაა გამოწვეული. ამ ნაშრომში შევეცდებით განვიხილოთ თითოეული მათგანი.

ერთ-ერთი მიზეზი ისაა, რომ ყოველ ენაშია მთელი კორპუსი ისეთი ფრაზეოლოგიზმებისა, რომლებიც ქმნიან მთლიან სტილისტურ პლასტს, რომელსაც სხვა ენაში ანალოგი არ მოეძებნება, მაგალითად, ესპანურ ენაში ტავრომახიის თემაზე არსებულ ფრაზეოლოგიზმებს შეუძლებელია სხვა ენაზე მოუძებნო ფრაზეოლოგიური შესაბამისობანი. კერძოდ, „por la puerta grande“ სიტყვა-სიტყვით რომ გადავთარგმნოთ ქართულად, ნიშნავს „დიდი კარის გავლით“ და გუ-



ლისხმობს, ერთი შეხედვით, კართან სრულიად არავითარ კავშირში მყოფ ლექსიკურ ერთეულებს, რომლებიც ვითარების ზმნიშვნელების სახითაა გამოჩატული — „ტრიუმფით, აპოლოდისმენტებით, დიდი აღიარებით“, ეს გამოთქმა კი მომდინარეობს იმ წესიდან, რომ კორიდას დროს ხარზე შთაბეჭდავი გამარჯვების შემდეგ ტრიუმფის ნიშნად ხელში ატაცებულ მატადორს მოედნის დიდი კარიდან გაიყვანენ ხოლმე. შესაბამისად, იმ უბრალო მიზეზით, რომ კორიდა მხოლოდ ესპანეთისა და რამდენიმე ესპანურენოვანი ქვეყნისთვისაა დამახასიათებელი, მის თემაზე შექმნილ ფრაზეოლოგიზმებს სხვა ენებში ვერც სინონიმებს, ვერც ანალოგებს და მით უმეტეს, ვერც ეკვივალენტებს ვერ მოგუძებნით, ისევე, როგორც სხვა ენაში ვერ ვიპოვით ინგლისური სლენგის ფრაზეოლოგიის, ან თუნდაც, რუსული ენისათვის დამახასიათებელი საეკლესიო-სლავური წარმოშობის ფრაზეოლოგიის შესაბამისობებს.

ფრაზეოლოგიზმების თარგმნის სიძნელის მეორე განმაპირობებელი ფაქტორია ბევრი მათგანის ეროვნული კოლორიტი, რომელშიც ასახვას ჰპოვებს ამ ზნის მატარებელი ხალხის ცხოვრების ისტორია, გეოგრაფია, საყოფაცხოვრებო და კულტურული რეალიები, რომელთა დეკოდირება თარგმანის ენაზე ხშირად შეუძლებელია, ხოლო მათი ზუსტი გადატანა თარგმანის ენაზე ან მიახლოებითი ანალოგის მოძებნა და გამოყენება აშკარად გამოიწვევს ამ ენიდან ერთ-ერთის ეროვნული კოლორიტის მოჭარბებას. ტერმინი „რეალია“ თარგმანის თეორიაში ორნაირად იხმარება: ერთის მხრივ, მასში გულისხმობენ ამა თუ იმ ერისათვის დამახასიათებელ ნებისმიერ ფაქტს (მატერიალური კულტურის საგნები, საკუთარი სახელები, გეოგრაფიული სახელწოდებები, ისტორიული მოვლენები და ა.შ.) და მეორე მხრივ, იგულისხმება ის სიტყვები და სიტყვათშეერთებები, რომლებიც სწორედ ამ ფაქტებს აღნიშნავენ. მიუხედავად იმისა, რომ ალბათ, ალოგიკურია ერთი და იმავე ტერმინის ხმარება სინამდვილის ობიექტებისა და ამ ობიექტების აღმნიშვნელი ენობრივი ნიშნების მიმართ, ტერმინი „რეალია“ („რეალია-სიტყვის“ მნიშვნელობით) საკმაოდ განმტკიცდა თარგმანმცოდნეობაში და ამასთან, თავისი საგნობრივი მნიშვნელობაც შეინარჩუნა.

ფრაზეოლოგიაში რეალიები აისახება ორი გზით: მისი აღმნიშვნელი შეიძლება იყოს ფრაზეოლოგიზმის ცალკეული ლექსიკური კომპონენტი ან მთლიანი ფრაზეოლოგიური ერთეული. ორივე

შემთხვევაში ფრაზეოლოგიური ერთეული ეროვნული კოლორიტის მატარებელია, რაც ორიგინალს, უდავოდ, თავისებურ ელფერს ანიჭებს. ასეთი ეროვნულ-სპეციფიკური ფრაზეოლოგიზმების თარგმნა მეტად საინტერესოა, თუმცაღა, საკმაოდ ძნელიც. ეროვნული კოლორიტის მქონე ფრაზეოლოგიზმები წარმოიშობა ორი წყაროდან: **სასაუბრო ენიდან და მხატვრული ლიტერატურიდან.** მაგალითად, თითქმის ყველა ენაში არსებობს ესპანური ენიდან და ლიტერატურიდან შემოსული და დამკვიდრებული ფრაზეოლოგიზმები, როგორებიცაა: „sangre azul“ — „ცისფერი სისხლი“, „quinta columna“ — „მეხუთე კოლონა“, „caballero de la triste figura“ — „მწუხარე სახის რაინდი“ და ა.შ. ფრაზეოლოგიას სწორედ ასეთი გამონათქვამები აძლევენ სპეციფიკურ ეროვნულ კოლორიტს, რაც განპირობებულია არა მარტო **ლინგვისტური**, არამედ **ექსტრალინგვისტური** ფაქტორებითაც.

ფრაზეოლოგიზმების ეროვნული სპეციფიკურობის განმაპირობებელ **ექსტრალინგვისტურ** ფაქტორებს მიეკუთვნება მხოლოდ ამ კონკრეტული ერისათვის დამახასიათებელი საკუთარი სახელები, გეოგრაფიული სახელწოდებები, რაიმე ისტორიულ მოვლენასთან დაკავშირებული ფაქტები, მატერიალური კულტურის საგნები, წესჩვეულებები, ცრურწმენები და ა.შ., ანუ სწორედ ის, რაც წარმოადგენს ეროვნულ რეალიებს. მაგალითად, ესპანური გამონათქვამი: „¡A buenas horas, mangas verdes!“ სიტყვასიტყვით რომ ვთარგმნოთ: „კაი დროსია, მწვანე სახელოებო!“, ნიშნავს, რომ უკვე გვიანია. თუკი ქართულად ნეიტრალური ხასიათის თარგმანს ავირჩევდით, ვიტყვოდით მხოლოდ „კაი დროსია!“ ან „რაღა დროსია!“, ანუ ფრაზეოლოგიური ერთეულის მეორე ნაწილი თარგმანში მთლიანად იკარგება. საქმე ის არის, რომ ესპანურად „მწვანე სახელოები“ ერთ-ერთი ისტორიული მოვლენის აღმნიშვნელია, კერძოდ, XVI-XVII საუკუნეების პოლიციის — „Santa Hermandad“-ის („წმინდა სამოს“) წარმომადგენლების მწვანე სახელოებიან უნიფორმას გულისხმობს. „წმინდა სამოს“ წესრიგის დამცველები კი ცნობილნი იყვნენ თავიანთი არაპუნქტუალობით: დანაშაულის ადგილზე დასახმარებლად გამოძახებულები ისე იგვიანებდნენ, რომ უკვე ყველაფერი დამთავრებული ზდებოდათ და ხალხიც ზემოხსენებული სახით საყვედურობდა. ეს ფრაზა დღესაც ძალიან ხშირად გამოიყენება და, რა თქმა უნდა, პოლიციას უკვე აღარავინ გულისხმობს. იმავე ფრაზეოლოგიური

ერთეულისთვის ესპანურ-რუსულ ფრაზეოლოგიურ ლექსიკონში რუსულად მოძებნილია შემდეგი სინონიმები: „дорога ложка к обеду“ ან „пустя время по малину не ходят“, ან „не по чину, не по носу табак“, ანუ, როგორც ვხედავთ, რუსულ ვარიანტში ორიგინალისათვის დამახასიათებელი ეროვნული კოლორიტი მთლიანად დაკარგულია, არავითარი მინიმუმაც კი არაა მის შემადგენელ ლექსიკურ კომპონენტებზე.

ან, თუნდაც ავიღოთ ცნობილი ფრაზეოლოგიური ერთეული, რომელიც სწორედ ინგლისურ რეალიასთანაა დაკავშირებული: „to carry coals to Newcastle“ („ნიუქასლში ნახშირის წაღება“, ქალაქში, რომელიც ინგლისის ნახშირის მრეწველობის ცენტრად ითვლებოდა), რაც ნიშნავს, ისეთი რაიმეს წაღებას იქ, სადაც ისედაც მისი სიმრავლეა — ესპანურად ორი სახით შეიძლება მისი გადათარგმნა: „llevar hierro a Vizcaya“ („ბისკაიაში რკინის წაღება“, ესპანეთის ერთ-ერთ პროვინციაში, რომელიც რკინის მრეწველობით იყო სახელგანთქმული), ანუ, ესპანურ ენაში არსებობს მისი ანალოგიც და ასევე, შედარებით ნეიტრალური და ექსპლიციტური ფორმაც: „Echar agua al mar“, („ზღვაში წყლის ჩასხმა“); რუსულადაც იგივე ვარიანტები გვაქვს: „схать в Тулу со своим самоваром“, ან „таскать дрова в лес“, ან „пить воду в море“. ამ მაგალითებიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ეროვნული რეალიის მატარებელი ფრაზეოლოგიური ერთეული თარგმანში შეიძლება შეიცვალოს სინონიმით ან მსგავსი რეალიის შემცველი ანალოგიტ, მხოლოდ ამ უკანასკნელის არჩევისას დიდი სიფრთხილეა საჭირო, რათა ეროვნული კოლორიტის მოჭარბებამ მკითხველის დეზორიენტაცია არ გამოიწვიოს.

ფრაზეოლოგიზმების თარგმნის დროს უნდა გავითვალისწინოთ, რომ ერთი და იმავე საგნის, მოქმედებისა თუ თვისების აღსანიშნავად, ერთი და იმავე აზრის გამოსახატავად სხვადასხვა ენებში გამოყენებული ლექსიკური თუ ხატოვანი საშუალებები შემადგენელი კომპონენტების თვალსაზრისით ყოველთვის არ ემთხვევა ერთმანეთს. ეს განსაკუთრებით აშკარა ხდება, როცა საქმე ეხება ენებს შორის კულტურით განპირობებულ განსხვავებას. მაგალითად, ესპანურად „como toro encerrado“, რაც სიტყვასიტყვით ნიშნავს „გამომწყვდეული ხარივით“, ინგლისურადაც იმავე ლექსიკური კომპონენტით გადადის: „like a bull at a gate“, მაგრამ რუსულად ხარი ვეფხვით (ან ლომით) იცვლება: „(метаться) как тигр (лев) в клетке“, და ქართულადაც,



სავარაუდოდ, რუსული კულტურის გავლენით გვაქვს „როგორც ვეფხე (ან ლომი) გალიაში“, ან შეიძლება იმიტომაც, რომ ქართველი სათვის გალიაში გამოიყვანეს მბრდღვინავი ვეფხე ან ლომი უფრო ადვილი წარმოსადგენია, ვიდრე ხარი, რომელიც ყოველთვის შინაურ ცხოველად ითვლებოდა და არა — ერთგვარ სანახაობრივ ელემენტად, როგორც ესპანეთში. ამდენად, თარგმანის დროს აუცილებლად უნდა გვქონდეს მხედველობაში მიმღებ ენაზე მოლაპარაკე ხალხის კულტურა, ფსიქიკა, ისტორია და ტრადიციები.

მეტყველებაში აქტივიზირებულ მთელ რიგ ფრაზეოლოგიზმებში აღინიშნება გადახრა სტანდარტული დისტრიბუციული დონიდან. ასეთი ფრაზეოლოგიზმები იძენენ **ოკაზიონალიზმების** სტატუსს — კიდევ ერთი გარემოება, რომელიც თავსატეხს უჩენს მთარგმნელებს. ოკაზიურ ფრაზეოლოგიზმებში აისახება მხატვრული ენისათვის დამახასიათებელი ფენომენი — სწრაფვა ენობრივი ნორმიდან გადახრისაკენ. ეს ხერხი ფრაზეოლოგიზმებისათვის მეტი გამომხატველობის მისაცემად გამოიყენება. მაშასადამე, მსგავსი საშუალებები მიეკუთვნება მეტყველების სტილისტურ ხერხებს, თანაც, როგორც ნ. ლ. შადრიანი წერს, „ნორმიდან გადახრა რაღაც დამატებითი ინფორმაციის მოწოდებასაც გულისხმობს. ამ ხერხების ინფორმაციულობისა და პრაგმატული ეფექტურობის დონე პირდაპირ დამოკიდებულია ნორმიდან გადახრის ხარისხზე: ეს დონე მით უფრო მაღალია, რაც უფრო მნიშვნელოვანია ფრაზეოლოგიზმის რეალიზაციის ნორმატიული პირობების დარღვევა. ნორმიდან გადახრა, რა თქმა უნდა, მიზანმიმართული უნდა იყოს და ნებისმიერ შემთხვევაში უნდა შეესაბამებოდეს ავტორის მიერ დასახულ ამოცანას“ (შადრიანი, 1991, 143).

ნ.ლ. შადრიანი ფრაზეოლოგიზმების **(ოკაზიური) ხმარების** ორ ძირითად ფორმას გამოყოფს: „როდესაც ფრაზეოლოგიზმი მისთვის უჩვეულო კონტექსტში ხდება, მაგრამ სემანტიკურად და სტრუქტურულად მთლიან ერთეულად რჩება, მაშინ საქმე გვაქვს **დისტრიბუციის დარღვევასთან**“, ხოლო „თუკი ოკაზიური ხმარების განმსაზღვრელი ხდება დაცალკევებული ლექსემების ფაქტორის გამოყენება, რისი წყალობითაც კომპონენტების სემანტიკური თუ სტრუქტურული განსაკუთრებულობა ვლინდება, მაშინ ესაა **ინდივიდუალურ-ავტორისეული გარდაქმნის** მაგალითი“ (შადრიანი, 1991, 145-146).


ქართული
ენციკლოპედია

თავის მხრივ, **დისტრიბუციის დარღვევა** შეიძლება მოხდეს **სემანტიკურ, სტილისტურ, ან საგნობრივ-ლოგიკურ** პლანში.

1. **სემანტიკური დისტრიბუციის დარღვევის** დროს ფრაზეოლოგიზმი ხვდება ისეთ კონტექსტში, რომელიც მას ინდივიდუალურ, ენობრივი უზუსით განუმტკიცებელ მნიშვნელობას აძლევს. შესაბამისად, ეს არის კონტექსტური მნიშვნელობა, თუმცა იგი არ კარგავს თავის ზოგადენობრივ ლექსიკურ ხასიათს, რადგანაც ის საყოველთაოდ მიღებული და ლექსიკოგრაფიულად დაფიქსირებულია. ხოლო, რაც შეეხება ოკაზიურ მნიშვნელობას, ის მხოლოდ კონტექსტური შეიძლება იყოს. რაც უფრო მოულოდნელია ფრაზეოლოგიური ერთეულის ოკაზიური მნიშვნელობა, მით უფრო ძლიერია მისით მოხდენილი ეფექტი („გაცრუებული მოლოდინის ეფექტი“). რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი გათვალისწინებული უნდა იყოს და შეძლებისდაგვარად გადაიცეს თარგმანშიც. როგორც ცნობილია, ამ დროს მთარგმნელებიც სემანტიკური დისტრიბუციის დარღვევის ხერხს კი არ მიმართავენ, არამედ კონსტრუქციის ოკაზიური მნიშვნელობის ზუსტად გადმოცემას.

6. ლ. შადრანის მიერ თარგმანების მასალაზე გაკეთებულმა ანალიზმა უჩვენა, რომ ფრაზეოლოგიზმების სემანტიკური დისტრიბუციის დარღვევა, როგორც სტილისტური ხერხი, თარგმანებში, როგორც წესი, არ აღსახება. მათ უმრავლესობაში მხოლოდ ორიგინალში მოცემული ფრაზეოლოგიური ერთეულის ოკაზიური მნიშვნელობა, ანუ ამ ხერხის სემანტიკური შედეგი თუ გამოჩნდება, ორიგინალისათვის დამახასიათებელი სტილისტური შთაბეჭდილება კი, ამ დროს დაკარგულია. მეორე მხრივ, თვითონ ხერხის და მისი სემანტიკურ-სტილისტური შედეგის ადეკვატური გადაცემა სრულიად შესაძლებელია, როცა თარგმანის ენაზე არსებობს სათარგმნი ფრაზეოლოგიზმების ეკვივალენტური, ანალოგიური ან სინონიმური შესაბამისობანი.

2. **სტილისტური დისტრიბუციის დარღვევა** იმაში გამოიხატება, რომ ფრაზეოლოგიური ერთეული ხვდება მისთვის უჩვეულო სტილისტურ გარემოში, რის შედეგადაც წარმოიქმნება თავისებური სტილისტური დისონანსი, რომელიც კიდევ უფრო აძლიერებს ამ ერთეულის გამომსახველობასა და მთელი ფრაზეოლოგიური კონფიგურაციის ესთეტიკურ ზემოქმედებას. როგორც წესი, ავტორი ამ ხერხს კომიკური ეფექტის შესაქმნელად იყენებს. ეს ეფექტი თავალ-

საჩინო ხდება, როდესაც მწერალი მაღალფარდოვანი სტილის ელემენტებს სალაპარაკო, სასაუბრო კონტექსტში მოაქცევს, ვინაიდან მწერალი, სასაუბრო სტილის ელემენტებს მაღალფარდოვან კონტექსტში. ამისი მაგალითები მრავლადაა სერვანტესის „დონ კიხოტში“.

3. საგნობრივ-ლოგიკური დისტრიბუციის დარღვევა კი იმაში მდგომარეობს, რომ ფრაზეოლოგიზმი მისთვის უჩვეულო ობიექტის მისამართითაა ნახმარი. თავისთავად საგნობრივ-სტილისტური დისტრიბუციის დარღვევა არ ნიშნავს ფრაზეოლოგიზმის ენობრივი უზუსტით დამკვიდრებული სტილისტური მახასიათებლის ან სემანტიკის რაიმე გადახრას. ასეთი რამ მხოლოდ ამ ხერხის გართულებისას ხდება, ანუ, როცა საგნობრივ-ლოგიკური დისტრიბუციის დარღვევასთან ერთად სტილისტური და სემანტიკური დისტრიბუციის დარღვევაც აქვს ადგილი. ამ ხერხის სტილისტური ეფექტის სხვა ენაზე გადაცემის შესაძლებლობანი და საშუალებები მრავალი ფაქტორით განისაზღვრება, პირველ რიგში, თარგმანის ენაზე შესაბამისი კონსტრუქციების არსებობით ან არარსებობით. როდესაც არსებობენ მზა ფრაზეოლოგიური შესაბამისობანი, მაშინ მათი გამოყენება სრულიად საკმარისია ადეკვატური სემანტიკურ-სტილისტური შედეგის შესაქმნელად. ამის მაგალითად გამოდგება ის შემთხვევები, როდესაც დენოტატიურად ადამიანებისთვის კუთვნილ ფრაზეოლოგიზმებს ავტორი უსულო საგნების ან აბსტრაქტული ცნებების მისამართით იყენებს.

ფრაზეოლოგიური ერთეულების დისტრიბუციის დარღვევის სამივე შემთხვევის განხილვის შემდეგ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თარგმანის წარმატებას განაპირობებს: პირველ რიგში, თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში გამოყენებული ხერხის ზუსტი იდენტიფიკაცია, მეორე რიგში, ამ ხერხის მართებული სემანტიკურ-სტილისტური ინტერპრეტაცია და მესამე რიგში, ანალოგიზაცია, ანუ ამ ხერხის რეალიზაციის შესაძლო გზების თეორიულად დასაბუთებული და მიზანმიმართული მოძიება თარგმანის ტექსტში — როგორც ეკვივალენტებისა და ანალოგების სახით მზა ფრაზეოლოგიური შესაბამისობების დახმარებით, ასევე, იმ კონტექსტუალური სემანტიკურ-სტილისტური ანალოგების მოშველიებითაც, რომლებიც იქმნება მიმღები ენის ფონდში არსებული ფრაზეოლოგიური და ლექსიკური მასალიდან გამომდინარე სამეცნიერო სიტუაციის ანალიზის საფუძველზე.

რაც შეეხება ინდივიდუალურ-ავტორისეულ გარდაქმნებს, ისინი მრავლად გვხვდება ცნობილი მწერლების ნაწარმოებებში. მაგალითად, კოლუმბიელი გაბრიელ გარსია მარკესის რომანში „მარტოობის ასი წელი“ ვხვდებით ასეთ წინადადებას: „Pensó [Aureliano Buendía] confusamente, al fin capturado en una trampa de la nostalgia, que tal vez, si se hubiera casado con ella, hubiera sido un hombre *sin guerra y sin gloria*, un artesano sin nombre, un animal feliz“. ამ ციტატაში ოკაზიური ფრაზეოლოგიური ერთეული მიღებულია უზუალური ფრაზეოლოგიზმიდან *“sin pena ni gloria”* (ანუ, არაფრით გამორჩეული, არც ძალიან ცუდი, არც ძალიან კარგი). უდავოდ ძალიან ძნელი იქნება ამ ოკაზიური ფრაზეოლოგიზმის ეკვივალენტის მოძებნა სხვა ენებზე, ვინაიდან მისი წყარო ენის უზუალური ფრაზეოლოგიზმის (*sin pena ni gloria*) იმპლიციტური თანაარსებობა აუცილებლად უგულებელყოფილი იქნება მისი თარგმანისას და შესაბამისად, ორიგინალის ეფექტიც დაიკარგება.

ინდივიდუალურ-ავტორისეული გარდაქმნის კიდევ ერთ მაგალითად გამოდგება ერთი ფრაზა ცნობილი მექსიკელი მწერლის კარლოს ფუენტესის რომანიდან „ყველაზე გამჭვირვალე მხარე“: „...y ustedes con bidet y lociones y ustedes que tienen su nombre, y fícole y fúcole y sus antepasados ¡*Lo Cortés no quita lo Cuauhtémoc!*“. ოკაზიური ფრაზეოლოგიზმის *“Lo Cortés no quita lo Cuauhtémoc”* უზუალური ვარიანტია *“lo cortés no quita lo valiente”* (თავაზიანობა სიმაძაცეს არ გამოირიცხავს, ანუ, ერთი მეორეს არ გამოირიცხავს), გარდა ამისა, აქ სიტყვების თამაშთანაც გვაქვს საქმე: *cortés* (ანუ, თავაზიანი, ზრდილობიანი) და *Cortés* (ანუ, მექსიკის დამპყრობელი ერნან კორტესი). კუაუთემოკი უკანასკნელი აცტეკელი მონარქი იყო, რომელიც ერნან კორტესმა დაატყვევა და ჩამოახრჩობინა. ფუენტესი *lo Cuauhtémoc*-ში გულისხმობს ადგილობრივ ხალხთა კულტურას, ხოლო *lo Cortés*-ში — მექსიკის დამპყრობელ-კონკისტადორთა შთამომავლობას, მთლიანად ოკაზიონალიზმის მნიშვნელობაა კონკისტადორთა ქრისტიანულ ცივილიზაციასთან ერთად ადგილობრივი კულტურის აღიარება და დაფასება. მთარგმნელს ნამდვილად ბევრი ფიქრი დასჭირდება, რომ ამ ოკაზიონალიზმს, სიტყვების თამაშის ჩათვლით, ორიგინალის ფუნქცია შეუნარჩუნოს.

ფრაზეოლოგიზმების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენს ბიბლია და ბერძნული მითოლოგია. ბიბლეიზმები და

მითოლოგიზმები ყველა ქრისტიანულ ენაშია გავრცელებული და თანაც, ეკვივალენტურია კომპონენტურ დონეზე. მაგალითად, სენოთ რამდენიმე ცნობილი ბიბლიეზმი და მითოლოგიზმი და შევადაროთ ოთხ ენაზე (ქართული, რუსული, ესპანური, ინგლისური):

- ღორებისთვის მარგალიტების დაყრა - метать бисер перед свиньями - arrojar (echar) margaritas a los puercos - cast pearls before swine;
- ზეთისხილის რტო - оливковая ветвь - ramo de oliva - the olive branch;
- განტევების ვაცი - козёл отпущения - chivo expiatorio - scapegoat;
- პირველი ქვის სროლა - бросить первый камень - tirar la primera piedra - cast the first stone at somebody;
- ხელების დაბანა - мыть руки - lavarse las manos - wash one's hands;
- აქილევსის ქუსლი - ахиллесова пята - talón de Aquiles - Achilles' heel;
- განხეთქილების ვაშლი - яблоко раздора - manzana de discordia - the apple of discord;
- დამოკლეს მახვილი - дамоклов меч - espada de Damocles - the sword of Damocles;
- სცილასა და ქარიბდას შორის - между Сциллой и Харибдой - entre Escila y Caribdis - between Scylla and Charybdis;
- სიზიფეს შრომა - сизифов труд - trabajo de Sísifo - a labour of Sisyphus.

ბიბლიეზმებისა და მითოლოგიზმების უმრავლესობა ისეა დამკვიდრებული მეტყველებაში, რომ ნამდვილად არ იგრძნობა მათი უცხო ენიდან წარმოშობის ფაქტი. ამის მიზეზი ისაა, რომ საუკუნეების მანძილზე ბიბლიაც და ბერძნული მითოლოგიაც ყველაზე ფართოდ გავრცელებულ საკითხავად ითვლებოდა. შესაბამისად ბიბლიეზმებისა და მითოლოგიზმების ტრანსპოზიცია თარგმანში არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს, ვინაიდან აშკარაა მათი ეკვივალენტურობა, თუნდაც ზემოთ მოყვანილ ოთხი ენის მაგალითზე. თუმცა აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ შემთხვევაში საუბარია მხოლოდ ქრისტიანული რელიგიის მქონე ან მცოდნე მკითხველზე,

რადგან ძნელი წარმოსადგენია, გამოთქმაში „მე ხელები დამიბანია“ მუსლიმანს, ბუდისტსა თუ ინდუსს პილატეს ცნობილი ქმედებათა გაახსენდეს და ეს ფრაზა პირდაპირი მნიშვნელობით არ გაიგოს.

ლიტერატურა:

გარსია მარკესი, 1967 — García Márquez, Gabriel, "Cien años de soledad", Buenos Aires, 1967.

სერვანტეს საავედრა, 1967 — მიგელ დე სერვანტეს საავედრა, „მახვილგონიერი იდალგო დონ კიხოტი ლამანჩელი“, თბ., 1967.

სულუაგა, 2001 — Zuluaga, Alberto, "Análisis y traducción de unidades fraseológicas desautomatizadas", en: PhiN 16/2001, 67-83 (<http://www.fuberlin.de/phin/phin16/pl6t5.htm>).

ფუენტესი, 1958 — Fuentes, Carlos, "La región más transparente", México, 1958.

შადრინი, 1991 — Шадрин Н. Л., "Перевод фразеологических единиц и сопоставительная стилистика", М., 1991.

ლექსიკონები:

ესპანურ-რუსული ფრაზეოლოგიური ლექსიკონი, 1985 — Испанско-русский фразеологический словарь, под ред. Э. И. Левинтовой, М., 1985.

ინგლისურ-რუსული ფრაზეოლოგიური ლექსიკონი, 1967 — Англо-русский фразеологический словарь, составил А. В. Кунин, М., 1967.

Transposition of Phraseological Units in a Literary Text

Summary

The paper deals with linguistic and extralinguistic aspects of transposition of phraseological units. Special emphasis is placed on the occasional variants of phraseological units as they help to achieve the aesthetic value of a literary text, on the one hand, and create difficulties for a translator, on the other. The paper focuses on the dilemma the translator faces _ whether to sustain the semantic value of a phraseological unit or its aesthetic value. It is assumed that for a successful translation it is necessary to identify the stylistic devices of the original text, to interpret them correctly and at last to find the means of analogisation in the target language.

სოფი ჩხიშიანი

ბიბლიკალიზმისა და მითოლოგიკალიზმის ეტიმოლოგია და მათი კომპონენტური დონის ეკვივალენტურობა

(ქართული, რუსული, ესპანური და ინგლისური ენების
გაბაღიშვილი)

რაოდენ დაუჯერებელიც არ უნდა იყოს, ჩვენს დროში რელიგიური კულტურისა და მითოლოგიის ელემენტარული ცნებების ცოდნა საფუძვლად უნდა ნებისმიერი ჰუმანიტარისათვის, მით უმეტეს, მთარგმნელისათვის, გარდა იმ შემთხვევისა, თუკი ამ მთარგმნელს მხოლოდ ტექნიკურ ტექსტებთან აქვს შეხება. ნებისმიერი მწერლის ნაწარმოებში, მნიშვნელობა არა აქვს ეს მწერალი მორწმუნეა თუ არა, შეიძლება შეგვხვდეს ქრისტიანულ რელიგიასთან თუ მითოლოგიასთან დაკავშირებული ტერმინები, გამოთქმები თუ ფრაზეოლოგიზმები, რომელთა წერილობითი წყარო, ბუნებრივია, ბიბლია და ბერძნულ-რომაული მითოლოგიაა. ქვემოთ მოცემული ბიბლიკალიზმებისა და მითოლოგიკალიზმების არასრული ჩამონათვალიც საკმარისი იქნება, რათა მათ ეტიმოლოგიასა და კომპონენტური დონის ეკვივალენტურობაზე ზოგადი წარმოდგენა შეგვექმნას.

ბევრი ბიბლიური ფრაზა მრავალგზის მეორდებოდა საეკლესიო ღვთისმსახურების დროს და ასევე, საზოგადოების ზედა ფენებშიც, რადგან ბიბლიკალიზმების ციტირება საკმაოდ ამაღლებდა მისი წარმომეტყველის ავტორიტეტს. დროთა განმავლობაში ეს ფრაზები ყოველდღიურ მეტყველებაში დამკვიდრდა, ანუ გადაიქცა ფრაზეოლოგიკალიზმად. მათი ფრაზეოლოგიკალიზაციის პროცესს მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ბიბლიის შესაბამისი ფრაგმენტების შინაარსობრივმა სიმდიდრემ და მათმა მაღალმა ზნეობრივმა თუ ესთეტიკურმა ღირებულებამ. ყველა ეს იდიომა ხაზგასმით და ემოციურად გამოხატავს "დასრულებულ" აზრს, ზოლო ბიბლიკალიზმების ეფექტურობა, უდავოდ, მათი ექსპრესიულობითა და ლაკონურობითაა განპირობებული.

რაც შეეხება მათ ეტიმოლოგიას, **ბიბლიეზმების** უმეტესობა ევროპელი ხალხის ენებში ბიბლიის ძველბერძნული და ლათინური თარგმანების საშუალებით დამკვიდრდა. თუმცა, როგორც ი. კლაუზ-ნერი სტატიამი „ბიბლიური ფრაზეოლოგია“ წერს: „ახალი აღთქმა ბერძნულადაა დაწერილი, მაგრამ მის ენაში ორი წყაროს გავლენა იგრძნობა:

1). **არამეულ-ივრითის** გავლენა, რადგან ახალი აღთქმის ავტორთა უმეტესობა პალესტინელი ქრისტიანი იყო. ბევრი მათგანი არამეულად ლაპარაკობდა, ზოგიერთი მათგანი კი, თალმუდის ივრითზეც.

2). ძველი აღთქმის ივრითიდან ბერძნულ ენაზე შესრულებული თარგმანის „**სებტუაგინტას**“ გავლენა, რითიც ხელმძღვანელობდნენ ახალი აღთქმის ავტორები.

აქედან გამომდინარე, ახალ აღთქმაში მხოლოდ არამეული ენიდან შემოსულ სიტყვებსა და წინადადებებს კი არ ვხვდებით, არამედ გამოთქმებსაც, რომლებშიც, ბერძნული თარგმანის მიუხედავად, მაინც ტრიალებს ივრითის სული“ (კლაუზნერი, „ხა-ენციკლოპედია, ხა-ივრითი“, ტ. 9, გვ. 749).

მაგალითად, „**ხელების დაბანა**“ (ანუ, *პასუხისმგებლობის თავიდან აცილება*) სახარებისეული ლეგენდიდან მომდინარეობს, რომლის მიხედვითაც პილატემ ბრბოს წინაშე ხელები დაიბანა, როდესაც ამ ბრბოს მოთხოვნითვე მან იესოს სიკვდილით დასჯის ბრძანება გასცა (მათე, 27:24), მაგრამ „**ხელების დაბანა**“, „უთანაზიარობის“ მნიშვნელობით ჯერ კიდევ ძველ აღთქმაში ფიგურირებს (ფსალმუნი 25(26):6). გამოირიცხული არ არის, რომ სახარების ბევრი სხვა ცნობილი გამოთქმის წყაროც ძველი აღთქმა ან თალმუდი იყოს.

გამოთქმა ახალი აღთქმის აპოკალიფსისიდან (5:1-3) „**შვიდი ბექდით დაბექდილი წიგნი**“ (ანუ, *გაუგებარი, მიუწვდომელი რამ*) ძალიან ჰგავს ძველი აღთქმის ესაიას წიგნში (29:11) ნახსენებ „**დაბექდილ წიგნს**“.

ფრაზეოლოგიზმი „**სხვის თვალში ბეწვის დანახვა**“ (ანუ *სხვა ადამიანში უმცირესი ნაკლის შემჩნევა*) სახარებისეული ტექსტიდან მომდინარეობს (მათე, 7:3-5), მაგრამ ამავე მნიშვნელობის გამოთქმა თალმუდშიც არსებობს (ტრაქტატი ბავა ბატრა 15): „**ამოიღე ნაფოტი, რომელიც კბილებს შორის გაქვს; ამოიღე დირე, რომელიც შენს თვალეშია**“.

გამოთქმას „**ხმა მღალადებლისა უდაბნოსა შინა**“ (ანუ *ამბო
ძახილი, რომელიც უპასუხოდ დარჩება*) ვხვდებით როგორც *მღალადებლისა*
წინასწარმეტყველთან (40:3) ძველ აღთქმაში, ასევე ახალ აღთქმაში
იოანესთან (1:23) და მარკოზთან (1:3).

ზემოთქმულთან ერთად ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბიბლეიზმე-
ბის პირველწყარო ყოველთვის ძველი აღთქმა ან თაღმუდის არ არის
— ბევრი მათგანი ახალი აღთქმიდანაც მომდინარეობს. მაგალითად,
„**ხე ნაყოფით იცნობა**“ (ანუ *ადამიანი თავისი საქმეებით იცნობა*)
გვხვდება მათეს (7:16) და ლუკას (6:44) სახარებებში.

ფრაზეოლოგიზმი „**(სახლის) ქვიშაზე აშენება**“ (ანუ *რაიმეს
დაგეგმვა არამტკიცე, არამყარ საფუძველზე*) მათეს სახარებაშია ნახ-
სენები (7:26-27).

„**უძღები შვილის**“ (ანუ *თავქარიანი, თავაშვებული ადამიანი;
ან ადამიანი, რომელმაც ჩადენილი ცოდვები მოიწონა და ჭეშმარი-
ტების გზას დაადგა*) პირველწყარო კი „უძღები შვილის იგავია“,
რომელიც ლუკას სახარებაშია მოთხრობილი (15:11-32). მსგავსი
მაგალითების მოყვანა დაუსრულებლად შეიძლება, ვინაიდან ბიბლია
ფრაზეოლოგიზმების ერთ-ერთი ყველაზე უხვი საბადაოა.

ბიბლეიზმები თავიანთი ხატოვანი სისტემითა და ღრმა ზნეობ-
რივი შინაარსით სრულიადაც არ წარმოადგენს მოძველებულ, არ-
ქაული სიტყვების გაყინულ მასას და ზეპირ თუ წერით მეტყველე-
ბაში მათი გამოყენება დღესაც ხშირად ხდება.

რაც შეეხება **მითოლოგიზმებს**, ბიბლეიზმების მსგავსად, ისი-
ნიც ფართოდ არის გავრცელებული ევროპულ ენებში. ჰომეროსის
„ილიადა“ და „ოდისეა“ მთელი რიგი მითოლოგიზმების წყაროა,
მაგალითად:

„**ტროას ცხენი**“ (ანუ *ფარული საფრთხე*) სწორედ „ილიადა-
დან“ დამკვიდრდა და ნაწარმოებში აღწერილი ერთ-ერთი ეპიზოდი-
დან მომდინარეობს.

ასევე ჰომეროსისეულია ფრაზეოლოგიზმი „**სცილასა და ქა-
რიბდას შორის**“ (ანუ *საფრთხე ორი მხრიდან*). ჰომეროსის მიხედ-
ვით სცილა ექვსთავიანი ურჩხული იყო, რომელიც სიცილიასა და
იტალიას შორის მდებარე სრუტის სანაპიროზე ერთ-ერთ გამოქვა-
ბულში ცხოვრობდა. მის მოპირდაპირე მხარეზე კი, მეორე ურჩხული
ქარიბდა ბინადრობდა და მათ შორის მეზღვაურთა გავლა დიდ

სიფრთხილეს და თავგანწირვას მოითხოვდა. ოდისევესმა ძლივს მოახერხა ამ ადგილის გავლა, რასაც მისი ექვსი თანამგზავრი შეეწირა. **„აქილევსის ქუსლი“** (ანუ პიროვნების ან ამა თუ იმ საქმის სუსტი წერტილი, სუსტი მხარე). აქილევსი ზღვის ქალღმერთ თეტიდას ვაჟი იყო. თეტიდა აქილევსს სტიქსეს წყლით ბანდა, რის გამოც არავითარ იარაღს არ შეეძლო მისი სხეულის დაზიანება. სტიქსეს წყლისაგან შეუხებელი რჩებოდა ბავშვის მხოლოდ ერთი ქუსლი, რომელზეც ხელი ეკიდა თეტიდას. ეს იყო აქილევსის სუსტი ადგილი.

„ილიადადან“ და „ოდისეადას“ გავრცელებული მითოლოგიზმებია აგრეთვე: **„ჰომერული სიცილი“** (ანუ თავშეუყავებელი, ხმაბლადი სიცილი), **„ფრთიანი სიტყვები“** (ანუ მოსწრებული, სხარტი გამონათქვამი) და სხვ.

მითოლოგიზმების წარმოშობის წყაროდ ჰომეროსთან ერთად ძველბერძნული და რომაული ლიტერატურაც გვევლინება. მაგალითად, ბერძნული ლეგენდებიდან მომდინარეობს გამოთქმა **„გორდიასის კვანძის გახსნა“** (ანუ რთული მდგომარეობიდან გამოსვლა). გორდიასი უბრალო მიწათმოქმედი იყო, რომელიც ფრიგიელებმა შეფედ აირჩიეს, რადგანაც სამისნოს რჩევით შეფედ უნდა აერჩიათ ის, ვისაც პირველად შეხვდებოდნენ ურემზე მგდომარეს. ასეთი აღმოჩნდა გორდიასი. გორდიასმა ააშენა ქალაქი, რომელსაც დაარქვა თავისი სახელი, ქალაქში ააგო ტაძარი, სადაც დადგა თავისი ურემი და ზედ უღელი მიაბა ურთულესი ნასკვებით. გადმოცემის თანახმად, ხალხს სწამდა, რომ ის, ვინც ამ ნასკვებს გახსნიდა, მთელი აზიის მბრძანებელი გახდებოდა. გამოთქმაც აქედან მომდინარეობს. ამბობენ, რომ ალექსანდრე მაკედონელმა მოისურვა კვანძის გახსნა, მაგრამ ვერ შეძლო და ხმლით მთლიანად აჩეხაო. გამოთქმა **„გორდიასის კვანძის გაჩეხვა“** (ანუ რაიმე დახლართული საქმის დაუფიქრებლად გადაჭრა) სწორედ აქედან მომდინარეობს.

გამოთქმა **„დაუწერელი კანონი“** ათენელ კანონმდებელ სოლონს ეკუთვნის.

პლატონის ფილოსოფიური ნაწარმოებების საფუძველზე გაჩნდა გამოთქმა **„პლატონური სიყვარული“** (ანუ სულიერი, არანორტიციული სიყვარული). ასევე, ბერძნული წარმოშობისაა ანდაზები: **„ერთი მერცხალი გაზაფხულს ვერ მოიყვანს“** და **„გადახტი და ჰოპლა“** მერე დაიძახეო. ცნობილი ფრაზეოლოგიზმი ინგლისურ

ლა ესპანურ ენებზე "to know where the shoe pinches" - "saber dónde le aprieta el zapato" (ანუ, იცოდე, სადაა დაბრკოლება) პლუტარქეს ნაწარმოებებიდან მოდის, ხოლო ავტორი გამოთქმისა "call a spade a spade" - "(llamar) al pan, pan, y al vino, vino" - **„ყველაფერს თავისი სახელი უნდა დაერქვას“**, ერაზმ როტერდამელია, რომელმაც თავის მხრივ, პლუტარქესთან მოხსენიებული ანდაზის არაზუსტი, მაგრამ წარმატებული თარგმანი გააკეთა, რაც ორიგინალში ასე უდერდა: **„გობს გობი უნდა ერქვას“**.

გამოთქმა **„ძალი თივაზე“** (იგივეა, რაც ანდაზა „ავი ძალი, არც თვითონ ჭამს და არც სხვას აჭმევს“) ლუკიანეს ეკუთვნის, რაც ლოპე დე ვეგას ამავე სახელწოდების კომედიის წყალობით ძალიან პოპულარული გახდა.

ეზოპეს და სხვა ძველბერძნული ზღაპრებიდან და იგავებიდან დამკვიდრდა გამოთქმები: **„ოქროს კვერცხისმდებელი ქათმის მოკვლა“** (ანუ საკუთარი კეთილდღეობის წყაროს მოსპობა), **„ლომის წილი“** (ანუ დიდი ნაწილი ან დიდი წვლილი).

ბევრი ცნობილი ფრაზეოლოგიზმი დაკავშირებულია ძველი რომის ისტორიასთან და ძველ რომაელ მწერლებთან: მაგალითად, **„რუბიკონის გადალახვა“** (ანუ გადაწყვეტი ნაბიჯის გადადგმა), **„მოვედი, ვნახე, ვძლიე“** (*"veni, vidi, vici"*) (იულიუს კეისრის სიტყვები პონტოს მეფე ფარნაკზე გამარჯვების შემდეგ), **„შენც, ბრუტოს?“** (იულიუს კეისრის სიტყვები, როდესაც თავის მკვლელთა შორის დაინახა მარკუს ბრუტოსი), ჰორაციუსის გამონათქვამი **„ოქროს შუალედი“** (ანუ არც ერთი უკიდურესობა) და ა.შ.

ამ ნაშრომში დიდ ადგილს ვუთმობთ ბიბლიზმების შეპირისპირებით ანალიზს. ბიბლიზმებს შორის ისეთი გამოთქმებიც არსებობს, რომლებიც სტრუქტურულადაც და მნიშვნელობითაც წინადადებებს შეესაბამება. ამის მაგალითებს ქვემოთ ვნახავთ, თუმცა, უნდა აღინიშნოს, გაცილებით ბევრია ისეთი ბიბლიზმი, რომელიც წინადადებაში მისი ერთ-ერთი წევრის სახითაა გადმოცემული. ასეთი ფრაზეოლოგიზმები კონკრეტულად რომელიმე მეტყველების ნაწილს ეკუთვნის. ამა თუ იმ მეტყველების ნაწილის ეკვივალენტურობის მიხედვით, სხვა ფრაზეოლოგიზმების მსგავსად, ბიბლიზმებიც შეიძლება დავყოთ შემდეგ ჯგუფებად:

1. ზმნური ბიბლუიზმები:

- ბირველი ქვის სროლა - бросить первый камень - primera piedra - cast the first stone at somebody;
- ხელების დაბანა - умыть руки - lavarse las manos - to wash hands;
- ღორებისთვის მარგალიტების დაყრა - метать бисер перед свиньями - arrojar (echar) margaritas a los puercos - cast pearls before swine;
- ცხვრების თხებისაგან გამოორჩევა — отделить овец от козлищ - apartar los machos cabrios de las ovejas - separate the sheep from the goats;
- განყრა მტვერისა ფერხთაგან თვისთა - отрясти прах от ног своих - sacudirse el polvo de los pies — shake off the dust of your feet და ა.შ.

2. სუბსტანტიური ბიბლუიზმები:

- ოცდაათი ვერცხლი — тридцать сребренников - thirty pieces of silver - treinta monedas de plata;
- ალფა და ომეგა - альфа и омега - alfa y omega - Alpha and Omega;
- უძღვები შვილი - блудный сын - el hijo pródigo - the prodigal son;
- ქვაკუთხედი - краеугольный камень - piedra angular - corner-stone;
- ფეხწამოსაკრავი ქვა - камень преткновения - piedra de tropiezo - stumbling-block;
- მოშაკვდინებელი ცოდვა — смертный грех - pecado mortal - mortal sin;
- იუდას აპბორი - Иудин поцелуй - beso de Judas - a Judas kiss;
- განტევების ვაცი - козёл отпущения - chivo expiatorio - scapegoat;
- გზაბნეული ცხვარი - заблудшая овца - oveja descarriada - lost sheep და ა.შ.

3. ზმნიველური ბიბლიზმები:

- დვთის წყალობით - милостью Божией - por la gracia de Dios - by the grace of God;
- მთელი გულითა და სულით - всем сердцем - con todo el corazón - with all one's heart;
- ჭირშიც და ღბინშიც - на горе и радость - a bien y a mal - for better, for worse;
- მშვიდობით - с миром - en paz - in peace და ა. შ.

4. აღმშტოური ბიბლიზმები:

- სულით ღარიბნი - нищие духом - pobres de espíritu - poor in spirit;
- შვიდი ბეჭდით დაბეჭდილი - за семью печатями - sellado con siete sellos - sealed up with seven seals და ა. შ.

5. შორისდებულის ტიპის ბიბლიზმები:

- დვთის გულისათვის! - Bora რადი! - ¡por Dios! - for God's sake!;
- ამაცდინე ეს სასმისი! - да минует меня чаша сия! - ¡pase de mí este vaso! - let this cup pass from me!;
- ჭგარს აცვი! - распни его! - ¡crucifícale! - crucify Him!;
- ქრისტეს გულისთვის! - Христа ради! - ¡por amor de Cristo! - for Christ's sake! და ა.შ.

მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა ენაზე არსებულ პარალელურ ბიბლიზმებს ერთი და იგივე წყარო გააჩნიათ და როგორც თავში აღვნიშნეთ, კომპონენტურ დონეზეც ეკვივალენტურები არიან, მათში სემანტიკური, ლექსიკური და გრამატიკული განსხვავებანი მაინც შეინიშნება. ეს განსხვავებანი შეიძლება იყოს როგორც ლინგვისტური, ასევე, ექსტრალინგვისტური ხასიათისა. განსხვავებათა ხასიათის მიხედვით ა. თ. უოლბოგა ნაშრომში — „ფრაზეოლოგიზმი-ბიბლიზმები რუსულ, ინგლისურ და ესპანურ ენებზე: ნაწილობრივი ეკვივალენტები“ — გამოყოფს ბიბლიზმების თანაფარდობის რამდენიმე ტიპს: სრული ეკვივალენტები, ნაწილობრივი ეკვივალენტები, ანალოგები, არაეკვივალენტური და

ლაკუნალური ბიბლიეზმები (ჟოლობოვა, 2003).

ნაწილობრივი ეკვივალენტების ჯგუფში შეიძლება ეგვიპტური
ერთ საში ქვეჯგუფი:

1. ბიბლიეზმები, რომლებიც მთლიანად ემთხვევა კომპონენტურ დონეზე და გრამატიკული წყობითაც. მაგალითად,

• ეძიებდეთ და პოულობდეთ - *naume u ohrayume - buscad, y hallaréis - seek and you will find.*

მოცემული პარალელი სახარებიდან მოდის. ამ ქვეჯგუფში შემავალი ბიბლიეზმებისთვის დამახასიათებელი ნიშანი, რომ ისინი სხვადასხვა ენაზე დენოტაციურ-კონოტაციური მნიშვნელობებით და სტრუქტურულ-გრამატიკული წყობითაც ემთხვევიან ერთმანეთს, ფრაზეოლოგიზმების ტრანსპოზიციისას, პრინციპში, ჩვეული მოვლენა არ არის.

2). ბიბლიეზმები, რომლებიც განსხვავდებიან სტრუქტურულ-გრამატიკული წყობით. მაგალითად,

• ბალაამის გირი - *balaaмова ослица - la burra de Balaam - Balaam's ass.*

მიუხედავად მოცემული ბიბლიეზმის სხვადასხვა ენაზე სტრუქტურული მსგავსებისა და ერთი და იმავე კომპონენტური შემადგენლობისა, მისი მნიშვნელობები მაინც განსხვავდება. რუსულ და ინგლისურ ვარიანტებს ერთი და იგივე მნიშვნელობა აქვთ: „ჩუმი, მორჩილი ადამიანი, რომელმაც უცებ ხმა ამოიღო“. ესპანურ ვარიანტში კიდევ იგულისხმება: „ჩუმი ადამიანი, რომელმაც სულელურად და უადგილოდ დაილაპარაკა“. რუსული ვარიანტი კი მეორე, სალანძღავი მნიშვნელობის მატარებელიცაა: „სულელი, ყიუტი ქალი“.

სტრუქტურულ-გრამატიკული განსხვავება გულისხმობს შემდეგს: მაგალითად, ინგლისურ და ესპანურ ენებზე ფართოდ არის გავრცელებული პოსტპოზიციური წინდებულიან-არსებით სახელიანი კონსტრუქცია ანუ არსებითი სახელს + წინდებულის (de / of) + არსებითი სახელი, რომელსაც რუსულ ენაში, ისევე, როგორც ქართულში, შეესაბამება კონსტრუქცია: ნათესაობით ბრუნვაში ჩასმული არსებითი სახელი წინდებულის გარეშე. რუსულ ენაში სუბსტანტიური ფრაზეოლოგიური ერთეულები კუთვნილებით ზედსართავ სახელთან ერთად, როგორც წესი, შეესატყვისება: ინგლისურ ენაში სუბსტანტიურ ფრაზეოლოგიურ ერთეულებს კონსტრუქციით: არსე-

ბითი სახელი ნათესაობით ბრუნვაში, ხოლო ესპანურ ენაში - სუბსტანტიურ ფრაზეოლოგიურ ერთეულებს კონსტრუქციით: არსებითი სახელი წინდებულთან ერთად.

3). ბიბლიეზმები, რომლებიც განსხვავდებიან კომპონენტურ დონეზე და გრამატიკული სტრუქტურითაც. მაგალითად,

• პური ჩვენი არსობისა - хлеб /наш/ насыщенный - el pan nuestro de cada día - daily bread.

ამ ფრაზეოლოგიზმს ოთხივე ენაზე ერთი მნიშვნელობა აქვს: „არსებობის საშუალება“. რუსული ვარიანტის კიდევ ერთი მნიშვნელობაა: „ყველაზე მთავარი, აუცილებელი“. აგრეთვე ორი მნიშვნელობა აქვს ესპანურ ვარიანტს, მეორე მნიშვნელობაა: „რაიმე ჩვეულებრივი, ყოველდღიური“. ზოგიერთი ბიბლიეზმის კომპონენტურ დონეზე სხვაობა შეიძლება განპირობებული იყოს ბიბლიის სხვადასხვა თარგმანით.

ნაწილობრივი ბიბლიეზმები განსხვავდება სემანტიკური მოცულობით, რაც ვლინდება მონოსემიის ან პოლისემიის შემთხვევაში, აგრეთვე იმ დროს, როცა ორმხრივი პოლისემიის დროს ერთ-ერთ მნიშვნელობაში განსხვავებაა, და მაშინაც, როცა განსხვავება ბიბლიეზმის სემურ შემადგენლობაშია.

და მიუხედავად მცირეოდენი განსხვავებებისა, ბიბლიეზმები, ისევე როგორც მითოლოგიზმები, ზოგადი თვალსაზრისით ეკვივალენტურებად ითვლება. ზოგად თვალსაზრისს ნიადაგს გაუმავრებს ქვემოთ მოცემული ბიბლიეზმების შედარება ქართულ, რუსულ, ესპანურ და ინგლისურ ენებზე. მიუხედავად იმისა, რომ ეს მაგალითები ბიბლიეზმების მცირე ნაწილია, ზოგადი დასკვნის გამოტანა ნამდვილად არ იქნება ძნელი:

- წკრიალა წინწილი — кимвал бряцающий — cimbalo retiniente - tinkling cymbal;
- რვალი მოყდრიალე - медь звенящая - metal resonante - sounding brass;
- მარილი მიწისა - соль земли - la sal de la tierra - the salt of the earth;
- ხმა მღალაღებლისა უდაბნოსა შინა - глас вопиющего в пустыне - voz clamante en el desierto - a voice crying in the wilderness;

- საფლავი განგოზილი - гробы повапленные - sepulcro blan-
queado - whitened sepulchre;
- ტალანტის მიწაში ჩაფვლა - зарыть (свой) талант в землю -
hundir su talento en la tierra - to hide the talent in
the ground;
- (საკუთარი) ჯვრის ტარება - нести (свой) крест - arrastrar
su cruz - to bear one's cross;
- გზაბნეული ცხვარი - заблудшая овца - oveja descarriada -
lost sheep;
- მგელი ცხვრის ტყავში - волк в овечьей шкуре - el lobo con
piel de oveja - wolf in sheep's clothing;
- განყრა მტკვრისა ფერხთაგან თვისთა - отрясти прах от ног
своих - sacudirse el polvo de los pies - shake off the
dust of Kour feet;
- ხელების დაბანა - умывать руки - lavarse las manos - to
wash hands;
- ყრმათა მოსრვა - избисние младенцев - degollación de los
inocentes - the massacre (slaughter) of the innocents;
- უკუნეთი სიბნელე - кромешная тьма - oscuridad imponente
- pitch darkness;
- ღვარძლის ზორბლისაგან გამოორჩევა - отделить плевелы от
пшеницы - separar la cizaña del buen grano - separate
the husk from the grain;
- ცხვრების თხებისაგან გამოორჩევა - отделить овец от козлий -
apartar los machos cabrios de las ovejas - separate
the sheep from the goats;
- ბური არსობისა - хлеб насущный - el pan de cada día -
daily bread;
- ქვაკუთხედი - краеугольный камень - piedra angular -
corner-stone;
- ფეხწამოსაკრავი ქვა - камень преткновения - piedra de
tropiezo - stumbling-block;
- მოპაკდინებელი ცოდვა - смертный грех - pecado mortal -
mortal sin;
- ეძიებდეთ და ჰპოვებდეთ - ищите и обряцете - buscad, y
hallaréis - seek and you will find;

- ის, ვინც ალიღებდეს მახვილს, მახვილითვე განიგმირებოდეს -
взявший меч от меча и погибнет - el que a hierro mata,
a hierro muere - he who lives by the sword, shall die by the
sword;
- ვაი, ვინც აცდუნებს ერთ ამ მცირეთაგანს - горе тому, кто
соблазнит единого из малых сих - ay, cualquiera que
escandalice a alguno de estos pequeños - Oh, if
anyone causes one of these little ones;
- ამაცდინე ეს სასმისი! - да минует меня чаша сия! - ¡pase de
mí este vaso! - let this cup pass from me!;
- მოიმკის, სადაც არ დაუთესია - жнет, где не сеял - siega
donde no sembró - harvesting where did not sow;
- განა შეიძლება ნაზარეთიდან კეთილი გამოვიდეს რამე? - из
Назарета может ли быть что доброе? - ¿de Nazaret puede
haber algo de bueno? - can anything good come out of
Nazareth?;
- ვისაც ყური აქვს, ისმინოს - имеющий уши да слышит - el que
tiene oído, oiga - the one who has an ear had better hear;
- მხოლოდ პურით არ ცოცხლობს კაცი - не хлебом единым жив
человек - no sólo de pan vive el hombre - mankind
cannot live by food alone;
- ვინაიდან მრავალნი არიან წვეულნი და მცირედნი - რჩეულნი -
много званых, а мало избранных - muchos fueron llama-
dos, pero pocos los escogidos - many are called, but few
are chosen;
- ნეტარ არიან მშვიდობისმყოფელნი - блаженны миротворцы -
bienaventurados los pacificadores - blessed are the
peacemakers;
- ნუ განსჯით, რათა არ განისჯოთ! - не судите да не судимы
будете! - ¡no juzguéis, para que no seáis juzgados! -
judge not, that ye be not judged!;
- ნუ დაუყრით ღორებს მარგალიტებს! - не метайте бисер перед
свиньями! - ¡no echéis margaritas a los puercos! -
don't cast pearls before swine!;
- არ არსებობს საიდუმლო, რომ არ გამჟღავნდეს - нет ничего
тайного, что не сделалось бы явным - no hay cosa oculta,

que no haya de ser manifestada - there is nothing hid,
that shall not be known;

საქმიანო
საქმიანო

- რწმენა მთას აბრუნებს - вера горы передвигает - la fe mueve montañas - faith will move mountains;
- რასაც აკეთებ, მალე გააკეთე - что делаешь, делай скорее - lo que haces, hazlo más presto - what you are about to do, do quickly და სხვა.

ზემოთ წარმოდგენილი ოთხივე ენაზე შედარებული ბიბლიეზმები იმის დასტურია, რომ ისინი თარგმანში ეკვივალენტური არიან კომპონენტურ დონეზე, ანუ მათი **დენოტაციური** (ანუ აზრობრივი) და **კონოტაციური** (ანუ სტილისტური) მნიშვნელობები ეკვივალენტურია. თარგმანის თეორიაში კი კომპონენტური დონის ეკვივალენტურობა სწორედ ამას გულისხმობს და არა აბსოლუტურ სემანტიკურ დამთხვევას. ბიბლიის ერთ-ერთ ენაზე თარგმანში ერისთვის, რომლის გარემოშიც ბატკანი არ არსებობს, **agnus Dei**, ანუ *ღვთის ბატკანი*, გადაითარგმნა როგორც „ღვთის პინგვინი“ (ი. ნაიდას მაგალითი). ეს ორი ლექსემა მათი ძირითადი მნიშვნელობების თვალსაზრისით არ შეესატყვისება ერთმანეთს, მაგრამ სახეობრივი თვალსაზრისითა და სოციალური შეფასებით „პინგვინი“ კარგი ეკვივალენტია შესაბამის ენასა და კულტურაში, ვინაიდან ისიც ცხოველის სახეობაა და თანაც ბატკანივით მორჩილი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მოცემულ შემთხვევაში კომპონენტური დონის ეკვივალენტურობას განაპირობებს ცხოველთა კლასისადმი კუთვნილება და მორჩილების კონოტაცია. **იორნ ალბრეხტის** ციტატას თუ მოვიშველიებთ წიგნიდან „ინვარიანტულობა, ეკვივალენტურობა, ადეკვატურობა“, „აბსოლუტური ეკვივალენტურობა არის **contradictio in adjecto** (ანუ წინააღმდეგობა ტერმინებში), ვინაიდან აბსოლუტური რომ ყოფილიყო, ეკვივალენტურობა კი არ იქნებოდა, არამედ ერთგვარობა“ (ალბრეხტი, 1990, 74).

ალბრეხტი – Albrecht, Jörn, "Invarianz, Äquivalenz, Adäquatheit" 1990, 71–81 (<http://www.fu-berlin.de/phn/phn16/p16t5.htm>).

კლაუზნერი – И. Клаузер, Ха-энциклопедия ха-иврит, т. 9, стр. 749 (<http://www.il4u.org.il/hebrew/guri/2.html>).

ჟოლობოვა – А.О. Жолобова, Фразеологизмы-библизмы в русском, английском и испанском языках: частичные эквиваленты, 2003 (http://www.kcn.ru/tat_ru/universitet/fil/kn3/index.php?sod=16).

SOPH CHKHEVIMIANI

The Etymology of Biblicisms and Mythologisms and their Equivalency at the Level of Lexical Components

(On the material of English, Georgian, Russian,
and Spanish)

Summary

The paper deals with etymology of biblicisms and mythologisms, their structural and grammatical classification and their equivalency on the level of lexical components. The equivalency is demonstrated by the comparison of biblicisms and mythologisms in four languages (Georgian, Russian, Spanish and English).

ნათი მართაშვილი

ფრანგული მხატვრული ნაწარმოების სათაურის ტიპები და
მათი განვითარების ტენდენციები

სათაური, ჩვეულებრივ, კვალიფიცირებულია, როგორც მხატვრული ტექსტის ეკონომიური სტილის ლაკონური ნიშანი. „ნაწარმოები ბოლომდე გახსნილი სათაურია და სათაური არის ორ-სამ სიტყვამდე დაყვანილი ნაწარმოები, ანუ სათაური — ნაწარმოები *in restricto*; ნაწარმოები — სათაური *in extenso*“. მაგრამ სათაური ყველა ეპოქაში ორ-სამი სიტყვით როდი იყო წარმოდგენილი. სათაურის სტრუქტურული მოდელი ვარიანტებს იმისდა მიხედვით, თუ როგორი მეტყველებაა გავრცელებული მოცემულ ეპოქაში.

XVII-XVIII საუკუნეების ევროპულ ლიტერატურაში და კერძოდ, ფრანგულ ლიტერატურაში მხატვრული ტექსტის სათაური მეტად გავრცობილი ინფორმაციით არის წარმოდგენილი. შეიძლება ითქვას, რომ იმ პერიოდის სათაური ტექსტის ანოტაციას უფრო ჰგავს. ამ ეპოქის საფრანგეთში სტანცები და იგავებია გავრცელებული და მათი სათაურები შემდეგნაირად გამოიყურება: „*La Grenouille qui se veut faire aussi grosse que le Boeuf*“ (*La Fontaine*); „*Pour le Roi allant châtier la Rebeillon de Rochelois et Chasser les Anglais qui en leur faveur étaient descendus en l'île de Ré*“; „*Consolation à Monsieur du Perier sur la Mort de sa fille*“ (*Fr. de Malherbe*); „*Stances à une Demoiselle qui avait les manches de sa chemise retroussées et sales*“ (*Voiture*) etc. ამ ეპოქის ნაწარმოებებისათვის ასევე დამახასიათებელი დუბლირებული (ორმაგი), ურთიერთამხსნელი თუ ურთიერთდამაზუსტებელი სათაურების სიჭარბეც. მაგალითად: „*Tartuffe ou l'Imposteur*“, „*Dom-Juan ou le Festin de Pierre*“ (*Molière*), „*Candide ou l'Optimisme*“ (*Voiture*) etc.

XIX საუკუნის ფრანგული რომანი და ნოველა თითქოსდა პერსონალურ და ინდივიდუალურ სახეს ატარებს. ერთი ადამიანის ხასიათის ფსიქოლოგიური ანალიზით და პორტრეტის შექმნის ხელოვნებით გატაცებული მწერლები, დეტალურად აღწერდნენ და ხატავდნენ ადამიანის ვნებებს, განცდებს, მის სულიერ მდგომარეო-

ბასა თუ რეაქციებს საზოგადოებაში არსებულ მოვლენებზე, ანუ მწერლების ინტერესს იწვევდა ინდივიდის ტრაექტორია არსებული სოციალურ გარემოში. ამიტომაც ავტორები ნაწარმოებებს მთავარი მოქმედი გმირის სახელით ასათაურებდნენ: "Carmen" (Mérimée), "Nana" (Zola), "Yvette" (Maupassant), "Thérèse Raquin" (Zola), "Matéo Falcone" (Mérimée) etc. მართო ონორე დე ბალზაკის მიერ დახატული იმ ეპოქის ფრანგული საზოგადოების ფსიქოლოგიური პორტრეტებიც კი კმარა სრული სურათის შესაქმნელად ადამიანის მაშინდელი ყოფის შესახებ: "Louis Lambert", "Le père Goriot" (Scènes de la vie privée), "Eugénie Grandet", "Ursule Mirouet" (Scènes de la vie province) etc.

ამავე საუკუნისათვის არის დამახასიათებელი დესკრიპციული სათაურები, ბევრი მათგანი წინასწარ აცხადებს შედეგს: "Splendeurs et Misères des Courtisanes" (Balzac), "Une Aventure Parisienne", "La Légende de Mont-Saint Michel" (Maupassant), "Une Ténébreuse affaire" (Balzac) etc.

ფრანგული პროზაული სათაურის კვლევამ ცხადყო, რომ თანამედროვე ფრანგული პროზა თავს არიდებს რა მარტივ დესკრიციულ სათაურებს, გვთავაზობს ავტორისეულ შეფასებას, რაც ნაწარმოების იდეის ტრანსფორმირებულ აზრს წარმოადგენს, და ეს ყველაფერი ლაკონურად და ლაპიდურად არის გამოხატული. დღეს ექვეტურად ითვლება ის სათაური, რომელშიც შინაარსობრივი შემ-

ცველობა და ექსპრესიულობა წარმოდგენილია არც ისე დიდი ენობრივი მოდელით: ერთი-ორი სიტყვით მინიშნება მნიშვნელოვან სიტუაციაზე, რთულ და მრავალმხრივ მოვლენაზე თუ გმირის პირობებზე მდგომარეობაზე. უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი ლაქონურობა სათაურში არა თუ ინარჩუნებს აზრობრივ დიმენსიას, არამედ უფრო ფართო და ღრმა სემანტიკურ დიაპაზონს იძენს. სათაურის ეს თანამედროვე სახეობა, რომელსაც ჩვენ ფრაგმენტული სათაური ვუწოდეთ, წარმოდგენილია წინადადებიდან ამოღებული ადგილის, დროის, ვითარებისა და სხვა გარემოებებით. ასეთი სათაურის პოპულარობა თანამედროვე მწერლებში მდგომარეობს მის პოტენციურ ძალაში. მის უნარში, აღძრას და გაუაქტიუროს მკითხველს თანამემოქმედების სურვილი, მისცეს მას ასოციაციური წარმოსახვის საშუალება. ფრაგმენტულ სათაურს, რომელიც ლოგიკურად დაუსრულებელია, შეუძლია დასრულებულობის, შინაგანად სრულყოფის შთაბეჭდილების მოზიდვა. წინადადება, რომელიც ჩვეულებრივ მეტყველებაში ითვლება. უსრულად, სათაურის როლში ამ სტატუსით იღებს დიდ დამოუკიდებლობას. ასეთი სტრუქტურის სათაური ხშირად აღიქმება, როგორც სრული წინადადება, რადგან სათაურის პრაგმატულ-ფაქტობრივი ინფორმაციის წყაროს მხატვრული ტექსტი წარმოადგენს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სათაურში ლინგვისტური ფორმით ჩამოყალიბებული ინფორმაცია ექსტრალინგვისტურ სამყაროსთან მიმართებას ტექსტის საშუალებით ამყარებს. გამოხატვის ეკონომიური ფორმის გამო სათაური-გამონათქვამი მხატვრულ ტექსტზეა მიჯნული ანუ სათაურის პრაგმატულ-გრამატიკული თავისებურება განპირობებულია ტექსტის შინაარსით. ყველა მწერალი თავისი მეტ-ნაკლები შესაძლებლობით არის ლექსიკის კარგი ლაქონიზატორი. სათაურის ფორმულაში ჩადებული მწერლის სტილისტიკა, მისი აზროვნების ყაიდა. შემოქმედს სათაურის ყოველი სიტყვა, ყოველი ასო აქვს გათვლილი და მოსაზრებული, ამდენად სათაური არის ავტორის იდეურ-სტილისტური ფოკუსი.

ასე რომ, თანამედროვე სათაურში შეიმჩნევა ორგვარი ტენდენცია: პირველი — ენის ეკონომიურობისაკენ და მეორე — პრაგმატულობისაკენ ლტოლვის ტენდენცია.

საერთოდ „ეკონომიურობა“ ენაში არ ნიშნავს უბრალოდ და მარტივად „მოკლეს“. როგორც აღვნიშნეთ, ასეთი მოკლე გამონათქვამი აზრობრივად ბევრისმთქმელი უნდა იყოს. გავიხსენოთ ბლენ პასკალის ცნობილი პარადოქსა: „წერილი დავწერე ვრცლად, რადგან

დრო არ მქონდა დამეწერა მოკლედ“.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სათაური მხატვრული ტექსტის პრესირებული სახეა. კომპრესია ენის ეკონომიის ერთ-ერთი ზერზია და იგი ორი ძირითადი მახასიათებლით გამოირჩევა: მცირე მოცულობა და ინფორმატული ბირთვი. ენობრივ ერთეულთა ეკონომიის ტენდენცია საერთოდ ყველა ენაში შეინიშნება... ჩვენმა კვლევამ ცხადყო, რომ ენის ეკონომიის ტენდენცია მოქმედებს ფრანგული მხატვრული პროზის სათაურშიც. ენობრივი რესურსების დაზოგვის პრინციპს მიყვავართ სათაურის მოდელის შექმნის განსხვავებულ გზებთან და ზერზებთან. სათაურში აქტიურად მოქმედებს ახალი კონსტრუქციის პრინციპი: სრული საზის კონსტრუქციიდან მოწყვეტილი ნაწილი სათაურის ფუნქციურ დატვირთვაში წარმოგვიდგება დამოუკიდებელ სტრუქტურად. გამოხატვის ელიფტური და ექსპლიციტური საშუალებები „სათაურის ენაში“ საინტერესოდ ერწყმის.

სათაურის ვრცელი ფორმიდან ფრაგმენტულ ფორმაზე გადასვლა შეიძლება შევადაროთ ფერწერას, სადაც რეალობის ზედმიწევნით ასახვა უინტერესო გახდა. ხელოვნების მისია არ არის გადახატო სინამდვილე, არამედ გამოხატო შენ მიერ დანახული და განცდილი სამყარო. „აღარა კმარა მხოლოდ ოსტატობა, თუ არ გაღელვებს შენი სათქმელიც“. აღარ არის საინტერესო სათაურის ის ტიპი, (როგორც ეს ხდება მარტივი ტიპის სათაურ პროდროში), რომელიც მკითხველის მოლოდინს აყალიბებს და მისი უტყუარი ორიენტირია, როცა მკითხველი დარწმუნებულია, რომ ნაწარმოები შეეხება დასახელებულ პირს ან მოვლენას. სათაურის თანამედროვე მოდელებით ავტორი გადმოსცემს აზრს არა ენობრივი ერთეულების სიჭარბით, რაც ძირითადად დესკრიფციულ სათაურებს ახასიათებთ, არამედ სიმბოლოებისა და მეტაფორების საშუალებებით, თუმცა „დესკრიფციაც შეიძლება მეტაფორულად იყოს გამოყენებული“ (რთული ტიპის სათაური პროდრომი). მეტაფორული სათაურები ხშირად მცდარ სუბოზიციას ქმნიან და „მოლოდინის გაცრუების ეფექტის“ პროვოცირებას ახდენენ. შემოქმედების სუბიექტურ, ორიგინალურ „ფილტრში“ გავლილი რეალობის ხედვა იმპრესიონისტული ესკიზური მანერით გარდაიქმნა რამდენიმე შტრიხად, რაც ინფორმატულად უფრო ვრცელი და ღრმაა. შემოქმედი თავის ორიგინალური აზროვნებით გვიჩვენებს საკუთარ ზოგადსოციალურ და ფილოსოფიურ შეხედულებებს სამყაროზე. აქ წამყვანია იდეა და

განწყობილება. ფრაგმენტული ტიპის სათაური იდეურ-შინაარსობრივად ბოლომდე არ ამბობს სათქმელს, რაც მკითხველს უღვივებს ინტერესს, საკუთარი წარმოსახვით ჩაებას ავტორის ჩანაფიქრის გახსნაში. ნონ-ფიქციოს ეფექტი ხელოვნებაში ხომ იმაში მდგომარეობს, რომ პასიური, სურათის მზამზარეულად ამთვისებელი მაყურებელი აქციოს შემოქმედებით თანამონაწილედ.

აღსანიშნავია, რომ ისედაც იზოლირებული სათაურის სემანტიკური უკმარისობა (იგულისხმება სათაურის ერთგვარად მატერიალური გაუცხოება ტექსტთან: იბეჭდება სხვა შრიფტით, მეტნაკლები დისტანციით პირველი აბზაციდან) მძლავრ სტიმულად ემსახურება პოტენციურ მკითხველს მის შესავსებად საკუთარი ინდივიდუალური ასოციაციების მეშვეობით.

ლაკონური სათაურის ერთ-ერთ აუცილებელ თავისებურებას ისიც წარმოადგენს, რომ მკაცრად დაცული პარალელურობა სათაურსა და მხატვრულ ტექსტს შორის და არ იკარგება ტექსტში ჩადებული იდეა. ასე რომ, მიკრო-ნაწარმოებსა და მაკრო-ნაწარმოების ნიშანთა და მნიშვნელობათა კონცეიდენციის შემთხვევაში მიჩნეულია, რომ სათაური სწორად არის შერჩეული, რადგან იგი უზრუნველყოფს ნაწარმოების იდეის, დედააზრის დაცულობას.

ამრიგად, კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ თანამედროვე სათაურებში ორგვარი ტენდენცია შეინიშნება: ეკონომიურობა და პრაგმატიზაცია. ენის ერთეულთა ეკონომიის ტენდენცია გაძლიერებულიად მოქმედებს სათაურში და ეს მიჩნეულია სინტაქსურ ნორმად, რაც გამოწვეულია იმით, რომ სათაურს შეუძლია მაქსიმალურად შემჭიდროვებული ფორმით გადმოსცეს იდეა, აზრი, რომლის გახსნაც ნაწარმოების ტექსტის საშუალებით ხერხდება. ავტორის სწრაფვას, მოახდინოს სათაურში აზრის აკუმულირება არა ენობრივ ერთეულთა სიჭარბით, არამედ რაც შეიძლება მცირე კონსტრუქციის მეშვეობით, შედეგად მოაქვს სიმბოლოებისა და მეტაფორების გამოყენება სათაურში, რადგან სწორედ მათი მეშვეობით ძალუძს მას გადმოსცეს ნაწარმოების ტრანსფორმირებული იდეა.

ფრანგული მხატვრული ტექსტების სათაურების შესწავლისა და მათზე პროდუქტიულობის თვალსაზრისით დაკვირვების საფუძველზე სტრუქტურულ-გრამატიკული თვალსაზრისით შეიძლება გამოვყოთ სათაურთა ოთხი ჯგუფი:

1. ნომინატიური ჯგუფი, ანუ სახელით ან სახელადი შესიტყვე-

ბით გამოხატული სათაურები. ამ ჯგუფში გავერთიანეთ საკუთარი სახელით (სახელით და გვარით) წარმოდგენილი სათაურები: (მათში შეიძლება ჩართული იყოს პროფესიის, ტიტულის, ნათესაობის აღმნიშვნელი ტერმინები) "Nana", "Eugénie grander", "Madam Bovary", "Le Doctor pascal", "Le Colonel Chabert", "Mon Oncle Jules" etc. საზოგადო სახელით: "La Religieuse", "La Célibataires", "La Bourgeoise" etc; აბსტრაქტული სახელით: "Enfance", "La Jalousie", "L'Espoir", "Le Bonheur" etc; შედგენილი არსებითი სახელით: "Les Faux-Fuiants", "Les Faux-Monnayeurs", "L'Arrache-cœur" etc. მრავლად გვხვდება ისეთი სათაურები, რომლებიც მსაზღვრელ-საზღვრულით არის წარმოდგენილი: "Education Sentimentale", "La Bete Humaine", "Les Nourritures Terrestres", "La vie Tranquille", "L'Herbe rouge" etc. აგრეთვე ხშირია სათაურები, სადაც მსაზღვრელი წინდებულისანი არსებითი სახელით არის წარმოდგენილი, (და ხშირად კუთვნილებას გამოხატავს): "L'œuvre au noir", "Les Fruits d'Or", "Notre dame de paris", "La Chartreuse de Parme" etc.

2. მეორე ჯგუფში გაერთიანებულია სათაურები, რომლებიც წინადადების ფრაგმენტებად არის მიჩნეული: "Dans les Labyrinthes", "En attendant Godot", "La tête cotre les murs", "Derrière la vitre" etc.
3. მესამე ჯგუფი სრული წინადადების სახით (მტკიცებითი, უარყოფითი თუ კითხვითი ფორმით, ბრძანებითი კილოთი) წარმოდგენილი სათაურთა ჯგუფია: "Les Dieux ont soif", "Nous nous aimerons demain", "Il n'arrive jamais rien", "Vous les vendez?", "Lève-toi et marche" etc.
4. მეოთხე ჯგუფი დუბლირებული, ურთიერთამხსნელი თუ ურთიერთდამაზუსტებელი სათაურთა ჯგუფი: "Vendredi ou Les Lombes du Pacifique", "Alexis ou le Traité du vain combat" etc.

პროდუქტიულობის თვალსაზრისით გაირკვა, რომ პირველი ჯგუფის სათაურები, გარდა ერთი ჯგუფისა, რომელიც შედგენილი არსებითი სახელებით არის წარმოდგენილი, მეტად პროდუქტიულია, ასეთი სათაურების რაოდენობა დიდია და სულ უფრო და უფრო მზარდი. სათაურთა მეორე ჯგუფი ენის ერთეულთა ეკონომიის ტენდენციის განვითარების ფონზე სულ უფრო პროდუქტიული ხდება

და მას წინა აქვს პერსპექტივები. მესამე ჯგუფის სათაურები (სრული წინადადების სახით წარმოდგენილები) თუმცა თანამედროვე ლიტერატურაში გვხვდება, მათ მაინცდამაინც პერსპექტიულ ჯგუფს ვერ ვუწოდებთ, რადგანაც სათაურის პრინციპი მის ლაკონურობაშია. მეოთხე ჯგუფის სათაურების შესახებ შეიძლება ითქვას, რომ მათში განვითარების ტენდენციები ნაკლებად შეინიშნება. უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი ტიპის სათაურებს თანამედროვე ლიტერატურა იყენებს, მაგრამ განზრახ პაროდირებისათვის ან სხვა მიზნით.

ლიბერატურა

კრეტიანოვსკი, 1931 — Кржижановский, Поэтика заглавий, М., 1931.

კუხარენკო, 1988 — Кухаренко В. А. Интерпретация текста, М., 1988.

ფხაკაძე, 1991 — Пхაკაძე И. Г. Недостижимые достижимые мыры. Семантика возможного и языковая относительность, Тб., 1991.

ლებანიძე, 1998 — გ. ლებანიძე, ანთროპოცენტრიზმი და კომუნიკაციური ლინგვისტიკა (თეორიული სინთეზი), თბ., 1998.

NATO MARTASHVILI

The Types of Titles in French Fiction and the Tendencies of their Development

Summary

The paper deals with the typology of titles in French fiction viz.: the paper focuses on the tendencies of their structural development. Two kinds of tendencies are singled out: The simultaneous requirement of economy and pragmatic effect. According to their structural and grammatical peculiarities the titles are divided into 4 classes:

- 1) nominal expressed by a noun or a noun phrase
- 2) Fragmental
- 3) Sentential
- 4) Doubling

ინზა ზაფური

{-ზაა} მორფემის სტატუსისათვის სამწერლობო აფხაზურში

{-ზაა} მორფემა გვხვდება აფხაზური ენის ზმნასა და მასდარში. სპეციალურ გამოკვლევებში ამ მორფემას სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაცია ეძლევა. უფრო ხშირად მას მიიჩნევენ განგრძობითობის ანუ დიურატიულობის სუფიქსად, რომელსაც სტატიკური ზმნა გადაჰყავს დინამიკურ ზმნათა კლასში (ლომთათიძე, 1954, 270), ზოგჯერ კი განიხილავენ რთული დინამიკური ფუძის მეორე ლექსიკურ შემადგენლად ანუ ძირად (პრუიტი, 1986, 20). ორივე ინტერპრეტაციას ახლავს გარკვეული სირთულეები, რომლებზეც ქვემოთ შევჩერდებით.

მსჯელობა უფრო თვალსაჩინო გახდება, თუ შემოვიღებთ პირობით აღნიშვნებს ზმნის პირველადი ანუ ლექსიკური ფუძის იმ კომპონენტებისათვის, რომლებთან კომბინაციაშიც შეიძლება შეგვხვდეს განსახილველი მორფემა. ესენია: მეშველი ზმნის სტატიკური ძირი {-აქ-} -- S, საკუთრივ ზმნური სემანტიკის მქონე დანარჩენი სტატიკური ძირები -- S, არაზმნური (უპირატესად სახელური) სემანტიკის მქონე ძირი -- N, ლოკატიური პრეფერბი -- L, პოლისემიური სტატიკურ-დინამიკური ძირი -- DS. თვითონ {-ზაა} მორფემას ამ სიმბოლოების კონტექსტში აღვნიშნავთ Z-ით.

სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებული შეხედულების თანახმად, სტატიკური ზმნები მხოლოდ აწმყოსა და წარსულ დროს განასხვავებენ, ხოლო მომავლის მნიშვნელობის გამოსახატავად ისინი დინამიკურ ზმნათა კლასში გადადიან, რაც ხორციელდება სწორედ {-ზაა} მორფემის საშუალებით. ასე, მაგალითად, *ისვმოუბ* < *ისვმა-უბ* „მაქვს“, *დთოუბ* < *დთა-უბ* „იგი<გონ“ შიგნით არის“ ითვლება სტატიკურ ზმნებად, ხოლო *ისვმაზააბ* „მექნება“, *დთაზააბ* „იგი<გონ“ > შიგნით იქნება“ — დინამიკურად (ლომთათიძე, 1954, 264-265). ის აზრი, რომ {-ზაა}-ს გადაჰყავს სტატიკური ზმნა დინამიკურ ზმნათა კლასში, გაზიარებულია ფაქტობრივად ყველა მკვლევრის მიერ.


{-ზაა}-სათვის მადინამიკურებელი სუფიქსის სტატუსის მინიჭე-

ბისას იმასაც აღნიშნავენ, რომ მასდარი მხოლოდ დინამიკური ზმნის ფუძიდან იწარმოება, ხოლო სტატიკური ზმნიდან მასდარის წარმოება ბის აუცილებელ წინაპირობას მისი გადინამიკურება წარმოადგენს, რასაც უმეტეს შემთხვევაში {-ზაა} მორფემა უზრუნველყოფს¹. მაგალითად, *აძა-ზაა-რა* „ქონა / ყოლა“ ითვლება *ისგმა-ზაა-რე* „მე-ქნება“, და არა *ისგმოუბ* „მაქვს“ ტიპის ფორმათა შესატყვის მასდარად. ამ თვალსაზრისის მიხედვით, -რა სუფიქსი დაერთვის ზოგიერთი სტატიკური ზმნის ფუძეს, მაგრამ ამ შემთხვევაში იგი აწარმოებს არა მასდარს, არამედ განყენებულ სახელს. მაგალითად: *აუბა-რა* „ადამიანობა“, *აგ-რა* „ნაკლი“ და სხვ. (ლომთათიძე, 1954, 265).

მასდარი მართლაც არ იწარმოება იმ სტატიკური ზმნებიდან, რომლებიც შეიცავენ N ტიპის ძირს, მაგალითად: *დბ¹ჭუბ* „ბავშვია“, *შდრ. აბ²ჭე* „ბავშვი“; *მაბ³რუბ* „დღეს არის“ *შდრ. მაბ⁴ა* „დღეს“. ჩვენ იზრით, N ტიპის ძირიდან ყველა სტატიკურ ზმნას აქვს რთული ფუძე, ისინი შეიცავენ კიდევ ერთ ძირს — კოპულის ძირეულ {-აქ-} მორფემას, რომელიც მოცემულ გარემოცვაში რეალიზდება ნულოვანი ალომორფით {-აქ-}-ის ალომორფებია /-აქ¹-, /-ა²-, /-ა³-. მაშასადამე, ასეთ ზმნათა ფუძის სტრუქტურა წარმოგვიდგება როგორც N+S. გარდა ამისა, კოპულის ნულოვანი ძირი სტატიკურ ზმნათა ფუძეებში კომბინირებს ლოკატიურ მორფემებთან (პრუიტი, 1986, 20), რის შედეგადაც მიიღება L+S¹ სტრუქტურის ფუძეები. ასეთი ფუძე გვაქვს, მაგალითად, ზემოთ მოყვანილ ფორმაში *დთოუბ* < დ-თა-ო-უბ > „იგი¹გონ >“ შიგნით არის“. მასდარში შეიძლება შეგვხვდეს აგრეთვე ლოკატიური მორფემის, მეშველი ზმნის ნულოვანი ძირისა და და {-ზაა-}-ს კომბინაცია, მაგალითად, *ა-ქ¹-ზაა-რა* „ზედ ყოფნა“, *ა-თა-ზაა-რა* „შიგნით ყოფნა“ და სხვ. მარტივფუძიან სტატიკურ ზმნათა შესატყვის S ტიპის ძირეული მორფემა წარმოდგენილია {-ზაა-} მორფემასთან ერთად (მაგალითად, *ა-მა-ზაა-რა* „ქონა/ყოლა“, *ა-ყა-ზაა-რა* „არსებობა“ და სხვ.), ხოლო DS ტიპის ძირებთან {-ზაა-} მასდარში არ დასტურდება.

სტატიკურ ზმნათა უმრავლესობის ინტერპრეტაციას როგორც N+S¹ და L+S¹ სტრუქტურის ფუძიანი ზმნებისა მხარს უჭერს ისიც,

¹ აფხაზურში, ისევე როგორც პრავალ სხვა ენაში, მასდარისათვის ზმნური გრამემატიკური ფუნქციონირება მნიშვნელოვანია. იგი ითავსებს სახელის ფლექსიურ და ზმნის დეგრადაციულ მნიშვნელობებს. რამდენადაც {-ზაა} მასდარშიც ვლინდება, მას ვერ ჩავთვლით ვერც ერთი ზმნური გრამემის, მაგალითად, დროის ან კილოს რომელიმე გრამემის გამოშვებულად.



რომ აღნიშნული ზმნები ურთიერთგანსხვავებულია მასდარის წარმოების მხრივ. მასდარი არსებითად ზმნის ფუძიდან წარმოქმნილი ხელია, მისი დანიშნულებაა ფაქტის (პროცესისა თუ მდგომარეობის) სახელდება, განყენებულ სახელად მისი წარმოდგენა. $N+S'$ სტრუქტურის ზმნური ფუძეებისათვის წარმოქმნილია უპირატესად თვითონ სახელი და, მასთან ერთად, კოპულა, რომელიც ფაქტობრივად სახელის „გაზმნურებას“ ემსახურება. კოპულას ანალოგიური ფუნქცია აქვს იმ ზმნებში, რომელთა ფუძისეული N კომპონენტი არის ზმნიშედის ძირი: კოპულა ახდენს ზმნიშედის ვერბალიზაციას. $L+S'$ სტრუქტურის შემთხვევაში განსხვავებული ვითარება გვაქვს, რადგან ამ სტრუქტურის პირველი კომპონენტი პრევერბია, და არა ძირი. აღნიშნულ ფუძეებში ძირის სტატუსი მეორე კომპონენტს, S' -ს ენიჭება. მისი სემანტიკა ზმნურია. ამიტომ $L+S'$ სტრუქტურის ფუძიანი ზმნებიდან მასდარის წარმოება შესაძლებელია ისევე, როგორც S ტიპის ძირიანი სტატიკური ზმნებიდან — {-ზაა} მორფემით გართულების პირობით.

მადინამიკურებელ მაჩვენებლად {-ზაა}-ს მიჩნევა, ვფიქრობთ, არ არის მართებული, რადგან ამ მორფემის შემცველ ფორმათა მნიშვნელობა სტატიკურია, და არა დინამიკური. ეს განსაკუთრებით ცხადად ჩანს პოლისემიური სტატიკურ-დინამიკური (DS ტიპის) ძირების მქონე ზმნებში, რომლებიც დინამიკურ მნიშვნელობას {-ზაა}-ს გარეშე გამოხატავენ. შდრ., მაგალითად, დტ^აოუტ < დტ^ა-ტუტ „იგივონ.“ > ზის^ა, დტ^ააზააჟემტ < დტ^აა-ზაა-ჟამტ „იგივონ.“ > იჭდება² — დტ^აოუტ < დტ^აა-ჟამტ „იგივონ.“ > (და)ჭდება^ა. მსგავს ზმნათა ფუძეებს მასდარის მაჩვენებელიც დაერთვის {-ზაა}-ს გარეშე, ამასთან, ერთი და იგივე ფორმა მასდარის პარადიგმაში გამოხატავს როგორც პროცესს, ისე მდგომარეობას, მაგალითად: -ა-ტ^აა-რა „დაჯდომა“ / „ჯდომა“ (შდრ. ზემოთ მოყვანილი ფინიტური ფორმები, რომლებიც ამავე -ა-ტ^აა-ს ძირს შეიცავენ). ამგვარად, {-ზაა}-ს დართვის შედეგად სტატიკური ზმნა დინამიკურ ზმნათა კლასში არ გადადის.

ახლა ვნახოთ, რა სირთულეები ახლავს {-ზაა}-ს მიჩნევას რთულ დინამიკურ ფუძეში შემავალ ძირად. შევნიშნავთ, რომ ამგვარი ინტერპრეტაციის გაზიარების შემთხვევაში {-ზაა} „გარდაქცევი-

² ეს მნიშვნელობა სტატიკურ ზმნაში უფრო ხშირად მყოფადის /ჟ/ ტ/ ან /ჰ/ მაჩვენებლიან ფორმებით გამოიხატება.

თობის“ -ბა- და -ტ“- მოფემათა მსგავსი ძირი იქნება და შექმნის დინამიკური ზმნის ლექსიკურ, პირველად ფუძეებს, რომელთაგან შეიქმნება ჰქონდეთ შემდეგი აგებულება: $S+Z$, $S'+Z$, $N+Z$, $L+Z$, $DS+Z$. ისევე როგორც აფხაზურ დინამიკურ ზმნათა არაერთი ბმული ძირი, {-ზაა} საკმაოდ ზოგადი სემანტიკის მქონე ძირად მოგვევლინება.

დინამიკური ზმნის ძირეულ მორფემად {-ზაა}-ს აღიარებას არ ეთანხმება, უპირველეს ყოვლისა, მისი დისტრიბუციული მონაცემები. ცნობილია, რომ არაფინიტურ დინამიკურ ფორმებში ნეგატივის მაჩვენებელი პრეფიქსულია, ამიტომ ი-ყა-მ-ზაა-ლაყ „რომელიც არ იქნება“ ტიპის ზმნებს თუ მივიჩნევდით დინამიკურ ზმნებად, {-ზაა} მართლაც უნდა გველიარებინა ძირად, და არა სუფიქსად. მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მსგავსი ფორმები დინამიკურ ზმნებად ვერ ჩაითვლება — მიუხედავად იმისა, რომ მათ დინამიკურ ზმნათა პარადიგმისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი ფლექსიური მაჩვენებელი დაერთვის. ამას ადასტურებს ისეთ ფორმათა აგებულება, როგორიცაა, მაგ., ი-ყა-ძა-ი-ზაა-შ „რომელიც არ იქნება“ (და არა *იყაშ-ზაა-ძაშ), ი-ყა-ძა-მ-ზაა-შტ „იგი¹აჩარაგონ.“ „სულაც“ არ იქნება“ (და არა *იყაზააძაშამ; შდრ. დინამიკური იყალააძაშამ; 'სულაც' არ გახდება“, სადაც {-ლაა} „ნეიტრალური“ სემანტიკის მქონე ძირია): ინტენსივობის {-ძა} მორფემას მხოლოდ სუფიქსური ალომორფები მოეპოვება.

ამგვარად, {-ზაა} არის სუფიქსი, რომელიც კომბინირებს შემდეგი სტრუქტურის პირველად ფუძეებთან $S+DS+S'$, $N+S'$, $L+S'$. მაგალითად, ფორმა იგ²ვლაზაალაყ „რომელი მეზობელიც იქნება“ (ი-გ²ვლა „მეზობელი“) აღიწერება როგორც ი-გ²ვლა-ი-ზაა-ლაყ“ ე. ი. როგორც ფორმა, რომლის ფუძე $N+S'$, სტრუქტურისაა.

დინამიკურ ძირად {-ზაა}-ს მიჩნევისას აღნიშნავენ, რომ იგი კოპულას ნულოვან სტატიკურ ძირთან მონაცვლე ძირია (პრუიტი, 1986, 20). ამგვარი მიდგომის დროს გაურკვეველი რჩება, რა როლს ასრულებს {-ზაა} საკუთრივ ზმნურ ძირებთან, განსაკუთრებით კი „არის“ კოპულის ძირთან თანახმარებისას: აქ³ზაარა „ყოფნა“. დაზუსტებას მოითხოვს აგრეთვე პროტოტიპულად სტატიკური „ყოფნა“ ზმნის დინამიკური მნიშვნელობა და კოპულის როლი $DS+Z$ სტრუქტურის ფუძეებში.

ჩვენი განხილვის საგანს უკავშირდება კიდევ ერთი სირთულე. — {-ზაა} მორფემის გამოხატველი /-ზაა/ მორფემონიმურია თურქობი-

თის მაჩვენებელში შემაგალი /-ზაა/ სეგმენტისა.³ სტატიკურ და დინამიკურ ზმნებში თურმეობითი გამოხატება ერთი და იმავე მაჩვენებლით, რომელშიც {-ზაა} მორფემის წარმომადგენელი მორფი შერწყმულია მყოფადის მორფემის -რგ ან ზ ალომორფთან. სინქრონიულ პლანში თურმეობითის დაუშლელ მაჩვენებლად გვევლინება -ზაარგ /-ზაა. როგორც წესი, იგი გვხვდება ფინიტურ ზმნებში, რომელთა დაბოლოებაში /ზაა/ მორფემის რეალიზაცია, ან როგორც თურმეობითის მაჩვენებლის ერთ-ერთი ალომორფი. მაგალითად, ირგმაზააპ „ექნებათ“ / „თურმე აქვთ“ აღიწერება ან როგორც ირგმა-ზაა-პ „ექნებათ“, სადაც -ი მყოფადის გამომხატველი მორფია, ან როგორც ირგმა-ზაა-პ „თურმე აქვთ“.

მიუხედავად იმისა, რომ რეგულარული სუფიქსური დერივაცია აფხაზური ზმნისათვის დამახასიათებელი არ არის {-ზაა} მაინც დერივაციულ სუფიქსად უნდა ვაღიაროთ. ცალკე მსჯელობის საგნად შეიძლება იქცეს მისი ფუნქცია, რომლის დასაზუსტებლად აუცილებელია დამატებითი კვლევა, ამას კი სათანადო ზმნური ფორმების ნაკლები გავრცელებულობა ართულებს. აქ მხოლოდ იმას შევნიშნავთ, რომ ნამყო უწყვეტლის მაჩვენებლიან ფორმებში განგრძობითობის ანუ უწყვეტობის მორფემის გამოვლენა უცნაურად გვეჩვენება (ჭკადუა, 1970, 267).⁵

ვფიქრობთ, მოყვანილი მსჯელობა ცხადყოფს, რომ {-ზაა}-ს დართვისას იცვლება უღლების ტიპი, მაგრამ ეს ზდება სტატიკური ზმნის ფარგლებში, ე. ი. ამ მორფემას მადინამიკურების ფუნქციას ვერ მივაწერთ.

³ {-ზაა} მორფემას აქვს /ზაა/ ალომორფი (ლომთათიძე, 264), რომელიც მასდარში თავისუფლად მონაცვლეობს /-ზაა-სთან. თურმეობითის მაჩვენებელში //ზაა/ სეგმენტი სამწერლობო ენაში /-ზაა/-ს არ ენაცვლება.

⁴ ჰვეიტი ხელავს ურთიერთკავშირს თურმეობითისა და მყოფადის მნიშვნელობებს შორის იმაში, რომ ორივე გამოხატავს ისეთ ფაქტებს, რომელთა განხორციელება შეიძლება ექვს იწვევდეს (3, 91).

⁵ მსგავს სირთულეს ვაწყდებით ქართულში /ი/ პრეფიქსის ინტერპრეტაციისას ნამყოსა და მყოფადის ისეთ ფორმებში, როგორიც არის, მაგ., იღვება, იღვა ~ ღვაბ. 1964-65 წლებში ქართული ენის სტრუქტურული შესწავლის სალექციო კურსის კითხვისას გ. მაჭავარიანი გამოთქვამდა მოსაზრებას, რომ ასეთ შემთხვევაში /ი/ განმარტავს განსაზღვრულობას: ნამყო და მყოფადი განსაზღვრულია აწმყოსთან შედარებით.

ლომთათიძე, 1954 — ქ. ლომთათიძე, იკე, ტ. VI, გვ. 257-271, თბ., 1954.

პრუიტო, 1986 — Spruit A., Abkhaz Studies. Leiden, 1986.

ჰევიტო, 1979 — Hewitt B. G., The expression of 'byferentiality' in Abkhaz "Linguistics", p. 87-91. 1979.

ჭკადუა, 1970 — Чкадуа Л. П., Система времен и основных модальных образований в абхазского- абазинских диалектах. Тб., 1970.

INGA SHADURI

On the Status of the Morpheme Zaa in Written Abkhazian

Summary

The morpheme zaa is encountered in the masdar and the static form of the Abkhazian verb. It is generally considered to be a durative suffix, which turns a static verb into a dynamic one, or acquires the status of the second lexical component of a compound dynamic stem. The paper discusses the controversial nature of the interpretation in question. It is argued that zaa is a derivational suffix; when added to the stem of a static verb it does not form a dynamic stem but the secondary stem of the static verb.

მერი ნიკოლაიშვილი

ზვარის კატეგორიისათვის ქართულში

ზმნა ქართული ენის ცენტრალური ძარღვია, რომელთანაც მჭიდროდ არის დაკავშირებული ენის სისტემის ყველა შემადგენელი ელემენტი.

ქართული ზმნის მორფოლოგიური სტრუქტურა ძირითადად აგლუტინაციური ტიპისაა, რაც იმას ნიშნავს, რომ ყოველ გრამატიკულ კატეგორიას საკუთარი მორფემა შეესაბამება. ძირეულ მორფემაზე მათი დამატებით ვიღებთ ურთულეს ფორმას, რომელიც რამდენიმე გრამატიკულ კატეგორიას გამოხატავს. ამრიგად, ქართული ზმნის ფორმა ადვილად ექვემდებარება ანალიზს, მაგრამ ძალიან ხშირია ისეთი შემთხვევები, როდესაც აგლუტინაციური ფლექსიური ან შერეული ტიპით იცვლება. შესაბამისად ზმნის ფორმის ანალიზი რთულდება, ზოგჯერ სრულიად აუხსნელიც კი ხდება. ბუნებრივია, ასეთ შემთხვევებში არსებობს ფორმის სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაცია.

ამჟამად გვინდა შევჩერდეთ ზმნის გვარის კატეგორიაზე. გვარს განმარტავენ როგორც ზმნით გადმოცემული მოქმედების დამოკიდებულებას სუბიექტისადმი (ჯორბენაძე, 1975, 6).

რა დამოკიდებულებაზეა აქ საუბარი? სუბიექტსა და ზმნას შორის შესაძლებელია მხოლოდ ორგვარი დამოკიდებულება:

1) ზმნის ფორმა გამოხატავს სუბიექტის აქტიურ მოქმედებას, სუბიექტი არის მოქმედების შემსრულებელი, ანუ აქტიურია;

2) ზმნის ფორმა არ გამოხატავს სუბიექტის აქტიურ მოქმედებას, სუბიექტი არ არის ზმნით გამოხატული მოქმედების შემსრულებელი, ანუ პასიურია.

როგორც ვხედავთ, აქტივს პასივი უპირისპირდება. სხვაგვარი დამოკიდებულება არ არსებობს, ანუ არ არსებობს მესამე გვარი.


ამგვარი მსჯელობა სავსებით მისაღებია ევროპული ენებისათვის, სადაც გვაქვს ერთპირიანი ზმნები. რაც შეეხება ქართულ ენას, ქარ-

თული ზმნის უმთავრესი თავისებურება მრავალპირიანობაა. რის გამოც სურათი სხვაგვარად წარმოგვიდგება. კერძოდ, ზმნის სუბიექტური პირის გამოხატვის გარდა ობიექტური პირებიცაა ასახული. ეს იწვევს მორფო-სინტაქსური მექანიზმის თავისებურად აწყობას, ე. ი. სახელებსა და ზმნას შორის გარკვეული ურთიერთობების დარეგულირებას, რაც სუბიექტისა და ობიექტების ბრუნვების განსაზღვრაში და ზმნის ფორმაში სახელების რიცხვის აღნიშვნაში გამოიხატება.

ამდენად, ზმნის ამა თუ იმ გრამატიკული კატეგორიის განსაზღვრა განსხვავებულ მიდგომას მოითხოვს. ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში ზმნის გვარის განსაზღვრისას ზმნის აქტიურ და პასიურ ფორმებს სუბიექტის გარკვეული ბრუნვები შეესაბამება. ქართული ზმნა არ არის მხოლოდ ამა თუ იმ მწკრივის ფორმა. ის აგრეთვე იმ აქტანტების ბრუნვების განმსაზღვრელია, რომლებიც შედის მისი შინაარსის შემადგენლობაში, ე. ი. მთლიანად კონსტრუქციას განსაზღვრავს (კონსტრუქციაში იგულისხმება აქტანტების ბრუნვები). ამიტომ ზმნის აქტიურ თუ პასიურ ფორმებს შესაბამისი კონსტრუქციები აქვს და ზმნის ფორმის ანალიზის დროს მათი გაუთვალისწინებლობა სრულ სურათს არ მოგვცემს.

მაშასადამე, როდესაც ქართულში აქტივზე და პასივზე გსაუბრობთ, აქ იგულისხმება ურთიერთობა სუბიექტსა (S) და ზმნას (V) შორის. კონკრეტულად აქტიური ზმნისათვის დამახასიათებელია I სერიაში ნომინატიური, ხოლო II სერიაში ერგატიული კონსტრუქცია. პასიური ზმნისათვის კი — I და II სერიაში მხოლოდ ნომინატიური. როგორც ვხედავთ, ერგატიულობა არის ძირითადი და დამახასიათებელი აქტივისათვის. სწორედ ერგატიული ბრუნვა არის აქტიური სუბიექტის ბრუნვა (რომელიც II სერიის ფორმებთან შეწყობილ სუბიექტს აქვს), რაც შეეხება ობიექტების ბრუნვებს, მათი განმსაზღვრელია გარდამავლობა. კერძოდ, თუ ზმნა შეიწყობს პირდაპირ ობიექტს, ე. ი. ზმნა გარდამავალია და ობიექტი ბრუნვაცვალეობადია (I სერიაში მიცემითში დგას, II სერიაში — სახელობითში). თუ ზმნა შეიწყობს ირიბ ობიექტს, მაშინ ზმნა გარდაუვალია და ობიექტი ბრუნვაუცვლელია (ყოველთვის მიცემით ბრუნვაშია). საკითხის შემდგომი განხილვისათვის საჭიროა გავითვალისწინოთ შემდეგი.

„მოქმედებითი გვარი, რომელიც გვიჩვენებს, რომ გრამატიკუ-



ლად მოქმედი პირი, რომელსაც სუბიექტურის სახელით ვიცნობთ, იგივეა, რაც რეალურად მოქმედი პირი, და მას მოეპოვება სამოქმედო პირი, პირდაპირ ობიექტურის სახელით ცნობილი. „საშუალო გვარი, რომელიც გვიჩვენებს, რომ სუბ. პირი „მოქმედებს“ ისე, რომ სამოქმედო ობიექტი არა აქვს, მაგრამ ამ მოქმედებას არ აზანიცდის“ როგორც ამას ადგილი აქვს ვნებითში (შანიძე, 1980, 280).


ამ განმარტებიდან ნათელია, რომ მოქმედებითი და საშუალო გვარის ზმნებთან შეწყობილი სუბიექტი ორივე შემთხვევაში მოქმედია. მათ შორის განსხვავებას ქმნის მხოლოდ პირდაპირი ობიექტი, რომელიც მოქმედებითი გვარის ზმნებს აქვს, ხოლო საშუალო გვარის ზმნებს — არა. როგორც ვიცით, სწორედ პირდაპირი ობიექტის არსებობა — არარსებობასთანაა დაკავშირებული ზმნის გარდამავლობის კატეგორია. ამდენად, ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს არა გვარის განსხვავებულ სახეობებთან, არამედ გარდამავლობის კატეგორიასთან. ეს ორი კატეგორია იმდენად ახლოს დგას ერთმანეთთან, ზოგჯერ ემთხვევა კიდევ ერთმანეთს, ამიტომ აღიქმება როგორც ერთი და მათი გამიჯვნა რთულდება.

აქვე გვინდა მოვიტანოთ ა. შანიძის შენიშვნა ბერძნულში მედიუმის (ანუ საშუალო გვარის) შესახებ: „იქ, სადაც მედიუმი ბერძნულში აშკარად განსხვავებულია ფორმით და ფუნქციით როგორც აქტივისაგან, ისე პასივისაგან (მაგ. აორისტში), მას გარდამავლობასთან ერთად ანასიათებს მიმართება სამოქმედო ობიექტთან კუთვნილების ნიადაგზე. ეს კი სულ სხვა ამბავია და უნდა გაგებულ იქნეს არა გვარის ფორმად (ე. ი. არა დიათესის ფორმად), როგორც ესმით ხოლმე, არამედ სათავისო ქცევის ფორმად. ქცევა კი, ანუ ვერსია, სულ სხვა კატეგორიაა, ვიდრე გვარი (შანიძე, 1980, 308).

ჩვენი მიზანია გავმიჯნოთ ერთმანეთისაგან გვარისა და გარდამავლობის კატეგორიები. გვარი გამოხატავს ზმნისა და სუბიექტის ურთიერთობას:



გარდამავლობა გამოხატავს ზმნის ურთიერთობას ობიექტებთან:



რას ნიშნავს სუბიექტს მოეპოვება სამოქმედო პირდაპირი ობიექტი? სუბიექტი კი არ არის ორგვარი, რომელსაც ერთ შემთხვევაში აქვს სამოქმედო პირდაპირი ობიექტი და მეორე შემთხვევაში

— არა. არამედ ზმნის ფორმა განსაზღვრავს (შინაარსთან ერთად) სუბიექტს ექნება სამოქმედო პირდაპირი ობიექტი თუ — არის სწორედ ზმნის გარდამავლობის კატეგორია და არა გვარი.

ამრიგად, ქართულ ზმნას ორი გვარი აქვს: აქტიური და პასიური.

აქტიური თავის მხრივ ორ ჯგუფად იყოფა:

1) აქტივი, რომელსაც აქვს პირდაპირი ობიექტი, ანუ გარდამავალია.

2) აქტივი, რომელსაც არა აქვს პირდაპირი ობიექტი, ანუ გარდაუვალია.

ლიტერატურა

შანიძე, 1980 — ა. შანიძე, თხზულებანი, III, თბ., 1980.

ჯორბენაძე, 1975 — ბ. ჯორბენაძე, ზმნის გვარის ფორმათა არსებობისა და ფუნქციის საკითხები ქართულში, თბ., 1975.

MARY NIKOLAISHVILI

On the Category of Voice in Georgian

Summary

In Georgian among the versatile verb categories the category of voice is one of the basic ones. As is known, according to the type of the voice two kinds of relationship between the subject and the action carried out by the verb are maintained: active and passive. Unlike the forms in the European languages, the verb forms in Georgian inherently determine the types of arguments, they take i. e. the type of the whole construction. The paper argues that the Georgian verb distinguishes only two kinds of construction and consequently only two types of voice (active and passive) should be differentiated.

ანა ზეზუაშვილი

მიმდევრული მიზნის გარემოებად უმთა რუსთველის „მიზნის ტაოსანში“

სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებული აზრის თანახმად „მიზნის გარემოება გამოხატავს მოქმედების მიზანს. უბასუხებს კითხვებზე: რისთვის? რა მიზნით?...

„მიზნის გარემოება გადმოიცემა მიზნის ზმნიზდით, სახელითა და სახელზმნით. გამოყენებული აქვს ორი ბრუნვა: ნათესაობითი და ვითარებითი. პირველი ყოველთვის თანდებულიანია, მეორე — უთანდებულო“ (კვაჭაძე, 1977, 154).

„მიზნის გარემოება ძველ ქართულში ძირითადად გამოიხატება ვითარებითში დასმული მასდარით, რომელსაც აგრეთვე ინფინიტივის გაგება ჰქონდა, ვითარებითში დასმული მყოფადის მიმდევრობითა და -თჳს თანდებულიანი სახელით“ (კიზირია, 1963, 325).

ძველსა და საშუალო ქართულში ხშირია ამ ფუნქციით მასდარის ვითარებითი ბრუნვის ფორმის გამოყენება. დაჭდა წერად = დაჭდა საწერად. ამ კონსტრუქციას მასდარულს უწოდებენ. „ესაა ვითარებით ბრუნვაში დასმული მასდარის ხმარება, რომელიც ანალოგიას პოულობს სხვა ენათა ინფინიტივთან... სხვა ენების ინფინიტივის მსგავსად ასეთი მასდარი სათანადო კონსტრუქციაში ყოველთვის „იღიბ ბრუნვაში“ (ვითარებითში) გვევლინება. მას, სახელობითში დასმული მასდარისაგან განსხვავებით, მეტი ზმნური ძალა გააჩნდა. მოქმედებითი გვარის ზმნის ფუძისაგან ნაწარმოები ასეთი მასდარი პირდაპირ დამატებას ისევე იღუებდა ბრუნვებში (სახელობითსა და მიცემითში), როგორც სათანადო ზმნის ფორმა...

მორფოლოგიურად კი იგი განსხვავდება სხვა ენათა ინფინიტივისაგან. იგი საწყის ფორმას კი არ წარმოადგენდა ზმნის სისტემისათვის (როგორც ეს ინფინიტივის მქონე კლასიკური ენებისთვისაა დამახასიათებელი), არამედ თვითონ იყო ზმნისაგან წარმოქმნილი ფორმა (იწარმოებოდა ზმნის აწმყოს ფუძისაგან) (მარტიროსოვი, 1955, 45-46).

მასდარული კონსტრუქცია დიდხანს აღარ შერჩა ქართულს. ძველ ქართულში „იგი ჩანასახის სახეს ატარებს. ასეთმა მასდარმა ვერ მოასწრო მტკიცედ ჩამოყალიბებული სახე მიეღო და ისე გამოვიდა ხმარებიდან, რომ მისი კვალიც კი აღარ შერჩა ახალ სალიტერატურო ქართულს“ (მარტიროსოვი, 1955, 59).

ეს პროცესი უკვე საშუალო ქართულშია დაწყებული. „ვეფხისტყაოსანში“ გვხვდება მასდარული კონსტრუქცია. ასევე გვხვდება მიმღეობა მიზნის გარემოებად. ამ ფუნქციით ძირითადად გამოიყენება **სა-** პრეფიქსითა და **სა-ელ** ცირკუმფიქსით ნაწარმოები მიმღეობები. ამგვარი მიმღეობები ვნებითი გვარისაა და მყოფადი დროის, მაგალითად:

„მერმე ავღვ **წამოსავლად** ტირილით და ცრემლთა დენით“. ვეფხ. 17: S 418\K418c;

„ნურა ნუ გშურს საქონელი ჩემი ჩემთვის **წასაგებლად**“. ვეფხ. 33: S 804\K804c;

„არს თინათინის გონება მისად **სალხენლად** გულისა“. ვეფხ. 41: S 1025\K1025b;

„მესამე ლექსი კარგი არის სანადიმოდ, **სამღერელად**“. ვეფხ. 1: S 17\K17a;

„და მისგან კიდე **სანახავად** არა უნდა კაცთა ტომი“. ვეფხ. 41: S 999\K999d;

„ავღვ, მსხდომნი ნადიმობად აემზადნეს **ასაყრელად**“. ვეფხ. 11: S 371\K371a;

„მიეც ზოგი ხანაგათა, ზოგი ხიდთა **ასაგებლად**“. ვეფხ. 33: S 804\K804b;

„ცული არის დამზრალისა **გასათბობლად** წყლისა ბერვა“. ვეფხ. 30: S 707\K707b;

„და სგეს და ჭამეს, **დასაწოლად** ყმა გავიდა ღამით, გარ, გა“. ვეფხ. 43: S 1078\K1078d;

„**შესაპყრობლად** შევეუზახენ, სპანი სრულად დამიხოცნა“. ვეფხ. 4: S 110\K111b;

„და ბეჭედი ჩემი აცვია, მას გვედრებ **მოსატანელად**“. ვეფხ. 46: S 1111\K1111d;

„ყოვლგან იდგის ვითა გორი, მოდის ველთა **მოსარწყავად**“. ვეფხ. 64: S 16445\K1644b;

„შუბი ესთხოვე, ხელი ჩაყავ მუზარადის **დასარქმელად**“. ვეფხ. 18: S 445\K455a;



- „ავთანდილ ცხენსა გარდახდა ასმათის *მოსახვეველად*“. ვეფხ. 53: S 1358\K1358a;
- „და მათად *საჭვრეტლად* მჭვრეტელმან ხამს, თავი იქედგორო-სა“. ვეფხ. 61: S 1569\K1569d;
- „იტყვის: „მზე ჩემგან თავისად კმა *დასადებლად* აღარად“. ვეფხ. 30: S 714\K714b;
- „ჰე მზეო, ღმერთსა ვინათგან მზედ სწადდი *დასაბადებლად*“. ვეფხ. 45: S 1085\K1085a;
- „და მნათობთა შენი შეხედვა ტკბილად უჩს, *დასაქადებლად*“. ვეფხ. 45: S 1085\K1085d;
- „ვიცი, ჩემთვის არას გიზამს, თუ არ უნდი *გასაძებლად*“. ვეფხ. 31: S 750\K750c;
- „და თქვი, რა გინდა წაგეკიდოს, თავი დაღევ *საწამებლად*!“ ვეფხ. 31: S 750\K750d;
- „და მიწყევ მისად *საგონებლად* მისი მკვლელი თინათინ-ა“. ვეფხ. 6: S 171\K171d;
- „და სცემენ ბუკსა და ტაბლაცსა *მოსამეტებლად* ზარისად“. ვეფხ. 47: S 1189\K1189d;
- „ხელი მოჰკიდა მოჰყვანდა, ვით, მთვარე *მოსაგანებლად*“. ვეფხ. 31: S 750\K750b;
- „ქალი აღდა და წავიდა მის ყმისა *მოსაყვანებლად*“. ვეფხ. 9: S 280\K280a;
- „სახლსა მისსა *მისადებლად* მის ყველასა საჭურჭლისად“. ვეფხ. 60: S 1502\K1502b;
- „გაბედითდა *წასადებლად* ატლასი და ოქრო მყარი“. ვეფხ. 61: S 1553\K1553c;
- „ენა, გონება მახმარე *გამოსარჩევლად* ამისად“. ვეფხ. 29: S 635\K635b;
- „მან მიჰყო ხელი ალვასა, შტო მოჰყვა *მოსარჩევლად*“. ვეფხ. 53: S 1358\K1358b;
- „შესხდეს მეფე და ავთანდილ მის ყმისა *მისაწვევლად*“. ვეფხ. 48: S 1257\K1257a;
- „იგი ნახეს, *გასაქცევლად* გაემართნეს, შევჰკივლენით“. ვეფხ. 18: S 451\K451a;
- „რა მოგავარო, რა მიჯობს *სალხენლად* ჩემად და მისად?“ ვეფხ. 29: S 635\K635c;
- „ამისად მოწმად ღმერთი მყავს, *სათქმელად* მეუცხოების“.

ვეფხ. 29: S 643\K643b;

„პირსა ბაღია და **საბანლად** სარაჯი ვარდის წყალისა“ **ქვეფხ.**

10: S 329\K329c;

„წავალ თოკთა **მოსახმელად**, მწადსო, თუ-მცა ამოვზიდე“.

ვეფხ. 25: S 256\K256b;

„ავთანდილ მივა მუხლ-მოყრით ტარიას **შესახვეწელად**“ ვეფხ.

59: S 1484\K1484a;

„ნახეს, მზისა **შესაყრელად** გამოეშვა მთვარე გველსა“ ვეფხ.

57: S 1420\K1420b;

„ბრძენთა მიმცეს **სასწავლებლად** ხელმწიფეთა ქცევა-ქმნათად“.

ვეფხ. 10: S 319\K319c;

„ველარ ვისმენ ხმასა შენსა, **სასმენელად** მე მას რულსა“ ვეფხ.

35: S 823\K8234c;

„ჩემნი სპანი მოვიდიან **საქვრეტლად** და ჩემად ქებად“ ვეფხ.

18: S 453\K453c;

„ესე ღმერთსა **მისაგვრელად** მისად ჩვენთვის მოუგვრია“ ვეფხ.

18: S 1233\K1233a;

ამდენად, როგორც ვხედავთ, „ვეფხისტყაოსანში“ მიზნის გარე-
მოება, ჩვეულებრივ, მიმღეობით გადმოიცემა.

ლიტერატურა

კვაჭაძე, 1977 — ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის
სინტაქსი, თბ., 1977.

კიზირია, 1963 — ანტ. კიზირია, მარტივი წინადადების შე-
დგენილობა ძველ ქართულში, თბ., 1963.

მარტიროსოვი, 1955 — ა. მარტიროსოვი, მასდარული კონ-
სტრუქციის გენეზისისათვის ძველ ქართულში, იკე, VII, თბ., 1955.

The Participle Used as an Adverbial Modifies of Purpose in Shota Rustaveli's "The Knight in the Panther's Skin"

Summary

In Old Georgian the adverbial modifier of purpose was mainly expressed by means of: a) the masdar (which had the meaning of the infinitive as well) in the Transformative b) the future Participle in the Transformative c) and the noun with the postposition "tvs".

In middle Georgian, viz.: in "The Knight in the Panther's Skin" the masdar in the Transformative performs the same function. Besides, the participle with the prefix sa and the circumfix sa - el are also encountered in the function of the adverbial modifier of purpose.

თინათინ ზიორბოზიანი

პერფექტი ძველ ბერძნულში

ბერძნულში აორისტიკისა და აწმყოს ფუძეებთან ერთად გამოიყოფა პერფექტის ფუძეც, რომელსაც განსხვავებული წარმოება და დაბოლოება ჰქონდა. აღსანიშნავია, რომ ამ დაბოლოებების შესატყვისი სხვა ინდოევროპულ ენებშიცაა. სწორედ ამან განაპირობა ის, რომ აღდგა წინარეინდოევროპული ე. წ. პერფექტულ ზმნათა დაბოლოებები. პერფექტის აქტივის ყველა ფორმა პერფექტის ფუძიდან იწარმოება, ხოლო პერფექტის მედიუმისა და პასივის ანუ, ე. წ. პერფექტული ფუტურუმის ფორმები — პერფექტმედოპასივის ფუძიდან.

ვიაჩ. ივანოვმა ინდოევროპული ზმნური ფორმების ორი რიგი მოგვცა, ე. წ. **m(i)** და **Ha**, რომელიც ინტერპრეტირებული იქნა როგორც აქტივისა და ინაქტივის ოპოზიცია. თ. გამყრელიძემ და ვიაჩ. ივანოვმა, უკვე 1984 წელს, ყურადღება გაამახვილეს ძველ ინდოევროპულ ლექსებზე, რომლებიც ჯგუფდებოდნენ აქტივ-ინაქტივის მიხედვით (გამყრელიძე, ივანოვი, 1984, 296). **m(i)** რიგი ხასიათდება აქტიური სემანტიკით და უწოდებენ ე. წ. პრეზენს-აორისტიკის რიგს, ხოლო **Ha**-ს უწოდებენ პერფექტუმის ზმნების რიგს, რომელიც როგორც სემანტიკით, ასევე ფორმით ინდოევროპული მედიოპასივია. ჯერ სტანგმა და შემდეგ კურილოვიჩმა გამოთქვეს მოსაზრება, რომ ინდოევროპული მედიუმის დაბოლოებები იდენტურია პერფექტისა. საერთოდ, ე. კურილოვიჩი მიუთითებს პერფექტის თავდაპირველ დიათეზურ ბუნებაზე. მიაჩნია, რომ პერფექტის უბირველესი ფუნქცია იყო მედიუმის გადმოცემა. სტანგი აზუსტებს: „პერფექტსა და მედიუმს აერთიანებთ სუბიექტის სწრაფვა მათ მიერ გამოხატული მოქმედებისადმი ანუ მოქმედების სუბიექტისადმი მიმართება“ (სტანგი, 1932).

ძველ ბერძნულში ზმნის ფუძისაგან იწარმოებოდა დროის ფუძე, რომელიც შესაბამის დროის სისტემაში გამოიყენებოდა. გამოიყოფო-

და დროის ექვსი ფუძე და, შესაბამისად, დროის ექვსი სისტემა. პერფექტის სისტემის ფუძეები პერფექტისა და პლუსკვამ-პერფექტის აქტივის ფორმებს აწარმოებდნენ (შანტრენი, 1953, 153). ამავე ფუძიდან მხოლოდ რამდენიმე ზმნა აწარმოებდა პერფექტული ფუტურუმის (*Futurum exactum*-ის) აქტივის ფორმებს. პერფექტის სისტემისათვის დამახასიათებელი იყო ფუძის რედუპლიკაცია -*ka* და -*a* მასზე ან თემატური ხმოვნის დართვა. ამ სისტემას იმპერატივის გარდა ყველა კილო და ფორმა ჰქონდა პერფექტში. *Futurum exactum*-ის აქტივის ფორმები იწარმოებოდა (-*k*)*a*-ს გარეშე, პერფექტულ ფუძეზე ფუტურუმ I აქტივის -*σω*, -*σεις*, -*σει* და ა. შ. დაბოლოებების დართვით. დადასტურებულია შემდეგი ზმნების პერფექტული ფუტურუმის მოქმედებითი გვარის ფორმები: *ἔσταις*, *ἔσθαι*, *ἔσται*, *ἔσθαι*, *ἔσθαι* („გვცდები“, „მეშინია“, „გდგამ“, „მიხარია“).

თითქმის ყველა ინდოევროპულ ენაში პერფექტმა და მედიუმმა განვითარების ერთნაირი გზა გაიარეს; სახელდობრ, პერფექტმა ნარატიული წარსული მოგვცა, მედიუმმა დაკარგა უკუქცევითობა და მედიოპასივი მოგვცა. აღნიშნავენ, რომ „პერფექტი მდგომარეობაა აწმყოში, რაც შედეგია წინა მოქმედებისა, ანუ: პერფექტი არის ახლანდელი მდგომარეობა, რომელიც რეზულტატია წინა მდგომარეობისა“ (პიზანი, 1959, 48); პერფექტი მდგომარეობაა, რომელიც წარმოადგენს დამთავრებულ მოქმედებას. იგი სხვა არათერია გარდა იმისა, რომ რედუპლიცირებული აწყობა, შემდგომი გაფორმება მან განვითარების გვიან პერიოდში მიიღო, — ასეთია აზრი შვიცერისა (შვიცერი, 1953, 263). აღნიშნულია, რომ რედუპლიკაცია პერფექტს რაღაც განსაკუთრებულობას სძენს და რომ ეს რედუპლიცირებული ფორმები უფრო ადრინდელი უნდა იყოს. ადრეულ პერიოდში ჩვეულებრივ პრეზენსთან ერთად არსებობდა ე. წ. ინტენსიური პრეზენსიც, რომელიც შემდეგ პერფექტად გაფორმდა. უკვე ჰომეროსის ენაში ხშირია ისეთი პერფექტი, რომელიც თავისი მნიშვნელობით განსაზღვრულ ჩარჩოში ვერ ჯდება. ასე რომ, გამოყოფენ ე. წ. ანომალიურ პერფექტებს და მათ უწოდებენ ინტენსიურ პერფექტს. ეს არის აწმყოს მნიშვნელობით სურვილის, შიშის, სიხარულისა თუ წყენის გამომხატველი ზმნები. ასევე, ზმნები: *οἶδα* „ვიცი“, *ἔκστακα* „გვპრეტ“, *κἔκλεκα* „გვიყირი“, *ἔσται* „მოვუწოდებ“ და ა. შ.; ამ ტიპის ზმნები განეკუთვნება ე. წ. *verba sentiendi*-ს.

ძველბერძნულსა და ზოგიერთ ინდოევროპულ ენაში არის მთე-

ლი რიგი პერფექტებისა, რომლებიც აწმყოზე უწინარესნი არიან. მაგალითად, პრეზენს-აორისტისა და პერფექტის ფორმები სხვა ძირებისაგან არიან წარმოშობილნი. ეს კი ეწინააღმდეგება იმ აზრს, რომ პერფექტი გვიანდელი წარმოშობისაა და პრეზენს-აორისტის სისტემის შემდეგდროინდელია. მიაჩნიათ, რომ უძველესი ფორმობრივი ნიშანი პერფექტისა არის პირის დაბოლოებები მხ. რიცხვში.

აზრი იმის შესახებ, რომ პრეზენსისა და აორისტისაგან განსხვავებით, პერფექტს თავდაპირველად ჰქონდა ის დაბოლოებები, რომლებმაც შემდეგ შეიძინეს ფუნქცია აქტიური გვარისა, პირველად დელბრიუკმა გამოთქვა. ვაკერნაგელმა აღნიშნა პერფექტის ინტრანზიტულობა და ამავე დროს ის, რომ პერფექტული ფორმა შეიძლება იყოს წინადადებაში პირდაპირი დამატება (ვაკერნაგელი, 1920). კურილოვიჩი და ასევე ბადერიც თვლიან, რომ ინდოევროპული პერფექტის დაბოლოებები უწინარესად გამოხატავდნენ გვარის განსაკუთრებულ მნიშვნელობას, და რომ საკითხი, — რამდენად ახლოა ინდოევროპული პერფექტისა და ინდოევროპული მედიუმის პირის დაბოლოებები, შესასწავლია. ვფიქრობთ, პერფექტს განსაკუთრებული ადგილი აქვს ზმნის სისტემაში და თავდაპირველად იგი უღვლილების სისტემას არ განეკუთვნებოდა. ზოგიერთი ე. წ. ანომალიური პერფექტი აწმყოს მნიშვნელობით მოქმედების შედეგსაც გვიჩვენებს და მოქმედების ხანგრძლივობასაც, მაგ.: ბλახა „ვიღუპები“, ჭილა „ვფიქრობ“ და ა. შ. (გიორგობიანი, 1998, 57).

როდის უნდა მომხდარიყო პერფექტის ჩართვა ძველი ბერძნული ზმნის უღვლების სისტემაში? კლასიკური პერიოდის ძველ ბერძნულ ენაში პრეზენსი, აორისტი და პერფექტი მიჩნეულია ერთი რიგის მოვლენად, მაგრამ ირკვევა, რომ თავიდანვე ასე არ იყო, და რომ ოპოზიცია პრეზენსისა და აორისტისა სხვაა, ვიდრე ოპოზიცია პრეზენსისა და აორისტისა პერფექტთან. არქაულ ბერძნულში, ასევე ჰომეროსის ენაში, არ შეინიშნება უღვლების დამთავრებული, ერთიანი სისტემა. უფრო მეტიც, ბევრი ზმნა ვერ აწარმოებს პერფექტს და პირიქით, ზოგიერთი პერფექტის გვერდით არ დგას შესაბამისი პრეზენსი და აორისტი.

პრეტერიტარული ფორმა ზმნიდან ჭიჟ ჰომეროსის ენაში იმპერფექტისა და აორისტის ფუნქციას აერთიანებს. „პერფექტი უძველესი მნიშვნელობით ერთგვარი აწმყოა, ხოლო შემდგომ, რაც



შეიძინა რეზულტატური მნიშვნელობა, გადაიქცა პრეტერიტად (შვი-
ცერი, 1968, 640-641). მხოლოდ ატიკურ დიალექტში აორისტიზაცი-
ის სპეციალური ფორმაა ჯიქიძე, სადაც ფუნქციური სფერო გამო-
კვეთილია.

ის ფაქტი, რომ პერფექტი გამოხატავდა სუბიექტის მდგომარეო-
ბას, რაც მიღწეული იყო წინარემოქმედებით, ჯერ კიდევ არ ნიშნავ-
და პერფექტის საბოლოო ჩართვას უღლების სისტემაში. პერფექტი
ყველა ზმნიდან არ იწარმოებოდა (შმიდტი, 1964). და იგი იყო არა
მარტო მდგომარეობის გამომხატველი, არამედ — მოქმედებისაც. აქ
გადამწყვეტი როლი შეასრულა საშუალო გვარის მედიალურმა ფორ-
მამ, რომელმაც მიიღო ზოგიერთი ფუნქცია არქაული პერფექტისა.
მედიალური დაბოლოება პერფექტმა პრეზენსისაგან მიიღო. მედია-
ლური პრეზენსი და მედიალური აორისტი უპირისპირდებიან მედია-
ლურ პერფექტს. ენის ფორმათა სტრუქტურისა და სისტემის ჩამო-
ყალიბებას ფუნქცია განაპირობებს; ჰომეროსის მასალის გათვალის-
წინება და ძველი ბერძნულის უფრო გვიანდელი პერიოდის (ვეყრდ-
ნობით დგორეცკის ლექსიკონს) ზოგიერთი მონაცემი გვაძლევს სა-
შუალებას თვალი ვადევნოთ პერფექტის სემანტიკური და ფუნქციუ-
რი თავისებურებები როგორ ერთვება ზმნის უღლების სისტემაში.
ეს პროცესი უნდა დასრულებულიყო პერფექტის ჩამოყალიბებით
წარსული დროის კატეგორიად და თავდაპირველი ოპოზიცია პრე-
ზენს-აორისტი || პერფექტი უნდა შეცვლილიყო ახალი ოპოზიციით
— პრეზენსი || აორისტი || პერფექტი.

შესწავლილი მასალის საფუძველზე დგინდება, რომ პერფექ-
ტუმის ფორმები არ შეიძლებოდა ყველა ძირისაგან წარმოებულიყო;
იგი იწარმოებოდა მხოლოდ განსაზღვრული ლექსიკური მნიშვნელო-
ბის ძირისაგან.

ლიტერატურა

გამყრელიძე, ივანოვი, 1984 — თ. გამყრელიძე, ვიარ. ივანოვი,
ინდოევროპული ენა და ინდოევროპელები, თბ., 1984.

გიორგობიანი, 1998 — თ. გიორგობიანი, ზმნის ძირითადი
კატეგორიებისათვის ბერძნულში, თბ., 1998.

სტანგი, 1932 — Chr. Stang, Perfectum und Medium, NTS, Bd,
6, 1932.

შანტრენი, 1953 — П. Шантрэн, Историческая морфология греческого языка, М., 1953.

შვიცერი, 1968 — E. Schwyzer, Griechische Grammatik, Bd, 3. München, 1968.

პიზანი, 1959 — Pisani V. Storia della lingua greca, Torino, 1959.

შმიდტი, 1964 — K. Schmidt, Das Perfectum und indogermanischen Sprachen, Glotta, Bd, 42, 1964.

TINATIN GIORGOBIANI

The Perfect in Old Georgian

Summary

Originally not all the verbs formed the perfect in Old Greek. The specific verb meaning was taken for the basis of forming the perfect. The perfect conveys not only the state but the action as well. The formation of the medial form was of decisive importance, it acquired some of the functions of the archaic perfect.

ლუბა კობალაია

სიტყვათწყობის შედარებით-ტიპოლოგიური კვლევა ბერძნულ ენაში

სიტყვათწყობის თეორიის ერთ-ერთ არსებით პრობლემად კვლავ რჩება რთული სიტყვისათვის დამახასიათებელ ნიშან-თვისებათა და ენაში რთული სიტყვების გამოყოფის საკითხების განსაზღვრა, ასევე მათი განცალკევება მომიჯნავე წარმონაქმნებისაგან. რთული სიტყვების არსებული კრიტერიუმების თანმიმდევრულმა ანალიზმა და განხილვამ ცხადყო, რომ არცერთი მათგანი არ არის საკმარისი რთული სიტყვების მომიჯნავე ერთეულებისაგან, კერძოდ კი სინტაქსური კონსტრუქციისაგან განცალკევებისათვის. ორი და მეტი კრიტერიუმიც არ იძლევა დაზუსტებულ შედეგებს ენობრივი ერთეულების ურთიერთობის სირთულის თვალსაზრისით.

ტრანსფორმაციულ-გენერაციული გრამატიკის პოზიციიდან გამომდინარე, მიმდინარე კვლევები სინტაქსს განსაზღვრავენ, როგორც სიტყვების საერთო წყაროს, გადადიან ლოგიკურ სინტაქსში, შეიმუშავენ გენერაციულ-გრამატიკულ მოდელს, რომლის დახმარებითაც ხორციელდება ძირეული რთული სიტყვების სტრუქტურულ-სემანტიკური ტიპების წარმოება, ხოლო ბაზისური კომპონენტების გამოხატვის ფორმირება ხორციელდება პრედიკატული ლოგიკის სისტემაში.

მაგრამ ტრანსფორმაციულ-გენერაციული მიდგომით აუხსნელი რჩება ეკზოცენტრიკული რთული სიტყვები, რადგან შეუძლებელია მათი პრედიკატული კონსტრუქციის სახით წარმოდგენა.

ზოგი მკვლევრის აზრით, სიტყვის მორფოლოგიურ სტრუქტურას დიფერენციალური მნიშვნელობა გააჩნია, დისტრიბუციული მეოდეებით მიღებული სიტყვის ასოციაციურ სეგმენტებს თავისთავად არ შეიძლება ჰქონდეთ რეფერენციალური მნიშვნელობა. სიტყვა მათ სრულად ფლობს მეტყველების ნაწილების დონეზე და არა მისი უშუალო შედგენილობის დონეზე.

მეორე მიმართულების — სიტყვის მორფოლოგიური სტრუქტურის რეფერენციალური ინტერპრეტაციის მომხრეები საუბრობენ სა-

მეტყველო ტერმინებში სიტყვის მორფოლოგიური სტრუქტურის აღწერის აუცილებლობაზე. ისინი თვლიან, რომ თავად სიტყვის სტრუქტურა მანტიკიდან გამომდინარე, სიტყვის მომიჯნავე ფორმები ფლობენ რეფერენციალურ მნიშვნელობას.

ორივე მიმართულების მიმდევრები აღიარებენ სიტყვის მორფოლოგიურ/ასოციაციურ და სიტყვაშემადგომელ სტრუქტურის გამიჯვნის აუცილებლობას. რთული სიტყვის სტრუქტურის რეფერენციული ინტერპრეტაცია გვთავაზობს სიტყვის მორფოლოგიური სტრუქტურის დაყოფისა და მისი წარმოების საშუალებებს. იმ დროს, როდესაც მკვლევრები, რომლებიც თვლიან, რომ სიტყვის მორფოლოგიურ სტრუქტურას დიფერენციული მნიშვნელობა გააჩნია, ცნობენ სიტყვის მორფოლოგიური სტრუქტურისა და სიტყვაშემადგომის ხერხად დაყოფას, უპირისპირებენ რა ერთმანეთს სიტყვის ასოციაციურ სტრუქტურასა და სიტყვაშემადგომელ წესებს.

თანამედროვე თეორიულ და პრაქტიკულ სიტყვაშემადგობაში ბოლო დროს დიდი მნიშვნელობა შეიძინა სიტყვათწყობის სისტემის კვლევის სემანტიკურ-ნომინაციურმა მიდგომამ. სინტაქსურ-ორიენტირებული მიდგომისაგან განსხვავებით, რომელიც მიმართული იყო რთული სიტყვის ფორმირების, როგორც რთულ სიტყვაში სინტაქსური კონსტრუქციის ტრანსფორმაციის აქტის შესწავლისკენ, სემანტიკურ-ნომინაციური მიდგომა შეისწავლის რთულ სიტყვას ნომინაციის აქტში, სწავლობს მის აზრობრივ მხარეს ამ სტრუქტურის ყველა განსაზღვრული ფაქტორით. სიტყვათწყობისადმი ონომასიოლოგიური თვალსაზრისით მიდგომა საშუალებას იძლევა, სიტყვაშემადგომის ეს ხერხი განხილულ იქნეს მისი პროცესუალური ასპექტებით და ერთიან ასპექტში გაშუქდეს როგორც ფორმალური, ასევე მისი შემადგენელი / შენაარსობრივი თვისებები.

ონომასიოლოგიური მიდგომა სულ უფრო მეტად იძენს თეორიულ მნიშვნელობას ნომინაციისა და რეფერენციის პრობლემებისადმი ინტერესების გაზრდასთან ერთად. ეს მიდგომა ადამიანის სინამდვილისადმი შემოქმედებითი ურთიერთობის მიდგომის ექსპლიკაციის საშუალებაა, რომელსაც თან სდევს ამ საქმიანობისაგან მიღებული პროდუქციის ვერბალიზაცია და სინამდვილის მატერიალური და სულიერი შეთვისება.

ონომასიოლოგიის თეორია, ამ სიტყვის ფართო გაგებით, გამოდის, როგორც ტექნიკური ანალოგის თეორია, რომელიც აზროვნების სინამდვილისა და ენის ურთიერთდამოკიდებულების მოდელირე-

ბას აზორციელებს, სადაც მთავარია თანდართული გამოყენებითი მექანიზმების გამორკვევა სინამდვილისადმი.

ყველაფერი ეს განსაზღვრავს ჩვენს დაინტერესებას სუბსტანციური სიტყვათწყობით. გამომდინარე მტკიცებულებიდან, რომ „ენათ-შორის შედარების განხორციელებისათვის მთავარ მექანიზმს წარმოადგენს სხვადასხვა ენაში გრამატიკული მოვლენების იდენტიფიცირების შესაძლებლობა“ და რომ ნებისმიერი უნივერსალურობის აუცილებელი ნიშან-თვისება არის იზომორფებული მორფემების საჩვენებელი სიხშირე, ვთვლით, რომ აუცილებელია ცნობების ობიექტირება, ასევე მათთვის რიცხვობრივი ხასიათის მინიჭება და შედარებისთვის იმის ჩვენება, თუ რა ადგილი უჭირავს სიტყვათწყობას გერმანიკული ენების სიტყვაწარმოების პროცესში.

ლიტერატურა

ჰელბინგი, 1987 — M. Helbig —Joachim Buxha. Deutsche Grammatik. VEB Verlag Enzyklopadie. Leipzig, 1987

დიუდენი, 1996 — Duden. Die Deutsche Rechtschreibung Dudenwerlag. Mannheim. Leipzig. Wien. Zurich, 1996

LEDA KOBALIA

A Comparative Typological Study of Wordbuilding in Germanic Languages

Summary

As is known, one of the basic questions of wordformation is the definition and characterization of compounds and the problem of their differentiation from bounding constructs. The paper studies substantive compounds in the Germanic languages from the comparative typological standpoint.

თბა ბუჩუქაძე

ერთი წყვილის უბრალოდამატებიან წინადადებათა შესახებ

შერწყმული წინადადების განსაზღვრისას ერთგვარ წევრთა დადგენის კრიტერიუმი მთავარი: ისინი ფუნქციურად და სტრუქტურულად იდენტური უნდა იყვნენ. ამის გათვალისწინებით ერთგვარ წევრებს უნდა ჰქონდეთ:

- ა) ერთი და იგივე სინტაქსური ფუნქცია;
- ბ) ერთნაირი სინტაქსური მიმართება საერთო წევრთან (რომელიც მორფოლოგიურადაც ერთნაირად რეალიზდება);
- გ) ერთგვარ წევრთა ერთმანეთთან თანწყობით დაკავშირება (უკავშიროდ ან კავშირით);
- დ) ერთი და იმავე ნიშან-თვისების (სემანტიკური მიმართების) გამოხატვა.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ „ერთგვარ უბრალო დამატებებს ბრუნვის ფორმა ერთნაირი აქვს“ (კვაჭაძე, 1996, 287):

„სალხინოდ მომზადებული ეზო **ხიშტებით**, **თოფებით**, **ხმლებითა** და **ხანჭლებით** გაივსო“ (ჯავ.); „მე კი ეს **სირცხვილადაც** მეყოფა და **სიცილადაც**“ (ილია); „ქერა ჯილაგი ხარბია **დატკობის**, **ვნების** და **სიყვარულის** მიმართ“ (გამს.); „მგზავრები **ხურჯინებანად** და **ტომრებიანად** ვაგონიდან ხტებოდნენ“ (ჭილ.).

იშვიათად გვხვდება სხვადასხვა ბრუნვის ფორმიანი უბრალო დამატებებიც:

„ლოცვა არც **ფულზედ** და არც **ფულით** არ იყიდება“ (ილია); „**მუხიკასავით** შეესმოდა მათი ჟღივილი, ხორცთა მატკობელ შეწყობილ **ხმებად**“ (ბარ.); „ბრწყინავდა იგი უზადო **ბრწყინვით**, მშვენიერების დიდების დიდებულ **ხატად**“ (კალანდ.); „ეს მთვრალე-ბი **კეტებით** გაჩეჩქავდნენ, **მსხალივით**“ (ჭილ.); ერთი წუთის წინათ... თითქოს **მათგან**, ან მათი **მიზეზით** არაფერი სტკენოდა“ (ჭილ.).

ერთი შეხედვით, ასეთი ტიპის წინადადებები შეიძლება იგვეთვალა ერთგვარ უბრალოდამატებებიან შერწყმულ წინადადებად.

ამის საფუძველს მოგვცემდა ის ფაქტი, რომ წინადადებაში არსებული უბრალო დამატებები ერთ საერთო წევრს მიემართებიან (მაგ. **ფულზედ და ფულით** იყიდება; **მუსიკასავით და (შეწყობილ) ხმებად** შეესმოდა; **ბრწყინავდა (უზადო) ბრწყინვით და (დიდებულ) ხატად; კეტებით და მსხალივით** გაჩეჩქავდნენ; მოვლივარ **შენთან და ნატვრით**); ე.ი., როგორც უბრალოდამატებიან შერწყმულ წინადადებისთვისაა დამახასიათებელი, მოცემულ წინადადებებშიც ყველა უბრალო დამატება მიემართება ერთ საერთო წევრს — შემასმენელს. გარდა ამისა, მათ შორის იოლად ჩაისმება და კავშირი, რაც, აგრეთვე, შერწყმული წინადადების დადგენისათვის ერთ-ერთი პირობაა. მაგალითად, მუსიკასავით შეესმოდა მათი ჟღერდა და ხორცთა მატკობელი შეწყობილ ხმებად; ბრწყინავდა იგი უზადო ბრწყინვით და მშვენიერების დიდების დიდებულ ხატად; ეს მთვრალეები კეტებით და მსხალივით გაჩეჩქავდნენ; მოვლივარ შენთან და ნატვრით.

ზოგიერთ შემთხვევაში კი წინადადებაში კავშირი თვითონაა გამოყენებული: „ლოცვა არც ფულზედ და არც ფულით არ იყიდება“ (ილია); „ერთი წუთის წინათ... თითქოს მათგან, ან მათი მიზეზით არაფერი სტკენოდა“ (ჭილ.); „აქ შენი კეთილდღეობისათვის და ჩემი დედამამშვილური ვალის მოსახდელად მოვსულვარ“ (ჩხ.).

ყველა დასახელებულ წინადადებაში მოცემული უბრალო დამატებები ერთმანეთთან თანწყობით არიან დაკავშირებულნი (კავშირით ან უკავშიროდ, ბაუზით).

მაგრამ ამ მონაცემებით ისინი ერთი შეხედვით ჩანან ერთგვარ უბრალოდამატებიან შერწყმულ წინადადებად. მხოლოდ ზემოთ მოხმობილი მომენტები კი არ კმარა იმისათვის, რომ ასეთი ტიპის წინადადებები ჩაითვალოს შერწყმულად. მაშ, რატომ არ არიან ისინი შერწყმულნი?

ასეთი ტიპის წინადადებები ფუნქციურად კი არიან იდენტურნი, მაგრამ სტრუქტურულად ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. სინამდვილეში აქ **არაერთგვარი** უბრალო დამატებები გვაქვს; **სტრუქტურულად ესენი უბრალო დამატების სხვადასხვა ნიუანსია.**

წინადადებაში „ლოცვა არც ფულზედ და არც ფულით არ იყიდება“ ორი სემანტიკურად არაერთგვარი უბრალო დამატება გვაქვს: საჭურვლისა (ფულით — რით?) და საღაობითი (ფულზედ — რაზე?). აქ უბრალო დამატების სხვადასხვა ნიუანსი რომ გვაქვს, ამაზე ისიც მიუთითებს, რომ გამოხატულების პლანიც შესაბამისად

რეალიზებულია: ერთ შემთხვევაში ზმნა-შემასმენელი მოქმედებით ბრუნვაში მართავს სახელს (ფულ-ით), მეორე შემთხვევაში ^{მეორე შემთხვევაში} ზმნა-შემასმენელი -ზე თანდებულის მეშვეობით მიცემით ბრუნვაში მართავს უბრალო დამატებას (ფულ-ზე) — ე.წ. შუალობითი მართვა.

სხვა წინადადებებშიც ანალოგიურ ვითარებასთან გვაქვს საქმე. მაგალითად, წინადადებაში: „ბრწყინავდა იგი უზადო ბრწყინვით, მშვენიერების დიდების დიდებულ ხატად“ ორი უბრალო დამატება გვაქვს: ბრწყინავდა ბრწყინვით (რით?) და ხატად (რად?). ერთი დამატება მოქმედებით ბრუნვაში დგას, მეორე კი — ვითარებითში. ერთი საჭურვლისაა (ბრწყინვით), მეორე — ე.წ. ვითარების დამატება. „ასეთი დამატება ჩვეულებრივია ზმნებთან, რომლებიც აღნიშნავენ დანიშვნას, გადაქცევას, მოჩვენებას“ (შანიძე, 1948, 44). ამ სხვადასხვაობის გამო გამოხატულებაც სხვადასხვაგვარი ამიტომაც აქვთ. აქვე აღვნიშნავთ, რომ **ბრწყინავდა ბრწყინვით** პარანომაზიული გამოთქმაა. ცნობილია, რომ პარანომაზია ერთ ცნებას გამოხატავს (წერეთელი, 1954, 477). აქ ისეთ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, როცა „პარანომაზიული წყვილის ცალი ზოგჯერ იმავე ძირისაგან წარმოქმნილი აბსტრაქტული სახელია“ (კვაჭაძე, 1996, 150) და სემანტიკურად ერთია. სპეციალურ ლიტერატურაში მითითებულია ისიც, რომ „შერწყმული წინადადების ნაწილები იშვიათად პარანომაზიული გამოთქმებია“ (კვაჭაძე, 1996, 151). აქაც სწორედ ასეთ შემთხვევასთან გვაქვს საქმე.

წინადადებაში „ერთი წუთის წინათ... თითქოს მათგან, ან მათი მიზეზით არაფერი სტკენოდა“ (ჭილ.) უბრალო დამატებები ნათესაობითსა (მათგან) და მოქმედებით ბრუნვაშია (მიზეზით) მართული. **მათგან** სემანტიკურად აღნიშნავს გამოყოფას, გამორჩევას. იგი, ფაქტობრივ, ირიბისებრი დამატებაა, ხოლო **მიზეზით** — თანაობისა.

სხვაგვარი ვითარება გვაქვს წინადადებაში „აქ შენი კეთილდღეობისათვის და ჩემი დედამამშვილური ვალის მოსახდელად მოგსულვარ“. ორივე უბრალო დამატებას ერთი კითხვაა დაესმის — რისი გულისთვის? (კეთილდღეობისათვის და ვალის მოსახდელად). კითხვა ერთი აქვთ, ფუნქციაც — საერთო, მაგრამ სხვადასხვა ბრუნვაში იმართვიან — ერთი ნათესაობითში (კეთილდღეობისათვის), მეორე კი — ვითარებითში (ვალის მოსახდელად).

„მოვდივარ შენთან, მოვდივარ ნატვრით...“ — აქაც სხვადასხვა ბრუნვაში დასმული ორი უბრალო დამატებაა: **შენთან** და **ნატვ-**

რით. ერთი თანდებულისა და მიცემით ბრუნვაში დგას (შენთან), მეორე კი — მოქმედებითში (ნატვრით). ოდონდ, უბრალო დამატებაში ბეზი თავ-თავიანთ ზმნა-შემასმენელთანაა, რომელიც, ფაქტობრივ, განმეორებულია. სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ სწორედ ამ რიგის ზმნა-შემასმენლებისაგან შეიძლება შერწყმული წინადადების მიღება (კიზირია, 1953, 206). მოცემულ მაგალითშიც ასეთი ვითარება გვაქვს: სხვადასხვა უბრალო დამატებებს შეეწყობა ერთი და იგივე შემასმენელი (მოვდივარ). განმეორებული შემასმენლის ამოღებით გვრჩება შერწყმული წინადადება — მოვდივარ შენთან, ნატვრით.

ასევე სხვადასხვა ბრუნვაშია მართული უბრალო დამატებები წინადადებაში: „ბოროტი სიბნელე დაძრულიყო ჩვენი ქვეყნისაკენ სითბო-სინათლის გასადევნად, ბუნების კეთილ ძალთა შესაბოროტავად, წყვდიადით, ყინვით, ხალხით საწამებლად“ (ბარნ.). საერთო წევრი — დაძრულიყო — მართავს ზოგ უბრალო დამატებას მოქმედებით ბრუნვაში (წყვდიადით, ყინვით), ზოგს კი — ვითარებითში (გასადევნად, შესაბოროტავად, საწამებლად). მოქმედებითში დასმული დამატებები თანაობისაა, ხოლო ვითარებითში დასმულნი — ვითარების დამატებისაა. აქაც, როგორც ჩანს, უბრალო დამატებების სხვადასხვა ნიუანსია.

წინადადებაში „მოუხაროდათ სახლში ცოლ-შვილთან, სატრფოებისაკენ“ (ბარნ.) კი ზმნა-შემასმენელი (მოუხაროდათ) მართავს ერთ უბრალო დამატებას მიცემით ბრუნვაში (ცოლ-შვილთან), ხოლო მეორეს — ნათესაობითში (სატრფოებისაკენ), ორივე დამატება თანდებულისაა. სამეცნიერო ლიტერატურაში კენ თანდებულისაა სახელის მნიშვნელობაზე სხვადასხვა აზრია გამოთქმული. ზოგი კენ თანდებულისა სახელს მხოლოდ გარემოებად მიიჩნევს (შანიძე, კვაჭაძე, 1991), ზოგის აზრით კი ასეთმა სახელმა შესაძლოა ობიექტური მიმართება გამოხატოს (თოფურბას სალექციო კურსიდან — კოშორიძე, 1985; თალაკვაძე, 1959, 313; კოშორიძე, 1985, 113-121). ჩვენ ვიზიარებთ იმ მოსაზრებას, რომ „...თითქოს დავას არ უნდა იწვევდეს ცოცხალი არსების გამოხატველი კენ თანდებულისა სახელები, განსაკუთრებით „ვინ“ ჯგუფისა... ჩვენც მიგვაჩნია, რომ უბრალო დამატებაა გამოხატული „ვინ“ ჯგუფის სახელებით ყველა ქვემოთ მოყვანილ შემთხვევაში: მასაც იდუმალი გრძნობა ეზიდებოდა ვაჟისაკენ; არ გაუხედავს დედუნასაკენ...“ (კოშორიძე, 1985, 116).

ჩვენს შემთხვევაშიც საქმე გვაქვს უბრალო დამატებასთან, რად-

განაც აქაც სახელი არსებითია და „ვინ“ ჯგუფისა — სატრფოებისა-
კენ. მას კითხვაც სწორედ უბრალო დამატებისა დაესმის — ^{მეზღინე} რაც შეეხება სინტაქსურ ურთიერთობას ზმნა-შემასმენელსა და ასეთ
უბრალო დამატებას შორის, „სპეციალურ ლიტერატურაში ეს ურ-
თიერთობა მიჩნეულია შუალობით მართვად, სუსტ მართვად... ან
სუბორდინატულ დონეზე მართვად“ (კოშორიძე, 1985, 119). ასეთ
ურთიერთობას არნ. ჩიქობავამ „შუალობითი მართვა“ უწოდა (ჩიქო-
ბავა, 1968, 117), ხოლო ა. დავითიანმა — „სუბორდინაციულ დონე-
ზე მართვად“ (დავითიანი, 1973, 287).

შესაძლოა, შეგვხვდეს „დაწერა ქაღალდზე ფანქრით“ ტიპის წი-
ნადადეგებიც. ესეც ერთი შეხედვით შეიძლებოდა ჩაგვეთვალა უბრა-
ლოდამატებიან შერწყმულ წინადადებად. რადგან მართვა შემასმე-
ნელსა და უბრალო დამატებას შორის ცალმხრივია და ზმნისაგან
მოდის, თითქოს შერწყმული ტიპის წინადადებისათვის არ უნდა
ჰქონდეს მნიშვნელობა სხვადასხვა ბრუნვას: დაწერა ქაღალდზე ან
ფანქრით შერწყმული გამოვა უბრალო დამატებათა მიხედვით, მაგ-
რამ ეს ასე არა: **ქაღალდზე** და **ფანქრით** არაერთგვარო-
ბალო დამატებებია: საკუთრებისა (ფანქრით — რით?) და სა-
დაობითი (ქაღალდზე — რაზე?), ე.ი., სტრუქტურულად სხვადასხვა
ნიუანსისანი არიან.

მაშასადამე, ზემოთ განხილული წინადადეგები ვერ ჩაითვლებიან
ერთგვარწევრებიან შერწყმულ წინადადებად. ისინი არ არიან
შერწყმულნი არა მხოლოდ იმიტომ, რომ სხვადასხვა ბრუნვაში დგა-
ნან და იმართვიან (უბრალოდამატებიანი შერწყმული წინადადება კი
მხოლოდ ერთ ბრუნვაში გვხვდება), არამედ იმიტომაც, რომ მათთან
ირღვევა ერთგვარი წევრების ერთ-ერთი კრიტერიუმი — ერთნაირი
სემანტიკური მიმართება. ჩვენ კი საქმე გვქონდა სხვადასხვა შინაარ-
სის მქონე უბრალოდამატებიან წინადადეგებთან.

ვფიქრობთ, დასახელებული ტიპის წინადადეგები უნდა გავაერ-
თიანოთ რთულ თანწყობილ წინადადებათა რიგში ცალკე წყების
სახით.

დავითიანი, 1973 — ა. დავითიანი, ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1973.

თალაკვაძე, 1959 — მ. თალაკვაძე, ქართული ენის გრამატიკის სწავლების მეთოდика, თბ., 1959.

კოშორიძე, 1985 — ე. კოშორიძე, კვლავ ერთი სადავო საკითხის გამო, ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, № 1-2, თბ., 1985.

კვაჭაძე, 1996 — ლ. კვაჭაძე, ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1996.

კიზირია, 1953 — ა. კიზირია, შერწყმული წინადადება ქართულში, იკე, IV, თბ., 1953.

შანიძე, კვაჭაძე, 1991 — ა. შანიძე, ლ. კვაჭაძე, ქართული ენის გრამატიკა, ნაწილი II, სინტაქსი, VII-VIII კლასების სახელმძღვანელო, თბ., 1991.

ჩიქობავა, 1968 — არნ. ჩიქობავა, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, I, თბ., 1968.

წერეთელი, 1954 — გ. წერეთელი, პარანომაზია ქართულში, იკე, VI, თბ., 1954.

TEA BURCHULADZE

On One Type of Sentence with the Simple Object

Summary

For the definition of a sentence with homogeneous parts it is essential to single out criteria for stating homogeneity. The latter should be functionally and structurally identical. Rarely simple objects have different case forms. The sentence of this type cannot be considered a sentence with homogeneous parts because the simple objects have different case forms and are governed differently. Moreover, they violate the criterion of identical semantic reference. The paper argues that sentences of this kind should form a subgroup of compound sentences.

დინა ახვლედიანი

ზოგიერთი ჩართული სიტყვა და გამოთქმა
 ე.წ. ხალხოსან მწერალთა და ეგნ. ნინოშვილის
 ნაწარმოებების მიხედვით

როგორც ცნობილია, ჩართული განკერძოებულ სიტყვებსა და გამოთქმებს შორის ერთ-ერთი ყველაზე მრავალფეროვანი და მრავალმხრივ საინტერესო ჯგუფია. იგი გამოირჩევა როგორც ფუნქციური, ისე ლექსიკური მრავალფეროვნებით.

მისი ფუნქციების დასაზუსტებლად, სხვა დამხმარე სიტყვებთან (ნაწილაკებთან, შორისდებულებთან, კავშირებთან), აგრეთვე, ზოგიერთ მეტყველების ნაწილთან (ზმნისართთან, ზმნასთან...) ურთიერთ-მიმართების გასარკვევად სასურველი ჩანს დაკვირვება, ერთი მხრივ, სალიტერატურო ენის სხვადასხვა ფუნქციურ სტილზე, მეორე მხრივ კი, — თვით სალიტერატურო (სამწერლო) ენის განვითარების სხვადასხვა ეტაპის ტექსტებზე. როგორც ქართულ, ისე უცხოურ (რუსულ) საენათმეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია ვარაუდი, რომ „ჩართული სიტყვები და გამოთქმები გვიანი წარმონაქმნია...“, რომ მათი ხმარების სიხშირე იზრდება მე-19 ს. ტექსტებში (კიზირია, 1966, 176-177, 180; ვინოგრადოვი, 1975, 53-87; რუსული გრამატიკა, 1980, 173, 228)...

ამჟამად ჩვენ ყურადღება გავამახვილეთ ე. წ. ხალხოსან მწერალთა და ეგნ. ნინოშვილის ნაწარმოებებზე, რადგან ველოდით ამ ტექსტებში ჩართული სიტყვებისა და კონსტრუქციების შედარებით ხშირ ხმარებას. ჩვენი ვარაუდი ნაკლებად გამართლდა, მაგრამ მძალას მაინც საინტერესოდ ვთვლით. წარმოვადგენთ ამ მასალიდან ზოგიერთ ჩართულ სიტყვასა და გამოთქმას.

სპეციალურ ლიტერატურაში მნიშვნელობის მიხედვით გამოყოფენ ჩართული სიტყვა-გამოთქმების ხუთ ან შვიდ ჯგუფს (შამელაშვილი, 1958: კვაჭაძე, 1977). ერთ-ერთ ჯგუფს შეადგენენ ჩართულები, რომლებიც გვიჩვენებენ „აზრების თანმიმდევრობას, ან კიდევ

ერთგვარ დამოკიდებულებას წინ გამოთქმულ აზრთან თუ აზრებთან (დასკვნას, შედეგს, დაპირისპირებას...) (კვაჭაძე, 1977, 204).

ჩვენ შესაძლებლად ვთვლით, ცალ-ცალკე განვიხილოთ ამ ჯგუფში გაერთიანებული დასკვნის გამომხატველი ჩართულები და, ასე ვთქვათ, აზრის დამნაწევრებელი (დამაკონკრეტებელი) ჩართულები, ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, შეიძლება ორ ქვეჯგუფად დაჯგოთ. კერძოდ:

ა) ჩართულები, რომლებიც ამყარებენ კავშირს გამოთქმული აზრის ნაწილებს შორის, ან კიდევ გვიჩვენებენ ერთგვარ დამოკიდებულებას წინ გამოთქმულ აზრთან თუ აზრებთან... (კვაჭაძე, 1977, 204). ასეთებია: **ერთი მხრივ (მხრით), მეორე მხრივ (მხრით); ჰერ ერთი (მეორე(ც), მესამე(ც))**. მაგალითად:

ხშირად ეს დავა იქამდე გამწვავდება, რომ გაისმის, **ერთი მხრით**, ძველი თაობის გოდება და, **მეორე მხრით**, ახალთაობისაგან პასუხი ძველთაობისადმი (ნინოშვილი, 500). მოგტყუვდი, **ერთის მხრივ**, იმის გამო, რომ მეტიმეტად აღელვებული, გამწარებული ვიყავი, და, **მეორე მხრივ**, კიდევ იმიტომ, რომ თქვენ მხოლოდ აღუკატად, საქმის კაცად წარმოგიდგენთ... (ლომოური, 263).

აზრის დანაწევრება ხდება **ჰერ ერთი** ჩართულის საშუალებითაც. ეს ჩართული შეიძლება შეგვხვდეს ცალადაც და **მეორე, მესამე** სიტყვებთან დაწყვილებულადაც. **ჰერ ერთი** თავისთავად გულისხმობს, რომ მას უნდა მოჰყვეს **მეორე, მესამე**, მაგრამ თანამედროვე ქართულში დამკვიდრდა ცალად გამოყენება, რაც სტილური თვალსაზრისით გაუმართლებლად მიგვაჩნია. მსგავსი ნიმუშები იშვიათად გვხვდება აღნიშნულ მწერალთა ნაწარმოებებშიც. მაგალითად:

დიდი მოვლენაა, მეუფეო, ამისთანა საქმეებო: **ჰერ ერთი** ესა, ჩვენმა ყაწვილებმა ალაგები იშოვეს, ლუკმა პურსა სჭამენ... (მაგლობლიშვილი, 154).

ჰერ ერთი ჩართულთან დაწყვილებული **მეორე** გვხვდება სხვადასხვა სახით — **მეორე, მეორეც, მეორე კიდევ...**

ახლა კი ოქრომჭედელს ცოტათი ეუცხოვა... **ჰერ ერთი**, ამ ბოლო დროს მახარე გართული იყო და ბანაობა არც ერთხელ არ მოგონებია, **მეორე კიდევ**, ახლა შემოდგომას ფეხი წამოეყო, და ბანაობისთვის ცოტა დაგვიანებული იყო (არაგვისპირელი, 511).

ბ) ჩართულები, რომლებიც გამოხატავენ სიმრავლიდან ერთის

გამოყოფას სხვადასხვა ნიშნით: უპირატესობის (უპირველესობის) ან — მეტობის ნიშნით და დაპირისპირების ნიშნით. ასეთი ჩართული სიტყვები და გამოთქმებია: **პირველ ყოვლისა || უპირველესად) ყოვლისა || უწინარეს ყოვლისა, პირველ რიგში, უპირველესად... მით უმეტეს, უფრო მეტიც, მით უფრო.** მაგალითად:


ყიფიანის ჩამოვლისთანავე **პირველ ყოვლისა** მოვაწყეთ წიგნთ-საცავი, შევიტანეთ წიგნები (მგალობლიშვილი, 90); ეგნატე იოსელიანმა **პირველ ყოვლისა** ამ განვითარებისათვის იზრუნა (მგალობლიშვილი, 73); აქედან გორში უსათუოდ გავჩერდები და **უპირველესად** გორელებს თავს დავუკრავ (მგალობლიშვილი, 97); **უწინარეს ყოვლისა** მოხსენებული ხიდი უნდა შუა ადგილას ჩავანგრიო და მით გორელი ოსმალები გავიცალო (ლომოური, 468).

სიმრავლიდან ერთის გამოყოფას მეტობის ნიშნით ემსახურებიან შემდეგი ჩართული გამოთქმები: **მით უმეტეს, უფრო მეტიც, მით უფრო...** მათში გადმოცემულია ავტორის სურვილი — მკითხველის ყურადღება გაამახვილოს ახალ ან ლოგიკური თვალსაზრისით მნიშვნელოვან ინფორმაციაზე. მაგალითად:

სამსონას მაგიერათ მამამისმა, ესიკამ, მოიცადა მოყვრისას, **მით უმეტეს**, რომ სიმთვრალის გამო აღარ შეეძლო ცხენზე ჯდომა (ნინოშვილი, 333); ყველაფერი მაგას ეკითხება... **მით უფრო**, მაგ ნივთის შემუშავებაში მონაწილეობა არ მიმიღია (არაგვისპირელი, 477); ისე მოუთმენლად ელოდა „შიშის ზარის“ შეძენას, რომ მამის დაბრუნებას ვეღარ უცდიდა გულგრილად... **მით უფრო**, მამამ უთხრა: შეგეკითხები ი ბაღდს, თუ დღესაც ვერას გავხდი, უარს ვამბობ მასთან გაჭრობაზე (არაგვისპირელი, 486).

სიმრავლიდან ერთის გამოყოფას დაპირისპირების ნიშნით გამოხატავენ ისეთი ჩართულები, როგორიცაა **პირიქით (პირაქეთ), სამაგიეროდ...** მოვიყვანთ ნიმუშებს:

ქალი არ შეკრთა, არ დაიბნა... **პირიქით**, ლიზა თითქო კიდევ ამაყობდა, რომ მოინადირა ის რაინდი (გაბაშვილი, 397); მაგრამ ბაგრატა არა თუ ნანობდა თავის საქციელს, **პირიქით**, ემუქრებოდა კიდევ მეზობლებს (ნინოშვილი, 302); თუ დღეს დათა უბედურად სთვლიდა თავის თავს, **სამაგიეროდ**, ახლა „მეფე ვარო“ გაიძახოდა უსიტყვოდ (არაგვისპირელი, 149); დიდი ჭირი გადამხდა, ბევრი შავი დღეი გამევიარე, მარა **სამაგიეროდ** ბოლოს კი შევიქენი ბედნიერი (ნინოშვილი, 273).



თქმულის დამნაწევრებელი ჩართულების ერთ ქვეჯგუფს შეადგენს ისეთი ჩართული სიტყვები და გამოთქმები, რომლებიც ასახავენ მსჯელობის ნაწილებს შორის ურთიერთდამოკიდებულებას და ამავე დროს, მთქმელის დამოკიდებულებას მსჯელობის ობიექტისადმი. ასეთი ჩართულებია: **ჩემი (ჩვენი) მხრივ, თავის მხრივ, მათის მხრივ...**

ჩემის მხრივ დიდი უსამართლობა იქნებოდა, თუ მე შენ ასეთს უზომო მწუხარებას მოგაყენებდი (გაბაშვილი, გვ. 326); ისინი უფრო სხვა რასმე მოელიან ჩვენგან, რომლის პირნათლად აღსრულებაც **ჩვენის მხრივ** საჭიროა (არაგვისპირელი, 74); ლევანტიასაც **თავის მხრივ** მეტად უყვარდა დედა (ნინოშვილი, 351); გლეხაკებიც ადამიანებია და მიხვდნენ, რომ უკიდურესი სისულელეა **მათის მხრივ**, რომ მოდიან და ჩვენ, იმათებრ ადამიანებს გვემსახურებიან (ნინოშვილი, 417).

მსჯელობის დანაწევრება შეიძლება მოხდეს ერთის დაკონკრეტების ან გაფართოება-გავრცობის მიზნითაც, ე. ი. ჩართულის შემწეობით მსჯელობა წარიმართება ზოგადიდან კერძოსაკენ, ან — პირიქით. ასეთი ჩართულებია: **საზოგადოდ (საერთოდ), კერძოდ, მაგალითად, სახელდობრ, მათ შორის, სხვათა შორის, გარდა ამისა...** მოვიყვანთ ნიმუშებს:

საზოგადოდ იგი მძლავრი იყო პოლემიკაში, როგორც სიტყვიერში, ისე წერილობითში (მგალობლიშვილი, გვ. 149); ...საჩივრამდე თუ მიდგა საქმე, მთლად შენს მამულზე გიჩივლებთ და **საერთოდ** ყველგან ხელს დაგაბანინებთო (ლომოური, 375); ბევრი ამგვარი და ბევრი ამაზეც უარესი ისმოდა იმ დღესვე ჩვენს სოფელში მთლად ჩვენს ოჯახზე და **კერძოდ** — ჩემს საწყალ დიდიდედა მამაზე (ლომოური, 39).

შეგვხვდა ასეთი მაგალითიც: **საზოგადოდ** ზმნისართთან დაწყვილებულია **კერძოდ** ზმნისართი: ძნელი წარმოსადგეია, რა ჯაფა, შრომა დასჭირდებოდა ბათომის ქართველობას და **საზოგადოდ და კერძოდ** თვით ვოლსკის თავის თავგანწირული ამხანაგობით საქალაქო არჩევნებში გამარჯვებისათვის (მგალობლიშვილი, 187).

... აი დღესა, **მაგალითად**, ძმის წული მამივიდა, სტუმრები უნდა დაგვატყუო, ქვევრი მოგუხადო... (ლომოური, 446); აი სესიანთ ოჯახი, **მაგალითად**, რას არ აკეთებს სახვლიოდ... (გაბაშვილი, 464).

დანაწევრებული მსჯელობის ერთ-ერთ ნაწილს ან მსჯელობის ობიექტის გავრცობა-გაფართოებას გამოხატავენ შემდეგი ჩართულობის ბიცი: **გარდა ამისა, ამას გარდა, მათ შორის, სხვათა შორის...**

გარდა ამისა, აღმოჩნდა ისიც, რომ ჰაჯი ჩალაბი ყოველ წამს ელოდა დაღესტნიდან დიდხალ ლეკების მოშველებას (ლომოური, 350); **გარდა ამისა**, ნატო სრული უფიცი გამოდგა ცხოვრებაში (გაბაშვილი, 440); **ამას გარდა** თინათინ ძლიერ გამოცდილი და საქმის მცოდნე ქალი აღმოჩნდა ოჯახში (ნინოშვილი, 324); **ამას გარდა** „ვეფხისტყაოსანი“ ხომ ყოველ ჩვენგანს სახარებასავით გვწამდა (მგალობლიშვილი, 46).

გარდა სიტყვით შედგენილი გამოთქმების სინტაქსური ფუნქცია, ჩანს, დამოკიდებულია შემადგენელ სიტყვათა რიგზე. ასე: **ამას გარდა** უმეტესად გამოდის ე. წ. უბრალო დამატების როლში; **გარდა ამისა** კი — ჩართულობის როლში.

მსგავს გამოთქმებთან სასვენი ნიშნების ხმარებას (და, შესაბამისად, მათი ფუნქციის შესახებ მსჯელობას) გვხვდებით ნ. ბასილაიას ნაშრომში (ბასილაია, 1973, 65).

ადამიანებს, საქონელს და შინაურ ფრინველებს აწუხებს და **მათ შორის** სხვადასხვა გადამდებ სნეულებას აჩენს და ავრცელებს (ლომოური, 396);

მათ შორის გამოთქმას უახლოვდება **სხვათა შორის** გამოთქმაც. მაგრამ ამ უკანასკნელს ახლავს კიდევ ერთი შინაარსობრივი ნიუანსი: ავტორი მსჯელობის დამატებით ცნობას თითქოს ნაკლებმნიშვნელოვნად თვლის, გვაწვდის მას „სასხვათაშორისოდ“. მაგალითად:

სხვათა შორის, ლიზას მზითვითაც არ იყო ჯერან კმაყოფილი (ნინოშვილი, 130); დღეს **სხვათა შორის**, იმის ულუფას შეადგენს კნ. ელენე (გაბაშვილი, 127).

მსჯელობის გაფართოების თვალსაზრისით საინტერესოა ისეთი ჩართული სიტყვები და გამოთქმები, რომელთა საშუალებითაც გადმოიცემა მსჯელობის ნაწილების ან თხრობის ობიექტების ურთიერთდამთხვევა, თანაობა. ასეთი ჩართულობა: **ამასთან, ამასთან ერთად, თანაც...**

ამასთან, როცა კარგად დაუკვირდებით, გულში გაგივლიდათ ეკვი, — ეს ადამიანი არ უნდა იყოს ჯანსაღიო (ნინოშვილი, 323); **ამასთან** ყველა ხარს თუ კამბეჩს თავისი სახელები ჰქონდათ (მგალობლიშვილი, 43).

ლექსიკური მრავალფეროვნებით ყურადღებას იქცევენ **დასკვნა-თი ხასიათის** ჩართულობაც.

მორფოლოგიურად ისინი უმეტესად ზმნისართები არიან. გვაქვს კავშირიც — **მაშასადამე**, რომელიც წარმოშობით რთული სიტყვაა. ზოგჯერ იგი წინადადების განკერძოებული წევრის საკავშირებელი სიტყვის ფუნქციასაც ასრულებს (მელიქიშვილი, 1984, 99; ცქიტიშვილი, 1988, 262-263). გვაქვს აგრეთვე რამდენიმე გამოთქმა: **ერთი სიტყვით, როგორც იქნა||როგორც იყო** (რომლებიც ხშირად უწყვილდებიან **ბოლოს** ზმნისართს), **ახე რომ** და სხვ. დასკვნითი ხასიათის ჩართულობი კავშირს ამყარებენ ორ წინადადებას ან ორ აბზაცს შორის (იწყებენ ან რთული თანწყობილი წინადადების მეორე ნაწილს ან ახალ აბზაცს; შეიძლება შეგვხვდნენ დასკვნითი წინადადების შუაშიც); შინაარსობრივად ამ ჩართულობა შორის არის მცირე ნიუანსური სხვაობა. დავაჯუღებთ მათ ამ ნიუანსების მიხედვით:

ა) ჩართული სიტყვებით გამოხატულია ნეიტრალური დასკვნა; ჯამდება წინა წინადადებასა ან წინა აბზაცში ნათქვამი. ასეთი ჩართულობა: **მაშასადამე; ამრიგად, ამგვარად; ახე რომ, ახე ამგვარად || ახე და ამგვარად, ახე და ამრიგად...**

ნადირობით მოვდივართ და, **მაშასადამე**, ჩვენი ასეთი სახით შემთხვევით სტუმრობა სრულებით არას გვავალებს... (არაგვისპირელი, 525); **მაშასადამე**, „ივერიის“ არ მიეტევება კორექტორული შეცდომა (ნინოშვილი, 515).

მაშასადამე გვხვდება შემოკლებული **მაშ** ფორმითაც, რომელიც თითქოს არასდროს არ აღიქმება კავშირად, მასში ჭარბობს ჩართულის ან შორისდებულის (ემოციური) ელფერი; განსაკუთრებით — მაშინ, თუ იგი იწყებს წინადადებას. მაგალითად:

მაშ ქრისტეს მოციქულებიც დამნაშავენი ყოფილან, რომ სასჯელს ქვეშ დეიხოცენ (ნინოშვილი, 320); **მაშ**, გამომართვი ფული, რომ დედა-შენმა არ გცემოს (არაგვისპირელი, 44).

ნაკლებად ნეიტრალურ დასკვნას გამოხატავენ ჩართულის ფუნქციის მქონე ზმნისართები — **ამრიგად, ამგვარად (ამნაირად)** მათში ჩანს მოქმედების (ან მოვლენის) ავტორისეული შეფასების ნიუანსი. მაგალითად:

... **ამგვარად** ჩემთვის სრულიად შეუნიშნავად გადავდიოდი ერთი ადგილიდან მეორეზე და ამასთანავე უფრო და უფრო გშორდებოდი ჩემს მამა-ბიძათ (ლომოური, 34); როგორც იყო, **ამრიგად**

გაიტანა საქმე ბოლომდე (ნინოშვილი, 319); და **ამნაირად**, დასაწყისშივე იწამლებოდა მათი ნორჩი სიცოცხლე, მათი სუსტობა (ლომოური, 465).

ჩამოთვლილი ზმნისართები შეიძლება დაუწყვილდეს ასე ზმნისართს (და კავშირით ან უკავშიროდ): ასე **ამგვარად**, ასე და **ამგვარად**, ასე და **ამნაირად**...

ასე ამრიგად მოსე ბოქალისათვის ხელზე მოსამსახურდაც გამოდგა და ქაღალდების გადამწერადაც (ნინოშვილი, 277); ასე და **ამგვარად**, წამი წამს მისდევდა და შუა ღამე ისე გავიდა, რომ ვერც კი შეიტყვეს (არაგვისპირელი, 74); ასე **ამგვარად** ყოველთვის მივაშურებდი იმ წმინდა მთასა, სადაც ვიპოვე ძველი ტაძარი და სულსა ტანჯულს ვაძლევდი შვებას (გაბაშვილი, 159).

ბ) დასკვნის გამომხატველია **ბოლოს** და **დასასრულ** (**უკანასკნელ**) ჩართულებიც (შამელაშვილი, 1958, 75). მათ ცალკე გამოყოფთ ერთი სემანტიკური ნიუანსის გამო: ამ ჩართულებში თითქოს ჩანს ავტორისეული მოლოდინის დასასრული და, ამავე დროს, მისი (ავტორის) სურვილი — შეაგოს წინა მსჯელობა. შევნიშნავთ, რომ **ბოლოს** ჩართული გვხვდება სხვადასხვა ფორმით — **ბოლოს** და **ბოლოს**, **დაბოლოს**, **ბოლო-ბოლო**... მაგალითად:

ბოლოს, სრული სიჩუმე ჩამოვარდა ქალაქში (გაბაშვილი, 156); **უკანასკნელ**, იქვე, ბეჟანას გვერდთან წაიჩხუბნენ კვერნები... (ნინოშვილი, 267); **უკანასკნელ**, ერთმა მედუქნემ, რომელიც სიმიდითაც ვაჭრობდა, მისცა სოფონას ხარებსა და ურემში ექვსი თუმანი (ნინოშვილი, 283); ქერბალაი თითქოს რწმუნდებოდა მიტუას სიტყვებით, **ბოლოს** და **ბოლოს** ისე გულწრფელად ისროდა სიტყვებს (არაგვისპირელი, 419); **ბოლოს** და **ბოლოს** ჩვენც გავცანით იაკობს, ღამ-ღამობით ჩუმად შევედიოდით მასთან (მგალობლიშვილი, 190).

ზემოთ განხილული ჩართულები, როგორც აღვნიშნეთ, მთქმელის ერთგვარ მოლოდინსაც გამოხატავენ. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ **ბოლოს** ზმნისართ-ჩართულს ზოგჯერ უწყვილდება **როგორც იქნა** || **როგორც იყო** გამოთქმები. ასეთ შემთხვევებში თითქოს გამოიხატება მთქმელის ერთგვარი კმაყოფილებაც მისი მოლოდინის დასასრულის გამო. ნიმუშები:

ბოლოს, **როგორც იყო**, გავბედეთ და სახლში შევედი (არაგვისპირელი, 39); **უკანასკნელ**, **როგორც იქნა**, ერთმა ლატაკმა



გლებმა შეირთო სოფიო ცოლად (ნინოშვილი, 185); **უკანასკნელ, როგორც იყო**, დაცხრა ჩხუბი (ნინოშვილი, 342).

როგორც იქნა ჩართული გამოთქმა გვხვდება დამოუკიდებლად. მაგალითად: ხან დედა იკრავდა გულში და ხან შვილი, სოფიო დიდხანს არ წყნარდებოდა, მაგრამ შემდეგ, როგორც იქნა, დააწყნარეს (ნინოშვილი, 184).

ამავე მნიშვნელობით გვხვდება აგრეთვე **როგორც იყო**. სხვაობას **როგორც იქნა** და **როგორც იყო** გამოთქმებს შორის ქმნის მხოლოდ შემასმენლის მწყრივი. ამის ნიმუშებია:

როგორც იყო, დასრულდა სასწავლო წელიწადი (ლომოური, 275); როცა სიკო წამოიზარდა, ჯაჯიკამ, **როგორც იყო**, კიდევ შეიძინა ორი დღიური მიწა (ნინოშვილი, 343).

გ) დასკვნითი ხასიათის ჩართულებში შინაარსობრივი ნიუანსის მიხედვით გამოვყოფთ კიდევ რამდენიმე ჩართულს, რომლებშიც ჩანს მთქმელის სურვილი, მოკლედ შეაჯამოს ნათქვამი. ასეთი ჩართულებია: **მოკლედ, ერთი სიტყვით...**

ერთი სიტყვით, როგორც ამბობენ: არც მწვადი დავწვავთ და არც შამფური (ლომოური, 320); ერთი სიტყვით, სიკოსთვის მთვარის ჩასვლამდე და სიბნელის მოტანებამდე გზა დახშული იყო (ნინოშვილი, 62); **ერთი სიტყვით**, ძალით იქნება, თუ ნებით, მარო ჩემი უნდა გახდეს და ვინც წინ დამიდგება, მე იმას ვუჩვენებ სეირსა (ვახაშვილი, 55).

დ) დასკვნითი ხასიათის ჩართულებში შეიძლება ჩანდეს ავტორის სურვილი, დაადასტუროს ადრე ნათქვამის სიმართლე, სარწმუნოობა. ამ ფუნქციას ძირითადად ასრულებს **მართლაც** ჩართული, რომელიც გვხვდება სხვადასხვა ფორმით: **და** კავშირთან ერთად (**და მართლაც, მართლაცდა**), შედგენილი შემასმენლის ფორმით — **მართალია** (რომელიც წარმოშობით პიპოტაქსური კონსტრუქციის ნაწილს წარმოადგენს) და **მართლა** ფორმით, რომელიც დადასტურებითი ნაწილაკის ფუნქციას ასრულებს ხშირად. მაგალითად:

მართლაც, ანტონი ბლომად სწერდა „დროებაში“ პუბლიცისტურ წერილებსა და ლექსებსა (მგალობლიშვილი, 207); **მართლაც** მეორე დღეს პეპელა-საყურე რომ გაათავეს, იმათ სიამოვნებას საზღვარი არა ჰქონდა (არაგვისპირელი, 454); **მართლაც** და ძლიერ ცოტა სახნავ-სათესი მიწა აქვს ამ სოფელს (ლომოური, 69); **მართლა** და რა ნუგეში შეიძლებოდა გოგისათვის, როცა ის ცხადად

ხედავდა თავის მდგომარეობას (ნინოშვილი, 13); ...**მართლა**, თუ ჩემი გამოგზავნილი ახალი ამბები არ დაგიბეჭდიან, ან კორესპონდენცია ქართლიდამ, ნულარ დაბეჭდავთ (მგალობლიშვილი, 141).

ლიტერატურა

ბასილაია, 1973 — ნ. ბასილაია, პუნქტუაცია, თბ., 1973.

ვინოგრადოვი, 1975 — В. В. Виноградов, О категории модальности и модальных словах, Исследования по русской грамматике, М., 1975.

კვაჭაძე, 1977 — ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1977.

კიზირია, 1966 — ა. კიზირია, ჩართული სიტყვა და წინადადება ძველ ქართულში, ივე, XV, 1966.

მელიქიშვილი, 1984 — დ. მელიქიშვილი, ზოგი საკავშირებელი სიტყვისა და ნაწილაკის წარმომავლობისათვის... „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, №2, 1984.

რუსული გრამატიკა, 1980 — Русская грамматика, II: Синтаксис, М., 1980.

შამელაშვილი, 1958 — რ. შამელაშვილი, განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები, ქართულში და მათი სწავლების მეთოდიკა, თბ., 1958.

ცქიტიშვილი, 1988 — ნ. ცქიტიშვილი, ჩართული, ქსკს (ქართული სიტყვის კულტურის საკითხები), VII, თბ., 1988.

წყარო

არაგვისპირელი, 1970 — შ. არაგვისპირელი, ერთტომეული, თბ., 1970.

გაბაშვილი, 1953 — ე. გაბაშვილი, რჩეული ნაწერები, ტომი პირველი, თბ., 1953.

ლომოური, 1963 — ნ. ლომოური, თხზულებანი, ტ. I, თბ., 1963.

მგალობლიშვილი, 1938 — ს. მგალობლიშვილი, მოგონებანი, ფედერაცია, ტფ., 1938.

ნინოშვილი, 1984 — ეგნ. ნინოშვილი, თხზულებები, თბ., 1984.

Some Parenthetical Words and Expressions in the Works by E. Ninoshvili and the so-called "Public" Writers

Summary

The paper deals with two kinds of parentheticals: differentiating (i. e. making the meaning precise) and expressing conclusion. In the scholarly literature the above-mentioned two types are united in one class. Considering the content peculiarities two separate classes and subclasses are singled out.

The linguistic peculiarities of the parentheticals in question are investigated at one of the stages in the history of Standard Georgian. The paper focuses on stylistic and semantic functions of the parentheticals and studies them in reference to the modal words, adverbs and also to various verb forms.

ლიბ ჭარტსაწიძე

ჟიურის წევრებმა დადებითად შეაფასეს
 მხარეთმცოდნეო ინსტიტუტის მიერ
 დაგეგმილი ღონისძიებები

(მასალაში კვლეულ ქართულ გრაგამბიკულ ტერმინთა ისტორიული
ლექსიკონისათვის)

ძველ ქართულ გრამატიკულ თხზულებებში **ხმა//ვმა** ტერმინი რამდენიმე მნიშვნელობით გვხვდება: „გერა“, „სიტყვა“, „წინადადება“: „წიგნი არს, რომლითა დაისახვის ვმა იოტიანი...“ (შანშოვანი, 1737, 3); „არა თუ ასო არ გვაკლია, რომ ქართული ხმა სწორედ გამოითქმოდეს“ (ყიფიანი, 1882, 12); „ქართული ხმები გამოიხატება 39 ნიშნებითა ანუ ასოებითა, რომელნიცა იწოდებიან ანბანად“ (ჟორდანი, 1889, 2); „ლექსი არს ვმა, რომლითაც გამოითქმის ვითარიმე შემეცნება...“ (დოდაშვილი, 1830, 2); „სიტყვა არს ვმა მარტივი ანუ შედგმოვი ლექსთა ძლით“ (გაიოზი, 1970, 51).

სტოელთა მიხედვით, სიტყვა დანაწევრებული ხმაა. წინადადება — მნიშვნელობის მქონე ხმა. სიტყვა განსხვავდება წინადადებისაგან იმით, რომ წინადადება ყოველთვის მნიშვნელობის მქონეა, სიტყვას კი ზოგჯერ არა აქვს მნიშვნელობა (Античные, 1936, 35). ფაჟრ ბერძნულში ორგვარია: ἔργονμασι- ნაწევროვანი და ἄργονμασι — უნაწევრო: „ნაწევროვანი ჯმა არიან კაცთანი ვინაჲთგან დაიწერებია. უნაწევრონი ჯმანი არიან პირუტყვთა და მფრინველთა ამაღ, რომელ არა დაიწერებია“ (ბატონიშვილი, 1790, 3); გარდა ამისა, „ჟმათაგანნი რომელნიმე არიან უნიშნონი, ვითარ კანაქსული-ტირი, ზოლო რომელნიმე-ნიშნიანი (ამონიოსი, 1983, 47). იოანე ბატონიშვილის „კალმასობის“ გრამატიკული ნაწილში ვრცელი მსჯელობაა ხმის შესახებ:

ნიკოლოზი: სულსკუთხით, ანუ ოხვრით წარმოებულ ვმა
რაოდენ იწვალეზა?

იოანე: ორად: ჳმად და არაჳმად. ჳმანი არიან კაცთა და პირუტყვ-

თან. არაჰმანი არიან უსულოთა მიერ გამოცემულნი, ესე
იგი, ფოთოლთ შრიალი, ქუხილთ გრიალი, **ქართული**
ბგერანი, წყალთა ჩქერანი და მსგავსნი ამათნი. **გნებლით**

ნიკოლოსი: ჳმანი რამდენად იწვალეზიან?

იოანე: ნაწევროვანად და უნაწევროდ. ნაწევროვანი ჳმა არიან კაც-
თანი, ვინაფთჳან დაიწერებიან. უნაწევრო ჳმანი არიან
პირუტყვთა და მფრინველთა ამაღ, რომელი არა დაიწე-
რებიან.

ნიკოლოსი: რაოდენად იწვალეზის ნაწევროვანი ჳმანი?

იოანე: ორად: ნიშნოვანად და უნიშნოდ. ნიშნოვანი არს, რომე-
ლიც დაიწერებიან, ვითარცა ცხენი, ლომი, კაცი და სხუა-
ნი, უნიშნო არს, რომელი თუმცა დაიწერება, მაგრამ ნიშ-
ნავს არარას, ვითარცა ვბოკენტაგრი, მით რამეთუ არ
გვაშოვნებს. კვალად არიან ჳმანი, რომელნიცა დაიწერე-
ბიან, გარნა არა ითქმიან ნიშნოვანად, არამედ ნიშნოვან-
ისა მიმართ, რომელ არიან ესენი და, ხოლო, რამეთუ და
სხვ.“ (ბატონიშვილი, 1990, 44).

ფაჲრ-ს ანუ სამეტყველო ხმის გამოცემა მხოლოდ ფაჲრჲს-ს
ანუ **ხმოვანს** შეუძლია. ტერმინს ფაჲრჲს ასე განმარტავს დიო-
ნისიოს თრაკიელი „ხმოვნებად იწოდებიან იმიტომ, რომ თავისთავად
(μότ' ἑαυτῶν) წარმოქმნიან ხმას“ (თრაკიელი, 1998, 93). „ხმოვანი
სულია, თანხმოვანი — სხეული. სულს შეუძლია იარსების სხეულის
გარეშე, სხეულს — არა; თუ თანხმოვანს ხმოვანი არ ახლავს, ვერ
ხმოვანებს, ვერ აღმოიხმობა, აღმოითქმება“, — მსჯელობენ სხვა
სქოლისტები (Scholia, 1901, 198).

მამასადამე, ძველ ბერძნულ გრამატიკულ ლიტერატურაში და-
დასტურებული მსჯელობის მიხედვით თანხმოვანი დამოუკიდებლად
ფაჲრ-ს ანუ სამეტყველო ხმას ვერ გამოსცემს. ტერმინი თანხმოვანი
[συνήχων] ხომ ამ მსჯელობის ამ აზრის მატარებელია.

ხმოვანსა და თანხმოვანზე ქართველი გრამატიკოსებიც ზუსტად
ასევე მსჯელობენ: „ჳმანი არს რომელი თვთ აღმოიჳმობის, რომელ
არს რე“ (შანშოვანი, 1881, 4); ჳურაბ შანშოვანის შემდგომ ყველა
ქართველი გრამატიკოსი ხმოვანს და თანხმოვანს ასევე განმარტავს.
მათი განმარტებითაც, თანხმოვანი დამოუკიდებლად ვერ ხმოვანებს.

ძველ ქართველ გრამატიკოსთა ნაშრომებში ტერმინი **ბგერა** არ
დასტურდება. მოგვიანებით კი ჳერ ხმის სინონიმად იხმარება, შემ-

დეგ კი მთლიანად ცვლის ტერმინს **ხმა**: „ყოველი სულიერი გამოს-
თქვამს თვს ჰაზრსა ხმითა ანუ ბგერითა“; „ბგერა კაცისა ადგილად
განიყოფის ნაწილებად ანუ მარტივ ხმებად, ამისთჳს ენა კაცისა
იწოდების ნაწევროვანად“ და სხვ. (ჟორდანიას, 1889, 4); სილოვან
ხუნდაძე ტერმინს **ხმა** სულ რამდენჯერმე ასხენებს: „სიტყვები სხვა-
დასხვა ხმის ან ბგერის საშუალებით გამოითქმის“ (ხუნდაძე, 1920).
დავით კარიჭაშვილის გრამატიკაში კი ტერმინი **ხმა** მთლიანად შეც-
ვალა ტერმინმა **ბგერამ**, რომელსაც ადრე სამეტყველო ხმის
მნიშვნელობა საერთოდ არ ჰქონდა. ბგერას ასე განმარტავს საბა:
„ფერვის სლვის ჳმა“; „ბგერება — ფერხის ხმიანობა“ (სულხან-საბა,
1993).

ტერმინმა **ბგერამ**, რომელშიც უკვე ბგერება ანუ ხმოვანება
იგულისხმება (საბას ლექსიკონისაგან განსხვავებით) თანდათან წაშა-
ლა ის მკვეთრი განსხვავება, რაც არსებობდა მანამდე ხმოვანსა და
თანხმოვანს შორის. თუმცა თავიდან ტერმინ ბგერასთან ერთად რჩე-
ბოდა ძველი განმარტებაც. სილოვან ხუნდაძის გრამატიკაში, მიუხე-
დავად იმისა, რომ თანხმოვანს ისევე, როგორც ხმოვანს, ავტორი
ბგერას უწოდებს, ძველი მსჯელობა რჩება: „ბგერები ა, ე, ი, ო, უ
უმეშვეოთ, სხვა ბგერების დაუხმარებლათ, თავისუფალი ხმით
გამოითქმის. თავისუფალი ხმით მათი გამოთქმა მაშინ შეიძლება,
როცა ერთ-ერთი თანხმოვანი ახლავს, — მაგალითად, ბა, ბე, ბი, ბო
და სხვ. ამიტომ ამ ბგერებს თანხმოვანი ბგერები ეწოდება“ (ხუნ-
დაძე, 1920, 3).

აკაკი შანიძის 1930 წელს გამოცემულ გრამატიკაში კი ბერძნუ-
ლი გრამატიკული ლიტერატურიდან მომდინარე ეს მსჯელობა საბო-
ლოოდ აღარ ჩანს. „ბგერა ორგვარია: ხმოვანი და თანხმოვანი“, —
წერს აკაკი შანიძე (შანიძე, 1930, 2). მაშასადამე, ამ განმარტებით
თანხმოვანსაც აქვს ბგერება ანუ ხმოვანება. მიუხედავად ამისა,
დღემდე შემოგვრჩა ძველი ტერმინი **თანხმოვანი**, რომელიც ნათლად
მიუთითებს იმაზე, რომ თანხმოვანი მხოლოდ ხმოვნის თანხლებით
ხმოვანებს.

შესაძლოა, სწორედ ამ მსჯელობის გამო უწოდა ანტონ პირ-
ველმა თანხმოვანს **უხმო** და მის შემდგომ თითქმის ყველა ქართვე-
ლი გრამატიკოსი ამ ტერმინს იყენებს. **უხმოს** (ანუ თანამედროვე
ტერმინით თანხმოვნის) განმარტება კი ზუსტად ემთხვევა ბერძნულ-
ში τῶν ἄφωνων-ს განმარტებას „... ითქმიან უხმოდ, არა თუ რაიმესა

მნიშვნელობისათვის, არამედ თავით თვსით ვერ გამოღებისათვისა“ (ანტონი, 1885, 117). „ვმოვანად ამისთვის იწოდებიან, ვითა... მედ თავისუფლად გამოჰსცემენ სულისკუთმითთა ვმათა..., ხოლო სხუანი იწოდებიან უვმოდ ამითვს, ვინათგან, თვნიერ შეერთებისა ვმოვანთა თანა, ვერ შემძლებელ არიან თავისუფლად სულისკუთმითთა ვმათა გამოცემად...“ (ვაიოზი, 1970, 50); „ხმოვანნი ასოინი არიან იგინი, რომელნიცა გამოითქმიან შეუწევნელად სხუათა ასოთა, უხმოინი ასოინი არიან იგინი, რომელნიცა ვერ-შემძლებელ არიან; რათა წარმოადგინონ ვმა თვნიერ შეერთებისა ვმოვანთა ასოთა თანა (იოსელიანი, 1840, 5-6).

ბერძნული თქმანა-ს ზუსტი შესატყვისებია ქართული ტერმინები: **შეკმობილი//თანხმოვანი**. **შეკმობილი** ზურაბ შანშოვანთან დასტურდება. **თანხმოვანი** კი, როგორც ალ. ფოცხიშვილი შენიშნავს, პირველად დავით ბატონიშვილის გრამატიკაში გვხვდება, მაგრამ არა ბერძნ. თქმანა-ს შესატყვისად (ფოცხიშვილი, 1995, 1). მხოლოდ არისტო ქუთათელაძის გრამატიკის შემდეგ ცვლის **თანხმოვანი** ანტონის გრამატიკიდან დამკვიდრებულ ტერმინს **უხმო** (ქუთათელაძე, 1888, 125).

ტერმინი **უხმო** ანუ *ἄφωνα* ბერძნულში სხვა რამეს აღნიშნავს. თრაკიელის გრამატიკაში *ἄφωνα* თანხმოვანთა ერთ-ერთი, კერძოდ, ხმულ თანხმოვანთა ჯგუფის აღმნიშვნელია. ტერმინი ასეა განმარტებული: *ἄφωνα δὲ λέγεται, ὅτι μᾶλλον τῶν ἄλλων ἔστιν κακὸφωνα, ὡσπερ ἄφωναί λέγομεν τὸν τραγῳδὸν τὸν κακὸφώνον* უხმო ეწოდება იმიტომ, რომ სხვებზე უფრო ცუდი ხმოვანება აქვთ ისევე, როგორც უხმოს ვუწოდებთ ცუდი ხმის მქონე ტრაგიკოს მსახიობს“ (თრაკიელი, 1998, 94). მხოლოდ ზურაბ შანშოვანის გრამატიკაში აქვს უხმოს ის მნიშვნელობა, რაც ბერძნულ *ἄφωνα*-ს: „უვმოდ ითქმიან რომელ აღმოთქუმაში სულს დაუტევებენ“ (შანშოვანი, 1881, 4). აღმოთქუმის დროს „სულის დატეება“ ანუ ხმვა კი ე. წ. ხმულ თანხმოვნებს ახასიათებს.

თანხმოვანთაგან ზოგი *Ἠμίφωνα* ანუ ნახევარხმოვანია: *Ἠμίφωνα δὲ λέγεται, ὅτι παρ' ὅσων ἦττον τῶν φωνήεντων εἵφωνα καθέστηκεν ἔν τε μυχοῖς καὶ σιγμοῖς* — ნახევარხმოვანი ეწოდებათ, რადგან ზმუილითა და სისინით წარმოთქმულთ ხმოვნებთან შედარებით ნაკლები კეთილხმოვანება აქვთ“ (თრაკიელი, 1998, 94). ნახევარხმოვნებს თანხმოვანთა სხვა ჯგუფებისაგან განასხვავებს ის, რომ თითქოს

რალაც ხმა აქვს, თითქოს ნახევრად ხმოვანებს. „გრამატიკის ხელოვნების“ სქოლიასტები ამ ტერმინს ასე განმარტავენ: „ე. წ. ნახევარმოძრაობის წარმოთქმისას თითქოს რალაც ხმა ისმის, მაგრამ განსხვავებული ქაჟი-საგან. მას უფრო პრძიჟ-ს „ხმაურს“ ვამსგავსებთ, არა ადამიანის ხმას, მაგალითად, სისინი, ბუბუნი, ზუზუნი და სხვ. (Scholia, 1901, 156).

ბერძნული ოქსიჟონ-ს შესატყვისი **ნახევარ-ჟმოვანი** შანშოვანის გრამატიკაში დასტურდება. ნახევარ-ჟმოვანი აქაც თანხმოვანთა ერთ ჯგუფს აღნიშნავს როგორც ე. ბაბუნაშვილი და თ. უთურგაიძე აღნიშნავენ, თანამედროვე ტერმინოლოგიით ეს არის ნაპრალოვანთა ჯგუფი (ბაბუნაშვილი, უთურგაიძე, 1992, 11).

ტერმინი **ნახევარხმოვანი** დავით ჩუბინაშვილის გრამატიკაშიც გვხვდება, მაგრამ იგი ბერძნულის ოქსიჟონ-სა და შანშოვანის ნახევარ-ჟმოვანისაგან განსხვავებით არა თანხმოვანთა, არამედ ხმოვანთა ერთ ჯგუფს აღნიშნავს: „ნახევარხმოვანი, რომელია ასო ჟ, ე, ი. გამოითქმის საშუალო უ და ვ და ვერ შეადგენს თავით თვისით მარცვალსა“ (ჩუბინაშვილი, 1887, III).

ზურაბ შანშოვანის გრამატიკაში გვხვდება ჯმა ფუძისაგან ნაწარმოები კიდევ ერთი ტერმინი — **ორ-ჟმოვანი**, რომელიც შეესატყვისება ბერძნულ ოქსიჟონ-ს დიფთონგს. შანშოვანი ხუთ ორჟმოვანს გამოყოფს და მისი განმარტება ემთხვევა დიფთონგის განმარტებას ბერძნულში: „ორჟმოვანად იტყჳან ესენიცა: აი, ია, იო, იუ, ად. რამეთუ ერთსა მარცვალსა შორის ორჟმოვანსა წარმოაჩენენ (შანშოვანი, 1881, 4). შემდგომ განსხვავებული მნიშვნელობა აქვს ამ ტერმინს. გაიოზის გრამატიკაში ორჟმოვანი ორი ხმოვნით ერთი მარცვლის გადმოძეგმი აღარ არის. „ორჟმოვანიცა არიან ექუს: მ, ა, ჯ, ჰ, გ, და ზ, ხოლო ორჟმოვანად ამისთჳს იწოდებიან, ვითარმედ სულის-ქუშითითა ჯმათა შორის გამოჰსცემენ ბრჯგულ ორჟმოვანთა ჯმათა, მაგალითი: მ, ვითარცა ბრჯგულ ე-ვე, ა ვითარცა ა ბრჯგულდევ და სხვანი“ (გაიოზი, 1970, 50). ორჟმოვანს ასევე განმარტავენ მოძღვრე-ნო გრამატიკოსები. არ. ქუთათელაძის გრამატიკაში და შემდგომ ეს ტერმინი აღარ ჩანს (ქუთათელაძე, 1888, 18).

ხმა ფუძისაგან ნაწარმოები კიდევ ორი ტერმინია ანტონის გრამატიკაში: **თჳთჳმოვანი** და **საშუალჳმოვანი**. ანტონი ცხრა ხმოვანს გამოყოფს, რომელთაგან ხუთს (ა, ე, ი, ო, უ) უწოდებს თჳთხმოვანს, ხოლო „მ, ა, ჯ, გ არა არიან თჳთხმოვან, არამედ ჯმოვანთა-თანა

შეერთებითა ოხრულ და ჯმოვანთაებრ მაკეთ მარცხულთა და
მაულღებელი ზმნათა“ (ანტონი, 1885,). ისინი საშუალებოვნებდა.
ანტონის მსჯელობაში ე. წ. თანხმოდანთგასაყარზე (2) ისევ ძვე-
ლი ბერძნული გრამატიკული ლიტერატურიდან მომდინარე ის აზრი
დევს, რომ თანხმოდანი ხმოვნის გარეშე ვერ ხმოვანებს. თანხმოდან-
გასაყრელის გარეშე, ანტონის აზრით, შეუძლებელია თანხმოდანების
ხმოვანება „ვითარ მე იქმნების მრავალთა უქმოთა უქმოვანოდ ერ-
თად სხვაგვარად მდებარეთა გამოღებაჲ ჯმისა“ (ანტონი, 1885, 117).
თანხმოდანთგასაყარი „მრავალთა უქმოთა (ანუ თანხმოდანს) ლექსთა
შინა უქმოვანოდ ერთად მდებარეთა მარცხულ-ჰყოფს...“ (ანტონი,
1885, 118).

თანამედროვე მეცნიერული თვალსაზრისით ძველ ქართული (და
არა მარტო ქართული) გრამატიკოსთა ხან გულუბრყვილო, ხანაც
სრულიად გაუგებარი მსჯელობანი ხშირად უფრო ახალია ძველ
ბერძნულ გრამატიკულ აზროვნებასთან. თრაკიელის გრამატიკისა
თუ ამ გრამატიკის ვრცელი კომენტარების გარეშე ძველ ქართულ
გრამატიკულ ტერმინთა კვლევა შეუძლებელია. ჩვენს სტატიაში წარ-
მოდგენილი მასალა ნაწილია ძველ ქართულ გრამატიკულ ტერმინთა
ისტორიული ლექსიკონის მასალებისა, რომელზეც მუშაობისას
სწორედ ბერძნულ გრამატიკულ აზროვნებას ვეყრდნობით, ძირი-
თადად.

ლიტერატურა:

შანშოვანი, 1737 — მოკლე დრამატიკა ქართული ენისა,
ქმნული ზურაბ შანშოვანისაგან 1737 წლისა, გამოცემული ა. ცაგა-
რელისაგან. ს. პეტერბურდი, 1881.

ყიფიანი, 1882 — დ. ყიფიანი, ახალი ქართული გრამატიკა,
სანკტპეტერბურდი, 1882.

ჟორდანია, 1889 — თ. ჟორდანია, ქართული დრამატიკა, ტფ.
1889.

დოდაშვილი, 1830 — ს. დოდაშვილი, ქართული დრამატიკა,
ტფ., 1830.

გაიოზი, 1970 — გაიოზ რექტორი, „ქართული დრამატიკა“,
ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურ-
თო ელენე ნიკოლაიშვილმა, თბ., 1970.

Античные, 1936 — Античные теории языка и стиля, Под ред. О. М. Фрейденберг (собрание текстов со вступит. статьями И. М. Тронского и С. В. Меликовой-Толстой), Л., 1936.

ბატონიშვილი, 1790 — დ. ბატონიშვილი, „ღრამატიკის ხელოვნება“, 1790წ. (ხელნაწერი Е 174).

ამონიოსი, 1983 — ამონიოს ერმისის თხზულებები ქართულ მწერლობაში, ტექსტები გამოსაცემად მოამზადეს ნათელა კეჭალაძემ და მიაა რაფაევამ. გამოკლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო მიაა რაფაევამ, თბ., 1983.

ბატონიშვილი, 1990 — იოანე ბატონიშვილი, ხუმარსწავლა, თბ., 1990.

თრაკიელი, 1998 — დიონისიოს თრაკიელის „გრამატიკის ხელოვნება“ (ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანით) წიგნში: ლ. ქაროსანიძე, დიონისიოს თრაკიელის „გრამატიკის ხელოვნება“ და ძველი ქართული გრამატიკული აზროვნება“, თბ., 1998.

Scholia, 1901 — Scholia in Dionysii Thracis Artem Grammaticam, Graeci, V.I. Pars. III, Ed. Hilgard. Lipsiae, 1901.

ხუნდაძე, 1920 — ს. ხუნდაძე, ქართული გრამატიკა პირველ-დაწყებითი სკოლებისათვის, ქუთ., 1920.

ხულხან-საბა, 1993 — სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, II ავტოგრაფიული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებლები დაურთო ილ. აბულაძემ, თბ., 1993.

შანიძე, 1930 — აკაკი შანიძე, ქართული გრამატიკა, I, მორფოლოგია, ტფ., 1930.

ქართული ღრამატიკა შედგენილი ანტონ I-ის მიერ, ტფ., 1885.

იოსელიანი, 1840 — ბ. იოსელიანი, პირუშლ-დაწყებითი კანონი ქართულისა ღრამატიკისა, თფ., 1840.

ფოცნიშვილი, 1995 — ა. ფოცნიშვილი, ქართული გრამატიკული აზრის ისტორიიდან, თბ., 1995.

ქუთათელაძე, 1888 — ა. ქუთათელაძე, პირველ-დაწყებითი ქართული გრამატიკა, ტფ., 1888.

ბაბუნაშვილი, უთურგაიძე, 1992 — ე. ბაბუნაშვილი, თ. უთურგაიძე, „ზურაბ შანშოვანის „მოკლე ღრამატიკა ქართულისა ენისა“, იკეწ, 1992.

LIA KAROSANIDZE

**The Grammatical Terms Derived from the Stems
Φωνή and Xma in the Old Greek and Old
Georgian Grammatical Works**

(data for the Historical Dictionary of Old Georgian Grammar terms)
Summary

The paper presents part of the data for the Dictionary of Old Georgian Grammar Terms. viz.: the paper focuses on the Greek terms Φωνή, φωνήεντα, σίμφωνα, ᾄδων, ἡμίφωνα and their Georgian equivalents *xma*, *xmiani/xmovani*, *šeqmobili/tanxmovani*, *uxmo*, *naxevaxmiani/naxevaxmovani*. as well as some other Georgian terms formed from the same stem: *orqmiani*, *tvtxmovani*, *sašualoxmovani*. The paper stresses the importance of the Greek grammatical sources for the study of the history of Georgian grammatical thought and for the tendencies in the development of Georgian grammatical terminology. The main source of the dictionary is "The Art of Grammar" by Deonysius Thrax together with the comments on it.

ლია ბაკურაძე

იოანე ღამასკელის „ღილაგბეტიკა“ და სულხან-საბა
ორბელიანის „ლექსიკონი ქართული“


XVII-XVIII საუკუნეების დაშლილი და დანაწევრებული საქართველოს წიაღში, გამუდმებული ბრძოლების, შინააშლილობების ქაშის, როცა ქართლის ჭირის აღნუსხვაც კი შეუძლებელი ხდებოდა, როცა საქართველო მავანთა და მავანთა ცხად თუ ფარულ აგრესიას ველარ უმკლავდებოდა, შეიქმნა სულხან-საბა ორბელიანის „ლექსიკონი ქართული“ — ქართული ცნობიერების ძლიერი გამოვლინება, როგორც ერის თვითმყოფადობის კიდევ ერთი დადასტურება.

„ლექსიკონის „ანდერძამეში“ სულხან-საბა ორბელიანი ქრისტიანული თავმდაბლობით ძალიან მოკლედ გვიხსნის იმ მიზეზებს, რამაც მრავალი წელი თავდაუზოგავად შეაწირინა ამ საქმისთვის: „მე სულხან-საბა ორბელიანსა, ჭაბუკობის ქამსა და სიყრმესა ფრიადი შრომა დამიცს ამა წიგნსა ზედა. რამეთუ ქართულთა ენათა ლექსიკონი აღარ იბოვებოდა, რამეთუ ჟამთა ვითარებითა უჩინო ქმნილ იყო, რომელსა მეხუთე ვახტანგ მეფემან ქართულად „სიტყვის კონა“ უწოდა. ვინათგან პატიოსანი ესე წიგნი დაჰკარგოდათ, ენა ქართული თვისთა ნებაზედ გაერყვნათ Z“ (დამასკელი, 1976, 27).

სულხან-საბას ლექსიკონში განსაკუთრებით შეიგრძნობა XI-XII საუკუნეების ქართული მეცნიერული აზრის გავლენა. ეს ის პერიოდია, როცა ეფრემ მცირესა და შემდგომ მის მოსწავლეებს იოანე პეტრიწსა და არსენი იყალთოელს უდიდეს სიმაღლეზე აყვავებდა ქართული მეცნიერება და კულტურა.

ძველ ქართველ მოღვაწეებთან გრამატიკული აზრი ფილოსოფიისაგან გამიჯნულად, ცალკე არ არის წარმოდგენილი, რადგან, ანტიკური სამყაროდან დაწყებული, მეცნიერება არ გამოიყოფოდა ფილოსოფიისაგან და მეცნიერების ყველა დარგი ფილოსოფიის ნაწილად მიიჩნეოდა.

პლატონს, არისტოტელეს, სტოელებს, მეცნიერება ესმოდათ



ერთიანი დაუნაწევრებელი ფენომენის სახით (კედროვი, 1961, 44). ამ თვალთახედვით, ყოველგვარი ცოდნის ამოსავალი პრინციპები ლოსოფიაში იყრის თავს, ვინაიდან ყოველგვარ ცოდნას ფილოსოფია აძლევს ზოგად მეთოდოლოგიურ საფუძვლს (რაფავა, 1983, 073).

ქართველთა ძნელბედობის გამო ეს ინტერესი გარკვეულწილად შენეულა და მხოლოდ XVII-XVIII საუკუნეებში გახდა შესაძლებელი კულტურული ცხოვრების ხელახალი აღორძინება. ვახტანგ მეექვსის კარზე არსებულ სწავლულ კაცთა საბჭოს უყურადღებოდ არ უნდა დაეტოვებინა ფილოსოფიური ხასიათის მწერლობა. როგორც ჩანს, ამ კუთხით უღვაწია სულხან-საბა ორბელიანსაც. ლექსიკონის მიხედვით ნათლად ჩანს, რომ მას შეუსწავლია თითქმის ყველა ფილოსოფიური ხასიათის ნაშრომი და ლიტერატურულ წყაროდაც გაუხდია ისინი.

ლექსიკონის ერთ-ერთი წყაროა იოანე დამასკელის „დიალექტიკა“. ლექსიკურ ერთეულებს ხშირად მიწერილი აქვს მინიშნება — „კათილორია“.

დიალექტიკა ანუ κειμενία φιλοσοφικά (ფილოსოფიური თავები) ერთი ნაწილია იმ დიდი შრომისა, რომელსაც ბერძნულად πῶτον γυνώσκω ეწოდება. ქართულად კი მისი შესატყვისი თარგმანი წმინდა მამებმა შექმნეს: „წყარო ცოდნისა“.

ქართულ ენაზე ეს თხზულება ორჯერ ითარგმნა ეფრემ მცირისა და შემდგომ არსენი იყალთოელის მიერ. „ეფრემისა და არსენის თარგმანები თითქმის თანადროულია ერთმანეთისა... ორივე შესრულებულია XI საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში. მათ აღბათ რამდენიმე წელი ამოიღებთ ერთიმეორეს (დამასკელი, 1976, 97).

დამასკელის „დიალექტიკა“, როგორც წყარო ქართული ფილოსოფიური და ლოგიკური ტერმინოლოგიის დადგენა-შემუშავების საქმეში, აქტუალურ გამოხმაურებას პოულობს ანტონ კათალიკოსის, იოანე ბატონიშვილის, სულხან-საბა ორბელიანის, იოანე ხელაშვილისა და სხვათა ლიტერატურულ მეცნიერულ მოღვაწეობაში (დამასკელი, 1976, 14).

სულხან-საბა ორბელიანი სარგებლობს არსენი იყალთოელის თარგმანით. ლექსიკონში დადასტურებული ტერმინები (კათალიკოსის მითითებით) და, მათი განმარტებისას, ტექსტის ზუსტი ციტირება მისდევს სწორედ არსენისეულ რედაქციას.

იოანე დამასკელის „დიალექტიკა“ გახდა არა მხოლოდ წყარო

მეცნიერული ტერმინოლოგიისათვის, არამედ მან გარკვეულწილად განსაზღვრა ლექსიკონში სიტყვათა დაჯგუფების პრინციპი. მეცნიერული ტერმინოლოგია

ყოველი სიტყვა განხილულია როგორც ერთი მთელის კონკრეტული, კერძო გამოვლინება, ანუ ცნება, რომელიც გარკვეული თვალსაზრისით არის ერთი ზოგადი ცნების ცალკეული გამოხატულება. ამიტომ სიტყვათა დიდი უმრავლესობა დაჯგუფებულია ე. წ. ბუდეების მიხედვით. ცალკე ლექსიკურ ერთეულად წარმოდგენილი სიტყვა სხვაგან რომელიმე ზოგად გვარეობით ცნებაშია გაერთიანებული და მოხსენიებული. ასე მაგალითად, **კასრი** ცალკე ლექსიკურ ერთეულად არის წარმოდგენილი როგორც მომცრო სახლი (სულხან-საბა, 1991, 356), მაგრამ იგივე სიტყვა თავისი მნიშვნელობით აღნიშნულია სხვაგანაც, სადაც **სახლი** „ზოგადი სახელი არს ყოველთა სახლთა“ და სადაც „ყოველთა სხვადასხვა რიგთა სხვადასხვა სახელი სძეს: სახლაკი, საწოლი, **კასრი**, კასრაკი, დარბაზი, პალატი, ტაძარი, სეფე, კეიტონი, გომჭური, დელაქარი, ჩოდოლო და ა. შ. (სულხან-საბა, 1991, 77). აქ სახლი ზოგადად საცხოვრებელი ნაგებობის, შენობის მნიშვნელობითაა.

ერთ ბუდეში გაერთიანებული სიტყვები ზოგადთან მიმართებაში ქმნიან დაპირისპირებას: ზოგადი და კერძო; ამას გარდა „ზოგადის“ ე. წ. ბუდეში გაერთიანებული სიტყვები ერთმანეთის მიმართ შეიძლება იყვნენ თანამოსახლეები. გამოიყოფა აგრეთვე მრავალსახელებისა და სახელნართაულების ჯგუფები.

აღსანიშნავია ისიც, რომ თითოეული სიტყვა სტილური თვალსაზრისით ერთიანდება სამწერლო, სამეტყველო, ან დიალექტურ არეალში. ხშირად ეს სტილური თავისებურება ქმნის თანამოსახლეობას, მრავალსახელთა და თანამონათესავეთა ჯგუფებსაც.

ზოგადი სახელი

ტერმინი „ზოგადი“ დადასტურებულია იოანე დამასკელის „დიალექტიკაში“: „ზოგადი — რომელთა სახელი ზოგადი იყოს“ (დამასკელი, 1976, 102, 6; 172). ზოლო ის ტერმინი, რომელიც აღნიშნავს ერთსა და იმავე გვარის კუთვნილებას, თანამონათესავეა (დამასკელი, 1976, 223).

საბას ლექსიკონშიც უპირველესი კატეგორია არის ნათესავი, სახე. იგი სინონიმია ტერმინებისა გვარი, მყოფი. ამ პრინციპით გაერთიანებულ ცნებებს საბა უძებნის ზოგად სახელს, ანუ ის გვარეობითი ცნებაა და შემდეგ ჩამოთვლის იმ კონკრეტულ სახელებს, რო-

მეღლებიც ამ გვარეობით ცნებაში შეიძლება გაერთიანდეს. ასე მაგალითად: „ჭურჭელი“ (31, 37 დაბად) ჭურჭელი ზოგადი სახელი არს ყო(ვ)ელთა ჭურჭელთა, ხოლო ჭურჭელნი განიყოფებიან ათხუთმეტად: იარაღად, გვარდაკად, ლა(ნ)კანად, ჯამად, საღვინედ, წელად, სარწყულად, გაშკარანად, ზარდახშად, ფუკად, სფირიდად, ჭურაად, საწვავად, შარაგულად...“ ამის შემდეგ ის განმარტავს თითოეულს სათითაოდ; ისინი, ჭურჭელთან მიმართებაში, რომელიც გვარეობითი ცნებაა, სახეებს წარმოადგენენ, მაგრამ თავისთავად, სათითაოდ ქმნიან „ქვეგვარს“ და, ბუნებრივია, იყოფიან სახეებად: „იარაღი არს აბჯარნი და საჭურველნი და ჭურჭელნი მჭედელთა, ხუროთა, კალატოზთა და ყოველთა ზელოსანთანი; გვარდაკი არს ჭურჭელი საგბოლელი: ქვაბი, სიაფი, კარდალა, ტაფა, ქოთანნი, კოჭორი და მისთანანი (სულხან-საბა, 1993, 408-409).

ეს სახეები უკვე აღარ განიყოფა სხვა სახეებად, ისინი „განუკვეთელია“. ეს ტერმინიც არის ლექსიკონში დადასტურებული ზუსტად იმავე მნიშვნელობით: „... განუკვეთელად ითქმის სახეცა, რომელი არღარა განიკვეთების სხვისა სახის მიმართ რომელ არს სახო(ვ)ანი სახე ვითარცა კაცი, ცხენი და ყვევითარნი...“ (სულხან-საბა, 1991, 143).

გვარეობითი ცნება **ჭურჭელი** აერთიანებს სახეებს დანიშნულების თვალსაზრისით. ეს სახეები სათითაოდ გვევლინებიან გვარად და იქვემდებარებენ უკვე განუკვეთელ სახეებს.

ზოგადისა და კერძოს ურთიერთმიმართება დგას პრობლემურად ამონიოს ერმისის თხზულებებშიც, რომელიც აგრეთვე საბას ლექსიკონის წყაროა.

ზოგადისა და კერძოს დიალექტიკას გვარსა და სახელთან მიმართებაში განიხილავს ამონიოს ერმისი. მათი ურთიერთობა ან დროით არის განპირობებული, ან ბუნებით (რაფაფა, 1983, 0120).

ზოგადის აღმნიშვნელ ტერმინებად აქ გვევლინება „ზოგადი“, „საზოგადო“ და საყოველთაო“.

სულხან-საბა ამ ტერმინის ახსნისას იმოწმებს იოანე დამასკელის განმარტებას. ზოგადის ბერძნული შესატყვისია ὁμοῦς.

ერთგვაროვანი ცნებები ზოგადის სახელით გაერთიანებულია ერთი ლექსიკური ერთეულის ქვეშ და ქმნის, სემანტიკური თვალსაზრისით, ერთ მთლიან ჯგუფს. მაგალითისათვის ავიღოთ ზოგადი ცნება „უმცროსი“, რომლის ქვეშაც გაერთიანებულია ცნებები: თა-

ვად უმცროსი, ცოტად, პატარა, დარე, მრწემი და კინი.

თუ „ჭურჭლის“ განმარტებისას საგნის დანიშნულება მარტების კრიტერიუმში, ამ შემთხვევაში თვისობრიობის აღმნიშვნელ გვარეობით ცნებაში თითოეული სახის ცალკე გამოსაყოფად მომარ-
ჯებულია შეფასებითი პოზიცია: „უმცროსი (+ უმცროზ B) ზოგადი სახელი არს ყო(ვ)ელთა უმცირესთა, ხოლო ესე უმცროსი განიყოფებიან ექვსად: უმცროსად, ცოტად, პატარად, დარედ, მრწემად და კინად...“

ლექსიკური ერთეული **მრუდი** საბას ძველ რედაქციაში ზოგადად მიუჩნევია, მაგრამ B რედაქციაში ეს ტერმინი ამოუღია.

„ზოგადი“ არ გვხვდება ხშირად იქაც, სადაც ის მოსალოდნელია, ასეთებია: ფსკერი, ჯრმალი, ცივი, ზღუდე და ა. შ. აქ იგი მხოლოდ იმის აღნიშვნას სჯერდება, რომ ისინი განიყოფებიან...“

როგორც ვხედავთ, ტერმინი **ზოგადი** გვარეობითი ცნების აღმნიშვნელია. ის არასოდეს გვხვდება იქ, სადაც ერთი სიტყვის პოლისემიურ გამოყენებაზეა საუბარი. ამის დასტურია ლექსიკური ერთეული **მწარე**. აქ ჩამოთვლილია სახესხვაობები სიმწარისა, მაგრამ **მწარე** ზოგად ცნებად გაგებული არ არის, რადგან აქცენტი გაკეთებულია მის პოლისემიურ თვისებაზე. „მწარე არს გემო პირის დამწველი, მწარედ ითქმის სამწუხარო სიტყვა გოდებათა და ცრემლი, გინა ბოროტ მოუბარი ენა, ანუ გვემა და ტანჯვა სასტიკი, უფროსად მწარე არიან უნანელთა სიკვდილი და ჯოჯოხეთი...“ (სულხან-საბა, 1991, 544).

მრავალსახელი

ერთ ბუდედ ერთიანდება ლექსიკონში მრავალსახელებიც. ეს ტერმინიც იოანე დამასკელის „დიალექტიკიდანაა“ ამოღებული. ლექსიკურ ერთეულს ჯერ საბას განმარტება მოჰყვება, შემდეგ ვრცელი ციტატა დიალექტიკიდან: „მრავალსახელი ესე არს ერთსა რასამე და ერთრიგსა მრავალი სახელი ერქვას ZA“. „ხოლო მრავალსახელი არიან რაოდენნი საზღვრითა ეზიარებოდნან, ხოლო სახელითა განიყოფიდნ, ესე იგი არს, რაჟამს იგივე და ერთი საქმე მრავლითა იწოდებოდეს სახელითა, ვითა იგი ფასლანონ, აორ, სპათი, მაქერა, ქსიფოს, რამეთუ ესე ყოველნი სახელნი ერთსა საზღვარსა მოითვალვენ, რომელ არს ორპირად აღმახული რკინა, ვიტყვი უკვე რკინასა ორკერძოვე, აღლესულსა, ხოლო წარსწერენ მრავალსახელსა ეგე-
ვითართა BCE“ (სულხან-საბა, 1991, 28).

ბოლო (A) რედაქციის ნუსხებში საბას ჩამოუცილებია დამასკელისეული ფრაზა და მხოლოდ თავის განმარტებას დასჯერებიან. ქართული
ლიტერატურა

მრავალსახელი ბერძნული *πικρὸς*-ის ქართული შესატყვისია და სიტყვა-სიტყვით აღნიშნავს ერთი განსაზღვრების, მაგრამ მრავალი სახელის მქონეს (დამასკელი, 1976, 239).

ბერიპატეტიკოსები ბოლიონიმს უწოდებენ იმას, რასაც დიონისე თრაკიელი სინონიმს უწოდებს. ეს ტერმინი გვხვდება ამონიოს ერმისის თხზულებებშიც შესაბამისი განმარტებით. მრავალსახელის მაგალითები ემთხვევა, დიონისე თრაკიელის სინონიმებად მიჩნეულ მაგალითებს: *ἄρι*, *ἔκτος*, *μέγας*, *φασγαν*, *σπᾶν* (ქაროსანიძე, 1995, 76)..

„დანა არს უდიდესი ყოველთა ჯორცისა მოსათლელი, დანაკი უმცრო მისა და ზომიერი, ხოლო ღინწი მცირე დანაკი კალამთ მოსატრელი და მისთანა, ხოლო ცილი დანაკი, რომელი კოტასთან მოიდრიკოს და შეიკრას და სისხლვეი — ვენაჟის(ა) გასასხლავს ცილსა (+ დანაკად ითქმის მახვილიცა ZAA) ZA (სულხან-საბა, 1993, 195).

მსგავსი ფორმები ლექსიკონში მრავლადაა; ნათელია, რომ საბამ გადაიაზრა ისინი, როგორც სინონიმები, რასაც ხელი შეუწყო ძველ ქართულ ხელნაწერებში სინონიმების არაერთგვაროვანი გაგების არსებობამ; თუ ამონიოს ერმისის თხზულებებში ერთსახელი სინონიმის მნიშვნელობითაა, იოანე დამასკელთან ერთსახელს ომონიმის დატვირთვა ეძლევა, ხოლო ცალკე სინონიმის მნიშვნელობით ქართული შესატყვისი წარმოდგენილი არ არის. სწორედ ამიტომ შესაძლებელია, საბამ მრავალსახელის ასეთი განმარტება მოგვცა: „მრავალსახელი ესე არს ერთსა რასამე და ერთ რიგსა მრავალი სახელი ერქვას ZA“.

ნათელია, რომ აბსოლუტურად იდეალური მნიშვნელობის მქონე სინონიმები არ არსებობს, ამიტომ სულხან-საბა შემოქმედებითად უდგება ამ პრობლემას და ცდილობს, ერთი განსაზღვრების მქონე მრავალ სახელს მოუძებნოს ის ნიუანსური სხვაობანი, რაც განარჩევს მათ ერთმანეთისაგან. ძალიან კარგად ჩანს ეს დროის, რაოდენობის, განცდისა თუ თვისების აღმნიშვნელ სახელებთან.

ლექსიკურ ერთეულთან **გაციკრება** საბა გვაძლევს განთიადის, დილის სინონიმებს, რომელთაგან თითოეულს თავისი, გამოკვეთილი მნიშვნელობა აქვს: „გაციკრება — უწინარეს განთიადისა; განთიადი

— მოწევნა ნათელებისა რაიმე ნაწილი; ალიონი — რა ღამე და დღე გაირჩეოდეს. ამათ ეწოდების დილა (ვიდრე ორ ჟამ დღისაჲსა დადიონა ვიდრე ამოსვლამდე წითელთა ღრუბელთა; რიჟრაჟი — აღმოჩენა ნათელებისა რაიმე ნაწილი, ორიონი, მზის ამოსვლამდე უწინარეს ნათელებისა...“ (სულხან-საბა, 1991, 152).

ასეთივე პრინციპით განარჩევს ღამის სახეობებს (სულხან-საბა, 1993, 261).

ძალზე საყურადღებოა ამ მხრივ ერთად წარმოდგენილი ის სინონიმური სახელები, რომლებიც საგნის სივრცეში მიმართების, ორიენტაციის პრობლემას წარმოაჩენს.

1. ასეთი წყვილია **განიერი და გრცელი**.

„განიერი ითქმის ორმოს მსგავს(ი)სა, ხოლო გრცელი ველის მსგავსისა“ Cab.

2. ვიწრო — იწრო.

„იწრო არს გზა და მისთანა უგუხური, ხოლო ვიწრო ლარი და მისთანანი უგანი“ ZA.

3. გრძელი — მაღალი (საბა მათ ერთად განიხილავს ერთი საერთო თვისების — სიგრძის გამო და იმის საჩვენებლად, რომ მათი თვისობრივი სხვაობა მხოლოდ სივრცეში ორიენტაციით განისაზღვრება): „აღმა აზიდულსა უწოდენ მაღალსა, ხოლო სწორედ წარზიდულსა — გრძელი“.

პირველი წყვილი (განიერი — გრცელი) განირჩევა ერთმანეთისგან იმის მიხედვით, რომ პირველი ჩაკეტილ სივრცეში მიმართებას გვიჩვენებს, ხოლო გრცელი — გახსნილ სივრცეში.

მეორე წყვილიც (ვიწრო — იწრო) დაახლოებით ასე, გზის უგანობასა და მატერიის, ლარის შემოსაზღვრულობას წარმოაჩენს.

ხოლო მაღალი და გრძელი კი, როგორც აღვნიშნეთ, სივრცეში მიმართებით განსხვავდება ერთმანეთისაგან.

სინონიმურია განცდის აღმნიშვნელი ცნებებიც: **მკმუნვარება** — უხმოდ შთომა; **ურვა** — მწუხარება უცხოთა კეთილსა ზედა, **წყალობა** — მწუხარება უცხოთა ბოროტსა და ჭირსა ზედა (სულხან-საბა, 1991, 547).

ამოსავალი კრიტერიუმი ამ ფორმების ერთად თავმოყრისა თავად განცდაა, უაქტი მწუხარებისა, რომელიც შეიძლება აღქმული იყოს გამოხატულების მხრივ (უკმო) და თვისების მხრივ: ა) ძლიერი (ურვა), ბ) ბოროტი (შური) და გ) კეთილი (წყალობა).

ბიჯი და ნაბიჯი ერთმანეთისაგან განსხვავდება მოქმედების ტენსიონის თვალსაზრისით: „ბიჯი და ნაბიჯი განიყოფებიან: ნაბიჯი არს ერთისა ფერჯისაი გადადგმა, ხოლო ბიჯი მეორისა გარდანაცვლება, რომელი ზომით იქმნების ხუთი ტერფი (სულხან-საბა, 1991, 105).

ამდენად, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ მრავალსახელი სინონიმის მნიშვნელობით აქვს საბას წარმოდგენილი და სიტყვათა სემანტიკური თვალსაზრისით თავმოყრის ერთ-ერთი პრინციპი სწორედ სინონიმური მნიშვნელობებია, რომელთაც ხშირად სტილური დატვირთვა გააჩნია და ეკუთვნიან საღვთო წერილსა თუ გარეშე წერილს (სამწერლო ენას), საბას დროინდელი საზოგადოების სამეტყველო ქართულისა თუ დიალექტურ არეალს.

თანამოსახელები (ომონიმები)

თანამოსახელე ბერძნული ὁμωνυμία-ის შესატყვისია. ლექსიკონში ის სხვათა დარად მოხვდა „დიალექტიკიდან“ თუმცა ეს ტერმინი ამონიოს ერმისის თხზულებებშიც გვხვდება. საბა იმოწმებს „კათილორიიდან“ რამდენიმე თავს ამ ტერმინის განმარტებისას: „თანამოსახელე შესმენა არს, რაჟამს სახელსაც და საზღვარსა მის სახელისასა მიითვლიდეს, ვითარცა ცხო(ვ)ელი შეისმინება (შეისმინების B) კაცისად და მიითვალავს კაცი სახელისაცა და საზღვარსა ცხოველისასა, რამეთუ ცხო(ვ)ელი არს არსება სულითი მგრძნობელი. და კაცი მიითვალავს საზღვარსა ამას, რამეთუ არსებაცა არს კაცი, სულიერიცა და მგრძნობელიცა, ხოლო ცხენიცა და ძაღლიცა ეგრეთვე ამა საზღვართა მიითვალავენ. უგრძესად კათილორიას 15 თავში იძიე ZAB...“ (სულხან-საბა, 1991, 300).

ეს ტერმინი ომონიმის შესატყვისია. დიონისე თრაკიელის გრამატიკაში ომონიმი ასეა განმარტებული: „ომონიმია ისეთი სახელი, რომლითაც შეიძლება მრავალი ალინიშნოს, მაგალითად, საკუთარ სახელებში აიანტი — ტელარონის შვილი და აიანტი — ილეოსის შვილი“ (ქაროსანიძე, 1995, 22).

ფილოსოფიური ქანრის მწერლობაში ომონიმური სახელები მკაცრად არის განსაზღვრული. ამონიოს ერმისი იმასაც ურთავს, რომ თანამოსახელობა შეიძლება იყოს მხოლოდ მაშინ, თუ სახელებს ბტოსი (ფლექსია), პნევმატოსი (ფშვინგა) და ტონი (ტონი, ზომა) ერთნაირი აქვთ. ერთის ცვლილების შემთხვევაში ომონიმიას აღგილი არა აქვს (რაფავა, 1983, 0107, 0108). ის იმოწმებს შესა-

ბამის მაგალითებს, რომელთაგან ერთ-ერთი სულხან-საბასაც აქვს ლექსიკურ ერთეულად გამოტანილი. ეს არის ელატი. „ელატი“ ნებელი, გინა მწაფელი. თელატი ონის მიერ ართრონისა დავნიშნეთ — მარბიელი; ზოლო ინის მიერ იელატი დავნიშნეთ — ხე ელატი ესე ჰართა მარებელთა არს. კათილორიის თავსა, ესე იგი არს ჰართა ო ოჰო ჰარი და ჰეე ZAA“ (სულხან-საბა, 1991, 235).

როგორც ვთქვით, „ელატი“ განმარტების წყარო ამონიოს ერ-მისის თხზულებაა. ართრონის დართვით, ფლექსიის ცვლილებით ავტორს უნდოდა ეჩვენებინა სწორედ ის, რომ ამ ტიპის სახელები ომონიმებად ვერ ჩაითვლება.

თავად სულხან-საბა ომონიმის არსს იმდენად კარგად ჩასწვდა, რომ ამ ტიპის სახელები (არა აქვს მნიშვნელობა, რა მეტყველების ნაწილია) ერთ ბუდედ წარმოადგინა. ასეთებია:

„მგებელი სიტყვის პასუხის მიმცემელი; მგებელი — მდგომი, მგებელი — კერბთა შემწირველი, მგებელი — ამშენებელი ZA... B“.

„გაკვრა არს რადე ბრტყელი ბრტყელზედ წებოთ გააკრა; გა-კვრა არს ისარი ანუ თოფი მოხვდეს განზე მცირედ უვნებლად; გაკ-ვრა არს კალმით ნიშნის დასმა, გინა სიტყვა — მოუწონარის მოსა-შალი Z“.

მსგავსი მაგალითების დასახელება მრავლად შეიძლება.

სახელნართაული (პარონიმი)

მისი ბერძნული შესატყვისია παράρτημα. ამჯერად ამ ლექსიკურ ერთეულს მხოლოდ საბასეული განმარტება მოჰყვება: „სხვა სახელი მომატებული, რომელსა მსოფლიონი უკანასაყივრად უწოდებენ მეორე სახელსა ZA“. ზშირად სულხან-საბა ზმარობს ამ ტერმინის შემოკლებულ ვარიანტს **ნართაული**, რომელიც ასევე დასტურდება ფილოსოფიური ჟანრის თხზულებებში. ნართაულია მისთვის ცალკე ლექსიკურ ერთეულად გამოტანილი **ბილი**; მამობილი, დედობილი და ა. შ.

იოანე დამასკელის „დიალექტიკაში“ მეტად საგულისხმო მსჯელობას ვაწყდებით: „ჟერ არს უკუე ცნობად, ვითარმედ, რომელნი რეცა ნართაულად სახელად სიმრავლისა რომელობისაგან ითქმის — ვითარცა სიმჭურვალე მხურვალეობისაგან“ (დამასკელი, 1976, 145, 38, 14).

აქ სახელნართაული პარონიმია, „საერთო ძირის მქონე განსხვავებული სახელებით გამოხატული ვითარებანი: „სახელნართაული

არიან, რაოდენი განიყოფებოდინ ვისგანმე დამთხუევით. ესე იგი არს წოდებითა სახელისაჲთა“ 21.2 (დამასკელი, 1976, 256).

როგორც ჩანს, სულხან-საბასთეისაც **ბილი** — მაწარმოებელია, რომლის დართვითაც იქმნება ნართაული ფორმა.

1. ლექსიკონში სიტყვათა სემანტიკური დაჯგუფების განხილვის შემდეგ ნათელი ხდება, რომ სულხან-საბას ქართული მეცნიერული ტრადიცია გაცილებით ღრმად ახედებს ქართულ ენობრივ სამყაროში და იგი უფრო ფართო თვალსაწიერით უდგება ლექსიკონის შექმნის საქმეს.

2. უმთავრესი წყარო ამ მხრივ იოანე დამასკელის „დიალექტიკა“ (ამასთან ერთად იგი სარგებლობს ამონიოს ერმისის თხზულებებითა და იოანე პეტრიწის კომენტარებით).

3. სულხან-საბა მიჰყვება არსენისეულ თარგმანს და ტერმინის ახნისას უტკვლელად გადმოაქვს განმარტებანი „დიალექტიკიდან“.

4. „კათილორია“ გახდა არა მხოლოდ წყარო მეცნიერული ტერმინოლოგიისათვის, არამედ მან გარკვეულწილად განსაზღვრა ლექსიკონში სიტყვათა დაჯგუფების პრინციპი: ა) ზოგადისა და კერძოს მიმართების, ბ) თანამოსახელეა, მრავალსახელთა და სახელნართულთა ჯგუფების გამოყოფის თვალსაზრისით.

კათილორიისადმი ამგვარი მიდგომა საბას ორიგინალური ნააზრევი უნდა იყოს.

როგორც გ. რამიშვილი აღნიშნავს, სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში „ენა მსოფლხედვად არის გაგებული, სადაც ადამიანის შეფასება და საგანთა მიმართ თვალსაზრისია მოცემული (რამიშვილი, 1995, 141).

ლიტერატურა

დამასკელი, 1976 — ი. დამასკელი, დიალექტიკა, თბ., 1976.

რამიშვილი, 1995 — გ. რამიშვილი, ენათა შინაარსობრივი სხვაობა, თბ., 1995.

რაფავა, 1983 — მ. რაფავა, ამონიოს ერმისის თხზულებები ქართულ მწერლობაში, თბ., 1983.

სულხან-საბა, 1991 — სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. I (ი. აბულაძის რედაქციით), თბ., 1991.

სულხან-საბა, 1993 — სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. II (ი. აბულაძის რედაქციით), თბ., 1993.

ქაროსანიძე, 1995 — ლ. ქაროსანიძე, დიონისიოს თრაკიელის გრამატიკული ხელოვნება და ძველი ქართული გრამატიკული აზროვნება (სადისერტაციო ნაშრომი ხელნაწერის უფლებით, თბ., 1995).

История античной диалектики, М., 1972.

კედროვი, 1961 — Кедров Б. Классификация наук, III, М., 1961.

LIA BAKURADZE

“Dialectics” by John of Damascus and Sulkhan-Saba Orbelliani’s Georgian Dictionary

Summary

As I. Abuladze puts it, Sulkhan Saba Orbelliani’s monolingual Georgian Dictionary contains encyclopedic information and deals with the problems of translation. The dictionary reflects the Georgian scholarly thought of the 11-12 c. One off its sources is “Dialectics” by John of Damascus translated by Arsen of Ikalto. The dictionary exemplifies numerous terms from the work in question and explains their meanings. e. g. *zogadi* – *kerzo* (meaning general – concrete), *saxclnartauli* (paronymy), *tanamosaxele* (homonymy), *mravalsaxeli* (polyonymy, synonymy) etc. Moreover, the above-mentioned terms form the framework for the dictionary entries. The words united in an entry hold such relations as general-concrete, homonymic, paronymic, synonymic etc.

ციცინო ძირია

რთული სამეცნიერო ტერმინების (კომპოზიტების) მართლწერა

ყოველი კულტურული ენის ლექსიკურ ფონდში მრავლად გვხვდება მეცნიერებისა და ტექნიკის, პოლიტიკისა და ხელოვნების სპეციფიკური სიტყვა-ტერმინები. ეს „სიტყვობრივი სიმდიდრე“ შესაძლებლობას იძლევა მკაფიოდ გამოიხატოს ამა თუ იმ ცნების მნიშვნელობა, მოგვეცეს ზუსტი დეფინიცია და განისაზღვროს ლინგვისტური ასპექტები, რომლებიც გულისხმობენ ცნებებისათვის ზუსტი შესატყვისობის დაძებნას.

სამეცნიერო ტერმინოლოგიის სრული კოდირეკაცია, ტერმინთა აგების საერთო პრინციპებისა და თეორიული საფუძვლების დადგენა ან კვლევა დღევანდელ ეტაპზე ქართული ენათმეცნიერების გადაუდებელი ამოცანაა, რადგანაც ტერმინოლოგია არ არის მოწყვეტილი საერთო-სალიტერატურო ენისაგან, პირიქით — სალიტერატურო ენის განუყრელი ნაწილია. როგორც ცნობილია, ტერმინები ხშირად გადადის საერთო-სახალხო ენაში, იხმარება პუბლიცისტიკაში, იყენებენ მხატვრულ ლიტერატურაში, უმთავრესად მეტაფორული მნიშვნელობით.

ტერმინთა მართლწერის მოწესრიგებას ვიწრო, უტილიტარული ფუნქციის გარდა უდიდესი შემეცნებითი მნიშვნელობა აქვს.

მედიცინა მეცნიერების დარგთა შორის უძველესია ქართული სინამდვილისათვის, მას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს, რაც მკაფიოდ ჩანს ქართული ენის ლექსიკაშიც.

როგორც მკვლევარი რ. ღამბაშიძე აღნიშნავს, „ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის შექმნის ყველაზე ვრცელსა და მდიდარ წყაროს წარმოადგენს, უპირველეს ყოვლისა, ქართული ენის მდიდარი ლექსიკური ფონდი, რომელიც შეადგენს ტერმინოლოგიის ხერხემალს. გარდა ქართულისა, ახალი ტერმინების შემუშავების საქმეში გარკვეულ როლს ასრულებს უცხო ენებიდან ნასესხები ლე-

ქსიკა“ (დამბაშიძე, 1972, 22). ეს დებულება მთელი სიცხადით
ვლინდება სამედიცინო ტერმინოლოგიაზე დაკვირვებისას. ასევე
სანიშნავია, რომ ზოგ შემთხვევაში თანამედროვე სამედიცინო ტერ-
მინოლოგიაში გვხვდება სესხების გზით შემოსული სამედიცინო
ტერმინების თარგმნა ან კალკირება, ქართული ენის სიტყვაწარმოე-
ბის შესაძლებლობების გამოყენებით.

მაგ. ანემია — სისხლნაკლებობა
რეპრესია — გამოდევნება
ლიპიდა — ცხიმი
ჰემორაგია — სისხლდენა
ოსიფიკაცია — გაძვლება და სხვ.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ქარ-
თული სამედიცინო ტერმინები იყოფა შემდეგ ჯგუფებად:

1. საკუთრივ ქართული ენის ლექსიკური ფონდიდან მომდინარე
ტერმინები: მაგ. გულყრა, ყვიანახველა, ყიფლიბანდი, ჭიბლარი.

2. თარგმნის გზით შემოსული ტერმინები: ფურუნკული — ჩირ-
ქგროვა, ნანიზმი — ჯუჯაობა, ასპერმია — უნაყოფობა მამაკაცებში
და სხვ.

3. საერთაშორისო ტერმინები, რომლებიც სესხების გზით არიან
შემოსული სამედიცინო ტერმინოლოგიაში, ესენია არაბული, სპარ-
სული და, უმთავრესად, ბერძნულ-ლათინური ენებიდან შემოსული
ტერმინები.

მაგ. აბი — არაბული ენიდანაა შემოსული
ათაშანგი — სპარსული
ბუასილი — არაბული
ასთმა — ბერძნული
ავიტამინოზი — ბერძნულ-ლათინური
კოლაფსი — ლათინური
ინვალიდი — ლათინური

ამგვარი მაგალითების მოტანა მრავლად შეიძლება. გვხვდება
ასევე სხვა ინდოევროპული ენებიდან შემოსული ტერმინები.

ლათინური ენის ლექსიკა და საერთოდ ლათინური ენა, ფაქტო-
ბრივად, იქცა სამედიცინო ტერმინოლოგიის უმრეტ წყაროდ ევრო-
პული ენებისათვის. ამდენად, ბუნებრივია, რომ ქართულ სამედიცი-
ნო ტერმინებში უზვად გვხვდება ლათინურიდან მომდინარე სიტყ-
ვები.

მიუხედავად იმისა, რომ მედიცინას, როგორც მეცნიერების დარგს, მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს საქართველოში, საქართველოში რიც ქართული სამედიცინო ტერმინები არც თუ ისე ბევრია. მკვლევარი რ. ზექალაშვილი სამართლიანად შენიშნავს, რომ ქართულ სამედიცინო ტერმინოლოგიაში ძალზე მცირე რაოდენობით დამკვიდრდა ძველი ქართული და დიალექტური ლექსიკა, რაც განაპირობა მედიცინის ენის სპეციფიკურობამ, მისმა ინტერნაციონალიზაციამ.

მართალია, სამედიცინო დარგში საკუთრივ ქართული ტერმინები არც თუ ისე მრავლად გვხვდება, მაგრამ ქართული ენის გრამატიკული საშუალებები იმდენად მოქნილი და მრავალფეროვანია, რომ მორფემების კომბინაციებით შესაძლებელი ხდება მივიღოთ ახალი ტერმინები, რაც საგრძნობლად ზრდის ქართული მასალის წილს სამედიცინო ტერმინოლოგიაში.

ენის ლექსიკური ფონდიდან ახალი ტერმინების წარმოქმნა უმთავრესად სიტყვაწარმოებისა და სიტყვათა თხზვის ანუ კომპოზიციის გზით ხდება.

ქართულ სამედიცინო ტერმინოლოგიაში მრავლად გვხვდება რთული ტერმინები (კომპოზიტები). სამედიცინო ხასიათის ლიტერატურაზე დაკვირვებისას აღმოჩნდა, რომ მათი მართლწერის საკითხები მოსაგვარებელია. ამოსავლად უნდა იქნეს მიჩნეული ის ენობრივი ნორმები, რომელიც ქართული ენის ბუნებიდან მომდინარეობს. ამავე მიმართულებით უნდა წარიმართოს და მოწესრიგდეს რთული სამედიცინო ტერმინების მართლწერაც.

აკადემიკოსი აკაკი შანიძე პროექტში „კომპოზიტების დაწერილობისათვის“ გამოჰყოფს კომპოზიტთა ორ ჯგუფს. პირველს „საკუთრივ კომპოზიტს“ უწოდებს. ასეთად მიიჩნევს იმ რთულ სიტყვას, რომელიც ერთ ლექსიკურ ერთეულად, ერთ სიტყვად არის ქცეული და ლექსიკონში დამოუკიდებელი ადგილი უჭირავს. მეორე ტიპის კომპოზიტს მკვლევარი უწოდებს „კომპოზიტს ფართო მნიშვნელობით“, რომელშიც გაერთიანებულია ორი ან მეტი სიტყვა, გაერთიანება ხდება მხოლოდ გრამატიკულად. მკვლევარი ამ ნაშრომში გვთავაზობს კომპოზიტთა მართლწერის წესებს. ფაქტობრივად, ეს წესები გათვალისწინებულია თანამედროვე სალიტერატურო ენის ნორმებში.

კომპოზიტის მართლწერა ძირითადად ექვემდებარება მასში შემავალი კომპონენტების რაგვარობას. კომპოზიტები წარმოების მიხედ-

ელვით სამგვარი:

1. ფუძის გაორკეცებით მიღებული კომპოზიტები. 2. სხვადასხვა ფუძის შეერთების გზით მიღებული კომპოზიტები, 3. ორი ფორმის, შეერთებით მიღებული რთული სახელები.

რთული სამედიცინო ტერმინები (კომპოზიტები) ასეთივე გზით მიიღებიან. მაგ., ფუძის გაორკეცებით ან ერთ-ერთი თანხმონის შეცვლით მიღებული ტერმინებია: ცახ-ცახი, კან-კალი, ღუნ-ღული და სხვ. სხვადასხვა ფუძის შეერთებით მიღებულია მრავალი რთული სამედიცინო ტერმინი. მაგ., ერთცნებიანი: თავბრუ, პირღებინება, ძილქუში, გულყრა. ორცნებიანი: დედა-ნაყოფი, წამალ-შხამი, შარდ-სასქესო, კუჭ-ნაწლავი და სხვ.

ორი ფორმის შეერთებით მიღებული რთული სამედიცინო ტერმინებიდან უფრო ხშირად გვხვდება ის შემთხვევები, როცა კომპოზიტის პირველი კომპონენტი ნათესაობითი ბრუნვის ფორმითაა წარმოდგენილი. მაგ., ენისქვეშა (ნერვი), შარდის ბუშტი, გულისცემა, ხელისგული. უფრო იშვიათია, მაგრამ გვხვდება ისეთი კომპოზიტებიც, რომლის პირველი სიტყვა მიმართულებითი ბრუნვის ფორმითაა გაფორმებული. მაგ., მკვდრადშობადობა, მუცლადყოფნა, ავადმყოფობა და სხვ.

რთული სამედიცინო სიტყვების (კომპოზიტების) მართლწერისას უნდა დავიცვათ შემდეგი ნორმები:

1. ყველა ერთმნიშვნელობიანი კომპოზიტი უნდა დაიწეროს ერთად, ერთ სიტყვად:

ა) ერთ სიტყვად უნდა გაფორმდეს ფუძეგაორკეცებული კომპოზიტები, მაგ., წამწამი, ჩიფჩიფი, ლულული და სხვ.

ბ) ერთი მნიშვნელობის მქონე ორი ფუძისაგან მიღებული კომპოზიტები, მაგ., ძუძუმწოვარი, სისხლჩაქცევა, დღენაკლულობა, ტერფმრუდობა.

გ) ერთად უნდა დაიწეროს და ერთ სიტყვად გაფორმდეს ის კომპოზიტები, რომლის შემადგენელ ფუძეზე ზედსართავი სახელის, რიცხვითი სახელის, მიმდევობის ფუძის დართვით მიღებულია რთული, მაგრამ ერთცნებიანი სამედიცინო ტერმინი. მაგ.: ახალშობილი, ორსული, თორმეტგოჯა, მრავალპროფილური და სხვ.

დ) ორი სიტყვის შეერთებით მიღებული რთული სამედიცინო ტერმინი უნდა დაიწეროს ერთად, მიუხედავად იმისა, თუ რა ბრუნვის ფორმითაა წარმოდგენილი რთული სახელის პირველი კომპო-

ნენტი. მაგ., ყბაყურა, ქრისტესისხლა, ენაბორძიკობა, ავადმყოფობა, ავადმყოფობა და სხვ.

ე) ერთ სიტყვად დაიწერება ის კომპოზიციები, რომელთა პირველ წევრად ზმნისართი ან თანდებულია წარმოდგენილი. შესაძლებელია ზმნისართი არსებითი სახელით წარმოდგენილ კომპონენტს წინ უძღოდეს ან მოსდევდეს; მაგ., შიგთავსი, ზედოზირება, შუაყური, წინამხარი, უკუბიძგი ან კანქვეშა, სისხლძარღვშუა და სხვ.

II. დეფინიციით უნდა დაიწეროს ორმნიშვნელობიანი რთული სამედიცინო ტერმინები. მაგ.:

ა) კომპოზიციები, რომლებიც მიღებულია მნიშვნელობის მხრივ ერთმანეთთან დაკავშირებული ფუძეების გაერთიანებით. მაგ.: ძილ-ღვიძილი, გუნება-განწყობა, ციებ-ცხელება, ცხვირ-ხახა, ყელ-ყურ-ცხვირი, გულ-მკერდი, კუჭ-ნაწლავი, თვალ-წარბი და სხვ.

III. განსაკუთრებით საყურადღებოა ბერძნულ-ლათინური წარმოშობის რთული სამედიცინო ტერმინების მართლწერა. მათი გაფორმებისას უნდა დავყვარდნოთ ზემოთ ჩამოთვლილ წესებს. ხშირად გვხვდება ორი ან ორზე მეტი ფუძისაგან მიღებული ტერმინები. მართლწერისას აუცილებელია ამ შემადგენელი ნაწილების როგორც შინაარსობრივი გააზრება, ასევე ფუძის რაგვარობის საკითხის გარკვევა. ზოგ შემთხვევაში ბერძნულ-ლათინური წარმოშობის რთული ტერმინების კომპონენტი აფიქსიოდადაა ქცეული; ბუნებრივია, ასეთი კომპოზიტი დაიწერება ერთად. მაგ., ვეგეტოკრიზი, პიპერმგრძნობელობა, რეგმოკარდიტი და სხვ.

საერთაშორისო სამედიცინო ტერმინ-კომპოზიტიში, რომელიც ხშირ შემთხვევაში მრავალი კომპონენტისაგან შედგება, კომპოზიციები ერთმანეთს უკავშირდებიან უშუალოდ და ერთ სიტყვად ფორმდებიან. მაგ., ნეირორუბილიტაცია, ენცეფალოპათია, პლევროპნევმონია, ასევე უნდა გაფორმდეს ფარმაკოლოგიური ტერმინებიც. მაგ., სალაზობარიდაზინი, გლიცეროფოსფატი, კალიუმოროტატი და სხვ.

ამრიგად, რთული სამედიცინო ტერმინი, მიუხედავად მისი ფუძის შემადგენლობისა, წარმოადგენს ერთ სიტყვას და როგორც მორფოლოგიური, ისე სინტაქსური თვალსაზრისით ისეთივე როლს ასრულებს, როგორც მარტივფუძიანი სიტყვა. ეს ფაქტი გადამწყვეტი მნიშვნელობისაა კომპოზიტის დაწერილობის საკითხის გადასაჭრელად.

გამყრელიძე, ნიკოლეიშვილი, 1993 — ა. გამყრელიძე, ნიკოლეიშვილი, ფსიქიატრიული ენციკლოპედია, თბ., 1993.

გოგოლაური, 2001 — თ. გოგოლაური, საუბრები ლიტერატურასა და მედიცინაზე (პირველი გამოცემა), თბ., 2001.

ზექალაშვილი, 2000 — რ. ზექალაშვილი, ქართული ენა და სამედიცინო ტერმინოლოგიის საკითხები, თბ., 2000.

თანამედროვე სალიტერატურო ენის ნორმები, I კრებული, თბ., 1986.

თოფურია, 1983 — ვ. თოფურია, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი V, თბ., 1983.

კვაჭაძე, გელოვანი, 1995 — თ. კვაჭაძე, მ. გელოვანი, ბავშვთა დაავადებები, ტ. I, თბ., 1995.

კვაჭაძე, გელოვანი, 1995 — თ. კვაჭაძე, მ. გელოვანი, ბავშვთა დაავადებები, ტ. II, თბ., 1995.

პედიატრიული ნევროლოგია, ახალშობილთა ნევროლოგიური დაავადებები, თბ., 2001.

ტატიშვილი, სიმონია, 2000 — ნ. ტატიშვილი, გ. სიმონია, შინაგანი სნეულებანი. საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., 2000.

დამბაშიძე, 1972 — რ. დამბაშიძე, ტერმინოლოგიური მუშაობა საქართველოში. წიგნში: „ქართული სიტყვის კულტურის საკითხები“, თბ., 1972.

შანიძე, 1979 — ა. შანიძე, წესები კომპოზიტების დაწერისათვის (პროექტი), წიგნში: „სალიტერატურო ქართულის საჭირობო როტო საკითხები“. თბ., 1979.

შანიძე, 1980 — ა. შანიძე, თხზულებანი, ტ. III, თბ., 1980.

შოთაძე, ციციშვილი, 1988 — ფ. შოთაძე, ი. ციციშვილი, პედიატრიული ფარმაცოთერაპია, თბ., 1988.

ძიძიგური, 1982 — შ. ძიძიგური, საენათმეცნიერო საუბრები, თბ., 1982.

ლექსიკონები

სულხან-საბა ორბელიანი, „ლექსიკონი ქართული“, ტ. I, თბ., 1991.

სულხან-საბა ორბელიანი, „ლექსიკონი ქართული“, ტ. II, თბ., 1993.

უცხო სიტყვათა ლექსიკონი, შედგენილი მ. ჭაბაშვილის მიერ, მესამე შესწორებული გამოცემა, თბ., 1989.

ლათინურ-ქართული ლექსიკონი, შედგენილი სიმ. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1961.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (ერთტომეული), თბ., 1986.

თოფურია ვ., გიგინეიშვილი ი., ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, მეორე შეესებული გამოცემა, თბ., 1998.*

გამყრელიძე ა., ნიკოლაიშვილი მ., ფსიქიატრიული ენციკლოპედია, თბ., 1999.

TSITSINO KIRIA

The Spelling of Compound Medical terms in Georgian

Summary

The Georgian medical terminology is abundant in compound terms. The spelling of compound terms as well as many other terminological problems should be normalized. The question is that most of the medical terms are of foreign (mainly of Greek or Latin) origin. The paper suggests that general spelling rules for Georgian compounds should be applied to compound medical terms.

მეფა სალმანი

ნასესხები ლექსიკა სვანურ ენაში

სვანური ენა, მიუხედავად იმისა, რომ უმწერლობო ენაა, საკმაოდ მდიდარია რელიგიური ლექსიკური ერთეულებით, რომელთა ძირითადი მარაგი საერთო-ქართველურიდან მომდინარეობს.

როგორც ცნობილია, ესა თუ ის ენა მარტოოდენ თავისი საკუთარი მასალით არ კმაყოფილდება. ისტორიული განვითარების სხვადასხვა საფეხურზე მასში მეტნაკლები პროპორციით იჭრება უცხოური ენის ლექსიკური ელემენტები (ძიძიგური, 1960, 41): რა თქმა უნდა, ამ პროცესს ვერ ასცდებოდა ვერც უმწერლობო სვანური ენა.

როგორც აკად. ვარლამ თოფურია აღნიშნავდა, „სესხება გამოწვეულია იმ ეკონომიკურ-კულტურული ურთიერთობით, რომელიც სვანებს ჰქონდათ ჩრდილო კავკასიის მოსახლეობასთან (ჩერქეზ-ყაბარდოელებთან, აფხაზებთან, ბალყარელებთან და სხვ.). ზანებთან ტომობრივი და სახელმწიფოებრივი კავშირი ხომ ისტორიულია და მათი გავლენაც ძლიერია! ქართულის განსაკუთრებული გავლენა ჩანს ქვემო სვანურსა და ბალსხემოურზე, მეგრულისა — ბალსქვემოურზე. ზანურის ფენა მთელ სვანურში გამჯდარია. გარდა ამისა, ჩერქეზულის გრამატიკულ-ლექსიკური ფენაც გამოვლენილია სვანურში. შეიმჩნევა აფხაზურისა და სომხურის გავლენის კვალი. ამ მხრივ სვანური ლექსიკა სუბსტრატისა და სესხების შესასწავლად ხელშესახებ მასალას იძლევა. გავლენა და სესხება ამჟამად უფრო ძლიერია. მასში შედის საზოგადოებრივი ურთიერთობის, ეკონომიკური, ტექნიკური და საერთოდ კულტურის დარგის სიტყვები და ტერმინები, მაგრამ ექვემდებარება ფონეტიკურ-გრამატიკულ ნორმებს (თოფურია, 2002, 214).

სიტყვის სესხება ერთი ენიდან მეორეში სხვადასხვა გზით ხდება, რაც ხშირად განაპირობებს ერთი და იმავე ლექსემის ნაირგვარი ფონეტიკური ვარიანტით დამკვიდრებას. ამ პროცესს ზოგჯერ თან სდევს მნიშვნელობის ცვლა. ნასესხები სიტყვა მსესხებელი ენის

კუთვნილება ხდება და, ბუნებრივია, სიტყვაწარმოების ჩვეულებრივ წესებს ექვემდებარება.

სვანურში მოქმედმა მრავალგვარმა ფონეტიკურმა პროცესმა (პალატალური, ლაბიალური და ველარული უმლაუტი, ხმოვანთა საკომპენსაციო სიგრძე, რედუქცია, აუსლაუტის გამარტივება, სპირანტიზაცია, აფრიკატიზაცია, დისიმილაციური გამჟღერება და სხვ.), რომლებიც ხორციელდებოდა სხვადასხვა ქრონოლოგიურ დონეზე, საგრძნობლად შეცვალა სესხების გზით სვანურში შესული ლექსიკა, რამაც განაპირობა ამ ლექსიკურ ერთეულთა საკუთარ ყალიბში მოქცევა.

ამჟერად ჩვენ განვიხილავთ ქრისტიანობასთან ერთად სვანურში შესულ რამდენიმე რელიგიურ ლექსემას, კერძოდ, წმინდანთა სახელწოდებებს:

1. **იჟან ნათგმცემელ (ბზ.) / ნათგმცეჟელ (ლატ.) / ნაცემულ (ბქ.)** < ქართ. იოანე ნათლისმცემელი.¹

აღნიშნული ლექსემა სვანურში, როგორც ჩანს, ქართულიდანაა ნასესხები, რომელიც მხოლოდ ფონეტიკურად შეცვლილა, სემანტიკურად კი — არა; სვანური ენის დიალექტებსა და კილოკავებში მისი ხმარების შემთხვევები ასეთია:

ბ ა ლ ს ზ ე მ ო უ რ ი

აშხუ ლადლ ანდრიხ ესნარ **ჯგვრწ, იჟან ნათგმცემელ** ი მიქმ თარინგჷელ... (ლენჯ., სვ. ქრესტ., 1978, 90) — ერთ დღეს მოდიან თურმე წმინდა გიორგი, იოანე ნათლისმცემელი და მიქაელ მთავარანგელოზი.

ბ ა ლ ს ქ ე მ ო უ რ ი

მინს ცაჷრია || ცაღრია² **ნაცემულიშ** ლაჷჷმიხენქა... მწ ლაგო-
ჯათეჷ ყოთხჷმადხ (ნაკრ.)³ — მათ ცაღერის ნათლისმცემლის ეკ-
ლესიიდან („სალოცავიდან“) ყველაფერი („ყველა“) ლაგოჯაზე აუტა-
ნიათ.

¹ დიდი ქრისტიანული წმინდანი, „წინამორბედად“ წოდებული.

² ცაღერ სოფელია ნაკრაში, სადაც აშენებულია იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესია.

³ ბალსქემოური ილუსტრაციები მოყვანილია ჩემ მიერ სოფელ ნაკრაში ჩაწერილი ტექსტებიდან.

ეგის ხაუხა **ნაცემულ** ცვლირში (ნაკრ.) — იმას ჰქვია ნათლის-
მცემელი ცალერისა.

სვანურ პუბლიკაციებში საანალიზო ლექსემა ბალსქვემოურსა
და ქვემოსვანურ დიალექტებში არ დადასტურდა, მაგრამ ეს იმას არ
ნიშნავს, რომ ის უცხოა დასახელებული მეტყველებისთვის.

სვანურს, როგორც ცნობილია, ახასიათებს ფუძის აბსოლუტურ
ბოლოში ხმოვნის მოკვეცა, მოკვეცილი პალატალური ხმოვანი კი
კვალს ტოვებს უმლაუტის სახით (მარი, შანიძე, თოფურია, ჟღენტი,
ქალდანი, გიგინეიშვილი); სწორედ ეს ვითარება გვაქვს ზემოაღნიშ-
ნული სინტაგმის პირველ ნაწილში **იჟან**; ქართულიდან ბერძნული
ლექსემის სესხების დროს ბოლოკიდური **ე** ხმოვანი დაიკარგა, რამაც
გამოიწვია წინამავალი **ა** ხმოვნის გაუმლაუტება: ბზ. **იჟან** < *
იოან < **იოანე**. ამავე ლექსემაში გამოვლენილი წყვილბაგისმიერი -
ჟ-ლაბიალური -**ო**- ხმოვნის ნარედუქციალია.

ქართველური წარმომავლობის რელიგიურ ტერმინს **ნათგმცე-
მელ** ქართულში, ანუ გამსესხებელ ენაში, შეესაბამება ერთცნებიანი
კომპოზიტი „ნა-თ-ლ-ი-ს-მ-ც-ემ-ელ-ი“, რომელიც გარკვეული სინტაგ-
მიდან („ნათლის მცემელი“) მომდინარეობს, ის შედგება მხოლოდითი
რიცხვის ნათესაობით ბრუნვაში დასმული არსებითი სახელისა და
მ-ელ პრეფიქს-სუფიქსით ნაწარმოები მოქმედებითი გვარის მიმ-
ღეობისაგან. ამ რთული სიტყვის კომპონენტები, წარმოშობის თვალ-
საზრისით, ერთმანეთის მიმართ მსაზღვრელ-საზღვრულია. მსაზღვრე-
ლი არის ნათესაობით ბრუნვაში მართული სახელი, რომლის მო-
რფეშული ელემენტი -**იშ** სვანური ენის ყველა ზემოაღნიშნულ ფორ-
მაში დაკარგულია. საერთო წესის თანახმად, მსაზღვრელის ბრუნვის
მორფემის მხოლოდ თანხმოვნითი ელემენტი (-**შ**) უნდა დაკარგუ-
ლიყო ბალსზემოურ დიალექტში, გვაქვს კი სრული დაკარგვა, ხოლო
ბალსქვემოურში -**იშ** მთლიანად უნდა ყოფილიყო დაცული.

საანალიზო ლექსემის პირველ ნაწილში, ბალსზემოურ დია-
ლექტში, ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის გარდა, დაკარგულია ფუძი-
სეული -**ელ** ელემენტიც, რომელმაც, როგორც ჩანს, კვალი დატოვა
უმლაუტის სახით (**ნათგმცემელ**). მაგრამ იგივე ლექსემა პალატალი-
ზებული **ა** ხმოვნის გარეშეა წარმოდგენილი ბალსზემოურის დიალექ-
ტის პალატალურ კილოკავში (**ნათგმცემელ**).

ბალსქვემოური ფორმაც უმლაუტიანი ხმოვნით გვევლინება
(**ნაცემულ**). ქართული კომპოზიტი ძალზე გაცვეთილი სახითაა წარ-
მოდგენილი თანამედროვე ბალსქვემოურ მეტყველებაში; ვფიქრობთ,



რომ მას საკმაოდ რთულ ფონოლოგიურ გარდაქმნათა გზა უნდა გაეგო: ქართ. ნა-თ-ლ-ი-ს-მ-ც-ემ-ელ-ი > სვან. *ნა-თ-ლ-ის-მ-ც-ემ-ულ > *ნა-თ-ლ-ის-ც-ემ-ულ > *ნა-თ-ლ-ი-ც-ემ-ულ > *ნა-თ-ლ-ც-ემ-ულ > *ნა-თ-ც-ემ-ულ > ნა-ცემულ.

ამ რთული სიტყვის (ბზ. ნათგმცემელ, ლატ. ნათგმცეშელ) ინლაუტში წარმოდგენილია ანაბტიქსური გ ხმოვანი ბალსზემოთურ დიალექტში, ხოლო ბალსქვემოთურ ნა-ცემულ ფორმაში თანხმოვან-თვაძყარი არ გვაქვს, რადგანაც ამის საჭიროება არ იგრძნობა.

რაც შეეხება საანალიზო ლექსემის მეორე ნაწილს (ბზ. მცემელ, ლატ. მცეშელ, ნაქრ. ცემულ), იქ, როგორც წესი, სახელობითი ბრუნვის ნიშანი ზემოდასახელებულ ყველა ფორმაში დაკარგულია. ლატალურში რთული სიტყვის კომპონენტებს შორის არსებული -ნ- თანხმოვანი (ნათგმცეშელ) შესაძლოა ნათესაობითი ბრუნვის არქაული -ინ- მორფემის ნაშთიც იყოს. საანალიზო ფუძის ფონეტიკური ტრანსფორმაცია შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგი სახით: ქართ. ნა-თ-ლ-ის-მ-ც-ემ-ელ-ი > სვან. *ნა-თ-ლ-ის-მ-ც-ემ-ულ > *ნა-თ-ლ-ინ-მ-ც-ემ-ულ > სვან. *ნა-თ-ინ-მ-ც-ემ-ულ > ნა-თ-გნ-მ-ც-ემ-ულ.

იმავსე ლექსემის ლატარულ ვარიანტში მ სონორის ნაცვლად წყვილბაგისმიერი -ჟ- გვაქვს: მ/ჟ ალბათ თანხმოვანთსუბსტიტუცი-აა, ხოლო ბალსქვემოთურ ფორმაში (ნა-ცემულ) გამოვლენილი -უ- მომდინარეობს -ე- ხმოვნისაგან წინაშეაღალ სონორ მ/სთან ასიმილაციის გზით.

2. ძან/ძან < ქართ. იონა წინასწარმეტყველი.

სვანთა წარმოდგენით, ძან/ძან არის ფეტვის მოსავლის ავკარგი-ანობის ღვთაება. ამასთანავე, მას მიაწერენ თვალთა შუქის მინიჭება-დაკლების, თვალძს ტყვილით დაავადებისა და, აგრეთვე, განკურნების უნარსაც.

ძან/ძან ქართული ენიდან შესული იონა ფორმის ფონეტიკურად სახეცვლილი ვარიანტია, რომელიც ზემოსვანურის დიალექტებსა და კილოკავებში ასეთი სახით გვხვდება:

ბ ა ლ ს ზ ე მ ო უ რ ი

თერლე მეშმედაღ ხეჟანნ ძან ლატლიშ (ლენჯ., სვ. ქრესტ. 1978, 21) — თვალების მაშველად („შმველელი“) მიაჩნდათ („ეგონათ“) იონა ლატალისა“.

ალ ლაგუმის ხაზენა **დან** (ფარ.) — ამ ეკლესიას („სალოცავს“) პრქმეგია იონა.

როგორც ვხედავთ, **დან/დან** წმინდა იონა წინასწარმეტყველის სახელობის ტაძრის სახელწოდებადაც გვხვდება სვანურში, მაგ. ლატ. **დან ლატლიშ**, ჩუბეხ., ლახ. **დან ლატლიაშ** — იონა ლატალისა“.

აღნიშნულ ლექსემაში (**დან/დან**) ძირეული ა ხმოვნის უმლაუტი გასარკვევია, რადგანაც „სვანურ საკუთარ სახელთა ბოლოკიდურ დახურულ მარცვალში ა, ო, უ ხმოვნები უმლაუტს არ განიცდიან (ჭუმბურიძე, 1964, 154), რადგანაც ისინი, როგორც საკუთარი სახელები, სახელობით ბრუნვაში არ დაირთავდნენ -ი ან -ე მორფემებს (შდრ. ძველი ქართულის ვითარება — საკუთარ სახელთა გაუფორმებლობა სახელობით, მოთხრობით და წოდებით ბრუნვებში), თუმცა გამონაკლისის სახით მაინც გვხვდება მცირერიცხოვანი მაგალითები, რომლებიც საპირისპირო სურათს გვიჩვენებენ. პროფ. ზურაბ ჭუმბურიძის აზრით, ამგვარ სახელთა ერთ ნაწილში უმლაუტი გამოწვეულია ფუძისეული **ი** ხმოვნის გავლენით, რომელიც ამჟამად გაუჩინარებულია (მაგ.: **აფთანდ** ← აფთანდილ, **თინათ** ← თინათინ, **გიერგ** ← გიორგი), მაგრამ, როგორც წესი, **ი** ხმოვანი სვანურში მაშინაც იწვევს წინამავალი ა ხმოვნის უმლაუტს, როცა დაცულია, მაგ.: **პლი, ბაღრი, დაჭი, თაში** და სხვ. (ჭუმბურიძე, 1964, 155). ავტორი ვარაუდობს, რომ ეს მცირერიცხოვანი მაგალითები მეორეულ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ (იქვე, გვ. 156).

როგორც ცნობილია, ისტორიულად სვანურს აუსლაუტში ხმოვნის მოკვეცა ახასიათებდა, რის გამოც ხმოვანფუძიან საზოგადო სახელთა რიცხვი ძალზე მცირეა. „ანთროპონიმები ამ მხრივ განსხვავებულ სურათს გვიჩვენებენ — რაოდენობრივად ხმოვანფუძიანი საკუთარი სახელები ჭარბობს თანხმოვანფუძიანს“ (მარგიანი, 1998, 16), ამათგან თანამედროვე სვანურში ყველაზე მრავალრიცხოვანია -ი-ზე დაბოლოებული ანთროპონიმები, რომელთა დიდი ნაწილი უმლაუტიანია: **სარქი, ბასლი, პჩი, ჯახი, პბი, თაშბი, მაცგი, მაზი, პნთი, დაფი, გაში, პარასკი, ხაშკი, ჩაგი, ჩასი, ქაში, ნაჭი, მაძი, ხაბჯი...** (მარგიანი, 21), უმლაუტის გამომწვევი მიზეზი ჯერჯერობით დაუდგენელია; იქნებ სხვა უმლაუტიან (საზოგადო) სახელთა გავლენის შედეგია?

ჩვენი ვარაუდით, საანალიზო ლექსემის პირველადი ფორმა უნ-



და ყოფილიყო **იონაჲ** (ამ ქრისტიანული ტერმინის სესხების ეპოქაში ანთროპონიმები, ალბათ, უკვე დაირთავდნენ სახელობითი ბრუნვის მორფემას საზოგადო სახელთა ანალოგიით), რომლისგანაც მივიღეთ სვანური **ძან/ძან** ფორმა; როგორც ჩანს, ჯერ ბოლოკიდური ი ხმოვნის გავლენით წინამავალმა **ონ** განიცადა პალატალიზაცია (***იონ**), შემდეგ ეს **ი** დაიშალა **ჟე** კომპლექსად (***იჟენ**) (შდრ.: ზს. **გაბჟ** < ლნტ. **გჟებ** < ლშხ. **გობ** < ქართ. გობ-ი; ზს., ლნტ. **თაკჟ** < ლშხ. **თეკჟ** < ***თჟეკ** < ქართ. თოკ-ი და ა.შ., ქალდანი, 1969, 78), ამის შემდეგ **ჟე** კომპლექსის პირველი კომპონენტი **ჟ** დიკარგა (***იენ**), ნაუშლაუტარი **ე** ხმოვანი კი **ჲ** იქცა (ამას გვავარაუდებინებს, ერთი მხრივ, ტოპონიმი **ენაჲ**⁴ < ქართ. იონა-ის-**ა** და, მეორე მხრივ, დღესასწაულის სახელდებისათვის გამოყენებული ტერმინები: ზს. **ძა/ნაჲ**, ქს. **ენაჲ** < ქართ. იონა-ის-**ა**, ბარდაველიძე, 1939, 188); უშლაუტიზებული **ჲ** ხმოვნის წინამავალი **ი**, ბუნებრივია, დასუსტდა და მივიღეთ **ჲ** (**ძან**), რომელიც სვანური ენისთვის ჩვეულებრივი აღმავალი დიფთონგის (განსხვავებით ქართულისაგან) კომპონენტია. ამის არაერთი მაგალითი გვაქვს სვანურში (შდრ.: **ძარან** < ქართ. იარან-ი, **ძან** < ქართ. იაფ-ი და სხვ.).

ფონეტიკური პროცესები, რომლებიც საანალიზო ლექსემამ (**ძან/ძან**) სვანურში სესხების პროცესში განიცადა, ასეთნაირად შეიძლება წარმოვიდგინოთ: **ძან** < **ძან** < ***ენ** < ***იჟენ** < ***იონ** < ქართ. იონაჲ (თუმცა ერთი სუსტი ადგილი მაინც აქვს ჩვენს ვარაუდს — სახელობითი ბრუნვის მორფემას, რომელიც პალატალურ ხმოვანს წარმოადგენდა, გავლენის მოხდენა, უპირველეს ყოვლისა, უშუალოდ მის წინა პოზიციაში მდებარე **ა** ხმოვანზე შეეძლო).

დიალექტებში ერთმანეთის პარალელურად იხმარება უშლაუტიანი და უშლაუტო ფორმები (**ძან/ძან**).

ასევე ქართული **იონა** ფორმისგანაა ნაწარმოები ბალსქვემო სვანეთში, კერძოდ, სოფელ ფარში, დაფიქსირებული რელიგიური შინაარსის ამსახველი ტოპონიმი (**ინაჲ** < ქართ. იონა-ის-**ა**, რომელიც არის ნაგენეტივარი წარმოებისა. ამ უკანასკნელში ფონეტიკური პროცესები კიდევ უფრო შორს წასულა და აუსლაუტის ხმოვანთან

⁴ სოფელია ზემო სვანეთში, ლატალის თემში, სადაც აშენებულია იონა წინასწარმეტყველის სახელობის ეკლესია.

⁵ ახალი წლის ციკლის დღეობა; განკუთვნილი იყო ფეტვის მოსავლიანობისათვის და თვალის ტკივილის საწინააღმდეგოდ. ბალსქვემოურ დიალექტში **ძანობ** („იონობა“) ფორმაც დასტურდება.



ერთად ძირისეული **ო** ხმოვნის რედუქციაც მომხდარა.

„სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდრის“ მიხედვით, **მანაშ** („იონობა“) რელიგიური დღეობაა, ზემო სვანეთში არსებული, მაგრამ თითქმის გამქრალი, რომელსაც 9(22) დეკემბერს უქმობდნენ. ჩუბნეური მასალის საფუძველზე მას **ფენშიერი** ეწოდებოდა. „**მანაშ** დღეს დიასახლისი გამოაცხოდა ყველიან ან უბრალო შესაწირავ კვერებს, რომლებსაც სვანურად **ლემშირები** ეწოდებოდა და მათ **იანს** შეავედრებდნენ. **ფენშიერს** უქმობდნენ განსაკუთრებით ქალები. ხალხში შემონახული გადმოცემის მიხედვით, უქმე დაწესებული იყო ფეტვის მოსავლის დასაბეგებლად“ (აბაკელია, ალავერდაშვილი, ლამბაშიძე, 1991, 8-9).

პროფ. ვერა ბარდაველიძის მოსაზრების თანახმად, **მან დეცეშ**-ის კულტი დაკავშირებულია იონა წინასწარმეტყველთან, რომელიც ფეტვის მოსავლიანობის ღვთაებად არის მიჩნეული (ბარდაველიძე, 1995), ხოლო სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული სხვა მოსაზრების მიხედვით, **მან დეცეშ**-ი, ფუნქციონალური და ეტიმოლოგიური თვალსაზრისით, იგივე მართალი ანაა, **ფენშიერ**-ი კი — მისდამი მიძღვნილი დღეობა, რომელიც სვანეთში სპორადული სახით შემორჩენილია (აბაკელია, ალავერდაშვილი, ლამბაშიძე, 9).

ზემოდასახელებული მკვლევარების აზრთა სხვადასხვაობა არსებული საკითხის ირგვლივ, ვფიქრობთ, საკმაოდ პრობლემატურია. გასარკვევია, **მან/მან** ლექსემა ქართულ **იონა** საგან მომდინარეობს თუ ქართულ **ანა** საგან? **მან/მან** ფუძის დაკავშირება ორივე ლექსემასთან შესაძლებელია ფონეტიკური თვალსაზრისით, ხოლო კალენდარული ნიშნით მისი დაახლოება ბუნებრივი ჩანს მართალ ანასთან.⁶ ამასთანავე, **მან/მან** ლექსემას მკურნალის ფუნქციაც აკავშირებს ამ უკანასკნელთან, მაგრამ ზემო სვანეთში, კერძოდ, სოფელ ლატალში, იენაშში აშენებული ეკლესია იონა წინასწარმეტყველის სახელს ატარებს, რაც **მან/მან** ფორმის **ანა** საგან მომდინარეობას ეჭვის ქვეშ აყენებს.

როგორც ჩანს, სვანეთში, დროთა განმავლობაში წმინდანთა სახელების ერთმანეთში აღრევა მოხდა.

3. **ელმა/მელია** (ზს., ლნტ.) /**მელი** (ზს., ქს.) /**მელ/მელ** (ბზ.), /**მელია** (ლშზ.) /**ელია** (ლნტ.) < ქართ. წმინდა ელია.⁷

⁶ 9(22) დეკემბერი ქრისტიანულ ტრადიციაში ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მართალი ანასაგან მუცლადღების დღედ ითვლება.

⁷ ძველი და ახალი აღთქმის ერთ-ერთი თვალსაჩინო წინასწარმეტყველი.

აღნიშნული ლექსებშიც ქართულიდან შეთვისებული ჩანს და სვამს
ნური ენის ყველა დიალექტში იხმარება:

ბ ა ლ ზ ე მ ო უ რ ი

... ბუბნიდ... რაქტე: „...**მელ**, იმ ესერ იჩო?“ (ლენჯ., სვ. პროზ.
ტ. I, 1939, 20) — ბუბნიმ თქვა: „ელიაგ, რას („რასო“) აკეთებო
„იქმს“)?

გუშლამანობურნ სოფელ **მელსი** ხემზირ (ლენჯ., სვ. ქრესტ.,
1978, 32) — გვალვის („გვალვიანობაზე“) დროს სოფელი ელიასაც
ევდრება („ეზორება“).

ზედაშს ი ფუტუნარს ჟი ხუშაზგრიდ **ელს** (ლენჯ., იქვე, 7) — ზე-
დაშეს და ვაცებს შეგავდრებთ („ზე ვზორავთ“) ელიას.

ტაბგარე ლინალწლდ პარაჟს ჟი ხამზგრდახ **ელს**... (მესტ., 14)
— სუფერების („ტაბლების“) დადგამდე („დადგამდ“) არყით ევდრე-
ბოდნენ („არაჟს ზე უზორავდნენ“) უფროსები ელიას.

ბ ა ლ ს ქ ე ე მ ო უ რ ი

მიედ ხაქტე [ნალუჟურს]: „...ეჩანლუჟესერ **მელი** ხოჯდე
ხარჯს...“ (ბეჩ., სვ. ქრესტ., 1978, 219) — მზემ უთხრა ბიჭს („ნავა-
ჟეს“): „მერე („მერეო“) ელია მოგიტანსო („მოუტანს“) საჭმელს
„ხარჯს“).

ნებოზთე **მელიდ** ოხვიდ ლეზუბ [ნალუჟურს] (ბეჩ., იქვე) —
საღამოსკენ ელიამ მოუტანა საჭმელი ბიჭს („ნავაჟეს“).


ლ ე ნ ტ ე ხ უ რ ი

წმინდა **ელია** ლი თერაზლოგგენე ანგელოზ (ცხუმ., სვ. პროზ.
ტ. III, 1967, 79) — წმინდა ელია არის ბრმა („თვალეზმდგარი“) ან-
გელოზი.

მი ხუი ღერბეთ, წმიდა **ელია** (გულ., იქვე, 220) — მე ვარ ღმე-
რთი, წმინდა ელია.

შომას სკარხალ ჯედენდა, შუანარ ეჯის წმინდა **ელიას**
ხაბრალდახ (ცხუმ., იქვე, 78) — როცა სეტყვა მოდიოდა, სვანები
იმას წმინდა ელიას აბრალდებდნენ.

„ქართულ ხალხურ დღეობათა კალენდარი“ 20(2) ივლისის ტაროსის განმგებლის —
ელიას ან ელია-ზაქარიას სახელობის დღეობა აღინიშნება, ხოლო საეკლესიო კალენ-
დრის მიხედვით, ამ დღეს მოიხსენიება ილია წინასწარმეტყველი.



[უბერიოდ] წმიდა ელია ჩუქთან ადნახ (გულ., იქვე, 220) უბერიომ წმინდა ელია ქვეშ მოიტნია.

როგორც მასალიდან ჩანს, ქართულიდან ნასესხები წმინდანის სახელწოდება სვანური ენის დიალექტებსა და კილოკავებში რამდენიმე ფორმით გვხვდება, თუმცა სვანურისათვის დამახასიათებელი ფონეტიკური პროცესები აქ ნაკლებად ხელშესახებიია.

მელია/მელი/მელ ფორმების თავიჯიღურ პოზიციაში **მ**-ს გაჩენა სვანურში, როგორც ჩანს, მახვილის შედეგია, რომელმაც ხელი შეუწყო **მე** დიფთონგოიდის წარმოშობას (ქლენტი, 1949, 111).

მელი/მელ/ელ ფორმებში ბოლოკიდური ხმოვნები მოკვეცილია. აუსლაუტის ხმოვნების მოკვეცამ, როგორც ეს მასალიდან ჩანს, თავისი კვალი არ დატოვა, საკომპენსაციოდ მოსალოდნელი იყო წინამავალი **ე**-ს დაგრძელება.

უმლაუტიანი ფორმები შეგვხვდა მხოლოდ ლენტეხურ დიალექტში (**ელია**), სადაც შედარებით გვიანდელი ასიმილაციის გამოშვები მიზეზი უნდა იყოს სახელობითი ბრუნვის მორფემა -ი ან -ე.

განსხვავებული ვითარება გვაქვს მაშინ, როცა საანალიზო ლექსემა სინტაგმის წევრია, კერძოდ, მსაზღვრელის ბოლოკიდური ა ხმოვანი ყოველთვის უმლაუტიანია ზემოსვანურსა და ლენტეხურ დიალექტებში, ხოლო ლაშხურში, რომელმაც უმლაუტი არ იცის, აუსლაუტში სიგრძე გვაქვს: ბზ. **მელმა სუიფ** — „წმინდა ელიას მოედანი“, ბზ. **მელია მარე** — „წმინდა ელიას კაცი“, ბზ. **მელმა განზარ** — „წმინდა ელიას ნაწილები“, შდრ.: ბქ. **მელი დეცეშ** — „წმინდა ელია ცისა“, ზს., ლნტ. **ელმა-მგლამ / მელმა-მგლამ**, ბქ. **ელაშ-მგლამ**, ლშხ. **მელია-მგლამ** — „წმინდა ელიას ალი, ცეცხლი“.

ელია წინასწარმეტყველის სახელთან არის დაკავშირებული სვანეთში დღემდე ცოცხალი რელიგიური დღესასწაული **მ-ელია-ობ** (ბზ.) / **მ-ელი-ობ** (ბქ., ქს.) / **მ-ელი-ობ** / **ელი-ობ** (ბქ.), რომელიც ქართულში „ელიაობა“ (|| ილიაობა) ფორმით არის ცნობილი.

სვანური **ელმა/მელია/მელ/მელია/ელია** ფონეტიკურადაც და სემანტიკურადაც ქართული „ელია“ ფორმის იდენტურია.

როგორც მასალის ანალიზმა გვიჩვენა, წმინდანთა სახელწოდებებში წარმოდგენილი ფუძეები ქართულია, ხოლო, როცა იმავე მნიშვნელობის გამომხატველი სიტყვები დამოუკიდებლად იხმარება, მაშინ, ჩვეულებრივ, სვანური ძირი გვხვდება ხოლმე (შდრ.: **ნა-თ-გ-მ-ც-ემ-ელ**, ერთი მხრივ, და **რგჷ-ი, ნა-რჷ-ი** — „ნათელი“, ლიყერ,

ლიტეცია — „ცემა“, „დარტემა“, მეორე მხრივ).

ამრიგად, კიდევ ერთხელ შეიძლება აღინიშნოს, რომ რელიგიური ტერმინთა უმეტესი ნაწილი სვანურში ნასესხებია ქართულიდან. რაკი სვანური უმწერლობო ენაა, ნასესხებ სიტყვათა ქრონოლოგიური საზღვრების დადგენას ყოველთვის ვერ ვახერხებთ. ამ თვალსაზრისით ძალზე საყურადღებოა — დაფიქსირებულია თუ არა ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში ან ძველ ხალხურ სვანურ სიმღერებში ესა თუ ის ლექსემა. ასეთ შემთხვევებში, ცხადია, შედარებით არქაულ ნასესხობასთან გვექნება საქმე.

ლიტერატურა

აბაკელია, ალავერდაშვილი, ღამბაშიძე 1991 — ნ. აბაკელია, ქ. ალავერდაშვილი, ნ. ღამბაშიძე, ქართულ ხალხურ დღეობათა კალენდარი, თბ., 1991.

ბარდაველიძე, 1939 — ვ. ბარდაველიძე, სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი, თბ., 1939.

თოფურია, 2002 — ვ. თოფურია, შრომები, II, თბ., 2002.

მარგიანი, 1998 — ქ. მარგიანი, სვანური ონომასტიკა, დისერტაცია, თბ., 1998.

ჟღენტი, 1949 — ს. ჟღენტი, სვანური ენის ფონეტიკის ძირითადი საკითხები, თბ., 1949.

სვ. ენის ქრესტ. 1978 — სვანური ენის ქრესტომათია, ტექსტები შეკრიბეს ა. შანიძემ, მ. ქალდანმა და ზ. ჭუმბურიძემ, თბ., 1978.

სვ. პროზ. ტ. 1939 — სვანური პროზაული ტექსტები, I, ბალსწვმოური კილო, ტექსტები შეკრიბეს ა. შანიძემ და ვ. თოფურიამ, თბ., 1939.

სვ. პროზ. ტ. 1967 — სვანური პროზაული ტექსტები, III, ლენტეხური კილო, ტექსტები შეკრიბეს და რედაქცია გაუკეთეს ვ. თოფურიამ და მ. ქალდანმა, თბ., 1967.

ქალდანი, 1969 — მ. ქალდანი, სვანური ენის ფონეტიკა, I, უმაღლესი სისტემა სვანურში, თბ., 1969.

ძიძიგური, 1960 — შ. ძიძიგური, საენათმეცნიერო საუბრები, თბ., 1960.

MEDEA SAGHLIANI

Lexical Borrowings in Svan

Summary

Svan is quite rich in religious lexical units, the basic part of which is of common Kartvelian origin. The paper investigates a number of Christian lexemes viz.: the names of Christian saints:

1. Iúan Nätgmcemel (John the Baptist) (Upper Bal) / Nätgmcemul (Latalian) / Năcemul (Lower Bal) Joane Natlismcemeli (Georgian).

2. Jän/Jan → (Jonah the Prophet)

Iona çinasçarmetqveli (Georgian)

3. Elja / Jelja (Upper Svan — Lentekhian) Jeli (Upper Svan, Lower Svan) / Jel/el (Bal) / Jelja (Lashkhian) / Jelja (Lentekhian) Çninda Elia (Georgian)

The analysis has shown that the lexemes in question are Georgian borrowings.

ნარკვევები სწავლებაში

სხვა სიტყვის სამანტიკური ნიშანები სამხრულ-ქართულ დიალექტურ ზღვარის შემოღობვა და ლაზურში

ქართული ენის სამხრულ დიალექტურ ჯგუფებში — მაჭახ-
ლორსა და ლივანურში სიტყვა **სხვა** მნიშვნელობას იფარებდა და
სემანტიკურ ნიშანებთან ერთად ავლენს ფუნქციურ თავისებურე-
ბას.

ქვემოთ მოყვანილ ნიმუშებში **სხვა** აღნიშნავს „კიდევ, სხვა-
ჯერ“. იგი სახელობით ბრუნვაში მდგარი ასრულებს ზმნისართის
ფუნქციას:

„მაგას წვეყთან მე და სხუა არ ჩამტალ“ (ცინცაძე, 1998, გვ.
323).

„სხვა ნაქირნათევ(ს) (ნაქირნათევი სოფლის უბანია) არაა ჩა-
მოხვიდე?“ (იქვე, გვ. 332).

ნიშანდობლივია **სხვა** ლექსების გამოყენება დადამდა, გა-
თენდა ზმნებთან:

„ძროხები მოვდენ, დადამდა სხვა“ (ცინცაძე, ხელნაწ. ტექსტ.).

„ახლაც დადამდა-და სხვა“ (იქვე).

„გავათენეთ-და სხვა ლაბნაკში“ (იქვე).

მსგავს კონტექსტებში, ინფორმატორთა განმარტებით, **სხვა-უკვე**,
კიდევ.

სხვა სიტყვის თავისებურებას ეხებიან მ. ცინცაძე და მ. ფა-
ღავა წიგნში: „სამხრული დიალექტები და ქართული სამწერლობო
ენა (V-XVIII სს.)“. მასში მოყვანილ მასალას **სხვა** მასალებთან ერთად
ვიყენებთ ნაშრომში. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ მასალა ნაშრომი-
სათვის მოპოვებულია აჭარაში: გამოდგმა მაჭახლის ხეობასა და სოფ-
ლებში — მარადიდი და კირნათი. თუმცა შესაძლებელია ითქვას,
რომ აღნიშნული გამოკვლევა ასახავს მაჭახლისა და ლივანის ხეობა-
თა მეტყველების ვითარებას მთლიანობაში.

სხვა ლექსემა ზმნისართის ფუნქციით შესაძლებელია შე-
გვხვდეს ცალკე აღებული (როგორც ზემოთმოყვანილ ნიმუშებში) და

ერთი სიტყვასთან შეწყვილებული — სიტყვათშეხამების სახით: **ერთი სხვა**. ამასთან, მაჭახლურისაგან განსხვავებით, კირნათ-მარადიდულში უფრო გავრცელებულია სიტყვათშეხამების ფონეტიკური სახეცვლილი, შერწყმული ვარიანტი: **ერცხვა** < ერთსხვა < ერთი სხვა (ხმოვნის სინკოპე და თს-კომპლექსის აფრიკატიზაცია). ერთი სხვა||ერცხვა აღნიშნავს „ერთი კიდეგ, ერთხელ კიდეგ, სხვაჯერ“. კირნათ-მარადიდულში ყურში მოსახვედრია **ერცხვა** ლექსების ხშირი გამოყენება. ნიმუშები:

„ერცხვა მუუჯახუნა ვინცხამ“ (ცინცაძე, ხელნაწ. ტექსტ.).

„შენ რომ ჩემი ხათრი დეგეჰირა, ერთისხვა აღარ იტყოდი, ხომ (=ხომ) იმ მესელეს (=ამბავს)“ (ცინცაძე, 1998, 337).

„გავრძელებული ხიდი გატეხილია, არღა გააგძელო, დეინიშნევი — წეყვანე. გააგძელო — ეს ერცხვამდი იყოს, ასე იყოს, — არ იქნება“ (ჩგ. მას.).

„მასე რომ ებნევერ, ერცხვაზე მურადიმ გაჰყევანს ექიმი და შექნედავს იმ ექიმმა?“ (=მასე რომ ეუბნები, სხვა დროს მურადი გამოიყვანს ექიმს და შეგხედავს ის ექიმი?) (ჩგ. მას.).

„ერცხვა არ გეუგონო, „ქშია, თუ?“ (ამის მეტად არ გავიგონო, სტუმარს რომ ჰკითხო, „თუ გშიაო“) (ჩგ. მას.).

„ეს ომ მოუღდა, მასკან შიმეზარა და ერცხვაც არ გეგსულვარ“ (ჩგ. მას.).

როგორც მასალიდან ჩანს, **სხვა, ერცხვა** სინტაქსურად ზმნას მიემართება, ზმნით გამოხატულ მოქმედებას განსაზღვრავს ჯერობის მიხედვით, სტაბილურად სახელობით ბრუნვაში დგას ანუ ფორმაუცვლეულია. ე.ი. ხასიათდება ზმნისართის ყველა ნიშნით.

სხვა (ერთი სხვა||ერცხვა) ზმნისართი, თავისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, შეიძლება მიეკუთვნოთ ზომა-ოდენობისა და ჯერობის ზმნისართთა ჯგუფს. ტრადიციულად, ჯერობის ზმნისართები ერთიანდება ზომა-ოდენობის ზმნისართებთან. უფრო მასშტაბური დაჯგუფებისას კი ზომა-ოდენობისა და ჯერობის ზმნისართები შეაქვთ ვითარების ზმნისართთა (გარემოების) ჯგუფში. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ხშირად ჯერობის ზმნისართი მეტ სიახლოვეს იჩენს დროის ზმნისართთან. მაგალითად, ზმნისართი ერთხელ გვხვდება როგორც დროის გარემოების, ისე ჯერობის ზმნისართის ფუნქციით. ვფიქრობთ, მსგავსი პოლისემიურობა შეინიშნება სხვა||ერცხვა ზმნისართის შემთხვევაშიც. დროის ზმნისართის ფუნქციით გამოყენებისას მას შეუძლია დაირთოს თანდებულები: -მდის, -ზე (ერ-

ცხამდის, ერცხვაზე).

დროის გარემოების სემანტიკური განხილვისას მიუთითებენ რომ სხვა გარემოებათაგან განსხვავებით იგი განარჩევს ასპექტს: დროის გარემოებათა ნაწილი მოქმედებას წარმოადგენს, როგორც „მომენტობრივს“, ნაწილი კი — როგორც „დიურატიულს“. დიურატიულ ასპექტში ნაგარაუდევია მოქმედების გრძლიობის, პერიოდულობის, არაერთგზისობის ჩვენება. მხედველობაშია ზმნისართები: ჯერ კიდევ, ხშირად, ისევ, კვლავ (აფრიდონიძე, 1986, 42-44).

ამ კუთხით თუ მივუდგებით, სხვა ზმნისართი, მიუთითებს რა მოქმედების განმეორებითობაზე, დიურატიული ასპექტისა გამოდის. საკუთრივ სხვასა და ერცხვას შორის ის განსხვავებაა, რომ ერცხვა-ში განმეორებითობა შეზღუდულია, მოქმედების მხოლოდ ერთჯერადი განმეორებაა მითითებული.

საინტერესოა, რომ სხვა ლექსემას ანალოგიური სემანტიკურ-ფუნქციური თავისებურება უდასტურდება ჭანურში: ჩქვა აქ, გარდა ცნობილი მნიშვნელობისა, აღნიშნავს „კიდევ, უკვე“. ამის შესახებ მითითებული აქვს ნ. მარს, ხოლო უფრო დეტალურად არნ. ჩიქობავას (მარი, 1910, 212; ჩიქობავა, 1938, 246). ნიმუშები: „არ ჩქვა უნკაპერენ დო იმტერენ“ (ერთხელ კიდევ გარბენილა და გაქცეულა). შდრ.: „არ ჩქვა კოჩი ხოლო ქომოხთუ“ (სხვა ერთი კაცი კიდევ მოვიდა). ნაწილაკის ფუნქციით: „დივუ ჩქვა“ (გათავდა უკვე) (ჩიქობავა, 1938, 246).

ჩვენი მხრივ, შეგვიძლია დავამატოთ ფილოლ. მეცნ. კანდიდატ მ. მემიშიშთან და ბათუმის ნ. ბერძენიშვილის სახ. სამეცნ.-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელთან ც. ნარაიციძესთან დაზუსტებული ინფორმაცია, რომ ჭანურში ფეხმოკიდებულია თურქულენოვანი ნასესხობა ბაშკა (baška) რომელიც ენაცვლება ქართველურ ფუძეს ჩქვა. იმ შემთხვევაში, როცა ჩქვა || არჩქვა ზმნისართისა და ნაწილაკის მნიშვნელობით გვევლინება, ჩანაცვლება თითქოს არ ხდება. ამას ეთანხმება არნ. ჩიქობავას შენიშვნაც: „ჩქვა ჭანურში სხვა-ს აღნიშნავს შედარებით იშვიათად, უფრო ხშირად კიდევ-ს უდრის და კიდევ უფრო ხშირად ნაწილაკის როლში გამოდის; ამ ნაწილაკის მნიშვნელობა ზუსტად კონტექსტშია გადმოიცემა“ (ჩიქობავა, 1938, 246). ე.ი. შეიძლება ითქვას, რომ ლაზურში შეინიშნება ერთგვარი ტენდენცია ჩქვა ფუძის მნიშვნელობათა დიფერენციაციისა, გამიჯვნისა: ნაცვალსახელური მნიშვნელობისათვის გამოყენებულია უცხოენოვანი სინონიმი (თურქ. baška), ხოლო ზმნი-

სართული მნიშვნელობა გამოხატულია ქართველური ფუძით.

ეს ფაქტი იმის საბუთად გამოდგება, რომ ლაზურსა და ქართულს შორის არსებული დიალექტურ ქვესისტემებში ჩქვა, სხვა ლექსების ზმნისართული ფუნქციით გამოყენება არ არის გამოწვეული უცხოენოვანი სინონიმის კალკირებით ანუ არა გვაქვს მნიშვნელობის სესხების შემთხვევა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ენობრივ თავისებურებათა მხრივ თანხვედრა ლაზურისა მაჭახლურთან და, განსაკუთრებით, ლივანურთან ჩვეულებრივი მოვლენაა და ამ მომიჯნავე მეტყველებათა ურთიერთგავლენით აიხსნება.

ამრიგად, ასახსნელია: 1. ქართველურ ენობრივ ნიადაგზე სხვა ფუძის მნიშვნელობის გაფართოება ამავე ლექსების სემანტიკური ველიდან ამოსვლით; 2. აღნიშნული ლექსების გრამატიკული კლასის შეცვლის (განსაზღვრებითი ნაცვალსახელი → ზმნისართი) მექანიზმი.

* * *

სხვა ლექსება მიეკუთვნება ქართული ენის ძირითად ლექსიკურ ფონდს. იგი ერთ-ერთი ძალზე ხშირი გამოყენების სიტყვაა, რომელსაც ადეკვატური სემანტიკური ეკვივალენტი არ მოეპოვება. ამის დასტურია ის, რომ ქეგლ-ში, საბასეულ განმარტებაზე დაყრდნობით, ეს სიტყვა ახსნილია სხვაგვარად ვერა, თუ არ ოპოზიციურ ლექსებთან მოშველიებით: „სხვა არა ის (არა ეს, არა ეგ)“.

სემანტიკური დაპირისპირება სხვა სიტყვისა პირის (იგივე ჩვენებით) ნაცვალსახელებთან ასახულია ფრაზეოლოგიურ გამოთქმებში: „ეს — ერთი და სხვა — მრავალი“; „იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბადნაროსა“ („ვეფხისტყაოსანი“).

მეორეს მხრივ, სხვა განსაზღვრებითი ნაცვალსახელი სემანტიკურად უპირისპირდება განუსაზღვრელობით ნაცვალსახელს ერთი. ნიმუში სახარებიდან: „ანუ ერთი იგი მოიძულოს და სხუად იგი შეიყუაროს, ანუ ერთისა მის თავს-იდვას და სხუად იგი შეურაცხოს (მ. 6, 24). სხვა — ერთი დაპირისპირება აისახება სიტყვაწარმოებაშიც. მაგალითები ძვ. ქართულიდან: სხუასახე — ერთსახე (II ერცახე), სხუაფერ — ერთფერ (აბულაძე, 1973) და ა.შ.

ოპოზიციური წყვილის ერთი — სხვა პარალელურად არსებობს ოპოზიციური წყვილი ერთი — მეორე („ერთს ამბობს, მეორეს აკეთებს“. ქეგლ). ხშირ შემთხვევაში ეს არის დაპირისპირება

არა კონკრეტული რიცხვითი სახელებისა, არამედ რიცხვითი სახელები ნაცვალსახელთა მსგავსად გვევლინებიან სუბსტიტუციური ფუნქციით. ამ დროს **მეორე** (ისევე როგორც **ერთი**) ნაცვალსახელის რანგში გვევლინება და აღნიშნავს „შემდეგი, სხვა, დანარჩენი“, ანუ ხდება თანხვედრა, გადაკეთა **მეორე** და **სხვა** ლექსემათა მნიშვნელობებისა. მნიშვნელობათა თანხვედრას, ცხადია, ადგილი აქვს იმ შემთხვევაშიც, როცა საგანთა რაოდენობა სულ ორია. ამ დროსაც სხვა = მეორე. ჩვენის აზრით, ამით უნდა აიხსნას ამ ლექსემათა (სხვა და მეორე) ურთიერთთანაცვლება ძველ-ქართულ სამწერლობო ძეგლთა რედაქციებში (იხ. აბულაძე, 1973).

ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს, რომ ძველ ქართულში ამოსავალშივე სხვა სიტყვის ერთ-ერთი მნიშვნელობაა „მეორე“, რაც ფიქრობთ, არასწორია. უფრო სარწმუნოა, რომ გარკვეულ პირობებში (როცა აღსანიშნი ორი საგანია ან მეორე-ს მნიშვნელობა განზოგადებულია და ნიშნავს „შემდეგი, დანარჩენი“) ხდება ამ ორი სიტყვის — სხვა და მეორე მნიშვნელობათა დამთხვევა. მეორე უტოლდება მნიშვნელობით სხვა-ს და არა პირიქით.

ამაზე ყურადღებას ვამახვილებთ იმდენად, რამდენადაც მ. ცინცაძე და მ. ფალავა ზაზგასმით აღნიშნავენ, რომ სამხრულ კილოებში დაცულია სხვა სიტყვის ძველი მნიშვნელობა — „მეორე“, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ძველში ის ნაცვალსახელია, კილოებში კი — ზმნიზედა (ცინცაძე, ფალავა, 1998, 123).

საგულისხმოა, რომ ზოგჯერ ძველი სამწერლობო ძეგლების ერთ რედაქციაში გვხვდება სხუად იგი ან მეორე, ზოლო სხვაგან იმავე პოზიციაში — ერთი იგი. ანუ ხდება განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელით ერთი ჩანაცვლება ლექსემებისა სხუა და მეორე. ამასთან დაკავშირებით ა. შანიძე შენიშნავს: „მეორის ნაცვალად ხშირად იხმარება „ერთი იგი“ ან „ერთი“... საზოგადოდ, როდესაც ორზეა საუბარი, და „ერთი“ (ან „ერთი იგი“) ორჯერ არის ნახმარი, პირველი „ერთი“ (ან „ერთი იგი“) აღნიშნავს ერთს, მეორე „ერთი“ (ან მეორე „ერთი იგი“) — მეორეს; ორნი ფქვიდნენ ფქვილსა: ერთი იგი წარიტაცოს და ერთი იგი დაშთეს (ლ. 17, 35 ჩ)“ (შანიძე, 1976, გვ. 45-46).

ამგვარი ჩამოთვლისას უკანა პლანზე იწევს რიგობითობის (შემდგომობის) მომენტი და აღსანიშნი ორი საგანი წარმოდგენილია როგორც ორი თითო ერთეული — ერთი და ერთი (და არა როგორც ერთი და მეორე). ფიქრობთ, ამ კუთხით შეიძლება აიხსნას

პარალელური თანაარსებობა ერთი ცნების გამოხატველი თხზულის ურთიერთობითი ნაცვალსახელებისა: ერთიმეორე და ერთიერთი (ან ერთმანეთი). მათ გვერდით უდგას ხევსურული **ერცხვა** (← ერთის ხვა): „ერცხვას ზოცენ“ (ჭინჭარაული, 1960, 22), რომელიც იმავე პრინციპითაა ნაწარმოები. აღსანიშნავია, რომ ხევსურულში იმავე ცნების გამოსახატავად იხმარება კომპოზიტი ერთუცი (← ერთურთი) (ჭინჭარაული, იქვე), რომელიც საბოლოოდ ერთიერთ-ამდე დაიყვანება (შანიძე, 1973, 150).

ამგვარად, ერთიერთი, ერთიმეორე და ხევსურული **ერცხვა** ერთი ყალიბით ნაწარმოები სინონიმური მნიშვნელობის კომპოზიტებია. სულ სხვაგვარად ჩანს მიღებული ლაზურსა და ქართული ენის სამხრულ ქვესისტემებში დადასტურებული **ერცხვა**.

დავუბრუნდეთ კვლავ **სხვა** სიტყვის სემანტიკას. ცხადია, **სხვა** ლექსემის მნიშვნელობათა თუ მნიშვნელობის ნიუანსების შეცნობა პარადიგმატულთან (ოპოზიცია, ანტონიმია-სინონიმია) ერთად გულისხმობს მისი სინტაგმატური ურთიერთობების განხილვას. კონტექსტუალური ანალიზი გვიჩვენებს, რომ **სხვა** სიტყვის სემანტიკურ ნიუანსთა გამოვლინება დამოკიდებულია იმაზეც, იგი აქტანტის როლს ასრულებს და სინტაგმურ კავშირშია პერდიკატთან, თუ ატრიბუტივია და სინტაქსურად სახელს მიემართება. იმ შემთხვევაში, როცა **სხვა** ლექსემა აქტანტის ფუნქციას ასრულებს, მნიშვნელობა ენიჭება: მის გრამატიკულ რიცხვს; იმას — იგი ვინ ჯგუფის სახელის მონაცვლეა, თუ რა ჯგუფისა; პრედიკატი უარყოფითია თუ არა... და **სხვა** მომენტებს. ხოლო როცა **სხვა** ლექსემა ატრიბუტივის როლშია და სახელთან არის შეწყვილებული, მნიშვნელოვანია, ახლავს თუ არა მას რიცხვითი სახელი მსაზღვრელად და ა.შ. ნათქვამის დასტურად მოვიყვანთ რამდენიმე ნიმუშს.

„იხილნა სხუანი მდგომარენი უბანთა ზედა უქმად“ (მ. 20).

3). აქ: **სხუა**=დანარჩენი. როცა **სხვა** აქტანტია და მრავლობით რიცხვშია, ხშირ შემთხვევაში აქვს მას ეს მნიშვნელობა.

„სხუაჲ ნავი არა იყო მუნ“ (მრ. 12, 32). აქ: **სხუა** = ამას გარდა, მეტი. უარყოფით პრედიკატთან **სხვა** ხშირად გვხვდება ამ მნიშვნელობით.

„სხვა რა გინდა?“ აქ: **სხვა** = მეტი, კიდევ.

„მიავლინა მათა სხუაჲ მონაჲ“ (მრ. 12, 32). ამგვარ შემთხვევებში **სხუა** შესაძლებელია გულისხმოდეს: 1. წინანათქვამიდან ცნობილი მონის მონაცვლე ან 2. დამატებით კიდევ ერთი მონა. ამ

ორაზროვნებიდან დაღწევის მიზნით სხვა ლექსემასთან ხშირად მოიყენება ლექსემები: მის ადგილას, მის ნაცვლად, კიდევ, მის გარდა... აგრეთვე ნაწილაკები: -ც, -ლა. ძველ ქართულშიც გვხვდება ამგვარი, სხვა ლექსემის მნიშვნელობის „დამაზუსტებელი“, სიტყვები და ნაწილაკები (-ლა, -ცა):

„სხუამ თუ რაიმე წარაგო უმეტესი“ (ლ. 10, 35).

„არავინ არს სხუამ მისსა გარეშე“ (მრ. 12, 32).

„ჰრქუა მას სხუამანცა“ (ლ. 9, 61).

როცა სხვა ნაცვალსახელი ატრიბუტივის ფუნქციას ასრულებს და რიცხვითი სახელის თანხლებით განსაზღვრავს სახელს, ასეთ შემთხვევაში მას აქვს მნიშვნელობა „კიდევ; ამას გარდა კიდევ“. მაგალითად:

„აჰა სხუამ ხუთი ქანქარი შევსძინე“ (მ. 25, 20).

„ათი სხუამ შეჰსძინა სასწორი“ (ლ. 19, 16).

„იყო მუნ მარიამ მაგდალენელი და ერთი სხუამ მარიამ“ (მ. 27, 61).

სიტყვათშეხამების ერთი სხუა თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ თავისი ხშირი გამოყენების გამო იგი ძველ ქართულშივე ავლენს მიდრეკილებას მყარ გამოთქმად გადაქცევისა. საგულისხმოა, რომ ი. აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონში“ ერთი სხუამ ცალკე სალექსიკონო ერთეულადაა გამოყოფილი.

ამგვარად, შევეცადეთ გვეჩვენებინა, რომ სხვა ლექსემის მნიშვნელობის გაფართოების, სემანტიკური გადასვლის („კიდევ, ამის გარდა კიდევ“) შესაძლებლობა ამ სიტყვის სემანტიკური პოტენციალიდან მომდინარეობს და რომ მსგავს სემანტიკურ ნიუანსებს გარკვეულ შესიტყვებებში ეს ლექსემა ძველ ქართულშივე ავლენს.

ზემოთ აღვნიშნეთ სხვა და ერთი სიტყვების პარადიგმატული დაპირისპირების შესახებ. სამხრულ დიალექტურ ქვესისტემებში ოპოზიციურობა დაცულია მაშინაც, როცა სხვა სიტყვა ზმნისართის ფუნქციას ასრულებს: სხვა ზმნისართს უპირისპირდება ერთი ზმნისართი. ეს დაპირისპირება თვალნათლივ ჩანს ქვემოთ მოყვანილ მასალაში:

„ერთი გავალ — ჭყლინტი მოტეხილია, ერცხვა გავალ — ჭყლინტი მოტეხილია, ერცხვა გვეელი — ჭყლინტი მოტეხილია“ (მარადიდი).

„ერთი რომ აქტი შევაყენე სათხარში, სხვა არ შიმიყენება“ (კირნათი).



„სიძე ერთი მოუდა, ორი მოუდა, სხვა - არა“ (მარადიერი), ცნობილია, რომ ზეპირმეტყველებაში, განსაკუთრებით მასწავლებელურ-ქართულ დიალექტებში, რიცხვითი სახელი ერთი გამოიყენება ზმნისართის (ჯერობის ან დროის) ფუნქციით, იმასვე აღნიშნავს, რასაც ზმნისართი ერთზე: „ფერშალმა ერთი ქე ჩამოიარა შარშან“ ნ. ლორთქ. (კიზირია, 1982, 288). ცნობილია აგრეთვე, რომ ენაში ლექსიკური პარადიგმატიკის საფუძველზე ანტონიმებსა და სინონიმებს შორის ხშირია ანალოგიით გამოწვეული ფონეტიკურ-გრამატიკული ცვლილებები (ფოჩხუა, 1974, 284). ვფიქრობთ, ამჯერადაც სინტაქსური ანალოგიის შემთხვევა გვაქვს. ამრიგად, სხვა სიტყვის ზმნისართის ფუნქციით გამოყენება ერთი სიტყვის ანალოგიით შეიძლება აიხსნას, მაგრამ ასახსნელია საკუთრივ რიცხვითი სახელის ერთი ადგვრბიალიზაციის, ზმნისართად გარდაქცევის გზა.

სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია სინტაქსური ასიმილაციის მოვლენა, როცა სიტყვა წინადადების დონეზე, შესიტყვების შეკუმშვისა და ადგილმონაცვლეობის საფუძველზე, იძენს სხვა მეტყველების ნაწილის სემანტიკურ-გრამატიკულ თვისებებს. შესიტყვების შეკუმშვის შედეგად სიტყვის სემანტიკურ-გრამატიკული კლასის შეცვლის კლასიკური ნიმუშია ატრიბუტივის გასუბსტანტივება (დავითიანი, 1973, 199-208). ვფიქრობთ, ჩვენს შემთხვევაშიც ერთი რიცხვითი სახელის ზმნისართის ფუნქციით აღჭურვა შესიტყვების შეკუმშვის შედეგად მოხდა. მაგრამ საძიებელია ეს საგარაუდო შესიტყვება.

ზეპირმეტყველებაში ხშირია შემთხვევები, როცა გარემოების ფუნქციით იხმარება სინტაგმა შემადგენლობით: ერთი + მასდარი. თანაც ამ დროს მასდარი პლეონასტურად იმეორებს შემასმენლის ფუძეს. ნიმუშები: „ერთი ამოსვლა ამოვალ“; „ერთი ჩამოვლა ჩამოიარა“; „ერთი თქმა ითქვა“; „ერთი პირობა დაგვიბრდა“ და ა.შ. ეს მოვლენა პარონომაზიის კერძო შემთხვევად უნდა შეფასდეს. ერთი რიცხვითი სახელის ადგვრბიალიზაციის ერთ-ერთ გზად შესაძლებელია ვივარაუდოთ მსგავს პარონომაზიულ შესიტყვებათა შეკუმშვა (ერთი ჩამოიარა; ერთი ითქვა; ერთი დაგვიბრდა...), ინდივიდუალურ შემთხვევათა შემდგომი განზოგადებით და სემანტიკურ ცვლილებაში გადაზრდით.

ჯერობის ზმნისართთა მაწარმოებელი გზის დიალექტებში ხშირად გვხვდება აბსტრაქტული ფორმით გზობა, რომელიც სახელობით ბრუნვაში შეიწყობს რიცხვით სახელს: ერთი გზობა; ორი გზო-

ბა... და ა. შ. შესაძლებელია, ერთი რიცხვითი სახელის გრამატიკული კლასის (მეტყველების ნაწილის) შეცვლის გზად ამგვარ შემსაძლებელთა ელიფსი მივიჩნიოთ.

სხვა სიტყვის გაზმნისართებასთან დაკავშირებით ჩნდება ასოციატა დროის ზმნისართთან მერმე/მერე. ცნობილია ვარაუდი ამ უკანასკნელის მომდინარეობისა რიგობითი რიცხვითი სახელისაგან მეორე (> მევრე > მემრე > მერმე). მეორე-ს პარალელური მერმე ვარიანტი ძველ ქართულში დადასტურებული ფაქტია (იხ. აბულაძე, 1973).

ამრიგად, სხვა სიტყვის მნიშვნელობის განვითარების („კიდევ, ამას გარდა კიდევ“) შესაძლებლობა მომდინარეობს ამ სიტყვის სემანტიკური პოტენციალიდან, ხოლო მისი გაზმნისართების (კლასის შეცვლის) ხელშეწყობ ფაქტორად შეიძლება მივიჩნიოთ **ერთი** ზმნისართთან ანალოგია.

ლიტერატურა

აბულაძე, 1973 — ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973.

აფრიდონიძე, 1986 — შ. აფრიდონიძე, სიტყვათგანლაგება ახალ ქართულში, თბ., 1986.

დავითიანი, 1973 — ა. დავითიანი, ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1973.

კიზირია, 1982 — ა. კიზირია, მარტივი წინადადების შედგენილობა ქართველურ ენებში, თბ., 1982.

მარი, 1910 — Н. Я. Марр, Грамматика чанского (лазского) языка с хрестоматией и словарем, С.-Пб., 1910.

ფოჩხუა, 1974 — ბ. ფოჩხუა, ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბ., 1974.

შანიძე, 1976 — ა. შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1976.

ჩგ. მას. — ჩვენი ხელნაწერი მასალა.

ჩიქობავა, 1938 — არნ. ჩიქობავა, ჰანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბ., 1938.

ცინცაძე, 1998 — მ. ცინცაძე, აჭარული ტექსტები: ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, მე-7, თბ., 1998.

ცინცაძე, ხელნაწ. ტექსტ. — მ. ცინცაძის ხელნაწერი მასალა.

NARGIZA SURMAVA

**On the Semantics of the Word Sxva and its
Semantic Nuances in the Southern Georgian
Dialectal Subsystems and in Laz**

Summary

In the southern Georgian dialectal subsystems _ Machakhlian and Livanian, the word sxva is polysemantic and apart from common Georgian pronominal _ attributive meanings conveys adverbial semantics as well meaning again, another time. The word sxva performs the function of an adverbial when used separately or in the combination of other words.

The word in question reveals similar features in the Laz dialect of the Zan language, which borders the above-mentioned Georgian dialectal subsystems. In the Laz dialect it has mainly the adverbial meaning. The paper investigates the semantic development of the word sxva, its paradigmatic and syntagmatic relations within the framework of the Kartvelian languages.

The lexeme in question had the same semantic nuances in Old Georgian as well.

ნარკიზა ახვლედიანი

ზანური ლექსიკური ერთეულები სამხრულ დიალექტებში

დიალექტის ენობრივ თავისებურებათა განსაზღვრაში ლექსიკას ერთ-ერთი გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. ენაში შედარებით მეტ ცვლილებებს განიცდის ლექსიკური შედგენილობა, რომელიც „უშუალოდ ასახავს და ერთბაშად ეხმაურება საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარ ცვლილებებს“ (ჩიქოვაძე, 1952, 84).

სპეციალისტების მიერ არაერთგზის გამოთქმულა მოსაზრება, რომ სულხან-საბას „ლექსიკონში“ შეტანილი მრავალი სიტყვა ძველ და ახალ ქართულ სალიტერატურო ენაში არ გვხვდება, ისინი არაა დაფიქსირებული არც შემდეგდროინდელ ლექსიკონებში, მაგრამ დღემდე სათანადოდ დაუცავს ქართული ენის დიალექტებს. გამოირკვა, რომ ბევრი საბასეული სიტყვა, რომელიც არაა თანამედროვე ქართული ენისა და ზოგ ქართულ დიალექტოლოგიურ ლექსიკონში, ცოცხალია აჭარულში (ნიჟარაძე, 1971, 38).

შეგშეთ-იმერხევის ტერიტორია მოქცეულია იმ გეოგრაფიულ არეალში, რომელიც უძველესი პერიოდიდან ზანებით (მეგრელ-ჭანებით) იყო დასახლებული (ჯორბენაძე, 1989, 91). ამ ისტორიულმა მხარემ არა ერთი არქაული სიტყვა შემოგვინახა. დადასტურებულია მეგრულ-ჭანური წარმოშობის სიტყვები.

ქვემოთ ჩვენ განვიხილავთ რამდენიმე მათგანს. ესენია: კეში, კილი, ფარფალა.

კეში — მოუქნელი, უხეში, ტლანქი (შდრ.) კეში ტახი — დაუკოდავი ღორი (შარაშიძე, 1938, 34). იგი არ გვხვდება ბ. წერეთლის „ზემოიმერულ“ და მ. ალავეძის „ლექსიკონში“ ლექსიკონებში. დაფიქსირებულია გურულში. აჭარულში „კეშ“-ს იტყვიან ლობიოზე, მაგ.: „ნამეტანი კეში ლობიად“. მკვლევრები მას ზანიზმად მიიჩნევენ (ნიჟარაძე, 1971, 49). კეში — რბილი რამ გამაგრებული უშვარად; კეში არის ყრმა ჯეტი (საბა, 1991, 369); კეში — კერატი, მამალი ღორი დაუკოდავი (ჭარაია, 1997, 77). კეში „ჩვენებულების ქართულში“-ც

გვხვდება. ასე მაგ.: კეში — 1. მაგარი: უხეში, 2. გადატანილი მნიშვნელობით, არათვინიერი, უხეში ადამიანი: „იმფერი კეში“ (ფუტკარაძე, 1993, 484).

კილი — მეტსახელი, გვხვდება კირნათ-მარადიდში (ხელგაუჩრის რ-ნი), კილი-კილი, წუნი, თაკილი, მახინჯი, კილიანი, კილის მქონე (ჭარაია, 1997, 80). კილი დასტურდება „ჩვენებურებშიც“. კილი: „წუნი; მეტსახელი, 2. ხორბლის ბუდე (შდრ.: საბა, 1991, 372). „იქვერი კილი დუტრქმევთან ერთ კაცისთვის“. „ბუდლას რომე დავნაყავთ, კილი მოცილდება. „აქა ერთი გუარის კილია ჭინჭარა“ (ფუტკარაძე, 1993, 485). „კილი არსად არ დეიწერება, ზედმეტად რო შაარქვამ, ის არის. კილი უმეტესად კაცებს ერქვა: ჩინთად, ჩიილადა, ბაძანგარად, ჩიჩვატად, ფენცხად“ (ბსკიფა, 1985, 128).

ფარფალა — „ყურის ბიბილოს ყურის ფარფალას ეტყვიან“. „მოგდობ, ბადანავ ყური ფარფალაზე ხელს, აგაფრეწ ყურებს.. ფარფალა — ზანიზმია. ლაზურად „ყუჯიშ ფამფარი || ფამფაი — ყურის ბიბილოა (სურმაგა, 1981, 19). ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში დახასიათებულია „ფარფლი“ — ფრთის მნიშვნელობით (ქეგლ. 1990, 9630. შდრ.: ლაზ. „ფარფალ“-ს || ოფარფალუ. ლაზ. ფარფალი — „პეპელას“ ნიშნავს, ხოლო მეგრულად „ფრიალ“-ს. მეგრ. ფარფლი აგრეთვე საქონლის ფილტგების ავადმყოფობაა (ჭარაია, 1997, 134-135). გურულში „ფარფალი“, „ფარფალა“ ნიშნავს: 1. ფარფანი — (გურ.) ფრიალი, ფარფარი; ფარფალობს, ფრიალებს (დლონტი). 2. ცხადიას ზეპირი ინფორმაციით, ფარფალია მეგრულში მცენარეა, ვერხვის ფოთოლს ჰგავს, რომელიც სულ თრთის. ფამფარა — ბალახი (საბა, 1993, 182). „მოკრიფა გელინმა თაზე ფამფარაი“ (ფუტკარაძე, 1993, 584); ფამფარა — რძიანი ბალახი (ალაგოძე, 1938, 156).

ამრიგად, განხილული ლექსიკური ნიმუშები, რა თქმა უნდა, ვერ ამოწურავენ ზანიზმებს სამხრულ დიალექტებში, ამიტომ შემდგომი შემკვრებლობითი მუშაობა და საკითხის საპეციალური კვლევა, ალბათ, ბევრ სიახლეს წარმოაჩენს.

ბსკიფა, 1985 — ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ფოლკლორული არქივი, ფონდი №263, ე. ზოიძის მასალა, ბათუმი, 1985.

გურ.იმერ.ლენხ. ლექს., 1938 — გ. შარაშიძე, ბ. წერეთელი, მ. ალავეძე, გურულ-იმერულ-ლენხუშური ლექსიკონი, თბ., 1938.

ნიყარაძე, 1971 — შ. ნიყარაძე, ქართული ენის აჭარული დიალექტი (ლექსიკა), ბათუმი, 1971.

სულხან-საბა, 1991-1993 — სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I, II, თბ., 1991-1993.

სურმავა, 1981 — ნ. სურმავა, ადამიანთან დაკავშირებული ლექსიკა აჭარულში, აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, ბათუმი, 1981.

ფუტკარაძე, 1993 — შ. ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული, ბათუმი, 1993.

ქავთარაძე, 1981 — ივ. ქავთარაძე, ენის ისტორიის წყაროები და მათი გამოყენების პრინციპები, ქესს, V, თბ., 1981.

ქეგლ, 1990 — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბ., I, 1990.

ჩიქობავა, 1952 — არნ. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1951.

ჭარაია, 1997 — პ. ჭარაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბ., 1997.

NARGIZA AKHVEDIANI

Zan Lexical Units in the Southern Dialects

Summary

The lexical units "keši" "kili" "parpala" seem to be of Zan origin. In the scholarly literature, it is assumed that historically Shavsh-Imerkhevan region was populated by the Zan tribes. The paper presumes that the lexical units in question are of substratic nature.

ნატო სურგულაძე

შეფასებითი გრძნობა-დამოკიდებულება ქართულ
ფრაზეოლოგიურ ზოონიმებში

შეფასების ემოციური მოდალობის სემანტიკის შესწავლის ყველაზე უფრო ბუნებრივ საშუალებას მის მიერ წარმოქმნილი გრძნობა-დამოკიდებულებების, როგორც ფსიქიკური უნივერსალების განხილვა წარმოადგენს. მათ ამ დამოკიდებულებების ექსტენსიონალის ფორმა გააჩნიათ, შეიცავენ მთელ რიგ ურთიერთმოქმედ ცვლადებს, მათ შორის სუბიექტს, ობიექტს, დამოკიდებულების ხასიათს, ადგილს, დროსა და მისი გამოხატვის საშუალებას, სუბიექტისა და ობიექტის სოციალურ როლებს (თუ ობიექტი წარმოადგენს პირს).

სიტყვა ექსტენსიონალი გულისხმობს რელევანტური თვისებების ან პარამეტრების ნაკრებს, რომელიც ერთგვარ ტიპობრივ სიტუაციას ქმნის სამყაროში. ჩვენს შემთხვევაში ეს თვისებების სახით აისახება ცნობიერებაში.

„ფსიქოლოგები შეისწავლიან რა ადამიანთა სოციალურ ქცევებს, აღნიშნავენ, რომ ადამიანთა ქმედებები სხვა ადამიანებთან მიმართებაში, ან სხვა ადამიანთა ქმედებები მათ მიმართ, ისევე როგორც საკუთარი თავის მიმართ მნიშვნელოვანწილად ერთსა და იმავე წესს ემყარება. ხშირად ადამიანები საკუთარი საქციელის გამო თავის თავს საყვედურობენ მანამდე კი, სანამ ამის შესახებ სხვები შეიტყობენ“ (შიბუტანი, 1969, 81). იგივე შეიძლება ითქვას ადამიანის ემოციურ დამოკიდებულებაზე საკუთარი თავის მიმართ: „სხვა ადამიანებთან დამოკიდებულებით ადამიანს საკუთარი თავის მიმართ განსაკუთრებული ადამიანური გრძნობები უყალიბდება, როგორც ადამიანური არსების, როგორც პიროვნების წინაშე; ადამიანს ასევე უყალიბდება როგორც პირადი, ასევე საზოგადოებრივი გრძნობები“.

ნებისმიერი ენის ექსპრესიული ერთეულები გადმოსცემენ ემოციებს, გრძნობა-დამოკიდებულებებს, შეფასებებს პირზე, საგნებზე, მოვლენებსა და ნიშან-თვისებებზე მოლაპარაკის აზრს. ექსპრესიული

ლექსიკური ერთეულები, ანუ ექსპრესივები ქმნიან მნიშვნელოვან ფონდს ექსპრესიული საშუალებების საერთო სისტემაში.

ექსპრესიული, პრაგმატული თავისი მიზან-მიმართულებით ენობრივი ერთეულების შინაარსი, ან „ექსპრესიული ეფექტი“ (როგორც უწოდებს ამ თვისებას ვ. თელია) წარმოიშობა დენოტატიურ-კონოტაციური სემებისა და ხატოვნების საფუძველზე. ლექსემებისა და ლექსიკური ვარიანტების ექსპრესიულობის შექმნის მექანიზმში ჩართულია არა ნებისმიერი დენოტატიური სემები, არამედ მეტწილად ისეთები, რომლებიც ასახავენ მოვლენებისა და სუბიექტის პარამეტრულ ნიშან-თვისებებს და ჩვეულებრივ, იღებენ ნორმატიულ-სოციალურ შეფასებას (კოლექტიურსა და ინდივიდუალურს) მოლაპარაკის მხრიდან; აგრეთვე სხვა ნიშან-თვისებები, რომლებიც ფასდება სოციალური კოლექტივის მიერ როგორც დადებითი ან უარყოფითი (საერთო შეფასებითი პარამეტრი), ან გარკვეული მოტივის მიხედვით: სენსორულ-გემოვნებითი ან პედონისტური (გემრიელ-უგემური, არომატული-მყრალი და სხვა), უტილიტარული (სასარგებლო-მავნებელი, გამოსადეგი-გამოუსადეგარი, საჭირო-უსარგებლო, ფასეული-მცირეფასიანი, რომელსაც არავითარი ფასი არ გააჩნია და სხვა).

მორალურ-ეთიკური (მორალურ-ამორალური, ზნეობრივი-უზნეო, კეთილი-ბოროტი და სხვა), ინტელექტუალური (ჭკვიანი-სულელი, ღრმა-ზედაპირული. შინაარსიანი-უშინაარსო), ემოციური რეაქცია. ასეთი ტიპის ილოკაციურ აქტებს შეიძლება ვუწოდოთ საკუთარი ექსპრესივები ან ექსპრესივები სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით (ვოლფი, 1985, 166).

ამ მიზნით განსაკუთრებით ნაყოფიერი აღმოჩნდა ქართული ფრაზეოლოგიური ზოონიმების კვლევა. მათი შესწავლისას გამოჩნდა, რომ ექსპრესივები შეიძლება იყოს ორმხრივ მიმართული:

ა) ის შეიძლება ეხებოდეს მოლაპარაკეს:

„რა ძაღლის ფეხი შევჭამე!“ — ადამიანი, ვინც ბევრს ღადის რაიმეს საშოვრად და ბოლოს მაინც ხელცარიელი ბრუნდება შინ; „ვის რა გველი შევუწვი?“ ან „ვის რა ვირი მოვპარე?“) ვის რა დავუშავე? „მკვდარი ვირი ზომ არ მოგიყიდნია, რომ ნალები აკყარო?!“ — რას მედავები, რას მემართლები, შენი არაფერი მმართებს, არაფერი მოგიცია და ისე მოხვო რასმე.

ბ) ასევე შეიძლება ეხებოდეს თანამოსაუბრეს:

„მოუხვი ბაყაყური!“ — გამეცალე! „მწყრები კი ნუ ააფრინე!“ —

ნუ გაგიჟდი, ნუ სულელობ. „რქები ამოგივიდა?“ — რა შეგეინა განსაკუთრებული, სხვას რომ არა აქვს, ასეთი რა შეგემატა? იგე? (ეტყვიან სულწასულ, მოუთმენელ ადამიანს, რომელსაც უნდა სხვაზე ადრე მიიღოს რამე).

ექსპრესივების ტიპურ თავისებურებას წარმოადგენს მათში შეფასებითი ნომინაციების გამოყენება. როგორც წესი, ისინი გვხვდებიან პრედიკატულ ფუნქციაში. სემანტიკური თვალსაზრით, შეფასებითი ნომინაციისათვის დამახასიათებელია მეტაფორულობა. ასეთი სახელების მეტაფორული გამოყენება რეალიზდება სპეციალურ სტრუქტურებში, რომლებიც ითხოვენ ან პირდაპირ მიმართვას თანამოსაუბრისადმი, ან პირიქით, ანაფორის ტიპის კონსტრუქციებს: „შეოფოფო, შენა!“ — ბინძურო, მყრალო! „ნაჯოგარი ხარია!“ — გასუქებული, გალადებულია! „მეცამეტე გოჭია!“ — მეტიჩარაა!

შეფასებითი ნომინაცია, როგორც წესი ადასტურებს მეტყველების აქტის დადებით ან უარყოფით შეფასებას და აძლიერებს ექსპრესიულობას. ცხოველთა სამყაროს ამსახველ ქართულ იდიომებში შეფასების ემოციური დამოკიდებულება წარმოადგენს გრძნობა-დამოკიდებულებათა კომპლექსს, რომლებიც უარყოფითი კონოტაციური ნიშნით წარმოჩნდება.

დაცინვა: „ეგ ნაკაზმი ზოგი შენს წიწილებსაც დაუყარე!“ — ვერ მომატყუებ, სხვა შეაცდინე. „ჯორს ნალები არ ამიყარო!“ — ვერაფერს დამაკლებ, ვერაფერს გამომრჩები!

ზიზღი: „რა პირი გიყარს ოფოფივითა!“

მუქარა: „ისე გაგიხდი საქმეს, რომ შენს გულზე ძაღლი დაგაპურო!“ — ნიშნავს პატივის აყრას, სირცხვილის კმევას. „მუშლიც ნუ დააჭდება!“ — ერთი ბეწვიც არ დაუშავდება რა...

წყევლა, შეჩვენება: „მგლის მუცელში გასაძერენი!“

„დათვის შესაჭმელი!“

„ძაღლი და კატა დააკვდა მავანსო!“ (ძაღლი და კატა უწმინდურ ცხოველებად ითვლებოდნენ. რამდენადაც ქართველი მათ ხორცს არ სჭამს, და, მაშასადამე, მათი ხმარება თავზე დასაკლავად, შესაწირავად, არ შეიძლება. როცა უნდათ მიცვალბულის სული დასწყევლონ ან აგინონ, იტყვიან ძაღლი და კატა დააკვდა მავანსო (საფლავზე) (სახოკია, 1950, 197).

ნიშნის მოგება: „ბუზსაც ვერ ამიფრენ!“ — ვერაფერს დამაკლებ. „ვერ მოგართვი გოჭის თავი“ ან „ბოლოკი და ხბოს თავი!“ —

არაფერი, ვერაფერი მიიღე.

უგულებელყოფა: „ჭიან ტყემლადაც არ ვაგდებ“ — არაფერად არ მიმაჩნია, არაფერად არ ვაგდებ. „მაჩვის ფეხო!“ — დაღეულ, ჯუჯა! „კატის ნათრევი“ — უშნო, ულამაზო.

სიბრალული: „მგლისა და ყორნის ლუკმა“ — უგზო-უკვლოდ დასაქარგი. „ცხვარი ფეხზე ჰყავს გამობმული“ — ბებერია, სადაცაა მოკვდება.

კიცხვა: „მადლი მატლად გადამიქცია“ — სიკეთე არ დამინახა, უმადურად მომექცა.

ყვედრება: „სამი დღის ხბო წყალზე ჩავა და წყალს დაღვეს და შენ რაღა დაგეშართა?“ — ყვედრება, მიმართული ზანტი ადამიანისადმი, რომელსაც თითის განძრევა ეზარება.

მოცემულ სტატიის, შესწავლილი მასალის საფუძველზე დავადგინეთ, რომ ქართულში შეფასებითი გრძნობა-დამოკიდებულებების გამომხატველი ზოონიმები გამოხატავენ უმეტესად უარყოფით ემოციებსა და გრძნობებს. აღსანიშნავია, რომ ქართულში ამ ტიპის იდიომების 8 ტიპი გამოიყვეთა.

ლიტერატურა

თაყაიშვილი, 1961 — ა. თაყაიშვილი, ქართული ფრაზეოლოგიის საკითხები, თბ., 1961.

სახოკია, 1950 — თ. სახოკია, ქართული ხატოვანი სიტყვათქმანი, თბ., 1985.

გოლფი, 1986 — Вольф Е. М. Функциональная семантика оценки. М., 1985.

თელია, 1986 — Телия В. Н. Коннотативный аспект семантики номинативных единиц языка. М., 1986.

Evaluative Emotional - attitudanal Phraseological Zoonyms in Georgian

Summary

The paper singles out 8 types of evaluative emotional - attitudanal zoonyms with a negative connotation viz.: a) mockery b) disgust c) threat d) curse e) teasing retort f) neglect g) pity h) reprimand.

As is known, evaluative nomination shows whether a speech act is positive or negative and emphasizes its expressiveness.

The research has proved that the expressiveness in phraseological zoonyms can be speaker-oriented as well as listener-oriented.

ნანა მაჭავარიანი

ბალჩიულისა და ბოსტნეულის აღმნიშვნელი ლექსიკა აფხაზურში

აფხაზური ენის ძირითადი ლექსიკური ფონდის მნიშვნელოვანი ნაწილი მცენარეთა აღმნიშვნელი სახელწოდებებისაგან შედგება.

ამჯერად განვიხილავთ ბალჩიულისა და ბოსტნეულის აღმნიშვნელ ლექსიკურ ერთეულებს.

ბალჩიულისა და ბოსტნეულის აღმნიშვნელი სიტყვების უმრავლესობა აფხაზურში ნასესხებია თურქული და ინდო-ევროპული ენებიდან. ლექსიკის მცირე ნაწილის აფხაზურის საშუალებით ახსნა ხერხდება.

ნასესხები სიტყვებია:

1. აკაბაშია < მეგრ. კოპეშია „გოგრა“ (ბლაჟბა, 1964).
 2. აკაბჲე „კოპე, კოკოში, ხრიკა, ორშიმო, ზაპი“ ნასესხები ჩანს მეგრულიდან (გვანცელაძე, 1997, 58).
 3. აპატგრჯან „ბადრიჯანი“, ლექსემა ბზიფურში „პამიდორის“ მნიშვნელობითაც იხმარება. ნასესხებია ქართულიდან < ბადრიჯანი, ბ' და დ' თანხმოვანთა გამკვეთრებით. პატრიჯანი' ფორმით ტერმინი გვხვდება იმერულშიც.
 4. აპამიდორ „პამიდორი“, შდრ. აპატგრჯან (ბზ.)
 5. აკარტოშ „კარტოფილი“. შს სიმაგრე გამოწვეულია იმით, რომ სიტყვა რუსულიდან არის ნასესხები. რუსულში კი შ' მაგრად მოისმის ამ სიტყვაში. გვიანი ნასესხობა ჩანს. შესაძლებელია სახელწოდება წიგნის გზით იყოს შემოსული, რუსული III ყოველგვარი დიაკრიტიკული ნიშნის გარეშე აფხაზისათვის აღიქმება, როგორც შა.
 6. აჭარხალ „ჭარხალი“ (ბლაჟბა, 1964) ბზიფურში შექმავულ, საკვებად გამოსაყენებელ ფხალსაც აღნიშნავს.
 7. აკ'ენტგრ „კიტრი“, ნასესხებია ქართულიდან მეგრულის გზით. ბზიფურში იმავე მნიშვნელობით გვხვდება ანაშა „კიტრი“ ლექსემა (ლომთათიძე, 1976, 60; ბლაჟბა, 1964).
- „თუ ნასესხებ მასალაში ი-ს წინ უძღვის უკანაენისმიერი ხშულები და სპირანტები (ასევე ყ-ც), ისინი გადმოცემულია სათანადო

პალატალიზებული ფონემებით (ასეთივე სურათია სიბილიანტებშიც), ხოლო ხმოვანი — იმავე გ-თი: კიტრი (მეგრ.) — აკ^აგ^ანტგ^არ^ა (ლომთათიძე, 1976, 60) აღნიშნავს ქ. ლომთათიძე თავის ფუნდამენტურ ნაშრომში — „აფხაზური და აბაზური ენების ისტორიულ-მედარებითი ანალიზი“.

8. აკაპუსტა || აკაპესტა, ტაბ. კამბესთა „კომპოსტო“, როგორც ქ. ლომთათიძე აღნიშნავს, ნასესხებ მასალაში სხვა ენის უ-ს გადმოცემისას ლაბიალური უ კომპონენტი უგ დიფთონგისა გაუჩინარებულია და შემორჩენილია მარტოოდენ გ ხმოვანი ლაბიალური ბ, ფ, პ... თანხმოვნების მომდევნოდ (ლომთათიძე, 1976, 63).

9. აჰაბგრაჰაჟ || აჰარბჟი „საზამთრო“, ნასესხებია თურქულიდან. < karpyz (ჭარაია, 1912, 14; ბლაჟბა, 1964).

10. აყაბ, აყაბაყ (ბზ.) „გოგრა“ ნასესხებია თურქულიდან. აყაბაყერთა || აყაბერთა „გოგრებით ნათესი ადგილი“. შესაძლოა ამ ძირის სესხებითა და შემდგომი ფონეტიკური ტრანსფორმაციით იყოს მიღებული ქართული კვახ' ლექსემა: ყაბ > ყუაბ > ყუაპ > ყუაბ > კუაბ... > კვაბი.

ყებ || ყები „გოგრა“ თურქული ნასესხობაა ყაბარდოულშიც. შდრ.: ყარაჩი — ყაბ, თურქ — ქაბაქ, ნოღაიური — ქაბაქ „გოგრა“, შდრ.: ასევე აფხ. აყაბ, აყაბაქ, აბაზ. — ყაბ (შაგიროვი, 1977, 222).

11. ამყივბერ || ამყივბა (ბზ.) „ნესვი, ყელიანი გოგრა“, ამყივბ „აყირო“, ერთდღიგივე ძირია. ნესვის აღმნიშვნელად აფხაზურში გვხვდება ამგნკა' ფუძეც. მეგრულში გვხვდება ნესვის მნიშვნელობით — შინკა.

მოტივაცია დაჩრდილულია ამჟ' ფუძეში „გოგრისებრთა ოჯახის წარმომადგენელი, საჭმელად უვარგისი მცენარე.

აფხაზურის საშუალებით შესაძლოა აიხსნას შემდეგ ფუძეთა სტრუქტურა:

1. აცგზა „თალგამი“, სადაც სიტყვის პირველი ნაწილი უნდა იყოს აც „მარცვალი“ ფუძე, ხოლო მეორე — ხა' ელემენტი აფხაზურში გამოიყოფა რთული სიტყვის მეორე შემადგენელ ნაწილად. შდრ.: აცგმშზა „ერთი თავი ხაზვი“ აღნიშნული -ხა ელემენტი შესაძლოა მომდინარეობდეს ანგ „თავი“ არსებითი სახელის ფუძიდან. ამრიგად, აცგზა „თალგამი“ ლექსემა სიტყვასიტყვით უნდა ნიშნავდეს „მარცვალ + თავს“. სახელწოდება კომპოზიტი.

2. აცგცა „ზამთრის ბოლოკი“. ამ სახელშიც სიტყვის პირველი ნაწილი უნდა იყოს აც „მარცვალი“ ფუძე, ხოლო მეორე ნაწილი -

აცა „მწარე, ცხარე“ ზედსართავი სახელი. სახელწოდება საზღვრულ-მსაზღვრელს წარმოადგენს, სადაც საზღვრული წინ უსწრებს ზედსართავი სართავი სახელით გამოხატულ მსაზღვრელს.

3. აცეცაფე „ერთი ძირი ბოლოკი“, სიტყვის პირველი ნაწილი წარმოადგენს აცეცა „ბოლოკი“ ლექსემას, ხოლო მეორე ნაწილი უნდა იყოს აყაფე „წითელი“ ზედსართავი სახელის ფუძის ნაშთი. აფე < აყაფე. შდრ.: აჩაფე „ხორბლის ერთ-ერთი სახეობა“, აუჟ აფე „წითური კაცი“.

„აფე წარმოადგენს აფხაზურ-აბაზურ ენებში პარალელურად შემორჩენილი ყაფშ(გ) წითელი სიტყვის გამარტივებულ სახეობას (ლომთათიძე, 1976, 76) ლექსემა საზღვრულ-მსაზღვრელს წარმოადგენს. საზღვრული წინ უსწრებს ზედსართავი სახელის ფუძის ნაშთით გამოხატულ მსაზღვრელს.

4. აცადაყაბაყ „თხელკანიანი გოგრა“. სიტყვა რთული შედგენილობისაა. სახელწოდების პირველი ნაწილი აცაა „კანია“, -და უქონლობის მაწარმოებელი სუფიქსი, ხოლო მეორე ნაწილი ყაბაყ „გოგრა“ სიტყვა ზედმიწევნით: „კანის არ მქონე, უკანო გოგრა“. სახელწოდება მსაზღვრელ-საზღვრულია, სადაც უქონლობის სუფიქსდართული მსაზღვრელი წინ უსწრებს საზღვრულს.

გამოიყო ზოგადი სახელწოდებები:

1. არაკაა „მხვიარა“ (მაგ. ლობიო), მცოცავი (მაგ. კიტრი, გოგრა) და განრთხმული (მაგ. საზამთრო) მცენარეების ღერო და განშტოებანი“, „ღერწი“.

სიტყვის პირველი ნაწილი არაა გვხვდება არასა „თხილი“ ლექსემაში, ხოლო მეორე ნაწილი — კაა უნდა იყოს აკააშარა, „ცეცვა, თამაში“ მასდარში გამოყენებული ელემენტი, რომელიც სავარაუდოდ, „გარშემო შემოვლის“ სემანტიკის მატარებელია. ლექსემა საზღვრულ-მსაზღვრელია, სიტყვასიტყვით: ღერო „ღერო შემომხვევი“, შდრ.: აკააშე „მაგარი და ხმელი მერქანი“ (მაგ. მუხისა, წაბლისა); სადაც სიტყვის თავიდან კაა ელემენტი ასევე „შემომხვეულს“ უნდა აღნიშნავდეს.

2. აუთრა „ბოსტანი“, ამ სიტყვის პირველი ნაწილი აურა „ქმნა“ მასდარის ფუძეა, შდრ.: აუგს „საქმე“, ხოლო მეორე კომპონენტი თრა/რთა შემოსაზღვრული სივრცის მნიშვნელობით იხმარება აფხაზურში. სიტყვასიტყვით: „მოსაქმეობის ადგილი“. აღნიშნული სახელწოდება უდევს ასევე საფუძვლად აუთრათგზ „ბოსტნეული“ ტერმინს.

3. აბაჰია „ბაღჩა“ ნასესხები თურქულიდან (ჭარაია, 1912, 14).
ამრიგად, ბაღჩეულისა და ბოსტნეულის აღმნიშვნელ ლექსიკონში გამოიყო 12 ნასესხები სიტყვა, 1-ში მოტივაცია დაზღვევითაა აღზარდული აფხაზურის საშუალებით იხსნება ხ ლექსემა, აქედან 1 კომპოზიტია, 3 საზღვრულ-მსაზღვრელი, 1 მსაზღვრელ-საზღვრული. ამავე სახელწოდებაში გამოიყო უქონლობის -და სუფიქსი.

ლიტერატურა

აფხაზური ენის განმარტებითი ლექსიკონი, 1986 — Апсуа бызша ажаар, ტ. I, სოხუმი, 1986.

აფხაზური ენის განმარტებითი ლექსიკონი, 1987 — Апсуа бызша ажаар, ტ. II, სოხუმი, 1987.

აფხაზური ენის გრამატიკა, 1988 — Грамматика Абхазского языка, სოხუმი, 1988.

აფხაზურ-ქართული ლექსიკონი, 1954 — ბ. ჯანაშია, აფხაზურ-ქართული ლექსიკონი, თბ., 1954.

ბოტანიკური ლექსიკონი, 1961 — ა. მაყაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი, თბ., 1961.

ბლაჟბა, 1964 — Х. С. Бгажба, Бзыбский диалект абхазского языка (Исследование и тексты). Тб., 1964.

გვანცელაძე, 1977 — თ. გვანცელაძე, ქართველიზმები აფხაზურ ბოტანიკურ ტერმინოლოგიაში და აფხაზთა ისტორიული მიგრაციის მიმართულებანი, კრებული „გიორგი როგავას“, თბ., 1977.

ლომთათიძე, 1976 — ქ. ლომთათიძე, აფხაზური და აბაზური ენების ისტორიულ-მედარებითი ანალიზი, თბ., 1976.

ჭარაია, 1912 — П. Чарая, Об отношении абхазского языка к яфетическим, С.-Пб., 1912.

შაგიროვი, 1977 — А. К. Шагилов, Этимологический словарь Адыгских (Черкесских) языков, Москва, 1977.

The Abkhazian Lexemes Denoting Vegetables

Summary

The paper classifies the Abkhazian lexemes denoting vegetables in the following way: 12 lexemes are borrowings; one lexeme has ambiguous motivation; 6 lexemes are of Abkhazian origin, among them 1 is a compound, 3 follow the pattern _ the modified + the modifier, 1 has the pattern the modifier + the modified; the latter type contains the suffix -da meaning the lack of something.

ონა ბაბია

რამდენიმე მებრუნილი საზოგადოებრივი დენდრონიმი

ქართული ხორბალი || ხვარბალ სიტყვის შესატყვისი მეგრულში არის ქობალი, რომლის ადრეული ფორმა უნდა ყოფილიყო **ქვაბალი**. ამას გვაფიქრებინებს ის გარემოება, რომ ამ ლექსემის შემცველი გვარსახელი ქობალიას ადრეული სახე **ქვაბალია** დაცულია XIV საუკუნის მიწურულის ერთ ფრესკულ წარწერაში წალენჯიხის ტაძრიდან.

ქობალი ნიშნავს, როგორც თვით მცენარეს — ხორბალს, ასევე მისი ფქვილისაგან გამომცხვარ პურს. „ქობალიშ უმოსო ღუმეს დო ლაიტის თასუნდეს“ — პურზე უფრო მეტად ღომს და სიმინდს თესავდნენ (ბებია, დღიურები, 28).

ჯერ კიდევ ივ. ჯავახიშვილმა გაარკვია, რომ **ხვარბალი** ზოგადი მნიშვნელობის ტერმინია იმ სხვადასხვა ჯიშისა და სახეობის საკვები მარცვლეულის აღსანიშნავად, რომელთაგანც პურს აცხობენ (ჯავახიშვილი, 1996, 128). **ხვარბალი** ქართულის ზოგ კილოში (იმერულში და ქართლურში) მარცვალს აღნიშნავს (კახაძე, 1987, 9).

მეგრ. **ქვაბალი** და ქართ. ხვარბალი რომ ერთი სიტყვის ფონეტიკური სახესხვაობებია, ცხადია, მაგრამ მეგრულშია ფუძისეული რ დაკარგული, თუ ქართულშია გვიან განვითარებული — დასადგენია.

თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ **ხვარბალი** ზოგადად მარცვლეულის აღსანიშნავ ტერმინად გვევლინება მის ვიწრო მნიშვნელობასთან ერთად და რომ ის მიჩნეულია კომპოზიტად, რომელიც **ხვარ** და **ბალ** ლექსემებს შეიცავს, ხვარ-ს კი მარცვლის აღმნიშვნელ უძველეს სიტყვად თვლიან (კახაძე, 1987, 11), მაშინ მეგრული **ქვაბალ** ქართ. **ხვარბალ** სიტყვების ურთიერთმიმართების საკითხის გარკვევისას ხვარის აღმნიშვნელი მეგრული სიტყვა **ხვარიელი** იქნეს განსაკუთრებულ მნიშვნელობას, რადგან **ხვარ** ფუძე ნაყოფის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო. ამდენად, ნაცვლად ქვაბა || ქობალ სიტყვისა ადრე უნდა გვქონოდა ***ქვაბალ** ფონეტიკური ვარიანტი. სანამ ხორბლის ჯიშების სახელებს განვიხილავთ, საჭიროა



ალინიშნოს რომ ჯიშს, სახეობას მეგრულში **ნორგო** ჰქვია. ეს სიტყვა სუბსტრატის სახით დაცულია იმერულსა და გურულში, სადაც მეტათეზირებული სახითაა წარმოდგენილი ნორგო || ნეგრო (ყიფშიძე, 1914, 290).

ხორბლის ჯიშებიდან მეგრულში ორად ორი სახელია ცნობილი. ესენია **პიტა ქობალ**, რომელსაც ალ. მაყაშვილი ჩელტა ზანდურის მეგრულ სახელად მიიჩნევს (მაყაშვილი, 1991, 82) და ირქლი || ირქიშ, ქობალი || ირქლი, რომელიც ქართული იფქლის შესატყვისია. ი. ყიფშიძეს ირქი განმარტებული აქვს, როგორც **пшеница** და ის ქობალის მეორე სახელად მიაჩნია (ყიფშიძე, 1914, 249).

ეტიმოლოგიურად პიტა ქობალი წვრილმარცვალა პურს უნდა ნიშნავდეს, რადგან მეგრულში „პიტა-პიტოთ სოფუა“ — ნაჟუწ-ნაჟუწ დაგლეჯას, დახვეას ნიშნავს. ამიტომ პიტა ნამცეცას, პაწაწკინტელას მნიშვნელობას უნდა შეიცავდეს.

ხორბლის უძველესი ჯიშის **მახა**-ს კოლხური კანონზომიერი შესატყვისი **მოხა** დღეისათვის მხოლოდ ჭანჭურს დაუცავს, მაგრამ, ცხადია ის ამგვარივე ჟღერადობით მეგრულშიც უნდა გვქონოდა. აღსანიშნავია, რომ მოხა არ არის ამ სიტყვის თავდაპირველი ფორმა: ო. კახაძეს აზრით ქართ. მახა, კოლხ. მოხა სიტყვაში ბოლოკიდური ა არის დეტერმინანტი სუფიქსის ნარჩენი. ამგვარად, თავდაპირველად უნდა გვქონოდა ***მახალ** > ***მახარ**. ამ სიტყვის ეს უძველესი, სავარაუდო ფორმა დღესაც დაცულია სვანურში, სადაც **მახარ** || **მახვიარ** ქერს ნიშნავს (კახაძე, 1987, 28), კოლხურში კი უნდა გვქონოდა ***მოხარ**.

ერთი მეგრული, ცალმარცვალა ხორბლის ჯიშის სახელი **სკურდური** შემონახულია XVIII საუკუნის გერმანელი მეცნიერის ი. გეორგის წიგნში, რომელიც 1798 წ. გამოიცა (გეორგი, 1798, 987) ის მას **სკორდურს** უწოდებს. აშკარაა, რომ იგულისხმება ის ჯიში, რომელიც სოფელ სკორდში ხარობდა.

ურბიში (*Echinochola, frumentacea*), რომელიც ერთ-ერთი უძველესი პურეულია სამეგრელოში XIX საუკუნის ბოლომდე მოჰყავდათ. მისი მეგრული სახელი არც ალ. მაყაშვილის ბოტანიკურ ლექსიკონშია შესული და არც რომელიმე სხვა წყაროში. მაგრამ ჩვენ მიერ იქნა ჩაწერილი სოფელ კურზუში. რესპონდენტის თქმით „თესდნენ კიდევ ერთგვარ მარცვლოვან მცენარეს, რომელიც ფატს (ფეტვს) ჰგავდა, მაგრამ ფეტვი არ იყო. ფაიძა-საც და თამაკსაც ეძახდნენ. ეს მცენარე, რესპონდენტის ცნობით, უკვე ამოგარდნილია. ამ მცენარის

ჩვენ მიერ ჩაწერილი ორი სახელის მეგრულ ლექსიკონებში ამოდ
მოდიების შემდეგ ჩვენი ყურადღება მიიქცია ურიშის რუსულმა ს
ხელმა пауза, რომელიც აშკარად ჩინური ნაირსახეობაა. ამ მცენარის
ჩაწერილი სახელი ფაიძაც რუსულიდან ჩანს შემოსული. რაც შეეხე
ბა მეორე სახელს თამაკი, ის მისი ძველთაძველი მეგრული სახელი
ჩანს. საყურადღებოა ის გარემოება, რომ მთიან სამეგრელოში არის
სოფელი **თამაკონი**, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ონ
ტოპოფორმანტი კრებითობის მაწარმოებელია და უმეტესწილად ფი
ტონიშის შემცველ ტოპონიმებს დაერთვის (ცხიმური — ცხიმურონი,
წიფური — წიფურონი, ჯამპი — ჯამპონი...), მაშინ თამაკონის ეტი
მოლოგია საგსებით გამჭვირვალე ხდება. იმ ადგილს სადაც თამაკი
ითესებოდა თამაკონი ანუ თამაკნარი ჰქვია.

თამაკი, რომ მართლაც ურიშის ძველი მეგრული სახელია, ამაზე
ისიც მიუთითებს, რომ რესპონდენტის თქმით, თამაკისაგან ამზადებ
დნენ ხელების წამალს — ტიბუს. ეს წამალი კი მართლაც ურიშის,
ქონდარის, ყვითელი ყვავილის (ზაფრანას) და წიწაის ნადულს
წარმოადგენდა (რუხაძე, 1976, 71).

ლიტერატურა

ჯავახიშვილი, 1986 — ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონო
მიკური ისტორია, წ. II (თხზულებანი ტ. V), თბ., 1986.

კახაძე, 1987 — ო. კახაძე, პურეულის ლექსიკა ქართულში,
თბ., 1987.

მაყაშვილი, 1991 — ა. მაყაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი,
თბ., 1991.

ყიფშიძე, 1914 — И. Кипшидзе, Грамматика мингрельского
(ивсрского) языка с хрестоматией и словарем, СПб. 1914.

გეორგი, 1798 — L. Georgi Geographisch politikischen und na
turlistorische beschreibung des Russischen reichs // Königsberg,
1798.

რუხაძე, 1976 — ჯ. რუხაძე, ხალხური აგროკულტურა დასავ
ლეთ საქართველოში, თბ., 1976.

Some Megrelian Agricultural Dendronyms

Summary

The paper reveals and investigates the earliest forms of the Megrelian lexeme *kobali* → **kvabali* denoting wheat and bread. The etymology of the term *piṭa kobali* meaning fine grain wheat is discussed.

The paper states the form *moxar* as the oldest for denoting the ancient Georgian wheat species — *maxa* (Georgian), *moxa* (Chan) *moxa* (Megrelian). The paper also interprets the etymology of the Megrelian wheat species — *skurduri*, and argues that it is connected with the name of the village — *Skurdi*.

The term *tamaḳi* depicted in the paper is considered to be the Megrelian name of *Urishi* (*Echinochola*, L... *mentacea*)

ინგა ბაბია

ნათესავის გავრცელების ფრინველების, მფარებისა
და მღრღნელების აღმნიშვნელი მებრუნელი ლექსიკა

მიწათმოქმედის ნაოფლარს არაერთი მავნებელი და მტერი ჰყავს. ყანის ერთ-ერთი საშიში მტერია (ჯანაშვილი, 1965, 33) **კალია**, რომლის მეგრული სახელი **კოლი** მისი ქართული სახელის ზუსტი ფონეტიკური შესატყვისია.

ნათესების დიდი მტერია ისეთი მღრღნელი, როგორიცაა საზოგადოებრივი მემინდვრია (*Mikrotus Socialis* Pall), რომელიც ხორბლესა და მტილეს ანადგურებს, საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობასაც, როგორც შავი ჭირის გამავრცელებელი (კონია, 1968, 5). მემინდვრიას მეგრული სახელია **ცვანაშ ჭუკი**.

ნათესების მტრები არიან აგრეთვე **ხულიშ ფარფალია** (კომბოსტოს თეთრულა), **ჭარხალიშ** ხოჭო (ჭარხლის ცხვირგრძელა).

მახრას მეგრულ სახელში **ხვატარი**, ისევე როგორც თვით ამ ქართულ სიტყვაში, კარგადაა ასახული მისი მავნებლობა მეგ. **ხვატარი** ზუსტი სემანტიკური ტყუპისცალია ქართ. მახრასი. როგორც მახრა, ასევე ხვატარი ნაშენარი სახელია. მახრაში გვაქვს ქართ. **გხრავ** ზმნისეული **ხრ-** ძირი, ხვატარში კი მეგრ. ხვატუნს „ხრავს“ „ღრღნის“ ზმნის ფუძე — **ხვატ**. „ხვატარი ორტყინიშ ნტერიე“ — მახრა ბოსტნის მტერია (ქაჯია, III, 543).

მახრას მეორე სახელიც დასტურდება მეგრულში **ღვაბაია**-ს სახით (ჭარაია, 1977, 178; კილანავა, 1998, 27) „ღვაბაია მანებელი ხოხუ რე“ — მახრა მავნებელი ქვეწარმავალია“ (ქაჯია, III, 173). ღვაბაიას მავნებლური თვისება კარგად ჩანს ამ სიტყვიდან მომდინარე ისეთ მეგრულ სახელში, როგორიცაა ღვაბუა, რაც დიდი ლუქმებით ბევრის ჭამას ნიშნავს (ქაჯია, III, 173).

ნათესების მავნებელი იყო ყვითელი ფერის დიდი მატლი მუხლუხა, რომელსაც მეგრულად **ბარუუ** ჰქვია (ყიფშიძე, 1914, 37). ნათესების მტრად იყო აგრეთვე მიჩნეული ქართ. შევარდენი, მეგრ., შარდინი.

ბევრ ფრინველს უდიდესი სარგებლობა მოაქვს ნათესებისათვის რადგან მათი საკვები, სწორედ ზემოთ დასახელებული მავნებლებია და ამით ისინი უდიდეს სამსახურს უწევენ მიწათმოქმედს. ასეთი სასარგებლო ფრინველებია **დიდქრიო-კაკია**, რომლის ლათინური სახელია (*Buteomenetri esi Bogdarop*) (ქორდანია, 1970, 214). ამ ფრინველის სახელად **კოკონაც** დავადასტურეთ ველზე (ბებია, დღიური, 51).

დიდქრიო კომბოზიტია და დიდ ქორს ნიშნავს **კოკონა** კი მეგრული კანონზომიერი შესატყვისი ჩანს ქართ. კაკაჩისა (აღსანიშნავია ისიც, რომ ქართ. კაკაჩი გვაქვს მეგრულ გვარსახელში კაკაჩია, ხოლო მეგრული კოკონა ქართ.-კახურ გვარსახელში კოკონაშვილი).

ლუ (ქართ. ბუ) ლათ. *Strix airco wilkonski (menrb)* ტორონჯი (ქართ. მტრედი) ლათ. *Coluimba Livia negtecha Hume*. მალალური || მაღალური, (ქართ. მოლალური) ლათ. *aegyptius monachus (L)* ამ ფრინველის სახელად მეგრულს ქართული **სვავი-ც** აქვს ნასესხები. იხმარებოდა ამ უკანასკნელიდან მომდინარე სავი ფორმაც (ქორდანია, 1970, 214). ჩვენ მიერ ველზე ჩაწერილი **შვე** ფორმა მეგრული კანონზომიერი შესატყვისი ჩანს ქართ. **სვავ** ფორმისა.

კიდეშ||კიდეშ||კიდეშ (ქართ. კოდალა) ლათ. *Picus viridis karelini Brandt* სხვაგვარად *Dryocopus martius (L)*. ოფოფია (ქართ. ოფოფი), ლათ. *Upupa epops L*, ოშოშია (ქართ. შოშია) ლათ. *Sturnus vulgaris Caucasicus Lorenr.* ზესქვი || ზესკვი (ქართ. შაშვი) ლათ. *Turdus merula L* **მაჭირხოლი** || **მარჭიხოლი** (ქართ. მერცხალი) ლათ. *Delicon sp* იგივე *Hirundo sp*.

ლიტერატურა

კილანავა, 1998 — ბ. კილანავა, 900 მეგრული სიტყვა, მასალები ლექსიკონისათვის, თბ., 1998.

კოხია, 1968 — კოხია, საზოგადოებრივი მემინდვრია, თბ., 1968.

ქაჯაია, 2000 — ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბ., 2000.

ჯანაშვილი, 1965 — ა. ჯანაშვილი, სოფლის მეურნეობის სასარგებლო და მავნებელი ფრინველები, თბ., 1965.

ჭარაია, 1997 — პ. ჭარაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბ., 1997.

The Megrelian Lexical Units Denoting Pests

Summary

The paper discusses a number of Megrelian lexemes denoting various types of pests: birds, insects and rodents viz.: *ḡuli*, *xvatari*, *ḡvabaia*, *barun*, *didḡerio*, *ḡoḡoča*, *ḡu*, *švc*, *ḡidu* // *ḡgdḡ*, *opopia*, *ošošia*, *zeshḡvi*, *maḡirxuli* // *marḡ ixuli*.

ნიმუხი

ინტელექტის დადებითი თვისებების აღმნიშვნელი ატრიბუტული ლექსიკა ინგლისურ ენაში

ენის შინაარსობრივი სფერო, მასში შემავალ ლექსიკურ ერთეულთა განსხვავებული სემანტიკური მიმართებების გათვალისწინებით, შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც მთლიანი სტრუქტურა, ორგანიზებული ე. წ. სემანტიკურ ველთა საშუალებით. თითოეული ველი, თავის მხრივ, წარმოადგენს უნიკალურ მიკროსტრუქტურას, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი რეალობის პერსექციითა და შემდგომ მისი სეგმენტაციით მოცემულ ენაზე მოცემული დროის ჭრილში. სემანტიკური ველის შემადგენელი ლექსიკური ერთეულები ემყარება, როგორც ძირითად სემანტიკურ მარკერს, დამახასიათებელს ველის ყველა სიტყვისთვის, ასევე ამჟღავნებს განსხვავებულ, ასე ვთქვათ, დამატებით სემებს — ველის თითოეული სიტყვისთვის განსხვავებული ნიუანსური შეფერილობის მქონე სემანტიკურ ნიშანს.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე, შევეცადეთ, გამოგვეკვლია ინგლისურ ენაში ინტელექტის დადებითი თვისებების აღმნიშვნელი ატრიბუტული ლექსიკა, რომელმაც თავისი მრავალფეროვნებითა და მხატვრულ ლიტერატურაში ფართო გამოყენებით, შეიძლება ითქვას, მოგვცა ამის საშუალება.

კვლევის დროს მხედველობაში მივიღეთ ის გარემოება, რომ აღმნიშვნელის ინტელექტუალური განვითარება უშუალოდ უკავშირდება გონებრივ შესაძლებლობებს, კერძოდ, გამჭრიახობას, ჭკუის მოქნილობასა და მრავალ სხვა თვისებას. აგრეთვე ისიც, რომ გონებრივი დონის ამაღლება შესაძლებელია გარე სამყაროდან მიღებული ცოდნით, უფრო ზუსტად, სწავლითა და ცხოვრებისეული გამოცდილებით. აქედან გამომდინარე, ინტელექტის დადებითი თვისებების აღმნიშვნელ ატრიბუტულ სახელთა ლექსიკურ-სემანტიკურ სფეროში პირობითად გამოვყავით ორი ჯგუფი — ორი ძირითადი სემანტიკური მარკერის მიხედვით 1) თანდაყოლილი (ღვთისგან მინიჭებული) გო-

ნიერება — ნიჭიერება, რომელშიც იგულისხმება ადამიანის აზროვნებისა და ცოდნის შეთვისების ბუნებრივი უნარი. 2) ცხოვრების მანძილზე შეძენილი, აკუმულირებული სიბრძნე, ცოდნა, რომელიც უკავშირდება სწავლითა და გამოცდილება-პრაქტიკით მიღებულ ინტელექტუალურ განვითარებას. ერთი მხრივ, ლექსიკონებზე, ხოლო, მეორე მხრივ, მხატვრულ ლიტერატურაზე დაყრდნობით, თითოეულ ჯგუფში შემავალი სიტყვების განსხვავებული შინაარსობრივი ნიუანსების მიხედვით დადასტურდა და გამოიკვეთა უმცირესი სემანტიკური ერთეულები — დამატებითი სემები. საერთო და დამატებითი სემების განაწილების რავგარობისა და სპეციფიკის საფუძველზე გამოიყო I ჯგუფის შვიდი, ხოლო II ჯგუფის სამი ქვეჯგუფი. განვიხილოთ თითოეული მათგანი:

1. პირველ ქვეჯგუფში შემავალ ლექსიკურ ერთეულთა საერთო სემაა „ზოგადად გონიერება“, რომელიც გულისხმობს ცოდნის შეთვისებისა და მისი სწორად აღქმის ზოგად, ნეიტრალურ უნარს. ამ ქვეჯგუფში შედის რამდენიმე ლექსიკური ერთეული, კერძოდ:

Understanding — შეგნებულობა, გონიერება

მაგალითად: **"She was a woman of tact, sympathy and understanding, with which she was blessed by nature"**. (სომერსეტ მოემი)

მოცემულ მაგალითში ხაზგასმულია ის გარემოება, რომ ადამიანს შეგნებულობა დაბადებით მოსდგამს, ხოლო რაც შეეხება მომდევნო მაგალითს, ის ცხადყოფს, რომ „understanding“ ადამიანს, როგორც ზოგადად გონიერ არსებას ახასიათებს.

"It was mysterious beyond human understanding". (ჯერომ ჯერომი)

intelligent — ამ სიტყვის სემანტიკურ სტრუქტურაში საერთო სემასთან ერთად ინტელექტუალობის მაღალი საფეხურის აღმნიშვნელი დამატებითი სემაც იგულისხმება. „intelligent“, შეიძლება ითქვას, ადამიანთა შორის განმასხვავებელი თვისებაა, რომელიც შეიძლება მივიჩნიოთ იმ ერთეულის დამატებით სემად.

მაგალითად: **"If you are intelligent, the maths involved should present no problems"**. (ჯერომ ჯერომი)

"Their son was a highly intelligent child". (სომერსეტ მოემი)

brainy — „ტვინიკოსი“, ტვინიანი, წინამორბედისაგან რეგისტრით განსხვავდება. იგი ძირითადად სალაპარაკო ინგლისურისთვისაა დამახასიათებელი. მაგალითად:

"Lane was **brainy** enough to know what this bastard Rilke was all about". (ჯერომ დევიდ სელინჯერი)

მოცემულ მაგალითში ჟარგონული სიტყვის „bastard“-ის გამოყენება მიუთითებს „brainy“-ს გამოყენების საკმაოდ არაოფიციალურ რეგისტრზე.

ამავე ქვეჯგუფში ერთიანდება **witty**, რომლის დამატებითი სემა, ამ ქვეჯგუფის დამახასიათებელი საერთო სემის გარდა, დაბეწილი იუმორის გრძნობის მქონე ადამიანს აღნიშნავს. მოცემული თვისება თანდაყოლილად შეიძლება ჩაითვალოს, რადგან, როგორც ჯორჯ ჰერბი მიუთითებს: "Laboured or forced wit is not wit" (ჰერბი, 1956, 126). მაგალითად: "He was a **witty** fellow... his conversation wasn't as a rule brilliant, but it was easy and everybody laughed" (სომერსეტ მოემი)

II. მეორე ქვეჯგუფში შემავალ ლექსიკურ ერთეულთა საერთო სემაა „განსჯისუნარიანობა“.

sensible — საღად მოაზროვნე, მიზანშეწონილი. ამ ერთეულის დამატებითი სემაა გადაწყვეტილებების ფაქტებზე დაყრდნობით მიზანშეწონილად მიღების უნარი, მაგალითად:

"The clergyman after a few hours of privacy was **sensible** that the disorder of his nerves has hurried into an outbreak of temper" (6. ჰოთორნი).

reasonable — გონებადამჯდარი. ამ ერთეულს დამატებითი სემა მიუთითებს ადამიანის სამართლიანობაზე. მაგალითად:

"She is perfectly **reasonable** in her demands".

"In no **reasonable** state of mind, he took the infant in his arms" (6. ჰოთორნი).

ზოგადად გონიერებაზე მიუთითებს სიტყვა „**rational**“- რაციონალური ისეთ მაგალითებში, როგორებიცაა „Man is a **rational being**“, ასევე „We should be able to sort this out like **rational human beings**“, მაგრამ მომდევნო მაგალითმა, რომელშიც ეს ერთეული ამჟღავნებს, როგორც II ქვეჯგუფის საერთო სემას, ასევე დამატებითსაც (ასეთ სემად შეიძლება მივიჩნიოთ გამიზნულობა), საშუალება მოგვცა ეს სიტყვა მეორე ქვეჯგუფში შეგვეტანა.

"His heart rarely rules his head... he is **rational**" (ჯერომ ჯერომი)

level-headed — განსჯისუნარიანი, დამატებითი სემაა გაწონასწორებულობა. უფრო ზუსტად, გადაწყვეტილებების მშვიდად

მიღების უნარი. მაგალითად: "You know, she is **level-headed**... she never does silly things under pressure" (სომერსეტ მოემი).

III. ამ ქვეჯგუფში შემავალ სიტყვათა საერთო სემაა „გონების სიმახვილე-გამჭრიახობა“, რომელიც გულისხმობს ადამიანის ანალიტიკური აზროვნების უნარს.

penetrating — გამჭოლი, დამატებითი სემა გულისხმობს გონების თვისებას, რომლის საშუალებითაც დაფარული, გაურკვეველი რამის სააშკარაოზე გამოტანა არის შესაძლებელი. მაგალითად:

"A **penetrating** reader could easily guess the thought of the writer" (სომერსეტ მოემი).

sharp — მახვილგონიერი. მის დამატებით სემად შეიძლება ჩათვალოს მცირე დეტალების აღქმისა და გათვალისწინების უნარი, რომელიც მუდგნდება „სიძნელეებიდან თავის ადვილად დაღწევაში“ (ქრები, 1956, 381).

მაგალითად: "being a journalist with an extremely **sharp** mind, she wasn't easily deceived" (ა. კრისტი).

acute — ბასრი გონებით, ამ ერთეულის დამატებითი სემა უფრო სიზუსტესთანაა დაკავშირებული. „**acute**“ ადამიანს შეუძლია, ასე ვთქვათ, „მიზანში გარტყმა“. მაგალითად: "With his **acute** mind, he is able to find an answer quickly" (ა. კრისტი).

Shrewd — გამჭრიახი. დამატებით სემაში იგულისხმება შეუმჩნეველი და ერთი შეხედვით, ნაკლებად საყურადღებო დეტალების შენიშვნა და საგანთა არსში ღრმად წვდომის უნარი.

მაგალითად: "She instinctively avoided clever, **shrewd** man... and that was because she was incurable dishonest... (ფ. სკოტ ფიცჯერალდი).

IV. ამ ქვეჯგუფში შემავალ სიტყვათა საერთო სემაა „გონების სისწრაფე“, იგულისხმება საგანთა აღქმისა და ცოდნის შეთვისების განსაკუთრებული სისხარტე.

smart — გონებამოქნილი. დამატებით სემაში იგულისხმება ძალდაუტანებელი და საოცრად მარდი უნარი, როგორც საგანთა არსში გარკვევისა, ასევე ცოდნის შეთვისებისა. მაგალითად:

"He is **smart** and a nice guy and all that, but he doesn't seem to have much purpose as far as I'm concerned" (ა. კრისტი).

"He is the **smartest** student in the class".

პირველ მაგალითში პიროვნების მიერ საგანთა აღქმის სისწრაფეზეა ყურადღება გამახვილებული, ხოლო მეორეში — ცოდნის შე-

თვისების სისწრაფეა ზაზგასმული.

nimble — გონებასწარტი. დამატებით სემაში იგულისხმება გადაწყვეტილებების სწრაფად მიღების უნარი.

"He liked her **nimble** mind - the ability to come up with original ideas, when there was no time at all" (სომერსეტ მოემი).

quick-witted — გონებასწრაფი. ამ ერთეულის სემანტიკურ სტრუქტურაში იგულისხმება ადამიანის ენამოსწრებულობაც, რაც შეიძლება ჩაითვალოს მოცემული სიტყვის დამატებით სემად: მაგალითად: "She was **quick** in her remarks" (სომერსეტ მოემი).

"Her movements as a rule were rather deliberate, but when it came to playing cards she was alert and **quick-witted**" (სომერსეტ მოემი).

V. მეხუთე ქვეჯგუფში შემავალ სიტყვათა საერთო სემაა „გონების სიღრმე“, რომელიც გულისხმობს ღიწვ, სერიოზულად ფიქრის უნარს.

contemplative — განმჭვრეტი, ამ ქვეჯგუფისათვის დამახასიათებელ საერთო სემასთან ერთად შეიცავს დამატებით სემას, რაც დროის საკმაოდ დიდ მონაკვეთში აწონ-დაწონით ფიქრს უკავშირდება. მაგალითად:

"Each morning the priest spent an hour in quiet contemplation" ასევე "Being a **contemplative** woman, Hester spent a large amount of time thinking seriously and deeply" (ნ. ჰოთორნი).

reflective — მოაზროვნე. დამატებით სემაში მოცემული ერთეული ამჟღავნებს ადამიანის სიღრმისეულად ჭვრეტის უნარს, რომელსაც უფრო ზოგადი ხასიათი აქვს. მაგალითად: "A **reflective** man always thinks about what we are, what we ought to be and what we shall be" (ფ. სკოტ ფიცჯერალდი).

VI. ამ ქვეჯგუფში გაერთიანებული სიტყვების **sagacious, prudent** საერთო სემაა „წინდახედულობა“, უფრო ზუსტად, მომავალზე სერიოზულად ფიქრის უნარი.

sagacious — შორსმჭვრეტელი. მისი დამატებითი სემაა შორსმჭვრეტელობა და ამავე დროს სიბრძნე. მაგალითად:

"The landlord had the character, among all his neighbours of being a very **sagacious** fellow. He was thought to see farther and deeper into things than any man in the parish" (პ. ფილდინგი).

prudent — დაკვირვებული, წინდახედული. მისი დამატებითი

სემა — მომავალზე განსაკუთრებული სიფრთხილით ფიქრი. მაგალითად:

"But, being a **prudent** woman, she knew, it was advisable to prepare for all contingencies" (ოლ. ჰაქსლი).

VII. ამ ქვეგვთეში შემავალ სიტყვათა საერთო სემა „ნიჭიერება“, მოიცავს ბუნებრივი ნიჭის აღმნიშვნელ ლექსიკას, ნიჭის, რომელიც ძირითადად შემოქმედებითი სახით ვლინდება, და, ასე ვთქვათ, „რჩეულთა ხეღერია“ (ქრები, 1956, 416).

"A remarkably **talented** artist suggested a personality, which was strange, tormented and complex" (სომერსეტ მოემი).

"That was something, that held a little hope... for fresh **talented dancers**... she had been selected among twenty" (შ. ოქეიზი)

ingenious — ჭკვიანი, დამატებითი სემაა ორიგინალურად აზროვნება, გამომგონებლობის უნარი. მაგალითად:

"She is very **ingenious** when it comes to finding excuses" (ა. კრისტი).

clever — ჭკვიანი. მისი დამატებითი სემა ხაზს უსვამს გარკვეული სახის მოხერხებულობასა და რაიმე კონკრეტული საგნისადმი მიდრეკილებას. მაგალითად:

"She has hidden herself well! Margaritha is very **clever** at that sort of thing" (ა. კრისტი).

"...Arnold... was **clever**... what they call a first-class **financial brain**" (ა. კრისტი).

რაც შეეხება მეორე ჯგუფს - ძირითადი სემანტიკური მარკერით — „ცხოვრების მანძილზე შეძენილი ცოდნა“, მასში გამოიყო სამი ქვეჯგუფი სამი საერთო სემის მიხედვით.

I. ზოგადად „ცოდნა-სიბრძნე“, რომელიც საერთო სემაა მოცემული ქვეჯგუფის ყველა სიტყვისათვის და მიუთითებს ზოგადი ხასიათის ცოდნაზე.

knowledgeable — გათვითცნობიერებული. დამატებითი სემით — ერთგვარი, გარკვეული სახის ამომწურავი ინფორმაციის ფლობა. მაგალითად: "Roy was **knowledgeable**. He knew what all the flowers were called and the Latin names tripped off his tongue" (სომერსეტ მოემი).

"He was **knowledgeable** about wines" (somer set moemi).

wise — ბრძენი. დამატებითი სემაა — საღად და ღრმად აზროვნების უნარი საფუძვლიანი ცოდნისა და ცხოვრებისეული გამოც-

დილების შედეგად. მოცემული ერთეული ასოცირდება მსოფიან ადამიანთან. როგორც ჯორჯ ჯარების სინონიმების ლექსიკონში ვკითხულობთ „People often gain wisdom with age“ (ქრები, 1956, 252). მაგალითად: "That he knew much more, than he thought proper to disclose, alone may, very well account for his **wise** character and age" (პ. ფილინგი).

II. ამ ქვეჯგუფის საერთო სემა — „ცოდნა, შეძენილი უშუალოდ წიგნზე მუშაობით“, ანუ განსწავლულობა.

bookworm — წიგნის ჭია. მიუთითებს ყოველგვარი ბიბლიოთეკისადმი დაუძლეველ მიდრეკილებაზე. მის დამატებით სემად შეიძლება მივიჩნიოთ სწორედ ეს დაუძლეველი სურვილი ცოდნისა. მაგალითად: "I'm a man of thought, the **bookworm** of great libraries... having given my best years to feed the hungry dream of knowledge..." (ნ. ჰოთორნი).

learned — სწავლული, განსწავლული. დამატებით სემაში ძირითადად საბუნებისმეტყველო სახის მეცნიერებითა და ასევე გრამატიკით გართული ადამიანი იგულისხმება. მაგალითად: "So **learned** a man, as you speak, must have learned this too in his books..." (ნ. ჰოთორნი).

"He was a **learned** man, because, firstly he had written a book on Greek grammar and secondly, he was fond of solving mathematical problems" (სომერსეტ მოემი).

III. ამ ქვეჯგუფის საერთო სემა — „ცოდნა, შეძენილი გამოცდილება — პრაქტიკით“.

sophisticated — გამოცდილი. დამატებითი სემა მიუთითებს ისეთ ადამიანზე, რომელსაც დიდი ცხოვრებისეული გამოცდილება აქვს, გარდა ამისა, იგი მოღაში, კულტურაში, უახლეს იდეებშია გათვინობიერებული. მაგალითად:

"I've been everywhere and seen everything and done everything... **Sophisticated, God, I'm Sophisticated**" (ფ. სკოტ ფიცჯერალდი).

"The fashion magazines show what the **sophisticated** woman is wearing this year" (ფ. სკოტ ფიცჯერალდი).

experienced — გამოცდილი. დამატებით სემაში, ასე ვთქვათ, სანდო გამოცდილება იგულისხმება, დაგროვებული წლებთან ერთად.

"He looked decided and **experienced** like a man of sixty" (ვ. ს. ფრიტჩი).

qualified — განსწავლული, გაწაფული. ქვეყნის საერთო სემასთან ერთად გულისხმობს დამატებით სემას — კვალიფიკაციის ამაღლებას. მაგალითად:

"It took me 3 years to become **qualified**... and it's obvious I'm **qualified**, but I can't unless everyone, who can, is willing to help me..." (სომერსეტ მოემი).

"... **qualified** practitioners with large grounds suitable for the charge of difficult cases..." (ე. ვო)

skillful — დახელოვნებული. დამატებით სემაში ძირითადად ოპერაციებსა და პრაქტიკული სახის მეცნიერებაში გაწაფული ადამიანი იგულისხმება. მაგალითად: "**Skillful men in medicine and surgical profession were of rare occurrence in the colony**" (ნ. ჰოთორნი).

"They were performing seemingly miraculous cures by their **skillful men in black art**"

როგორც ვხედავთ, ინტელექტის დადებითი თვისებების აღმნიშვნელი ატრიბუტული ლექსიკა ინგლისურ ენაში საკმაოდ მრავალფეროვანი და, ამავე დროს, მრავალრიცხოვანია. ამ ნაშრომში განხილული ლექსიკური ერთეულები გავანაწილეთ ორ დიდ სემანტიკურ ჯგუფად — ორი ძირითადი სემანტიკური მარკერის მიხედვით, ხოლო შემდგომ უფრო ვიწრო ქვეჯგუფებად საერთო და დამატებითი სემების განაწილების რაგვარობისა და სპეციფიკაციის საფუძველზე. პირველ ჯგუფში გამოვყავით შვიდი, ხოლო მეორეში — სამი ქვეჯგუფი. ამათგან ლექსიკურ ერთეულთა სიმრავლით გამოირჩევა გამოცდილება — პრაქტიკით მიღებულ ცოდნასთან ასოცირებული ქვეჯგუფი (2 ჯგ-ის III ქვეჯგ.), ხოლო სიმცირით — წინდახედულობისა და სიღრმისეულად ფიქრთან ასოცირებული ქვეჯგუფი (1 ჯგ-ის V და VI ქვეჯგ.).

ლიტერატურა

კრისტალი, 1997 — D. Crystal, The Cambridge Encyclopedia of Language, Cambridge University Press, 1997.

კრისტი, 1993 — A. Christie, "A Murder is Announced", harper Collins Publishers, London, 1993.

ლაიონზი, 1977 — J. Lyons, Semantics (2 Volumes), 1977.



- ლოჩი, 1977** — J. Leech, Semantics, Penguin Books, 1977.
- პოეზი, 1980** — W. S. Maugham, "Cakes and Ale: Or Skeleton in the Cupboard", Progress Publishers, Moscow, 1980.
- პოეზი, 2001** — W. S. Maugham, "Theatre", Vintage, London, 2001.
- სელინჯერი, 1982** — J. D. Salinger, "Franny and Zooey", Progress Publishers, Moscow, 1982.
- უო, 1943** — E. Waugh, "Decline and Fall", Penguin Books, 1943.
- ფიქცია, 2002** — F. Scott Fitzgerald, "The Great Gatsby", IKKa Publishers, Moscow, 2002.
- ფილდინგი, 1991** — H. Fielding, "The History of Tom Jones", Everyman's Library (250 Volumes), David Campbell Publishers, London, 1991.
- ჯერომა, 1964** — J. K. Jerome, "The Three Men in a Boat", Progress Publishers, Moscow, 1964.
- ჰაქსლი, 1993** — Al. Huxley, "Crome Yellow", Penguin Books, 1993.
- ჰოთორნი, 1999** — N. Hawthorne, "The Scarlet Letter", A Signet Classic, U.S.A. 1999.
- ინგლისური ენისა და კულტურის ლექსიკონი, 1992** — Dictionary of English Language and Culture, Longman, 1992.
- ლონგმენი, 1995** — Longman Dictionary of Contemporary English, Longman, 1995.
- მიულერი, 2000** — Новый Англо-Русский Словарь, Мюллер В. К., "Русский язык", Москва, 2000.
- Oxford Advanced Learner's Dictionary, Hornby A. S., Oxford University Press, 2000.
- Roget's International Thesaurus, Thomas Crowell Company, New York, 1834.
- Crabb's English Synonyms, Crabb G, Butler Tanner, London, 1956.

Attributes Denoting Positive Mental Qualities of a Human Being in English

Summary

The paper deals with the semantic study of attributes denoting positive intellectual abilities of a human being. On the basis of differential and additional semes and by using the method of componential analysis two main groups and several subgroups are singled out. Each case is testified on a suitable context taken from literary works of modern English and American writers.

თემა ბერიძე

შავშეთის ტოპონიმები გიორგი ყაზბეგის „სამი თვე თურქეთის საპარტიველოში“

თვალსაზრისით ქართველმა მოღვაწემ გიორგი ყაზბეგმა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში 1874 წელს იმოგზაურა. როგორც თვითონ წერს: „1874 წლის გაზაფხულზე ვისარგებლე ხელსაყრელი შემთხვევით და თურქეთის საქართველოში ვიმოგზაურე“ (ყაზბეგი, 1995, 29). სწორედ ამ მოგზაურობის დროს შეკრებილი სხვადასხვა ხასიათის ძალზე საინტერესო მასალები დაედო საფუძვლად გ. ყაზბეგის ერთ-ერთ წიგნს „სამი თვე თურქეთის საქართველოში (ყაზბეგი, 1875).

ამ ნაშრომში მოცემულია ცნობები ლაზეთის, ზემო აჭარის, შავშეთის, არტანუჯისა და ლივანის შესახებ.

აღნიშნულ წიგნში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს რეგიონის ტოპონიმურ მასალას. მოცემულია, აგრეთვე, ჩვენთვის საინტერესო მხარის — შავშეთის ტოპონიმებიც.

გ. ყაზბეგის მიხედვით, შავშეთის სახელით იგულისხმება სივრცე, რომელიც მოთავსებულია არსიანის, კარჩხალისა და იალანუსჩაშის მთის ქედებს შორის. ამ მთებს შორის ჩაკეტილი სივრცე წარმოადგენს ერთ დიდ ქვაბულს, რომელიც შეიძლება გაიყოს ორ ნაწილად: მთიანი და დაბლობი. პირველი იმერხევის ხეობაა, მეორე — სათლე-ლის წყლის აუზი, ანუ საკუთრივ შავშეთი (ყაზბეგი, 1995, 75).

გ. ყაზბეგი ზემო აჭარიდან გადავიდა შავშეთში. კერძოდ, ყვირა-ლას ხეობაში. ავტორის შენიშვნით, მდინარე ყვირაღამ სახელი მიი-ღო ქართული სიტყვისაგან „ყვირილი“. ეს სახელი საგვებით შეესა-ბამება მდინარის ხასიათს, ზემო წელში იგი ხმაურით მიექანება ქვი-ან ფსკერზე. აქვე დასახლებულია სოფლები: ყვირაღა, ჯინალი, ჩიხ-თა (ყაზბეგი, 1995, 75). ეს უკანასკნელი შ. ფუტყარაძის მასალებში არის ჩიხვტა (ფუტყარაძე, 1993, 185), ხოლო ნ. ცეცხლაძეს ჩაწერი-ლი აქვს ჩიხვთა/ჩიხვტა ფორმით (ცეცხლაძე, 2000, 231).

გ. ყაზბეგს აღწერილი აქვს აბანოსხევი, იქვე აღნიშნავს, რომ აბანოსხევმა სახელწოდება მიიღო მინერალური წყლისაგან აბანო (ყაზბეგი, 1995, 76). ჭინალიდან მკვლევარი მივიდა სოფელ მიქელეთში (XIX საუკუნის დასასრულს ზ. ჭიჭინაძე წერდა, რომ სოფ. მიქელეთში „ლაპარაკობენ თათრულ-ქართულს, იქელეთის ხეობაში არის აბანო და ამიტომ ამ ხეობას აბანოსხევი ეწოდებოდა“ (ჭიჭინაძე, 1913, 296), შემდეგ გარყლობაში. ეს სახელი ზ. ჭიჭინაძის მიხედვით არის „გარიყლუფი“ (ჭიჭინაძე, 1913, 296); ი. სიხარულიძის მასალებში კი — „გარყელობა“ (სიხარულიძე, 1988, 45; შ. ფუტყარაძესა და ნ. ცეცხლაძეს ჩაწერილი აქვთ გარყილობი ფორმით (ფუტყარაძე, 1993, 184; ცეცხლაძე, 2000, 169). ე. ი. ამაჟამად ადგილობრივ ცოცხალ მეტყველებაში არის გარყილობი. სწორედ ეს ფორმა უნდა იყოს სწორი. ავტორის მიხედვით, აქედან იწყება შავშეთის ვაკე ნაწილი, რომელიც ტერასებად მიემართება სამხრეთ-დასავლეთით და სოფლებიც უწყვეტ რიგებადაა განფენილი. პირველ ტერასზე მდებარეობს სოფლები: გარყლობა (უნდა იყოს გარყილობი — ე. ბ.), უხედი, წეთილეთი, ჩვარები (ზემო და ქვემო) და კარავათი; მეორეზე — ციხისძირი; მესამეზე — ტბეთი და დაბაკეთილი; ბოლოს, მდინარის პირას არის სოფლები ველი და სათლელი (ყაზბეგი, 1995, 77).

ამ ციტატაში და საერთოდ სხვაგანც გ. ყაზბეგი ზუსტად მიუთითებს დასახლებული პუნქტებისა თუ სხვა ადგილების ლოკალიზაციაზე. ოღონდ მისი ნაშრომები რუსულადაა შედგენილი და თარგმნის დროს შეიძლება ზოგიერთი სახელწოდება ქართულად უმართებულოდ იქნეს გადმოტანილი. მაგ., სოფელი ჩვარები უნდა იყოს ჯვარები. ზ. ჭიჭინაძის მიხედვითაც არის ჯვარები (ჭიჭინაძე, 1913, 296). ასეა, აგრეთვე, შ. ფუტყარაძის მიერ შეკრებილ მასალაშიც (ფუტყარაძე, 1993, 185). შესაძლებელია, აქ მექანიკურ უზუსტობასთან გვაქვს საქმე.

გ. ყაზბეგმა დაწვრილებით აღწერა შავშეთის განთქმული სოფელი ტბეთი და აქ არსებული დიდებული ტაძარი, რომლის შიგნითა ნაწილს მთლიანობაში, ავტორის თქმით, აქვს გრანდიოზული შესახედაობა და უფრო დიდ შთაბეჭდილებას ტოვებს, ვიდრე მცბეთის, ზარზმისა და საფარას ტაძრები. ისე კარგია მისი საერთო ხედი და საუცხოოა მისი დეტალები, რომ ტბეთის მონასტერს შეუძლია რომიც კი დაამშვენოს, — დასძენს მკვლევარი (ყაზბეგი, 1995, 78-81).


საგულისხმოა, რომ გ. ყაზბეგმა ტბეთის ტაძარში სამ ისტორიულ საბუთთან ერთად მიაკვლია ხელნაწერ ძეგლს, რომელიც ამჟამად ცნობილია „ტბეთის სულთა მატთანე“-ს სახელით („ტბეთის სულთა მატთანე“, 1977, 7; ბაქრაძე, 1987, 166).

როცა აჭარის ჰიდრონიმიას ეხება, მკვლევარი აღნიშნავს, რომ მდინარეებს აჭარაში და საერთოდ, თურქეთის საქართველოში, საკუთარი სახელები არა აქვთ: ყოველი სოფელი, ყოველი მნიშვნელოვანი ადგილი აძლევს მათ სახელწოდებას. ამიტომაც ერთი და იმავე მდინარეს აქ რამდენიმე სახელი აქვს. იგივე შეიძლება ითქვას ხეობების შესახებაც. ასეთივე ვითარებაა ლაზეთშიც. ამ მხრივ გამონაკლისია მდინარე ჭოროხი (ყაზბეგი, 1995, 55).

მდინარეებს თუ ხეობებს საკუთარი სახელები არც შავშეთში აქვთ. ისინი ძირითადად სოფლების ან მნიშვნელოვანი ადგილების სახელების მიხედვით იწოდებიან. ეს კარგად აქვს შენიშნული გ. ყაზბეგსაც. მაგალითად, როცა სათლელისწყლის (სათლელი სოფელიცაა) ხეობას აღწერს, მიუთითებს: მდინარე სათლელისწყალი შედგება ოთხი მთავარი შენაკადისაგან, რომლებიც სოფლების სახელებითაც იწოდებიან: სხლობანი, დაბაწვრილი, შავქეთი და კუჩენი (ყაზბეგი, 1995, 81). ე. ი. სხლობანი სოფლის სახელიც არის და მდინარისაც. ასევეა სხვებიც. იქვე მითითებულია, რომ სხლობანისწყალი, რომელიც სულ შვიდი ვერსი სიგრძისაა, რწყავს სოფლების — სხლობანის, ციხისა და მერიას მიწებს.

ავტორი თითოეულ ხეობას, მდინარეს, სოფელს აღწერს ფიზიკურ-გეოგრაფიული თვალსაზრისით, აღნიშნავს სოფლებს შორის მანძილს, სამომოსვლო გზებს, მიუთითებს დემოგრაფიულ სიტუაციაზე და ა. შ. მაგ., სოფელი ველი ამაღლებულ მინდორზე, სათლელისწყლის მარჯვენა ნაპირზე, ტბეთიდან სამ ვერსზე მდებარეობს. სოფელში 12-მდე კომლი ცხოვრობს. სოფლის ფართობი 4000 ფუტ სიმაღლეზე დევს. აქედან ზემოთ სათლელისწყლის დინების გაყოლებით მიდის ორი გზა: ერთი გაჭიმულია მდინარის მარჯვენა ნაპირის ფლატეზე და სხლობანისწყლის მდინარე სათლელთან შეერთების ადგილას გაკეთებული ხიდის გავლის შემდეგ სოფელ ოქრობაგეთამდე აღწევს... (ყაზბეგი, 1995, 82). უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი სიზუსტით აღწერა გზამკვლევადაც გამოადგებათ ამ მხარის შესწავლით დაინტერესებულ სპეციალისტებს.

გ. ყაზბეგის მიხედვით, სახელწოდება იმერხევის ქვეშ იგულისხ-



მება მდინარე იმერხევის აუზი, რომელიც სათავეს ხულოს მუნიციპალიტეტში, შავშეთის, კარჩხალისა და მაჭახელის მთების კვანძიდან იღებს. მისი შენაკადებიდან ყველაზე წყალუხვია ბაძვირეთის წყალი. იმერხევის მთავარი ხეობა ესაა გიგანტურ მთებს შორის არსებული ნაბრალი, რომლის თავზე დაკიდულია ძალზე მკაფიო კონტურების მქონე შიშველი კირქვოვანი კლდეები (ყაზბეგი, 1995, 84).

თავის ნაშრომში ავტორი მოიხსენიებს, აგრეთვე შავშეთის შემდეგ სოფლებს: იგიეთი (ამჟამად ივეთი — ფუტკარაძე, 1993, 185, 191, 282; ცეცხლაძე, 2000, 186), დაბაწვრილი, აგარა, მამანელისი, მოქთა (ფუტკარაძის მიხედვით მოგვთა — შ. ფუტკარაძე, 1993, 184; ცეცხლაძის მასალაში არის მოქეთა — ცეცხლაძე, 2000, 196. სწორი ფორმა უნდა იყოს მოგვთა „მოგვების ადგილი“), სინკოთი (უნდა იყოს სინკოთი — ფუტკარაძე, 1993, 183, 185; ცეცხლაძე, 2000, 212), ფხიკიური (ჭიჭინაძის მიხედვით ფხიკური — ჭიჭინაძე, 1913, 296. მართებული ფორმა უნდა იყოს გ. ყაზბეგისეული ფხიკიური). ახალდაბა, ინხოთი, დიობანი, ბაძვირეთი, ზიოსი, ანდრიაწმინდა, ჭალეთი (სოფ. ჭალეთი არაა ფიქსირებული ნ. ცეცხლაძის მიერ, მის მასალებში გვხვდება სათიბ-საძოვრების სახელად ჭალათი — ცეცხლაძე, 2000, 24), ჩვარები (უნდა იყოს ჭვარები — ე.ბ.), სურევანი (ამჟამად სვირევანი — ფუტკარაძე, 1993, 254; ცეცხლაძე, 2000, 212), ჩიხორი, დაბა, უბე, ზაქიეთი, დევაძე, ხევწვრილი, შინდობანი, ანაკლია... (ბოლო პერიოდში შეკრებილი მასალების მიხედვით, არის ანკლია — ფუტკარაძე, 1993, 184; ცეცხლაძე, 2000, 161). არაა გამოირიცხული სწორედ გ. ყაზბეგისეული ანაკლია იყოს ამ სოფლის თავდაპირველი სახელი (ანაკლია სოფლის სახელია ამჟამად ზუგდიდის რაიონში); ავტორი მოიხსენიებს გობიხვეწიას მთას, რომლის შემოგარენშიც 12 სოფელი ყოფილა და ხალხი ამ სოფლებს გურჯისტანს უწოდებს (ყაზბეგი, 1995, 90).

გ. ყაზბეგი ზოგიერთი სოფლის დემოგრაფიული სიტუაციის, ასევე ეროვნული შემადგენლობის შესახებაც მიუთითებს. მაგ., ოქრობაგეთი — 70 კომლი (მთლიანად სომეხი გრიგ.), ციხისძირი — 50, ყვირალა — 18, ჭინალი — ჩიხთა — 60, ველი — 12, სათლელი — 60 (10 — სომეხი გრიგ., 40 — სომეხი კათ., დანარჩენი გათურქებული ქართველები), ახალდაბა — 90, ჭალეთი 10, სურევანი — 20, ფხიკიური — 25 (სომეხი კათოლიკები)...

გ. ყაზბეგის მიერ შეკრებილი შავშეთის ტოპონიმების უმეტე-

სობა ქართული წარმომავლობის სახელებია, რომლებიც ქართული გეოგრაფიული სახელებისათვის დამახასიათებელი აფიქსებიდან შემდგომად ფორმებული. მაგ., მიქელეთი, წეთილეთი, ივეთი, ოქრობაგეთი, ბაღ-გირეთი, კარაგათი, სხლობანი, ფხიკიური, ჭვარები... მათი სემანტიკაც გამჭვირვალეა. მართებულია ავტორის ეტიმოლოგიური დაკვირვებანიც (ყვირალა, აბანოსხევი...).

ასეთია ძირითადად ის მასალა, რომელიც გ. ყაზბეგმა დაგვიტოვა. აღსანიშნავია ისიც, რომ გ. ყაზბეგი ერთ-ერთი პირველი ქართველი მკვლევარი იყო, მე-19 საუკუნის 70-იან წლებში რომ იმოგზაურა შავშეთში და ეს მხარე დაწვრილებით აღწერა. როგორც განხილული მაგალითებიდან ჩანს, ავტორს შავშეთის ტოპონიმები მეტწილად სწორად აქვს დაფიქსირებული. ამდენად, ეს მასალა საკმაოდ სანდოობით ხასიათდება და ღირებულ წერილობით წყაროს წარმოადგენს ამჟამად თურქეთის სახელმწიფო საზღვრებში მოქცეული საქართველოს ერთ-ერთი ისტორიული პროვინციის — შავშეთის — ტოპონიმების სრულყოფილი შესწავლისათვის.

ლიტერატურა

ყაზბეგი, 1995, — გ. ყაზბეგი, სამი თვე თურქეთის საქართველოში (ნაშრომი თარგმნეს, შესავალი წერილები, კომენტარები და საძიებლები დაურთეს და გამოცეს რ. სურმანიძემ და მ. ხარაზმა), ბათუმი, 1995.

ყაზბეგი, 1875 — Г. Казбег, Три месяца в Турецкой Грузии, Тифлиси, 1875.

ფუტყარაძე, 1993 — შ. ფუტყარაძე, ჩვენებურების ქართული, ბათუმი, 1993.

ცეცხლაძე, 2000 — ნ. ცეცხლაძე, შავშეთ-იმერხევის ტოპონიმია, ბათუმი, 2000.

ჭიჭინაძე, 1913 — ზ. ჭიჭინაძე, მუსულმანი ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში, ტფ., 1913.

სიხარულიძე, 1988 — ი. სიხარულიძე, შავშეთ-იმერხევი, ბათუმი, 1988.

„ტბეთის სულთა მატთანე“, 1977 — „ტბეთის სულთა მატთანე“ (ტექსტი გამოსაცემად მოამზადა. გამოკვლევა და საძიებლები დაურთო თინა ენუქიძემ), თბ., 1977.

Shavshetian Toponyms

(According to G. Kazbegi's "Three Months in Lower
Western Georgia" (now in Turkey)

Summary

In 1867 G. Kazbegi travelled in lower Western Georgia. Among the data collected by the researcher the place names of the region in question are of particular importance. Some of the Georgian toponyms are now changed to Turkish. G. Kazbegi's work can be used as a source for the restoration of the originally Georgian toponyms.

ნიკო ოთინაშვილი

მეჭუდის ხეობის ტოპონიმის ძირითადი საკითხები

მეჭუდის ხეობა შიდა ქართლში მდებარეობს, სადაც საუკუნეების განმავლობაში რთული ეთნო-სოციალური და დემოგრაფიული პროცესები მიმდინარეობდა.

ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერით“ მეჭუდა ჟამურის მთიდან გამოედინება და გორის ციხესთან შეერთვის ლიახვს. მეცნიერი ხეობაში ორ ზოლს გამოჰყოფს ვერტიკალური ზონალობის მიხედვით და მიუთითებს, რომ „ბიყრის ხევს ზემოთ არის მამული ქსნისა“. გორის ციხიდან ბიყრამდე ბარის ზოლია, ხოლო ბიყრის ზევით მთის ზოლი.

ხეობა ძველთაგანვე დასახლებული იყო ქართული ტომებით. 1470 წლის შეწირულობის წიგნში, რომელიც ქვენიფნეველ ერისთავს ეკუთვნის, ვკითხულობთ: „აღვაშენე სოფელი ახალუბანი, ისეთ ადგილს, რომ მანამდე ადამიანი არ სახლებულიყო, აღვაშენე სოფელი ივრეთი და ქსანზედ სოფელი ჰერეთაჲ“.¹

ხეობაში ისტორიულად იცვლებოდა დასახლებულ პუნქტთა რაოდენობა, მათ შორის ნაწილი მოსახლეობისაგან იცვლებოდა და ნასოფლარის ფუნქციას იღებდა. ასეთივე მდგომარეობაა გვარების მხრივ, რომელთა აღდგენა-ლოკალიზაცია ტოპონიმებთან ერთად აქტუალური საკითხია და ამ მიმართულებით ზოგიერთი ფაქტი გამოვამზეურეთ.

ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერას“ დართულ სოფლების სიაში, რომელიც 1895 წელს გამოსცა მოსე ჯანაშვილმა ჩამოთვლილია სოფლები რომლებიც, მცირე გამოწკლისის გარდა, ეფარდება შემდგომი დროის იოანე ბაგრატიონის შრომაში „ქართლ-კახეთის აღწერაში“ ჩამოთვლილი სოფლების სიას.

ვახუშტის ზემოხსენებული შრომის ტექსტში მეჭუდის ხეობის სათავეში დასახლებულია ისროლისხევი, მაგრამ სოფლების სიაში შეტანილი არ არის. ასევეა იოანე ბაგრატიონის „აღწერაშიც“.

¹ ქართული მწერლობა, 5, თბ. 1988, გვ. 198.

ლიტერატურული და ისტორიული წყაროების, არქეოლოგიური მონაცემების, ადგილზე დაკვირვების საფუძველზე ხეობაში შეიძლება დადგინდეს რიგი ნასოფლარები.

გიულდენშტეტი 1771 წელს ხეობაში მოგზაურობისას მიუთითებს დასახლებულ პუნქტებს, რომელთა შორისაა სოფელი ატენი. სოფელი დასახლებულია აგრეთვე 1774 და 1781 წლების ხეობის მოსახლეობის აღწერის მასალებში, სადაც 9 კომლი ცხოვრობდა.

ადგილზე დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ ნასოფლარი ატენი მდინარე ისროლისხევის წყლის მარჯვენა მხარეზეა, სადაც შემორჩენილია ნასახლარები და ღვთისმშობლის ეკლესიის ნანგრევები. „ქსნის ხეობის სტატისტიკის“ მიხედვით, ატენში ცხოვრობდნენ: ელიაური, ილურიძე, ასტამაძე, სახაშვილი, გენგიური, რომელიც ელიაურის განაყარია.

ისევ „სტატისტიკის“ მიხედვით სოფელ ისროლისხევში, რომელსაც ჭავახთასაც უწოდებენ, უცხოვრიათ გვარად ჭავახებს, საიდანაც სოფლის სახელი მომდინარეობს.

მდინარის სათავეებში არის შემდეგი ნასოფლარები: ბერუანთ კარი, გოგოანთ კარი, ნინიკაანთ კარი, და სხვ., რომლებიც გვაროვნული დასახლებები იყო და მიგრაციული პროცესის გამო დაიცალა.

ქვემო ისროლისხევში დასტურდება ტოპონიმები: გიგას წყარო, მათეს ახო, ტუხიას ახო და სხვა. ისინი ეკუთვნოდა გვარად გინტურებს, რომლებიც XIX ს-ის 80-იან წლებში ბარის ზონაში ჩამოსახლდნენ. ნასოფლარ ტბაში ცხოვრობდნენ გენგიურები, რომლებიც ბარის სოფლებში არიან და დღესაც აკითხავენ მშობლიურ ადგილებს.

ვახუშტის „აღწერაში“ დასახლებულია დაბა კოლონკეთი და მის რუკაზეც მეჭუდის მარცხენა მხარესაა დატანებული. აღნიშნული დასახლება მოხსენებულია XIII—XIV ს.-ების ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატიანეში „ძეგლი ერისთავთა“.

„ძეგლი ერისთავთა“ მოგვითხრობს, რომ „მეფე დავით ბაგრატიონმა ქვენიფნეველ-ლარგველს მისცა მთავრობა ყოველთა დიდებულთა და აზნაურთა, რომელნი არიან მკვიდრნი შუა არაგვისა და ლიხვისა, ზემოთ შორის მდინარისათ“. დღეს არსებობს ნასოფლარი კოლონკეთი მეჭუდის მარცხენა ნაპირზე და გვარსახელ ფხუნელაისძედან სოფელი ფხვენისი ქართლში, მათი შედარება კვლევა კი მომავლის საქმეა.

მწვავე დემოგრაფიული პროცესები დაიწყო XVIII ს.-ის ბოლოს, როცა ლეკებმა და ოსებმა გაუთავებელი თავდასხმებით ხეობის სოფლები ნასოფლარებად აქციეს. მიუხედავად ამისა ხეობა მაინც ქართულია მიკრო და მაკრო ტოპონიმების მხრივ.

მეჭუდის ხეობის მარჯვენა მხარეს პატარა სოფელი მახისია, რომელსაც ისტორიული წყაროები მოხისად მოიხსენებენ. დღეს იქ დუდაელები არიან, რომლებიც დუდაურები არიან და ეთნიკურად ქართველები იყვნენ. აქ ცხოვრობდნენ ვეშაპურები, იგივე ვეშაგურები, რომლებიც დაბლა სოფელ მეჯვრისხევში გადასახლდნენ.

ქოლოთი ორია — დიდი და პატარა. დიდი — მეჭუდის პარალელურ ლეხურის ხეობაშია, პატარა — კი მეჭუდისა. პატარა სოფლიდან კეკელაშვილები სოფელ არცევეში და ქვეში დასახლდნენ, იარდალაშვილები კი სოფ. მეჯვრისხევში. მეჯვრისხევში მცხოვრები ხახუტაშვილები ჩამოსულები არიან სოფ. ბენდერიდან, აქედანვე არიან ფაკაურები, რომლებიც სოფ. ფლავისმანში ჩამოსახლდნენ.

ბეგიაშვილების გვარს პატარა ლიახვის სათავე ქნოლიოში უცხოვრიათ, მერე კი მეჭუდის ხეობაში ჩამოსულან და დაუარსებიათ სოფ. ბეგიანთკარი, შემდგომ ბიყრად ქცეული. იქიდან ჯერ სოფ. ღრომში, ხოლო შემდგომ მეჯვრისხევის ჩრდილოეთით დასახლდნენ და ახლა სოფელს არიან შეერთებულნი. 1781 წელს „ქსნის ხეობის სტატისტიკით“ სოფელ მეჯვრისხევში უკვე სახლობენ ბეგიაშვილები, ჯავახიშვილები, ფიდიურები, ხუტაურიშვილები, რომლებიც ბიყრიდან არიან ბარად ჩასულები. მწიკვლაური — წოდიდან, ციცაგი — ისროლისხევიდან, ინაური, გილაძე — ივრეთიდან ბარად სოფელ მეჯვრისხევში ჩამოვიდნენ.

ოფიციალური დოკუმენტებიდან მოვიყვანთ ერთ-ერთს, რომელიც საინტერესოა ხეობის ისტორიისათვის. 1778 წ. 20 მაისს გიორგი XII უფლისწულობის დროს, იასე ბეგიაშვილს აძლევს წყალობის წიგნს: „ესე წყალობის წიგნი გიბოძეთ, შენ ჩვენსა და ბიყრულ ბეგიაშვილს, შვილს იასესას, შვილსა შენსა გიორგისა და მომავალსა სახლისა შენისათა. ასე რომ, ლეკისაგან დატყვევებულიყავი და რამდენიმე ხანი ტყვედ ყოფილიყავი — მოხვედ და შენი თავი შენის ნებით ჩვენ გვაყმევი და ივრეთის ჩვენის ყმის ფოსურის, ბეთალმანის ამოწყვეტილის მამულს დაგვუაჯე... შეგიწყალეთ და გიბოძეთ, ივრეთის ფოსურის მამული... და კიდევ მეჯვრისხევს ამავე ფოსურის

ნაყიდი ვენახი და რაც სახნავი მიწა ქონია, შენთვის გვიბოძებია“¹

ხეობის ტოპონიმიში გვხვდება როგორც მარტივფუძიანი, ისე აფიქსებით ნაწარმოები ტოპონიმები.

განსაკუთრებული ინტენსივობით გამოირჩევა სუფიქსური წარმოება. გვხვდება: -ეთ, -ურ, -ენტ, -ანთ სუფიქსები. ისინი აწარმოებენ ტოპონიმებს, რომლებიც აღნიშნავენ კუთვნილებას, აფიქსირებენ შტოგვართა სახელებს. მაგ.: -ეთ-ი, ივრ-ეთ-ი, გორ-ეთ-ი, წყურ-ეთ-ი (ნასოფლარი), ქორ-ეთ-ი. ქაშუ-ეთ-ი; ტოპონიმასტიკური ერთეულები: ელია-ურ-ი, გენგი-ურ-ი, ჩხიტა-ურ-ი, გინტ-ურ-ი, ციცაგიე-ენტ-ი, ელიაურე-ენტ-ი, კიკილა-ანთ-ი, ბერუა-ანთ-ი, ნინიკა-ანთ-ი, ჟამურ-ლია-ანთ-ი, დვალა-ანთ-ი, კამელა-ანთ-ი და სხვები. ესენი ნასოფლარებია.

საკმაოდ პროდუქტიული ტოპოფორმანტებია აგრეთვე: -ა, -ნარ, -ებ, -ის, -ევ სუფიქსები. მაგ.: ნასერვალ-ა, სათორლ-ა, ჟამულ-ა, ხარგალ-ა, სათიბალ-ა, ვერხვ-ნარ-ი, საკუზ-არ-ი, ნაფუძრ-ებ-ი, კოტაურ-ებ-ი, არშა-ანთ-ებ-ი, გოგაურ-ებ-ი.

მცენარეთა სახელებსაგან მომდინარე ტოპონიმებს მიეკუთვნება: წიწიბურა — სათიბის სახელია, ტერჯოვანი, ბალახის სახელი ყოფილა და მისგან არის ნაწარმოები — ტერჯვნის ციხე, ტერჯვნის ხევი, ტერჯვნის მთა. ხეობის ზემო წელი მდრიდარი საძოვრებით გამოირჩევა, რაც თიბვის ლექსიკას ასახავს. გვხვდება — ბულულა — მთის სახელია, სათივე ქედი, ღვრულა და სხვა.

ჰიდრონიმთა რაოდენობა მეჭუდის ხეობაში ტოპონიმებთან შედარებით მცირეა. როგორც ისტორიულად, ასევე დღეს დადასტურებულია არაერთი ჰიდრონიმი, რომლებიც მთლიანად ქართულია.

წყალ- ფართო მნიშვნელობის სიტყვაა და ხეობაში გვხვდება ღელის, წყაროს აღსანიშნავად: ისროლისხევის წყალი, გომთის ღელე, ტორტლის წყალი, დვალაიანთ წყალი, გენგიურების წყალი.

წყარო- იხმარება უფრო ვიწრო გაგებით, მას ხშირად მსაზღვრელად ახლავს ადგილის ან პიროვნების სახელი. ავაზნის წყარო, თირი ქვის წყარო, გოგირდის წყარო, ლექსას წყარო, ჩიტასწყარო და სხვა.

¹ დოკუმენტები საქ. სოციალური ისტორიიდან, II, თბ., 1953.

გიულდნუტედი, 1962 — გიულდნუტედი „მოგზაურობა საქართველოში, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანით გამოსცა და გამოკვლევები დაურთო გ. გელაშვილმა, ტ. I, თბ., 1962.

დოკუმენტები, 1953 — დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, II, თბ. 1953.

ბაგრატიონი, 1973 — ვახუშტი ბაგრატიონი, „აღწერა სამეფოს საქართველოსა“, თბ., 1973.

ქართული მწერლობა, 1988 — ქართული მწერლობა, 5, თბ., 1988.

„ძეგლი ერისთავთა“, 1954 — „ძეგლი ერისთავთა“, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის. ნაკ. 30. 1954.

NIKO OTINASHVILI

The Main Problems of Mejudi Valley Toponyms

Summary

In Mejudi valley, Shida Kartli (Inner Kartli) the number of populated places were historically changeable due to the invasions of Caucasian highlanders, as well as migration and immigration processes.

These processes are reflected on the ethnic fabric of the population, though Georgians have always formed the bulk of it. A number of former settlements belonging to the same family names have been revealed. Some of the family names were spread along the mountainside of the valley, but now they are located in the lowlands of Kartli. Part of the old villages and family names are evidenced in the historical sources.

მახანზ მალრაქი

რიცხვითი სახელები ტოპონიმებში

ტოპონიმთა წარმოებაში აქტიურად გამოიყენება რიცხვითი სახელები. მაგრამ მათი დაყოფა შეიძლება ორ ქვეჯგუფად: რაოდენობითი და რიგობითი. როგორც მოსალოდნელი იყო, წილობითი სახელები გეოგრაფიულ სახელთა წარმოქმნაში არ მონაწილეობს.

ცნობილია, რომ მსოფლიოს მრავალი ხალხის წარმოდგენაში გარკვეულ რიცხვებში საკრალური მნიშვნელობაა ჩადებული. რწმენა რიცხვთა „სიწმინდის“, საკრალურობისა და მაგიურობის შესახებ ასტრალური მითოლოგიიდან მომდინარეობს, ასტრალური რელიგიის საფუძველზეა შექმნილი. მიუთითებენ, რომ „ქართული ფოლკლორის მიხედვით წმინდა რიცხვებია 3, 7, 9“ (ბრეგაძე, 1969, 260). რ. პატარაძე აზუსტებს, რომ წარმართულ საქართველოში **ცხრა** მზის წმინდა რიცხვი იყო, ხოლო შვიდი — მთვარისა. თუმცა, ამ მოსაზრებას ბოლომდე ვერ გაგიზიარებთ, ვინაიდან ქართული ფოლკლორისა და მითოლოგიისათვის პრაქტიკულად დამახასიათებელია საკრალური რიცხვი **ცხრა**. **შვიდი** კი, არც მაკრო- და არც მიკროტოპონიმიაში არ ფიქსირდება. ქართულ ზღაპრებში ხშირად მოიხსენიება შესიტყვება **ცხრა** მთა, **ცხრა** ზღვა, **ცხრათავიანი** დევი¹...

ცხრა სიტყვით შედგენილი სახელები მრავლად გვხვდება ქართულ ტოპონიმიაშიც: **ცხრაფონა** (ს. ქობულეთი), **ცხრამუხა** (ს. ხაშური), **ცხრაწყარო** (ს. ზესტაფონი; მთა 1. ხარულის ქედზე, 2. თრიალეთის ქედზე; უღელტეხილი თრიალეთის ქედზე), **ცხრაჯვარა** (მდ. ამბროლაური), **ცხრამმა** (რკინიგზის სადგ. მარაბდა-თეთრი წყაროს ხაზზე), **ცხრაჯვარა** (მთა ტყიბული), **ჩხოროწყუ** (მდ. დაღაბა მარტვილი) — მეგრ. „ცხრაწყარო“, **ჩხორთოლი** (მდ. გალი)

¹ მაგ.: „მევრი იარა თუ ცოტა იარა, ცხრა მთა გადიიარა, ცხრა ტყე გაკვეთა, ცხრა მინდორი გადათელა“... (195), „ცხრი მთას იქით... უკვდავების წყაროა“... (609), „რწმენა ერთ წამში გადაიქოლია ცხრა მთა“ (ქართული ხალხური ზღაპრები, 1977, 656), „ცხრა დღე მივლია, ცხრა ღამე, გარსა ვერ მომიბრუნია“ („ამირანი“, 1975, 47).

— მეგრ. „ცხრათვალა“, **ჩხარ-უწერი** (ს. თერჯოლა) — სვან. „ცხრა“
ბოლო მაგალითის გარდა, ყველა რიცხვითი სახელი ატრიბუტულია.
— ნაწარმოებია: **ჩხარ+ულ-ი** (ს. ცხინვალი); **ჩხორ-ია** (ს. ზუგდიდი);
დამოუკიდებლად მხოლოდ სვანურშია დადასტურებული: **ჩხარ-ი**
(სოფ.); **ჩხარ-ა** (მდ. თერჯოლა).

რატომ ეწოდებათ საქართველოში ადგილებს **ცხრაწყარო**, **ჩხო-
როწყუ?** ნუთუ იმიტომ, რომ **ცხრაწყაროში** მართლაც ცხრა წყა-
როა? დაუჯერებელია. რაღა მაინცდამაინც ცხრა წყაროებს დაერქვათ
სახელები? რატომ აღარა გვაქვს, ვთქვათ, რვაწყარო, შვიდწყარო,
ექვსწყარო და ა. შ.? მაშასადამე, ტოპონიმის მნიშვნელობა ამ შე-
მთხვევაშიც არ გამომდინარეობს ფუძეთა ზოგადი მნიშვნელობისაგან
და სახელების მიზეზი სხვა რამეშია საძიებელი (ცხადია, 1985,
179).

რიცხვი **ცხრა** ქართულ ტოპონიმიაში გამოყენებულია არა რაო-
დენობითი მნიშვნელობით, არამედ წყლის სიუხვის, წყაროთა სიმ-
რავლის აღსანიშნავად. ხეცსურეთში მრავალძარღვა **ცხრაძარღვად**
იწოდება. ე. ი. აქ ცხრა სინონიმია მრავლისა... (ჯორბენაძე, 1943,
33).

ივ. ჯავახიშვილის ცნობით, საქართველოში გავრცელებული
ყოფილა ზეპირი თვლის ცხრა-ცხრაობითი სისტემა, რაც, როგორც
ვარაუდობენ, საფუძვლად უნდა დადებოდა ამჟამად მოქმედი ათობი-
თი და ოცობითი თვლის წესს (ცხაკია, 1959, 21).

რიცხვი **ცხრა** იხმარებოდა, და დღესაც იხმარება, როგორც უკვე
აღვნიშნეთ, სიმრავლის, სიხშირის, მიუწვდომლობის გაგებით: ცხრაგ-
ზის — მრავალგზის, ბევრჯერ, ცხრაკეცი — მრავალფენიანი, მრავალ-
კეციანი, ცხრაკლიტული — საიდუმლო და მიუვალ ადგილი.

მრავლად გვხვდება **სამ** რიცხვის შემცველი ტოპონიმები: ოღონდ
მიკროტოპონიმებში, მაკრო ტოპონიმებში კი, სულ რამდენიმეა. და-
მოუკიდებლად მხოლოდ ერთია: **სემ-ი** (მდ. სამტრედია) სვან. „სამი“.
ნაწარმოები: **სამ-ება** (ს. ქობულეთი, სერი — კახეთის კავკასიონის
მთიანეთში, მთა — 1. საწკებელას ქედზე, 2. გურიის ქედზე, 3.
თრიალეთის ქედზე, 4. ჯავის რაიონში). ქრისტიანული ღვთისმეტყვე-
ლების უმთავრესი დოგმატი, რომლის მიხედვით, ღმერთი ერთია თა-
ვისი ნებით, მაგრამ „სამგვამთაგანია“ (სამ პიროვანი): მამა ღმერთი,
ძე ღმერთი და სულიწმინდა. სწორედ ეს ტერმინია პირდაპირ გა-
მოყენებული ტოპონიმებად.

სამწყარო (სოფ. და მდ. ყორნისი), **სამგორი** (რკინიგზის ბაქანი ვაზიან-ივრის გადასარბენზე). მსაზღვრელი ფუძის სახითაა წარმოდგენილი. **სამგორის** ვაკე (ივრის ზეგანზე), **საგორის** არხი (გარდაბანი). ერთი შემთხვევაა, სადაც ხელოვნურ ობიექტს უკავშირდება და ორივე შემთხვევაში მსაზღვრელი თავადაა კომპოზიტი: **სამების** მთა (კახეთის ქედზე).

ორ-ი რიცხვითი სახელით ოცდაერთი ტოპონიმი ნაწარმოები. არის სოფლის, მდინარის, მთის, მწვერვალის... სახელწოდებები.

ჟირწყალი (ყოფ. ს. სოხუმი), მეგრ. ჟირ „ორი“ (ს. მარტვილი), მეგრ. ქა „რქა“. საინტერესოა, რომ ორივე შემთხვევაში შერწყმული მეგრულ-ქართული ტოპონიმები გვაქვს: **ორწყალი** (მდ. ახმეტა), (**ორხევი**) მდ. გარდაბანი, სოფ. 1. თიანეთი, 2. ცაგერი), **ორკბილა** (მწვერვალი სვანეთის კავკასიონზე), **ჟირდალიშკა** (ს. გალი) მეგრ. ჟირ „ორი“, დალი „ღელე“, შკა რუსული კნინობით-ალერსობითი ბოლოსართი.

ორი ატრიბუტული მსაზღვრელია ფუძის სახით წარმოდგენილი, ორი სახელობითი ბრუნვით: **ორი** ძმა (მთა 1. გომბორის ქედზე, 2. მესხეთის ქედზე) და ერთი მრავლობით რიცხვში **ორთათავი** (მთა თრიალეთის ქედზე). მსაზღვრელი თანაირ მრავლობითშია დაყენებული.

რიგობითი რიცხვითი სახელით ნაწარმოები ტოპონიმები თითქმის ყოველთვის რეალურ რაოდენობას ან რიგითობას აღნიშნავს. პირველი სახელდებულია 22 ტოპონიმი: **პირველი** ეწერი (ს. აბაშა), **პირველი** ტოლა (ს. ბაღდადი)... **პირველი** კელასური (მდ. გულრიფში), **პირველი** ბალაჟიაშთა (მდ. გულრიფში).

მეორით ნაწარმოები ტოპონიმი ოდნავ მეტია — 25: **მეორე** ეწერი, **მეორე** ტოლა, **მეორე** ჭოლა, **მეორე** ობჩა... **მეორე** კელასური, **მეორე** ბალაჟიაშთა (იმავე რაიონებიდანაა, საიდანაც პირველი).

მაგრამ არის რამდენიმე შემთხვევა, როდესაც პირველი უპირისპირდება თავის ამოსავალ ტოპონიმსავე: **გალი** — **პირველი გალი** (გალი), **ნოსირი** — **პირველი ნოსირი** (ს. სენაკი)... ასევე იქცევა ზოგ შემთხვევაში მეორეც: **ლესიჭინე** — **მეორე ლესიჭინე** (ს. ჩხოროწყუ), **სვირი** — **მეორე სვირი** (ს. ზესტაფონი), **ხობი** — **მეორე ხობი** (ს. ხობი)... არ არის **პირველი სვირი**, **პირველი ლესიჭინე**...

არის ერთადერთი შემთხვევა, როდესაც მეორე ნაწარმოებია, მაგრამ დამოუკიდებლად გვხვდება **მაჟიეთი** (ს. ონი). მეგრ. **მაჟიე**, **მაჟიე** ორე“, მაჟიერი ანუ „მეორეთი“. თუმცა ამგვარი წარმოება არ გვხვდება და შესაძლებელია სხვა წარმოშობისა იყოს.

რაც შეეხება მესამეს, სულ ორად-ორი ტოპონიმის შექმნაში მოწოდებული, **მესამე** ბალადა (მარტვილი), **მესამე** შამთა (ს. თეთრი წყარო). საინტერესოა, რომ არის — **ბალადა** — **პირველი** ბალადა — **მეორე** ბალადა — **მესამე** ბალადა, მაგრამ ჩავარდნილია მეორე შემთხვევაში პირველი: **შამთა** — **მეორე** შამთა, **მესამე** შამთა.

არ დასტურდება პოსტპოზიციური წყობის არცერთი ტოპონიმი. რიცხვითი სახელი არის დამოუკიდებელი, ნაწარმოები, სიტყვათშეხამებაში. უწყვილდება როგორც ბუნებრივ, ასევე ხელოვნურ ობიექტებს.

საგულისხმოა, რომ **სამი** და **ცხრა** აქტიურად გამოიყენება, მაგიური **შვიდ** სიტყვის არც ერთი შემთხვევა არ დასტურდება. ქართულ მითოლოგიაში **შვიდი** ინდოევროპული ენებიდან შემოტანის შთაბეჭდილებას ტოვებს.

ლიტერატურა

ამირანი, 1975 — ამირანი, თბ., 1975.

ბრეგაძე, 1969 — ნ. ბრეგაძე, მთის მიწათმოქმედება დასავლეთ საქართველოში, თბ., 1969.

პატარიძე, 1980 — რ. პატარიძე, ქართული ასომთავრული, თბ., 1980.

ქართული ხალხური ზღაპრები, 1977 — ქართული ხალხური ზღაპრები, თბ., 1977.

ცხადაია, 1985 — პ. ცხადაია, მთიანი სამეგრელოს ტოპონიმი, ენათმეცნიერული ანალიზი, თბ., 1985.

ცხაკაია, 1959 — Д. Т. Цхакая, История математических наук в Грузии древнейших времен до начала XX века. Тб., 1959.

ჯორბენაძე, 1993 — ბ. ჯორბენაძე, ონომასტიკური გულანი, თბ., 1993.

Numerals in Toponyms

Summary

Numerals are frequently used in the formation of toponyms. As is known, certain numbers bear sacred, magic meanings in different cultures. The belief in their sacred, magic nature is based on the astral mythology, astral religion. For Georgian folklore and mythology the numbers nine and three are sacred _ they are frequently evidenced in Georgian toponyms. As for the magic number seven it is not encountered in Georgian toponyms. The paper assumes that it is a borrowing into the Georgian mythology from Indo-European languages.

მანანა კვირკველია

ინგლისური და ქართული ტოპონიმების
შეპირისპირებითი ანალიზი

წარმოდგენილ ნაშრომში განხილულია ინგლისური ტოპონიმების ეტიმოლოგიური შრეები, მორფოლოგიური სტრუქტურა, შედარებული ქართულ ტოპონიმებთან.

საკუთარი სახელების შემსწავლელ მეცნიერებას ონომასტიკას უწოდებენ და მას რამდენიმე ნაწილად ყოფენ: 1. საკუთარ სახელებს, გვარებს — ანთროპონიმებს შეისწავლის ანთროპონიმია; 2. გეოგრაფიულ სახელებს — ტოპონიმია. 3. ღვთაებათა სახელებს — თეონიმია; 4. კოსმონიმებს — კოსმონიმია; 5. ცხოველების (შინაური თუ გარეული) სახელების შემსწავლელ მეცნიერებას ზოონომიკას უწოდებენ, და სხვა (ცხადია, 1988, 81).

გეოგრაფიული სახელწოდების მნიშვნელობის ახსნა-განმარტებას ადამიანები ჯერ კიდევ ჩვენს ერამდე ცდილობდნენ. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ძველი ბერძნები და რომაელები (პეროდოტე, სტრაბონი, ტაციტუსი და სხვ.). ტოპონიმია, როგორც მეცნიერული დისციპლინა, XIX საუკუნის დამდეგს შეიქმნა. იგი შეისწავლის გეოგრაფიული სახელწოდებების წარმოშობასა და მნიშვნელობას (ბერძნ. *topos* — „ადგილი“, *onoma* — „სახელი“).

ტოპონიმებს ადამიანთა ურთიერთობასა და მეტყველებაში მეტად მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. ქუჩა, სოფელი, მთა, ტყე, წყარო და მათი სახელწოდებანი იმდენად მახლობელია ქალაქისა და სოფლის მცხოვრებთათვის, და ისეა დამკვიდრებული მათ ყოფაში, რომ ყოველდღიურ სიტყვა-პასუხში აქტიურად მონაწილეობს.

ტოპონიმები ისტორიულად რაოდენობით ჭარბობს მოქმედ ლექსიკას. ტოპონიმი ჩნდება ენის წარმოშობისთანავე და თან ახლავს ენას. მისი არსებობის მანძილზე (დლონტი, 1971, 4).

ტოპონიმია დიდძალ მასალას იძლევა ისტორიის, ეთნოგრაფიის, არქეოლოგიისა და ბოტანიკისათვის. ტოპონიმოლოგიური სახელწოდებ-

ბის ძირითადი თვისებაა მათი მდგრადობა, სიცოცხლისუნარიანობა, რის გამო მათ განიხილავენ როგორც უძველეს ძეგლებს, რომლებიც საშუალებას გვაძლევს ჩავწვდეთ კაცობრიობის ისტორიის, კულტურისა და ენის სიღრმეებს.

ტოპონიმების დიდი ნაწილი ცნობებს გვაწვდის მათი შემქმნელი, და შემდეგ, ერთმანეთის შემცვლელი ტომებისა და ხალხების შესახებ. ისინი აღნიშნავენ ხან დედამიწის ზედაპირის ფორმასა და შენებას, ზოგჯერ — ცხოველთა, ფრინველთა, მცენარეთა სახელებს, ზოგჯერ გვამცნობენ დიდი ხნის წინ მომხდარი ამბების შესახებ. ტოპონიმების საშუალებით შეიძლება გავიგოთ ადგილის ხასიათი, მცენარეული საფარი შორეულ წარსულში, დავადგინოთ ამა თუ იმ ადგილის მოსახლეობის თავდაპირველი საქმიანობა.

ტოპონიმიკური სახელწოდებების მდგრადობა საშუალებას იძლევა ენაში გამოვავლინოთ ის ელემენტები, რომლებიც თანამედროვე ლექსიკიდან დიდი ხანია გაქრა; შეიძლება აღმოვაჩინოთ უცხოენოვანი ელემენტები ან უძველესი დიალექტური ნიშნები, ავსნათ საინტერესო მოვლენები ისტორიული ლექსიკოლოგიის დარგში, სინტაქსისა და ფონეტიკაში. ტოპონიმიკის საშუალებით შეიძლება გარკვეულ იქნეს სხვადასხვა ხალხთა განსახლების საზღვრები, დადგენილ იქნეს ხალხთა მიგრაციის მიმართულებანი (გეტშმანი და თანაავტ., 1965, 4).

ტოპონიმი ლექსიკურად ენის ერთეულია, გრამატიკულად — საკუთარი არსებითი სახელი. ტოპონიმი: არის ერთობლიობა ანუ მთელი ფონდი დასახლებული პუნქტების, სახელმწიფოების, მდინარეების, ტბების, ზღვების, წყაროების, მთების, უღელტეხილების სახელებისა. მას სამ ჯგუფად ყოფენ: მიკროტოპონიმი, საკუთრივ ტოპონიმი და მაკროტოპონიმი (ღლონტი, 1971, 5).

მიკროტოპონიმი შეიცავს მცირე გეოგრაფიული ერთეულის, ერთი-ორი დასახლებული პუნქტის ფარგლებში ბუნებრივად თუ ხელოვნურად შექმნილი ობიექტის სახელებს, რომლებსაც მომხმარებელთა ვიწრო წრე იცნობს და საზოგადოების ფართო ნაწილისათვის ნაკლებად გასაგებია ასეთია ადგილობრივი ქუჩების, სახნავ-სათესის, საბოსტნე, სავენახე ნაკვეთების, წყაროების, ხეობების, ახობის, მაღლობების, ტყეების სახელები. ეს პირველადი სახელწოდებებია.

საკუთრივ ტოპონიმი აერთიანებს უფრო მსხვილ გეოგრაფიულ

ერთეულებს, მისი არეალი ფართოა. ეს არის სოფლების, დაბების, ქალაქების, მთაგრებილების, მოზრდილი მდინარეების სახელები.

საკუთრივ ტოპონიმია მეტად გამძლეა და ეპოქებს ითვლის.

მაკროტოპონიმია დიდ გეოგრაფიულ ერთეულებს გულისხმობს. იგი ცალკეული სახელმწიფოების საზღვრებს სცილდება და საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს. ესენია სახელმწიფოების, მატერიკების, უდიდესი ქალაქების, მდინარეების, ზღვების, ოკეანეების სახელწოდებები (დლონტი, 1971, 5).

ტოპონიმი შეიძლება იყოს: ჰიდრონიმი (ჰიდროგრაფიული ობიექტის სახელწოდება); თიკონიმი (ნებისმიერი დასახელებული ბუნქტი); ორონიმი (ოროგრაფიული ობიექტის — ე. ი. დედამიწის რელიეფის დადებითი და უარყოფითი ფორმების საკუთარი სახელი); სპელეონომი (ბუნებრივი მიწისქვეშა წარმონაქმნები — გამოქვაბული, მღვიმე); ქორონიმი (ნებისმიერი ტერიტორია, რეგიონი, ოლქი); დრომონიმი (სამიმოსვლო გზები — სახმელეთო, საზღვაო, საჰაერო, მიწისქვეშა); დრიმონიმი (ტყის, კორომის, ტევრის სახელი); აგროონიმი (სახნავი, სათიბი მიწების, ახოს, მინდვრის სახელწოდება) (ცხადაია, 1988, 109).

გ. ნიკონოვი აღნიშნავს, რომ სემანტიკური კლასიფიკაციის მიხედვით, ტოპონიმთა ძირითადი ტიპებია: ა) თვით ობიექტის ნიშანთვისების გამომხატველი; ბ) მისი კუთვნილების გამომხატველი; გ) მიძღვნის გამომხატველი სახელწოდებები (ნიკონოვი, 1962, 13).

ადგილის სახელწოდებათა უმრავლესობა დაკავშირებულია სხვადასხვა წარმოქმნით პროცესებთან. მათ შორის ყველაზე უფრო გავრცელებულია:

1. ბუნებრივი წარმონაქმნების — მთების, გორაკების, მდინარეების და სანაპირო ზოლების სახელები — Dover (Water), Staines (Stones), Honolulu (Safe Harbour), Rotonua (two lakes), Kalgoorlie (a native shrub), Twin Folkes (რუმი, 1993, 13).

საქართველოში მსგავსი ტოპონიმებია: კენჭა კლდე, წითელი კლდე, ორწყარო, ავისგორი, ბებრისვაკე, მყინვარწყერი.

2. ადამიანის მიერ შექსნილი საერო ნაგებობების — ბანაკების, სასახლეების, ციხე-კოშკების სახელები; მაგ., Doncaster (camp on the Don), Barrow (Burial mound). ქართულში მსგავსი ტოპონიმებია: ბებრისციხე, ციხეგორა, გოდერძისციხე, მუქუსციხე, უფლისციხე (აფრიდონიძე, 1980, 137; მაკალათია, 1976, 133).

3. რელიგიური მნიშვნელობის დასახელებები, დაკავშირებული ღმერთების, წმინდანების სახელებთან, ეკლესიები. მაგ., Providence, Godshill, Axminster, St Neots, Sacra-Mento, Santa Cruz, Thorsley (რუმი, 1993, 13). საქართველოში ასეთი ტოპონიმებია: ადგილისდედა, დედაბთიშობელი, ნინოწმინდა, მთისწმიდაგიორგი, ციხისწმინდაგიორგი (მაკალათია, 1976, გვ. 134). სვეტიცხოველი, დავითგარეჯა, ჯვარი, ჯვარზენი.

4. სამეფო დიდებასთან დაკავშირებული სახელები, მაგ., Queensland, Kingston, Victoria falls, New York, Carolina, Maryland (ინგლისის დედოფლის ვიქტორიას, ჰერცოგ ჯეიმს ორკის, ინგლისის მეფე კარლოს II-ის, მეფე კარლოს I-ის მეუღლის მერის პატივსაცემად) (გებტმანი და თანაავტ. 1965, 60, 74, 76, 91, 99). საქართველოში გვხვდება: თამარაშენი, თამარისი, თამარღელე, დედოფლისწყარო, მეფისწყარო.

5. გეოგრაფიულ აღმოჩენებთან და ცნობილ მკვლევრებთან დაკავშირებული: America, Cookstown, Columbus, Columbia, Flinders (ცნობილი მოგზაურებისა და მკვლევარების — ამერიგო ვესპუჩის, ჯეიმს კუკის, ქრისტოფერ კოლუმბის, მეთიუ ფლინდერსის პატივსაცემად). საქართველოში ასეთი ტოპონიმები არ მოიპოვება. ამის მიზეზი უნდა იყოს ქართული სახელმწიფოების უძველესი წარმოშობა.

6. ცნობილი ადამიანების — პოლიტიკოსების, მხედართმთავრების, ტომის ბელადების პოპულარობა განაპირობებს მთელი რიგი სახელწოდებების წარმოქმნას. ასეთ სახელებს „მიძღვნიოს“ ან „მემორიულ“ ტოპონიმებს უწოდებენ. მაგ., Washington, Delaware, Baltimore, Everest, Reading (აშშ-ის პირველი პრეზიდენტის ჯორჯ ვაშინგტონის, ლორდ სესილ ბალტიმორის — ქალაქის დამაარსებლის, ჯორჯ ევერესტის — ინგლისელი ოფიცრის, ინდოეთის გეოდეზიური კომიტეტის პრეზიდენტის პატივსაცემად, ინდიელების ტომის — დელავერების და „რედის ხალხის“ აღსანიშნავად (რუმი, 1993, 14; გებტმანი და თანაავტ., 1965, 48). საქართველოში შესაბამისი ტოპონიმებია: ვაჟასწყარო, ყოფ. სტალინირი, ყოფ. ლენინგორი, მაიაკოვსკი, ლუქსემბურგი.

7. „ნასესხები“ გეოგრაფიული სახელები ემიგრანტის საშობლოდან, სენია ტოპონიმები, რომელთა გავრცელება-გამრავლებას განაპირობებს მოსახლეობის მიგრაცია. მაგ., Aberdeen, Bath, Bir-

mingham, Boston, Hillford, Gloucester, York, London, Lancaster (არის როგორც დიდ ბრიტანეთში, ისე აშშ-ში); დასახლებული პუნქტები — Paris, Memphis, Troy, Trinidad. ქართულში გვხვდება: ბაღდადი, სინოპი, სემიონოვკა, მიხაილოვკა, ყოფ. ლუქსემბურგი, ალექსეევკა, ყოფ. ულიანოვკა. სეხნია ტოპონიმებია აგრეთვე: ახალშენი (12), ახალდაბა, ახალსოფელი (24), ახალქალაქი, განახლება, განთიადი, წითელსოფელი. საქართველოში „სეხნია“ ანუ განმეორებითი ტოპონიმები (აფრიდონიძე, მაკალათია, 1980, 5-292; ლლონტი, 1971, 13) დიდი რაოდენობით მოიპოვება. ვ. ნიკონოვის აზრით, განსაზღვრულ პერიოდში მთელ ტერიტორიაზე მოსახლეობის გარკვეული ერთობის პირობებში ლექსიკური მარაგის მხოლოდ უმნიშვნელო და მკაცრად შეზღუდული ნაწილი ხმარდება ტოპონიმის, რის გამოც ერთი და იგივე ერთეული მრავალგზის მეორდება (ნიკონოვი, 1965, 11).

არსებობს ინგლისური ტოპონიმის ოთხი ეტიმოლოგიური შრე: კელტური, ლათინური, სკანდინავიური და ფრანგული.

1. **კელტური** კომპონენტის გამოყენების საკითხი თანამედროვე ტოპონიმების შემადგენლობაში მეტად რთულია. ეს დაკავშირებულია ბრიტების დასახლების პრობლემასთან ანგლო-საქსონური ტომების მიერ კუნძულის კოლონიზაციის შემდეგ IV საუკუნეში. მაგ.: რეგულარულად გამოყენებული ელემენტი Wal (walas — ძვ. ინგლ. ბრიტები) მიუთითებს იმ პუნქტებზე, სადაც კელტური მოსახლეობა იყო გამაგრებული. ამ ელემენტით ნაწარმოები ტოპონიმებია: Walton — „ბრიტების დასახლება“, Walworth — „ბრიტების მონაკვეთი“, Walden — „ბრიტების ველი“, Walpole „ბრიტების ტბა“ (რუმი, 1993, 373-376). ასეთივე სიხშირით გამოიყენება **Pen-, Lan-, Tre-** კომპონენტები (პოული, 1986, 257, 343, 503). **Pen** — (კორნ. ბორცვი, მწვერვალი, გორაკი), მაგ.: Pencoyd, Penge, Penketh, Penarth, Pennarlago; ქართულში — გორი, ახალგორი, დიდგორი, ქვედა გორა, ზედა გორა. **Lan** — (კორნ. ეკლესია): Landulph, Lanreath; ქართულში გვხვდება — ეკლესიასთანა, ოთხთა ეკლესია, მწვანე ეკლესია. **Tre** — (კორნ. ფერმა, სოფელი, ქალაქი): Trehill, Treales, Tredrustan. საქართველოში გვხვდება — ქალაქი, ახალქალაქი, ნაქალაქევი, დაბა, ახალდაბა, ახალსოფელი.

კელტური წარმოშობის ტოპონიმების დისტრიბუციასთან დაკავშირებით, ინგლისის ტერიტორიაზე შეგვიძლია გამოვყოთ რამ-

დენიმე ზონა. ყველაზე მეტად ეს სახელები გავრცელებულია ქვეყნის დასავლეთით, რომელიც ხასიათდება გვიანი ანგლო-საქსონურმა პაციით (VII-VIII სს.), კერძოდ, კემბრიაში, ლანკაშირში, სალოპში, ჰერტფორდ-ენდ-უესტერში, გლოსტერშირში, დევონშირში, უელსში.

2. **ლათინური** გავლენა თანამედროვე ტოპონიმიაში უმნიშვნელოა. რომაული ბრიტანეთის ეპოქას ქვეყნის რუკაზე შესაძინევი კვალი არ დაუტოვებია. ამ პერიოდის სახელწოდებები უფრო ძველი, კელტური სახელების ლათინიზებულ ფორმებს წარმოადგენენ. მაგ.: London < Londinium; Manchester < Mamucium; Lincoln < Lindum colonia; Ashby Puerorum, Buckland Sororum, Toller Fratrum.

ისეთი განმსაზღვრელი კომპონენტები, როგორიცაა Great და Little, ხშირად იცვლება ლათინური Magnum და Parva-თი. მაგ.: Ashby Magna, Ashby Parva; საქართველოში გვხვდება დიდი გარეჯარი, პატარა გარეჯარი, დიდი ციხიათა, პატარა ციხიათა, დიდი მეჯვრისხევი, პატარა მეჯვრისხევი და სხვა (აფრიდონიძე, მაკალათია, 1980, 5-292; მაკალათია, 1976, 86-88).

Lower და upper იცვლება ლათინური superior და inferior-ით. მაგ.: Rickinghall Superior, Rickinghall Inferior; ქართულში: ზემო სვანეთი, ქვემო სვანეთი, ზემო ახალსოფელი, ქვემო ახალსოფელი, ზედა კვირიკე, ქვედა კვირიკე.

გვხვდება ლათინურიდან ნასესხები წინდებულებიც: **sub** — თან, ფერხით, მაგ.: Thorpe sub Montem; **juxta** — ახლოს, მაგ.: Brandwell juxta Mare; **super** — ზე, მაგ.: Weston super mare; **cum** — ერთად, თან, მაგ.: Stone cum Ebony; ქართულში: ბელელთანა, ეკლესიასთანა, კოჭოზედა.

3. **სკანდინავიური** გავლენის კვალი შეინიშნება მხოლოდ იმ ტერიტორიაზე, სადაც წინათ სკანდინავიური სამფლობელოები იყო. დეინლოს ტერიტორიაზე დიდი აქტიურობით გამოირჩევა დამაბოლოვებელი კომპონენტი **by**, მაგ.: Moorby, Wilby. მსგავსი ტოპონიმებია შვეციაში — Gamleby, Vimmerby, დანიაში — Dalby, Aaby. By-ის პირველადი მნიშვნელობაა — სოფელი, მცირე დასახლება, განცალკევებული ფერმა. ეს დასტურდება სამშემადგენლიან ტოპონიმებში, რომლებიც შეიქმნა ადრეული დასახელებების საფუძველზე და მიეკუთვნება მეორად — „შვილობილ“ სახელებს: Blackfordby, Saltfeetby; ქართულში: ახალსოფელი, წითელსოფელი, ოქროსოფელი, წინსოფელი.

გავრცელებული კომპონენტი აგრეთვე **thorp** (შვ. — მიწის ნაკვეთი; ნორვ. — პატარა მიწის ნაკვეთი), მაგ.: **Simonsthorp**, **Ringsthorp**. ქართულში შეიძლება შევადაროთ — ვარდისუბანი, ტიმოთესუბანი, წინუბანი, ზედუბანი, ახალუბანი. **Holm** კომპონენტი (ინგ., დან., შვედ., ნორვ. — პატარა კუნძული) გამოიყენება წყალთან ახლომდებარე მიწის ნაკვეთების აღსანიშნავად, მაგ.: **Bromholme**, **Oxenholme**, **Tupholme**.

4. **ფრანგული** ენის გავლენა ინგლისურ ტოპონიმიზმზე ნაკლებად საგრძნობია. ფრანგული ლექსიკური სესხება განისაზღვრება ზედსართავი სახელებით **beau, belle** (ფრ. — მშვენიერი, ლამაზი). მაგ.: **Beaurepaire**, **Beaudesert**, **Bellasize**, **Belvoir**. სახელების მცირე რიცხვში გამოიყენება **mont** კომპონენტი (**mont** — მთა). მაგ.: **Eamont**, **Ridgmont**, **Grosmont**. ქართულში — შუამთა, ბასხაჭურმთა, წითელმთა.

ინგლისურ ტოპონიმიზმში გამოიყენება ფრანგული არტიკლი **le** და წინდებული **en**. მაგ.: **Clayton le Woods**, **Normanton le Heath**. ბელენკაიას აზრით (ბელენკაია, 1976, 33). არტიკლი და წინდებული კონსტრუქციის ნაწილია, რომელიც აღწერს ობიექტის ადგილმდებარეობას. მაგ.: **Chapel en le Frith**, **Bramton en le Morthen**, **Stetton en le Field**. ზოგ შემთხვევაში **en** ამოვარდება და რჩება არტიკლი. მაგ.: **Chapel le Ferne**, **Walsham le Willows**. ინგლისური და ფრანგული ფორმების ურთიერთკავშირში სხვადასხვა სტადიები შეინიშნება: ფრანგული არტიკლის ამოვარდნა, ინგლისური წინდებულის შემოტანა და სხვ. მაგ.: **Thornton le Dale** → **Thornton Dale**; **Burgh le Marsh** → **Burgh in the Marsh**; **Clayton le Dale** → **Clayton in the Dale** და **Clayton in le Dale**.

საქართველოში თურქების, სპარსელებისა და არაბების მრავალსაუკუნოვანი შემოსევების შედეგად ქართულ ენაში მნიშვნელოვანი ცვლილებები იქნა შეტანილი. ბევრ ქართულ სიტყვას აქვს უცხოური ეტიმოლოგია.

ირანულ ტომებთან ურთიერთობის შედეგად ქართულში დამკვიდრდა ირანული სატომო და გეოგრაფიული სახელები. მაგ.: სპარსი — სპარსეთი, ქურდი — ქურდევანი, ჯორჯანი — ჯორჯანეთი.

შენ — ტერმინ-ფორმანტი სპარსული წარმოშობისაა. **შენ** განსაკუთრებით პროდუქტიულია აღმოსავლეთის ტოპონიმიზმში. მისი ამოსავალი მნიშვნელობა არის „სოფელი“ — ახაშენი, ბეშთაშენი.

შენ სიტყვა „შენებას“ უკავშირდება.

სამხრეთ საქართველოში დადასტურებული შენ ელემენტური ტოპონიმების უმრავლესობას პირველ კომპონენტად ადამიანის საკუთარი სახელი აქვს. მაგ.: ბულაშენი, მუკუზაშენი, მუხრაშენი, თამარაშენი და სხვ. (ბერიძე, 1980, 21-34).

ქვემო ქართლის ტოპონიმიაში ხშირად შეგვხვდება თურქულ-აზერბაიჯანული ელემენტები. მაგ., პეტრეარხაჯი — საძოვარი სოფ. განთიადში. „არხაჯი“ აზერბაიჯანულად ნიშნავს საქონლის დასასვენებელ ადგილს მინდორში. „ჩათაქ“ ნიშნავს უნაგირას და აღნიშნავს რელიეფის გარკვეულ სახეს. მაგ., ჩათახ-მთა სოფ. მამიშლარში; ჩათახის საყდარი, ჩათახის ჭალა დიდ გომარეთში. „აღელი“ არის ბაქი, ცხერის მოსათავსებელი ადგილი. ასპინძის რაიონშია აღელი — საძოვარი (კემულარია, 1987, 84-88).

თურქულ-აზერბაიჯანული წარმოშობისაა სალამაღეჩი, ყარაბულახი, თაფამთა. „თაფა“ თურქულად არის ბორცვი, გორაკი (კემულარია, 1987).

განვიხილოთ მარტივი, შედგენილი და სუფიქსიანი ტოპონიმები როგორც ინგლისურში, ისე ქართულში.

ა) მარტივ ტოპონიმებში გავრცელებულია: 1) რელიეფის ტერმინები (*gamble* — მთის შვერილი, *knoll* — გორაკი, *steel* — მთის ქედი); 2) ლანდშაფტების ტერმინები (*marsh* — დაბალი, ტბიანი ადგილი, *mere* — ჭაობი); 3) ცალკეული ნაკვეთების აღმნიშვნელი ტერმინები (*meadow* — მდელო, *field* — მინდორი); 4) ჰიდროგრაფიული ტერმინები (*bath* — აბანო, *fleet* — ყურე); 5) გზების, მშენებლობის, დასახლების აღმნიშვნელი ტერმინები (*bow* — თალი, *street* — ქუჩა, *thorp* — სოფელი); 6) ეკონომიკურ-გეოგრაფიული ტერმინები (*cote* — ბოსელი, *floor* — კალო); 7) გეობოტანიკური ტერმინები (*oak* — მუხა, *elm* — თელა).

ბ) ინგლისური ტოპონიმების მნიშვნელოვანი ნაწილი შედგენილია, მაგ.: *Hertford, Oxford, Cambridge, Folkestone*. ქართულში შედგენილი ტოპონიმებია: ორწყალი, ცხენისწყალი, აჭარისწყალი, წნორისწყალი, ხოსროწყალი, ცხრაწყარო, კავთისხევი, სამგორი, შავნაბადა, პავლიანთკარი, კლდეკარი, ახალციხე, ორთა-ბათუმი, მართოთხანი და სხვ.

შედგენილი ტოპონიმების განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს წინდებული და წინდებულისანი ზმნიზედა (ბელენკაია,

1976, 53). მათი ფუნქციაა ობიექტის გეოგრაფიული ადგილმდებარეობის აღნიშვნა. განსაკუთრებით გამოირჩევა წინდებულმა **under**. მაგ.: **Ashton under Hill, Thorp under Stone**. ქართულში მსგავსი ტოპონიმებია — ციხისძირი, ხიხაძირი, ვაკისძირი, ტახტისძირი.

ხშირად გამოიყენება წინდებულები: **in** (Norton in the Moors), **by** (Thorp by Water), **on** (Bourton on the Water), **upon** (Stanford upon Soar), **next** (Stoke next Guiford).

ქართულში ტოპონიმებად გამოიყენება **თანა** თანდებულით ნაწარმოები სახელები. ფუძედ აღებულია სახელი მხოლოდით რიცხვში როგორც მარტივი, ისე ნაწარმოები. მაგ.: ახოთანა, ბელელთანა, ეკლესიასთანა, თომათქოხთანა, ჩოხელათქოხთანა (მაკალათია, 1976, გვ. 136).

გ) უფრო იშვიათად გვხვდება სიტყვის ბოლო ელემენტები ანუ ტოპონიმური სუფიქსები. მაგ.: - **ham** (ძვ. ინგლ. **ham** — სოფელი, ფერმა, მამული), - **ton** (**tun** — ფერმა, სოფელი, ქალაქი). - **ham** სუფიქსის სიძველე მთელი რიგი ფაქტორებით არის დადასტურებული, მაგალითად, ხშირი კომბინაციით **ing**-თან, რომელიც ითვლება ერთ-ერთ ყველაზე ძველ ტოპონიმურ კომპონენტად (**Birmingham**), ეს სუფიქსი გავრცელებულია ქვეყნის ჩრდლო-დასავლეთით, საგრაფოებში — კენტში, სურეიში, სასექსში, უესესქსში, საფოლკში, ნორფოლკში. ქვეყნის დასავლეთით უფრო ხშირად -**ton** კომპონენტი (**Hampton**); გავრცელებულია აგრეთვე სუფიქსები — **chester/caster** (**Lancaster, Chinchester, Winchester**), - **ley** (**Ridley**), - **laugh** (**Healaalough**) - **lam** (**Acklam**), - **ney** (**Olney**), - **le** (**Scarle**), - **la** (**Stella**), - **ber** (**Limber**), - **ore** (**Elmore**) და სხვ. (ბელენკაია, 1976, 50).

ქართულში გავრცელებული -**ობ**, -**ან**, -**ეთ**, -**აურ**, -**ურა**, სუფიქსები. მაგ.: ვაშლობი, ორჭობი, ვაშლოვანი, ბაკურიანი, კვეზანი, ვაზიანი, ვაჩიანი, გურჯაანი, დუშეთი, ლიხეთი, თიანეთი, ბაზალეთი, ქობულეთი, თრიალეთი, კეტამურა, ბონახურა, აფხუშურა, ფასანაური, ზნაური, ამბროლაური, ჩოხატაური, ბულაჩაური.

ინგლისური და ქართული ტოპონიმების შეპირისპირებითმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ ორივე ენაში შეინიშნება ადგილობრივ ტოპონიმებზე უცხოელი დამპყრობლების ლექსიკის გავლენა. გარდა ამისა, ისეთი ზოგადსაკაცობრიო სარგებლობის სახელები, როგორიცაა წყალი, კედელი, ციხე, ხე, ტყე, ხიდი — ცალკე, შედგენილი ან

სუფიქსების სახით გვევლინება როგორც ინგლისურ, ისე ქართულ ტოპონიმებში. მიგვაჩნია, რომ ეს ენობრივი მოვლენები უნივერსალურია.

ლიტერატურა

აფრიდრონიძე, მაკალათია, 1980 — შ. აფრიდრონიძე, ფ. მაკალათია, ქართული თეონიმები. კრ. ტოპონიმთა, II, რედ. შ. ძიძიგური. 1980.

ბელენკაია — Беленькая В.Д. Очерки англоязычной топонимики. М., 1976.

ბერიძე, 1987 — მ. ბერიძე, სპარსული ელემენტები ჯავახეთის ტოპონიმიაში. კრ. ონომასტიკა, რედ. შ. ძიძიგური, 1987.

გებტმანი, გებტმანი, ზარდალიშვილი, მესხი, 1965 — გ. გებტმანი, ნ. გებტმანი, გ. ზარდალიშვილი, ე. მესხი, გეოგრაფიულ სახელწოდებათა ახსნა-განმარტება, 1965.

კემულარია, 1987 — მ. კემულარია, თურქულ-აზერბაიჯანული ელემენტები ქვემო ქართლის ქართული სოფლების ტოპონიმიაში. კრ. ონომასტიკა. რედ. შ. ძიძიგური, 1987.

კლარკი, 1993 — Clark Andrey N. Dictionary of Geography. 1993, Oxford.

მაკალათია, 1976 — ფ. მაკალათია, არაგვის ხეობის ფშავის ტოპონიმთა, I, რედ. შ. ძიძიგური, 1976.

ნოვიკოვი, 1962 — Никонов В. А. Славянский топонимический тип. Географические названия. Вопросы географии. М., 1962.

ნოვიკოვი, 1962 — Никонов В. А. Введение в топонимику. М., 1965.

რუმი, 1993 — Room A. Place-names in the British Isles. 1993, Oxford.

დლონტი, 1971 — ალ. დლონტი, ტოპონიმური ძიებანი, 1971.

ცხადაია, 1988 — პ. ცხადაია, ონომასტიკურ ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი, 1988.

ჰოუდი, 1986 — Hoad T. F. The Concise Oxford Dictionary of English Etymology. 1986, Oxford.

A Contrastive Analysis of English and Georgian Toponyms

Summary

The paper deals with etymological layers and morphological structure of English and Georgian toponyms. In both languages simple, compound and affixal structural types are evidenced. Such common words as water, wall, castle, tree, wood, bridge, pool appear as simple names, suffixes or parts of compound toponyms both in English and Georgian.

The existence of similar names for different towns and villages in the two countries is explained as the result of the process of migration. The analysis has shown that foreign invasions have greatly influenced the toponyms of the two languages. In the English toponymy four etymological layers can be singled out: Celtic, Latin, Scandinavian and French. Multiple foreign invasions have introduced significant alterations into the system of Georgian toponymy as well; tribal and geographical names have been established.

სარჩმვი

გ. გოგოლაშვილი — სვანური ენის დიალექტური დაყოფისათვის.....	3
თ. ინჯია — სინტაქსური ელიპსის ერთი სახე გრ. რობაქიძის შემოქმედებაში.....	9
თ. ინჯია — ქვემდებარე-შემასმენლის ინვერსია, ფექსირებული ფორმის დარღვევის საშუალება გრ. რობაქიძის შემოქმედებაში.....	15
თ. არაბული — ბილინგვ ბავშვის მეტყველების პრაგმატული ასპექტი.....	20
მ. შერაზადიშვილი — სუბიექტური მოდალობა და მისი გამოხატვის საშუალებანი.....	36
ე. ბაკარაძე — კომპიუტერული (ინტერნეტის) შემოკლებები; Chat-ისა და E-Mail-ის ენა.....	44
ი. მინდაძე — დისკუსია როგორც სოციალური აქტივობა კომუნიკაციური დიალექტის კონტექსტში.....	53
ნ. მარტაშვილი — მხატვრული ტექსტის სათაურის სემან- ტიკის სპეციფიკურობა.....	65
ნ. ფეიქრიშვილი — არავერბალური სომატური ფრაზეოლოგიზმები.....	70
ს. ჩხვიშიანი — ფრაზეოლოგიზმების ტრანსპოზიციის პრობლემა მხატვრულ თარგმანში.....	81
ს. ჩხვიშიანი — ბიბლიეზმებისა და მითოლოგიზმების ეტიმოლოგია და მათი კომპონენტური დონის ეკვივალენტურობა.....	93
ნ. მარტაშვილი — ფრანგული მხატვრული ნაწარმოების სა- თაურის ტიპები და მათი განვითარების ტენდენციები..	106
ი. შადური — {-ზაა} მორფემის სტატუსისათვის სამწერლობო აფხაზურში.....	113
მ. ნიკოლაიშვილი — გვარის კატეგორიისათვის ქართულში..	119
ა. მეფარიშვილი — მიმღეობა მიზნის გარემოებად შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“.....	123
თ. გიორგობიანი — პერფექტი ძველ ბერძნულში.....	128
ლ. ქობალაია — სიტყვათწყობის შედარებით-ტიპოლოგიური	

კვლევა გერმანიულ ენებში.....	
თ. ბურჭულაძე — ერთი წყების უბრალოდამატებიან წინადადებათა შესახებ.....	136
დ. ახვლედიანი — ზოგიერთი ჩართული სიტყვა და გამოთქმა ე.წ. ხალხოსან მწერალთა და ეგნ. ნინოშვილის ნაწარმოებების მიხედვით.....	142
ლ. ქაროსანიძე — ჭაყი და ხმა ფუძეებიდან ნაწარმოები გრამატიკული ტერმინები ძველ ბერძნულსა და ქართულ გრამატიკულ თხზულებებში.....	152
ლ. ბაკურაძე — იოანე დამასკელის „დიალექტიკა“ და სულხან-საბა ორბელიანის „ლექსიკონი ქართული“.....	160
✓ ც. ქირია — რთული სამეცნიერო ტერმინების (კომპოზიტების) მართლწერა.....	171
მ. საღლიანი — ნასესხები ლექსიკა სვანურ ენაში.....	178
ნ. სურმაგა — სხვა სიტყვის სემანტიკური ნიუანსები სამხრულ-ქართულ დიალექტურ ქვესისტემებსა და ლაზურში.....	189
ნ. ახვლედიანი — ზანური ლექსიკური ერთეულები სამხრულ დიალექტებში.....	199
✓ ნ. სურგულაძე — შეფასებითი გრძნობა-დამოკიდებულება ქართულ ფრაზეოლოგიურ ზოონიმებში.....	202
ნ. მაჭავარიანი — ბაღჩეულისა და ბოსტნეულის აღმნიშვნელი ლექსიკა აფხაზურში.....	207
ი. ბებია — რამდენიმე მეგრული სამიწათმოქმედო დენდრონი.	212
ი. ბებია — ნათესების მავნებელი ფრინველების, მწერებისა და მღრღნელების აღმნიშვნელი მეგრული ლექსიკა.....	216
ნ. ჯოჯუა — ინტელექტის დადებითი თვისებების აღმნიშვნელი ატრიბუტული ლექსიკა ინგლისურ ენაში.....	219
ე. ბერიძე — შავშეთის ტოპონიმები გიორგი ყაზბეგის „სამი თვე თურქეთის საქართველოში“.....	229
ნ. ოთინაშვილი — მეჭუდის ხეობის ტოპონიმების ძირითადი საკითხები.....	235
ვ. მადრაძე — რიცხვითი სახელები ტოპონიმებში.....	240
მ. კვირკველია — ინგლისური და ქართული ტოპონიმების შებირისპირებითი ანალიზი.....	245

CONTENTS

G. Gogolashvili — On the Dialectal Division of Svan.....	8
T. Injia — One of the Types of Syntactic Ellipses in Gr. Robakidze's Works.....	14
T. Injia — The Subject - Predicate Inversion as a Means of Violating the Fixed Order in Gr. Robakidze's Works	19
T. Arabuli — Pragmatic Aspects of Bilingual Child language Acquisition	35
M. Sherazadashvili — Subjective Modality and the Ways of Expressing it.....	43
E. Bakaradze — Shortenings in Computer Usage	52
I. Mindadze — Discussion As a Social Activity within the Framework of Communicative Didactic Context	64
N. Martashvili — Some Semantic Peculiarities of Titles in Fiction	69
N. Peikrishvili — Non-verbal Somatic Phraseological Units	80
S. Chkhvimiani — Transposition of Phraseological Units in a Literary Text.....	92
S. Chkhvimiani — The Etymology of Biblicisms and Mythologisms and their Equivalency at the Level of Lexical Components	105
N. Martashvili — The Types of Titles in French Fiction and the Tendencies of their Development	112
I. Shaduri — On the Status of the Morpheme Zaa in Written Abkhazian	118
M. Nikolaishvili — On the Category of Voice in Georgian.....	122
A. Meparishvili — The Participle Used as an Adverbial Modifies of Purpose in Shota Rustaveli's "The Knight in the Panther's Skin"	127
T. Giorgobiani — The Perfect in Old Georgian.....	132
L. Kobalia — A Comparative Typological Study of Wordbuilding in Germanic Languages	135

T. Burchuladze — On One Type of Sentence with the Simple Object	141
D. Akhvlediani — Some Parenthetical Words and Expressions in the Works by E. Ninoshvili and the so-called "Public" Writers	151
L. Karosanidze — The Grammatical Terms Derived from the Stems $\Phi\omega\nu\eta$ and $\chi\mu\alpha$ in the Old Greek and Old Georgian Grammatical Works	159
L. Bakuradze — "Dialectics" by John of Damascus and Sulkhan-Saba Orbeliani's Georgian Dictionary	170
T. Kiria — The Spelling of Compound Medical Terms in Georgian	177
M. Saghliani — Lexical Borrowings in Svan	188
N. Surmava — On the Semantics of the Word Sxva and its Semantic Nuances in the Southern Georgian Dialectal Subsystems and in Laz	198
N. Akhvlediani — Zan Lexical Units in the Southern Dialects	201
N. Surguladze — Evaluative Emotional - attitudanal Phraseological Zoonyms in Georgian	206
N. Machavariani — The Abkhazian Lexemes Denoting Vegetables	211
I. Bebia — Some Megrelian Agricultural Dendronyms	215
I. Bebia — The Megrelian Lexical Units Denoting Pests	218
N. Jojua — Attributes Denoting Positive Mental Qualities of a Human Being in English	228
E. Beridze — Shavshetian Toponyms (According to G. Kazbegi's "Three Months in Lower Western Georgia" (now in Turkey)	234
N. Otinashvili — The Main Problems of Mejudi Valley Toponyms	239
V. Maghradze — Numerals in Toponyms	241
M. Kvirkvelia — A Contrastive Analysis of English and Georgian Toponyms	255

ხელმოწერილია დასაბეჭდად 17.05.2004

ფორმატი A5 (60X80^{1/16});

პირობითი ნაბეჭდი თაბახი 16.25

შეკვეთა №32

ტირაჟი 150

ფასი სახელშეკრულებო

ქ. 28. 403

76

04/1099

